არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

რუსტომ ფარეულიძე

ჩ ე ჩ ნ უ რ ი ზ მ ნ ა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

მონოგრაფიაში განხილულია ჩეჩნური ზმნის ფონემატური სტრუქტურა და მორფოლოგიური კატეგორიები, ნაზმნარი სახელები. ცალკე არის გაანალიზებული თავისებური ზმნები, აღდგენილია ამოსავალი ფორმები.

ნაშრომი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიური ენებისა და, აგრეთვე, ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტთათვის.

В монографии рассмотрены фонематическая структура и морфологические категории чеченского глагола, а также отглагольные имена. Отдельно анализируются своеобразные глаголы, восстановлены исходные формы.

Работа предназначена для специалистов иберийско-кавказских языков и общего языкознания.

რედაქტორი პროფ. ვ. შენგელია

რეცენზენტები: პროფ. კ. ჭრელაშვილი
პროფ. ც. ბარამიძე

Редактор проф. В. Г. Шенгелиа

Рецензенты: проф. К. Т. Чрелашвили
проф. Ц. Р. Барамидзе

© რ. ფარეულიძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-141-8

წინასიტყვაობა

როგორც ყველა ენაში, ჩეჩნურშიც ზმნა ერთ-ერთი ყველაზე რთული მორფოლოგიური კატეგორიაა. ჩეჩნური ზმნისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი დღემდე არ მოიპოვება, თუმცა არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა ცალკეული ზმნური კატეგორიებისა თუ სტრუქტურის შესახებ. ჩეჩნური ზმნა მსჯელობის საგანია აგრეთვე იბერიულ-კავკასიური ენებისადმი მიძღვნილი ზოგადი ხასიათის გამოკვლევებში.

წინამდებარე ნაშრომში ზმნის მორფოლოგიური ანალიზი ინფინიტივის განხილვით იწყება. ინფინიტივი ზმნის ყველაზე ზოგადი, ამოსავალი ფორმაა. წარმოების თვალსაზრისით, მასთან მჭიდრო კავშირშია მასდარი, თუმცა ისინი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მორფოლოგიური კატეგორიებია. ინფინიტივის (ან მასდარის) ფორმანტის დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ზმნური ფუძის გამოყოფაში. სადავო იყო ხმოვნის საკითხი, რომელიც ინფინიტივის (ან მასდარის) მაწარმოებელ ფორმანტს უსწრებს ჩეჩნურ ზმნაში (-ურ[5] სუფიქსიანებისა და ზოგი ხმოვანფუძიანის გამოკლებით). ზოგი მკვლევარი მას ფუძეს მიაკუთვნებს, ზოგი, პირიქით, ფორმანტისეულად მიიჩნევს.

მონათესავე ენების მონაცემთა შედარებამ გვიჩვენა, რომ ინფინიტივის მაწარმოებელი ჩეჩნურში არის **-ნ** ფორმანტი, ხოლო მის წინ მდგომი **-ა-** სხვა არაფერია, თუ არა სავრცობი (ან თემატური) ხმოვანი, სხვა ფუნქცია მას ჩეჩნურში არ ეძებნება.

აქედან გამომდინარეობს დებულება, რომ მარტივი ზმნური ფუძეები ჩეჩნურში ერთმარცვლიანია (და არა ორმარცვლიანი, როგორც ეს არაერთ მკვლევარს მიაჩნია). ზმნურ ფუძეთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმოვანფუძიანია, ხმოვანფუძიანთა რაოდენობა კი ორ ათეულს არ აღემატება, ისინიც ფუძის ცვეთის შედეგს წარმოად-

გენენ — დაკარგულია ბოლოკიდური თანხმოვანი.

ნაშრომში საგანგებოდ არის შესწავლილი მარტივი ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურა; დადგენილია ფუძეთა სტრუქტურული მოდელები, თანხმოვანთა კომპლექსები; ასეთი სახის ანალიზი არაერთი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. ანალოგიური სამუშაო უნდა ჩატარდეს ინგუშური და, განსაკუთრებით, წოვა-თუშური ენის მასალაზე, რაც წინაპირობას წარმოადგენს ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზისათვის ნახურ ენებში (ერთეული ფუძეები ამ ნაშრომშიც არის შედარებული). რთული შედგენილობის ზმნათა ფონემატური სტრუქტურა ცალკე არ არის შესწავლილი. ამის საჭიროება არც არის, რადგან რთულ ზმნებშიც მარტივებისაგან განსხვავებული ზმნური ფუძეები არ დასტურდება.

განხილულია ყველა ის შეხედულება, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაშია წარმოდგენილი დროთა სერიებად დაყოფის, მაწარმოებელი აფიქსებისა და უღლების ტიპების შესახებ. წინ წამოწეულია სადავო საკითხები და გამოთქმულია ახალი მოსაზრებანი. ახლებურად არის გაშუქებული **-ბ** ფორმანტიანი ნაზმნარი სახელი, თავისებური ზმნები და სხვა.

ნაშრომის მომდევნო თავში ანალოგიურად არის განხილულ-გაანალიზებული ზმნური კატეგორიები, სულ ბოლოს კი მოცემულია ზოგადი დასკვნები.

ნაშრომში საანალიზოდ მოხმობილია სამწერლო ჩეჩნური ენის მასალა, რომლის საყრდენი დიალექტი ჩეჩნური ენის ბარის კილოა. საილუსტრაციო მაგალითები ამოღებულია ფოლკლორული ტექსტებიდანაც, გამოყენებულია აგრეთვე ჩვენ მიერ წლების განმავლობაში (1977-1999) ჩეჩნეთში მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალაც.

ჩეჩნური ზმნის შესწავლისას, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლიდით ჩეჩნური ენის დიალექტებისა და მონათესავე ენათა მონაცემებს. ეს მონაცემები გათვალისწინებული გვაქვს, მაგრამ ნაშრომში, მისი მიზნიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია ზმნის ფონემატურ სტრუქტურასა და შინაგან ცვლილებებზე ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში.

* * *

ნახური ენების ლექსიკური მასალა მკვლევართათვის პირველად ცნობილი გახდა ი. გიულდენშტედტის შრომების საშუალებით, სადაც მოცემულია 285 ჩეჩნური სიტყვა ინგუშური და წოვა-თუშური პარალელებით. მათ შორის 16 ზმნაა. მასალა ჩაწერილია 1770-1773 წლებში, როცა ი. გიულდენშტედტი მოგზაურობდა კავკასიაში (გიულდენშტედტი 1964, 340-348).

გუთური ანბანი, რომლითაც ჩაწერილია მასალა, ნახური სპეციფიკური ფონემების აღსანიშნავად, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო, რაც სიტყვათა დამახინჯების მიზეზი გახდა. გარდა ამისა, თარჯიმნის მეშვეობით მასალის ჩაწერა სემანტიკური ხასიათის შეცდომებსაც იწვევდა (განსაკუთრებით ზმნაზე მუშაობისას). ასე, მაგალითად, ზმნები ჩეჩნურად თარგმნილია შემდეგნაირად: „სიყვარული“ — თუქავიეძე (დუჯა ვაქ̌ა? „ძალიან უყვარს“), „წასვლა“ — ქოვაჲ (ღუო ვაჲ? „წავიდეთ ჩვენ“), „სიცოცხლე“ — დენსექ (დიშა საგ? „ცოცხალი ადამიანი“) და სხვ.

ფონემების ერთგვაროვნების შემთხვევაში ზოგი სიტყვის აღნიშნული ანბანით ჩაწერა სიძნელეს არ წარმოადგენდა, ამიტომ შეცდომებიც (ფონეტიკური ხასიათისა) ნაკლებია. შდრ.: ვაელა „სიცილი“, ვაელხა „ტირილი“, ლიე „ლაპარაკი“..., თუმცა ხმოვანთა ნაზალობა ზმნურ სიტყვათა ბოლოში შენიშნული არ არის, გამორჩენილია ხმოვანთა სიგრძეც (მთლიან მასალაში). არის ზმნები, რომელთა ჩეჩნური შესატყვისები გაუგებარია, შდრ.: „აღება“ — ცაჲერიშ, „სმენა“ — ქათაირაშ...

მიუხედავად ამისა, ი. გიულდენშტედტის ლექსიკური მასალა და ფრაზები მნიშვნელოვანი წყაროა ნახურ ენათა შესწავლისას. ამ მასალის საშუალებით ბევრ შემთხვევაში ხერხდება ორი საუკუნის წინანდელი ნახური ენობრივი ვითარების შედარება დღევანდელთან.

მცირერიცხოვანი ნახური სიტყვებია შეტანილი „ყველა ენისა და კილოს შედარებით ლექსიკონში...“ (I, 1787; II, 1789) და ი. კლაპროთის ნაშრომში (კლაპროთი 1814). ამ მასალაში იძებნება ჩეჩნური ზმნებიც, რომელთა ნაწილი არასწორად, მცდარად არის დაბეჭდილი.

ჩეჩნური ენის 84 ზმნური სიტყვა გვხვდება რ. ერკერტთან (ერკერტი 1895), სიზუსტე ამ მასალასაც აკლია, ბევრი მათგანის ამოცნობა ჭირს.

ჩეჩნური ენის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი პ. უსლარმა ჩაუყარა. მისმა ნაშრომმა (ლითოგრაფიულად დაიბეჭდა 1863, სტამბურად კი — 1888 წლებში) დაბეჭდვისთანავე დაიმსახურა სპეციალისტთა ყურადღება. ამ ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ზმნას (გვ. 64-104): მოცემულია ზმნური კატეგორიების ანალიზი, მსჯელობა არის უღლების ტიპებზე, ნაშრომი მდიდარია საილუსტრაციო მასალითა და სხვა. პ. უსლარის ნაღვაწისათვის ნიშანდობლივია ენობრივი მასალის ანალიზის სიღრმე და, განსაკუთრებით, სიზუსტე.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, პ. უსლარის ერთ-ერთი ნაშრომის (ლეზგიური ენა) ნაკლი მასალის დალაგების უსისტემობაში ვლინდება, არ ჩანს, აგრეთვე, ზმნის ცალკეულ ფორმებს შორის ურთიერთკავშირი (თოფურია გ. 1959, 6). ეს შეფასება მიესადაგება პ. უსლარის ჩეჩნური ენის გრამატიკასაც და ეს გასაგებიცაა — პ. უსლარი პირველი მკვლევარია, რომელმაც ჩეჩნური ენობრივი მასალის სისტემატიზაცია სცადა.

1928 წელს დაიბეჭდა ა. დირის ნაშრომი „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ (დირი 1928). ამ ნაშრომში, სხვა კავკასიურ ენათა გვერდით, მოცემულია ნახურ ენათა გრამატიკული მიმოხილვა, სადაც ჩეჩნურ ზმნას ხუთიოდე გვერდი ეთმობა (გვ. 137-142). ა. დირის ნაშრომი ნახურ ენათა შესახებ ემყარება ა. შიფნერისა (წოვათუშური) და პ. უსლარის (ჩეჩნური) ნაშრომებს. როგორც ჩანს, ა. დირს ხელი არ მიუწვდებოდა ზ. მალსაგოვის „ინგუშური ენის გრამატიკაზე“ (მალსაგოვი ზ. 1925), ამიტომ ნაშრომში ინგუშური ენის მიმოხილვა ერთობ მწირია.

ზმნის დროთა წარმოება ჩრდილო-კავკასიურ ენებში შედარებული აქვს ჟ. დიუმეზილს (დიუმეზილი 1933), 21 ზმნური ფუძე კი, მათ შორის მხოლოდ ერთია ჩეჩნური, იმავე არეალის ენებში — ნ. ტრუბეცკოის (ტრუბეცკოი 1933, 88).

ქართველური და კავკასიური ენების მსგავსება-განსხვავება ძირითადი ლექსიკური ფონდის მასალაზე წარმოდგენილი აქვს ივ. ჯავა-

ხიშვილს კაპიტალურ ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (ჯავახიშვილი 1992). სამწუხაროდ, ამ ნაშრომში ჩეჩნური (და ნახური) ზმნის შესახებ ცნობები მწირია, რაც მოულოდნელი არ არის, რადგან XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩეჩნური ენის მორფოლოგიის ეს სფერო მხოლოდ პ. უსლარის ნაშრომში მეტ-ნაკლები სისრულით იყო განხილულ-გაანალიზებული. დღემდე ურყევია ივ. ჯავახიშვილის დასკვნითი დებულებები გრამატ. კლას-კატეგორიისა და უღლების შესახებ ჩეჩნურში. მაგალითად, იგი წერს, რომ ჩეჩნურ „უღვლილებას არც სუბიექტისა და არც ობიექტის პირის აღმნიშვნელი არ აბადია, არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით... ჩაჩნურ ზმნას უღვლილების ორგანული ფორმები აღარ მოეპოვება და ორგანული წარმოების ერთადერთ ნიშანწყლად უნდა დროების აღმნიშვნელი ბოლოსართები-ღა იქმნას მიჩნეული“ (ჯავახიშვილი 1992, 593).

ჩეჩნური ენის შესწავლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნ. იაკოვლევის ნაშრომებს „ჩეჩნური ენის სინტაქსი“ (1940) და „ჩეჩნური ენის მორფოლოგია“ (1960, დაიწერა 1939 წელს). ორივე ამ ნაშრომს თანაავტორები ჰყავს, მაგრამ მათზე მითითება ცალკეა. „ჩეჩნური ენის მორფოლოგიაში“ დიდი ადგილი ეთმობა ზმნას (გვ. 153-237), ზმნური კატეგორიების ანალიზის გარდა ავტორი (თუ ავტორები) ვრცლად მსჯელობს აგრეთვე ჩეჩნური ზმნის ამა თუ იმ ფორმის რუსული ადეკვატური შესატყვისების შესახებ, რითაც ხელოვნურად არის გაზრდილი ნაშრომის მოცულობა (იაკოვლევი 1960).

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ჩეჩნურ-ინგუშური ენების შესწავლაში. ამ პერიოდის ნაშრომებიდან აღსანიშნავია ი. დეშერიევის, დ. იმნაიშვილის, კ. ჭრელაშვილის, თ. გონიაშვილის, ი. არსახანოვის, ა. თიმაევის, ი. ალიროევის, ნ. ანდღულაძის, კ. ჩოჭაევის, ფ. ოზდოევას, ლ. სანიკიძის, ა. მაგომედოვის, ა. მაციევის და სხვათა ცალკეული სტატიები და მონოგრაფიები, სადაც გაშუქებულია ჩეჩნური ზმნის საკვანძო საკითხები, როგორიცაა: უღლების სისტემა და ტიპები, ფონეტიკური მოვლენები უღლების სისტემაში, ცალკეული ზმნური კატეგორიების ანალიზი, კვლევის არეალში

მოექცა ჩეჩნური ენის მდიდარი და მრავალფეროვანი დიალექტური მასალა, დამუშავდა ნახურ ენათა შედარებითი გრამატიკა (დეშერიევი 1963).

ჩეჩნური ზმნები, როგორც საილუსტრაციო მასალა, მოხმობილია ი. დეშერიევის (დეშერიევი 1960), თ. დეშერიევას (დეშერიევა 1965), ა. მაგომედოვის (მაგომედოვი 1974), კ. ჭრელაშვილის (ჭრელაშვილი 1975), დ. იმნაიშვილის (იმნაიშვილი 1977) მონოგრაფიებში.

1977 წელს დაიბეჭდა არნ. ჩიქობავას მონოგრაფია „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი". ამ ნაშრომში, სხვა კავკასიურ ენათა გვერდით, განხილულია ჩეჩნური ზმნის პრობლემური საკითხები, დასახულია შემდგომი კვლევის მიმართულება (ჩიქობავა 1979).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩეჩნურ და ინგუშურ ენებს იკვლევს ამერიკელი ენათმეცნიერი ჯ. ნიკოლსი (ნიკოლსი 1994). ჩეჩნური ზმნის შესახებ საინტერესო დაკვირვებები მოეპოვება ვ. ბერლეს (ბერლე 1988). ნახური ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია ა. ხალიდოვის ნაშრომი „ნახური ენები ტიპოლოგიურ ასპექტში", სადაც ამა თუ იმ თეორიული დებულების დასასაბუთებლად ჩეჩნურ ზმნაზეც არის მსჯელობა (ხალიდოვი 2003, 91-92, 98-101...). იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დადგენაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ბგერათშესატყვისობათა დადგენას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მ. ჩუხუას ნაშრომი "ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში" (იბეჭდება).

თავი პირველი

ინფინიტივი და მასდარი

დრო-კილოთა ფორმებით ნახურ ენათა ზმნა მდიდარი და მრავალფეროვანია. დრო-კილოთა ფორმების შესწავლისას, პირველ რიგში, საჭიროა ზმნის ამოსავალი ფორმის, ე. წ. საწყისი ფორმის დადგენა. უნდა გაირკვეს, რომელია ზმნის მარტივი, ყველაზე ზოგადი, განუსაზღვრელი ფორმა. ასეთ ფორმად ინფინიტივი ითვლება. ინფინიტივი ნახურ ენებში, ისე როგორც მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, ზმნის ზოგად, განუსაზღვრელ ფორმას წარმოადგენს. ინფინიტივი ნეიტრალურია დროისა და კილოს კატეგორიების თვალსაზრისით, ე.ი. არ მიუთითებს ზმნით გამოხატული მოქმედების არც დროზე და არც კილოზე, „მისი ძირითადი სინტაქსური ფუნქცია... მოქმედების მიზნის გამოხატვაა“ (კახაძე 1979, 244).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინფინიტივი იმავე მიმართებაშია სხვა ზმნურ ფორმებთან, როგორც სახელისათვის სახელობითი ბრუნვის ფორმა დანარჩენი ბრუნვების ფორმებთან.

ინფინიტივი მოქმედების პროცესს გამოხატავს ზოგადად, მოქმედების პროცესს ზოგადად გამოხატავს მასდარიც.

„განუსაზღვრელი შინაარსი... მასდარის ფორმასაც აქვს, მასთან მასდარი (მოქმედების სახელი) ინფინიტივზე უძველესიცაა (ისტორიულად მასდარისაგან არის ნაწარმოები), მაგრამ მასდარს მოეპოვება სახელის ისეთი კატეგორია, როგორიცაა, ბრუნვის კატეგორია: მასდარი ნაზმნარი სახელია“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 251).

ნახურ ენათა ყველა ზმნას (დეფექტური ზმნების ჩათვლით) ეწარმოება როგორც ინფინიტივი, ისე მასდარი. ამ მხრივ მათ შორის რაიმე განსხვავება არ შეინიშნება — ორივე იწარმოება ზმნის ერთი და იმავე ფორმისაგან.

როგორც ითქვა, მასდარი მოქმედების პროცესს გამოხატავს და ზმნის განუსაზღვრელი შინაარსიც გააჩნია, იგი თავისი სემანტიკით ნაზმნარი ფორმაა — მასდარი ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას გადმოსცემს და მთელი რიგი გრამატიკული ნიშნების მიხედვით არ-

სებითი სახელია. კერძოდ: მასდარი არის ბრუნებადი სიტყვა, იცვლება რიცხვის მიხედვით, ნახურ ენებში განეკუთვნება არსებითი სახელის **დ-დ** (მხ. და მრ. რიცხვების მიხედვით) კლასს. ზოგი მასდარი გასუბსტანტივებულია. უპასუხებს **რა** (**ჰუ**) კითხვაზე (როგორც არსებითი სახელი), წინადადებაში ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორიც არსებით სახელს.

როგორც ჩანს, იმ გარემოების გამო, რომ მასდარისათვის ამოსავალი არის ზმნური ფორმა და „ზმნასთან მას აერთიანებს ზმნური შინაარსი“ (შანიძე 1973, 557), იგი ზმნურ სისტემაში განიხილება.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მასდარის წარმოებას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ბ. ცხადაძემ (ცხადაძე 1984), სადაც ვრცლად არის განხილული მასდარის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურა — ცალკე თავები ეთმობა მასდარის შესწავლის ისტორიას ქართველურსა და მთის კავკასიურ ენებში (ნახურ ენათა გამოკლებით).

ნახური ენების მასალა, ჩვენი აზრით, არ იძლევა საშუალებას, რომ პასუხი გაეცეს კითხვას: რომელია პირველადი — მასდარი თუ ინფინიტივი.

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, მაგალითად, ძველ ქართულში გამორკვეულია, რომ ინფინიტივი „მასდარის ფუძეს იყენებს, მის ვითარებით ბრუნვას წარმოადგენს“ (ჩხუბიანიშვილი 1972, 29).

ხუნძური ენის მონაცემებიც გვიჩვენებს, რომ ინფინიტივი მასდარის მიცემითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს (ე. ი. მეორეულია, გვიანდელია). „როგორც ამას რიგი ენის ისტორია მოწმობს, ინფინიტივი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ბრუნვის, კერძოდ, მიცემითის ფორმა... ხუნძურშიც ამ მხრივ ყურადღებას მიიქცევს ინფინიტივისა და მიცემითი ბრუნვის ფორმათა მსგავსება (შდრ.: ბაჭინე „მოსვლა“, ჰაბიზე „კეთება“... განჭიდე „ქვას“, განჭაზე „ქვებს“...). თუ ინფინიტივი მიცემითი ბრუნვის გაქვავებული ფორმაა, იგი იქნება, ცხადია, მასდარის („მოქმედების სახელის“) მიცემითი ფორმა“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1962, 301).

მიცემითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ინფინიტივის საწარმოებლად სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია სხვა ენათა მასალა-

ზეც: უდიურში — ა. შიფნერი, ვ. ფანჩვიძე, ე. ჯეირანიშვილი; დარგუულში — ა. მაჰომეტოვი; არჩიბულში — ო. კახაძე; ლაკურში — ლ. ჟირკოვი, გ. ბურჭულაძე; ახვახურში — ზ. მაჰომეტბეკოვა; დიდოურ ენებში — დ. იმნაიშვილი, ე. ლომთაძე; თაბასარანულში — ლ. ჟირკოვი, ა. მაჰომეტოვი...

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ნახურ ენებში?

ზემოთ აღინიშნა, რომ ნახური ენების მონაცემები არ იძლევა მასდარისა და ინფინიტივის ჩამოყალიბების თანმიმდევრობის განსაზღვრის საშუალებას.

ნახურ ენათა ყველა ზმნას ეწარმოება როგორც ინფინიტივი, ისე მასდარი. შენიშნულია, რომ გამონაკლისს წარმოადგენს მეშველი ზმნა დუ „არის“ (მაციევი 1961, 611). ორივე — ინფინიტივი და მასდარი — იწარმოება ერთი და იმავე საყრდენი ფუძისაგან. ასეთ ფუძეზე **-ნ** სუფიქსის დართვით იწარმოება ინფინიტივი, **-რ** სუფიქსის დართვით კი — მასდარი, მაშასადამე, აღნიშნულ სუფიქსებს სიტყვაწარმოების ფუნქცია აქვთ. შდრ., მაგალითად: ბლა^{5} და ბლარ „თქმა“, საცა^{5} და საცარ „გაჩერება“, ვახა^{5} და ვახარ „წასვლა“ და ა.შ.

ბოლოკიდურ პოზიციაში, ხმოვნის შემდეგ, **ნ** ბგერა ნახურში სუსტდება და წინა ხმოვანს ანაზალებს, ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტსა (მაგალითად, ქისტურში) და ინგუშურ ენაში ნაზალიზებული ხმოვანიც ჩავარდნილია, ე.ი. ნაზალობის მოშლის პირობებში ბოლოკიდურ პოზიციაში აღმოჩენილი ხმოვანიც იკარგება.

თუ **ნ** ბგერას რაიმე აფიქსი ან ნაწილაკი დაერთო, იგი ზოგ დიალექტში სრული სახით აღდგება იქაც კი, სადაც უკვალოდ გაუჩინარებული იყო. მაგალითად: დეხჭა^{5} „შეკვრა“, შდრ.: დეხჭან+ზა „შეუკრავი“, „შეუკრავად“; ჰაბა^{5} „ლესვა“, შდრ.: ჰაბან+ზა „გაულესავი“, „გაულესავად“ (თუმცა, სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ასეთ შემთხვევებში **ნ** ფორმანტი არ იწერება) და ა.შ.

ჩეჩნური ენის პირველი მკვლევარი პ. უსლარი არ მსჯელობს ინფინიტივისა და მასდარის წარმოების შესახებ, მის ნაშრომში რუსული ენის ინფინიტივის შესატყვისად ჩეჩნურში ყველგან მასდარის ფორმებია მოხმობილი (უსლარი 1888, 64-104).

ინგუშური ენის პირველ გრამატიკაში ზ. მალსაგოვი წერს :

„ყველა ინფინიტივი ბოლოვდება **-არ**-ზე: დდეშარ, ვახარ...“ და იბრუნვისო (მალსაგოვი 1963, 40). რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მასდარის ფორმებზეა ლაპარაკი. საკუთრივ ინფინიტივის ფორმას იგი ზმნის ზოგად (საწყის) ფორმას უწოდებს, რომელიც, მისი ტერმინოლოგიით, იწარმოება ინფინიტივისაგან (ე.ი. მასდარისაგან) **-რ** ფორმანტის ჩამოცილებით: თუ̄რხარ — თუ̄რხა „დარტყმა“...

მაშასადამე, ზ. მალსაგოვის მიხედვით, პირველადია ინფინიტივი, რომლისაგანაც ნაწარმოებია მასდარი.

ინფინიტივის ნიშნად **-ა^{ნ}**-ს, ხოლო მასდარის ნიშნად **-არ** ფორმანტებს გამოყოფს ნ. ქადაგიძე (ქადაგიძე 1953, 6).

ნ. იაკოვლევის აზრით, „წესიერი უღლების ზმნათა ინფინიტივი (ჩეჩნურში) იწარმოება ბრძანებითი კილოს მარტივი ფორმისაგან „ნ“ სუფიქსის დართვით, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ზმნის ფუძის ბოლოკიდური მოკლე ხმოვნის ცხვირისმიერი ელფერი“ (იაკოვლევი 1960, 192).

რამდენადაც ჩეჩნურ ორთოგრაფიაში ეს სუფიქსი არ აღინიშნება (გამონაკლისია ერთმარცვლიანი ზმნები), ერთმანეთს ემთხვევა ბრძანებითი კილოს ძირითადი ფორმა და ინფინიტივის ფორმა, ამიტომ სასურველია **-ნ** სუფიქსის ფიქსაცია, შენიშნავს ნ. იაკოვლევი.

ნ. იაკოვლევმა დასვა **-ნ** სუფიქსის წარმომავლობის საკითხიც. იგი წერს: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად ინფინიტივი სხვა არაფერია, თუ არა ზმნური ძირის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ამავე დროს ჩეჩნური მასდარიც ნაწარმოებია იმავე ზმნური ძირისაგან სიტყვაწარმოების „რ“ სუფიქსის საშუალებით“ (იაკოვლევი 1960, 193). მართალია, ნ. იაკოვლევის აღნიშნული ვარაუდი მცდარია, მაგრამ საკითხის დასმაა საყურადღებო.

დ. მალსაგოვი წერს: „ჩეჩნურში მასდარს “არ“ დაბოლოება აქვს, რომელშიც **ა** იმდენად მოკლეა, რომ შეიძლება ვიგულისხმოთ იგი როგორც **გ**, ინგუშურში მასდარი ბოლოვდება „არ“-ზე“ (მალსაგოვი დ. 1998, 180). მაშასადამე, დ. მალსაგოვი ამ სუფიქსს მარტივად მიიჩნევს, ამასთან ზმნის ფორმა მასდარით არის წარმოდგენილი, მასდარის შესატყვისად კი რუსულ თარგმანში (შესატყვისში) ინფინიტივია. საკუთრივ ინფინტივისათვის დ. მალსაგოვს **-ან** ფორმანტი

აქვს გამოყოფილი.

ი. დეშერიევი იმეორებს ნ. იაკოვლევის მოსაზრებას ინფინიტივის ბრძანებითი კილოს ფორმისაგან მომდინარეობის შესახებ და დასძენს, რომ ბრძანებითი კილოს ფორმა უფრო ძველია ინფინიტივის ფორმაზე. იგი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ მოსაზრებას: „ბრძანებითი კილოს ფორმისაგან ნაწარმოები არის: განუსაზღვრელი კილო (ე.ი. ინფინიტივი, რ.ფ.), მასდარი... პრანახურ ენაში ინფინიტივს ჰქონდა **ნ** აფიქსი. მაშასადამე, ბრძანებითი კილოს ნიშნად გამოიყენებოდა მოკლე **ა**, რომელიც წესიერ ზმნებში, ჩვეულებრივ, ერთვოდა ზმნის ფუძეს“ (დეშერიევი 1963, 481).

ნ. იაკოვლევის (და, რა თქმა უნდა, ი. დეშერიევის) მოსაზრების საპირისპიროდ, ვფიქრობთ, სამართლიანია კ. ჩოქაევის შენიშვნა, რომ ბრძანებითი კილოს ფორმა ვერ მიიჩნევა ზმნის ამოსავალ ფორმად „უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ზმნის ერთ-ერთ ირიბ ფორმას — ბრძანებითი კილოს ფორმას (ჩოქაევი 1968, 63).

ნახურ ენათა ცნობილი მკვლევარის დ. იმნაიშვილის აზრით, „ზმნის მარტივი ფუძე ინფინიტივში წარმოდგენილია **-ან** სუფიქსის (ან მასდარის -არ სუფიქსის) წინ, მაგ., ინფ. მალ-ან „სმა“, ფუძე მალ- (იმნაიშვილი 1978, 167).

დ. იმნაიშვილს იგივე მოსაზრება გამოთქმული აქვს უფრო ადრინდელ ნაშრომებშიც (იმნაიშვილი 1962, 240; 1966, 299...).

ა. თიმაევი ინფინიტივის წარმოებაზე ცალკე არ მსჯელობს, მაგრამ ინფინიტივის მაწარმოებლად, როგორც დ. იმნაიშვილი, გამოყოფს **-ან** ფორმანტს, ხოლო მასდარის მაწარმოებელში **ა** ხმოვანს ფრჩხილებში სვამს: ზმნის განუსაზღვრელი ფორმისაგან (?) **-(ა)-რ**-ის დართვით მასდარი იწარმოებაო (თიმაევი 1971, 179).

სპეციალურ ლიტერატურაში ინფინიტივის მაწარმოებლად გამოყოფილია აგრეთვე **-ურ**^{5} და **-ედ**^{5} (ერთმარცვლიანებში) ფორმანტები (არსახანოვი 1965, 110; იმნაიშვილი 1978, 168). შენიშნულია, რომ დასახელებული ფორმანტები მეორეულია და **ო** და **ე** ხმოვნები **ა**-საგან მომდინარეობენ. რა თქმა უნდა, ერთმარცვლიანებშიც ინფინიტივის მაწარმოებლად გამოსაყოფია არა -ურ^{5} და -ედ^{5} ფორმანტე-

ბი, არამედ თანხმოვანი **-ნ**.

ინფინიტივისა და მასდარის წარმოების შესახებ ზემოთ მოხმობილი მოსაზრებანი შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: სპეციალურ ლიტერატურაში საბოლოოდ დადგენილი არ არის, თუ რა აწარმოებს ჩეჩნურ ენაში ინფინიტივს (**-ნ** თუ **-ან**) ან მასდარს (**-რ** თუ **-არ**).

თუ გავითვალისწინებთ დაღესტნურ ენათა მონაცემებს, ნახურში ინფინიტივის ნიშნად უნდა გამოიყოს -ნ ფორმატი.

ამ თვალსაზრისს ადასტურებს აგრეთვე ყაბარდოული ენაც, რომლის „ზმნას ინფინიტივის ნიშნად აქვს სუფიქსი -ნ“ (შაგიროვი 1967, 172).

მასდარის მაწარმოებლად **-რა** სუფიქსი არის გამოყოფილი აფხაზურში (ლომთათიძე 1954, 90). ეს ფაქტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ **-რა** ფორმანტის წინ ხმოვანი არ არის.

-რ ფორმანტი, როგორც მასდარის მაწარმოებელი, საერთოა დაღესტნის მთელი რიგი ენებისათვის. მაგალითად, ბაგვალურში „მასდარი იწარმოება ნამყო დროის ფორმაზე **რ**-ს დართვით: იჰი-ზე „კეთება“ ჰარი-რ „თხოვნა“... (გუდავა 1971, 149). ბაგვალურში მასდარის მაწარმოებელი **-ნ** არის, მაგრამ, ტ. გუდავას აზრით, იგი პოზიციურია, „მიღებულია ნაზალურობის ელემენტის შერწყმით მასდარის **რ**-სთან (ზოგჯერ დასტურდება ფაკულტატურად, შეურწყმელი ფორმებიც, მაგ. ექვან და ექვა^{ნ}-რ „ჭამა“ (გუდავა 1971, 149).

-რ ფორმანტი, როგორც მასდარის მაწარმოებელი, წარმოდგენილია აგრეთვე: ბოთლიხურში (გუდავა 1967, 302), ღოდობერიულში (გუდავა 1967, 317), კარატაულში (მაჰომეტბეკოვა 1967, 331)...

მასდარის **-რ** ფორმანტის გენეზისის დადგენა სამომავლო კვლევა-ძიების საქმედ რჩება.

ინფინიტივისა და მასდარის ფორმანტებად შესაბამისად **-ნ** და **-რ** აფიქსთა გამოყოფის შემდეგ ახალი საკითხი ჩნდება: რას წარმოადგენს **-ნ**, **-რ** ფორმანტთა წინა **-ა-** ხმოვანი? რა არის მისი ფუნქცია? ეს საკითხი აქტუალურია იმდენადაც, რომ ბევრ მკვლევარს **ა** ხმოვანი საკვლევი ფორმანტების ორგანულ ნაწილად მიაჩნია.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული ხმოვნის გენე-

ზისს პირველად ყურადღება მიაქცია ნ. იაკოვლევმა. იგი წერს: „საკითხს იმის შესახებ, რას მიეკუთვნება მოკლე ხმოვანი „ა“ — დაბოლოებას თუ ძირს, ჯერჯერობით ღიად ვტოვებთ იმის გამო, რომ იგი ჩეჩნური სიტყვაწარმოებისათვის დიდ სიძნელეებს ქმნის“ (იაკოვლევი 1960, 195). გაუგებარია, რას ნიშნავს ფრაზა — „იგი ჩეჩნური სიტყვაწარმოებისათვის დიდ სიძნელეებს ქმნის“.

ინფინიტივისაგან დრო-კილოთა ფორმების წარმოების შემთხვევაში ფუძის შემდეგ **-ა-** ხმოვანი არ დასტურდება (გამონაკლისია ბრძანებითი კილოს ფორმა). ამიტომ იგი ფუძის კუთვნილებად ვერ ჩაითვლება, მას სხვა კვალიფიკაცია უნდა დაეძებნოს.

სავარაუდოა, რომ ფუძის მომდევნო **-ა-** ხმოვანი ინფინიტივსა და მასდარში თანხმოვანთა გამყარი იყოს. სხვა ფუნქცია ამჟამად ამ ხმოვანს არ უჩანს. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ იგი თემატური ხმოვანია, რაც მასდარის წარმოებასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული (ჩოქაევი 1968, 540.

ამ მოსაზრებას თავისი უარყოფითი მხარე აქვს, კერძოდ, ნახურ ენებში არ დასტურდება ინფინიტივისა და მასდარის ფორმები აღნიშნული ხმოვნის გარეშე (ერთმარცვლიანებში დაბოლოებები მეორეულია, **-ა-**საგან მომდინარე). მაშასადამე, ნახურ ენებში ათემატური ზმნები არ შეინიშნება.

ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური პრობლემა დგას ზოგ დაღესტნურ ენაშიც. ასე, მაგალითად, ლაკურში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ინფინიტივის **-ნ** ნიშნის წინა **ა, ი, უ** ხმოვანთა ფუნქცია არაა ნათელი (მხოლოდ ისაა ცხადი, რომ ინფინიტივის ნიშანია მართლაც -ნ)“ (ბურჭულაძე 1987, 132). გ. ბურჭულაძისავე უფრო გვიანდელი ნაშრომის მიხედვით, ინფინიტივის **ნ** ნიშნის წინა **ა, ი, უ** ხმოვნებიდან თავდაპირველი **ა** უნდა ყოფილიყო, იგი მასდარისეულია, მასდარის „საწარმოებელი ფუძის მორფემაა“ (ბურჭულაძე 1993, 75).

მაშასადამე, თუ ამოვალთ დებულებიდან, რომ ინფინიტივი მასდარისაგან არის ნაწარმოები, მაშინ **-ა-** სეგმენტი, უპირველესად, მასდარის წარმოებისას უნდა გაჩენილიყო. ინფინიტივის წარმოებისას კი გამოყენებულია არა მასდარის სრული ფორმა, როგორც, მაგალი-

თად, ხშირ შემთხვევაში ეს ხუნძურშია (მასდარი: ყოტ-ი, ინფინიტივი: ყოტ-ი-ზე „ჰრა"...), ან კიდევ ძველ ქართულში, არამედ მასდარის საწარმოებელი ფუძე (მასდარის **-რ** ფორმანტის გარეშე).

მაშასადამე, მარტივი ინფინიტივის ან მასდარის ზოგადი სქემატური სახე ასეთად გვესახება: ზმნური ფუძე + თანხმოვანთგამყარი (პირობითად: თემატური ხმოვანი) + ინფინიტივის **-ნ** ან მასდარის **-რ** ფორმანტები.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ინფინიტივსა და მასდარში წარმოდგენილი ფუძის მომდევნო ხმოვანი **-ა-** თუმცა მატერიალურად იგივე ოდენობაა, რაც ბრძანებითი კილოს ფორმაში სუფიქსურ მაწარმოებლად გვევლინება აბსოლუტურ ბოლოში, მაგრამ ისინი სხვადასხვა წარმოშობისაა და ფუნქციებიც განსხვავებული აქვთ.

მასდარი (მათ შორის, რა თქმა უნდა, გასუბსტანტივებულიც) არსებითი სახელის მსგავსად ბრუნებადი სიტყვაა.

§ 1. მარტივი კლასნიშნიანი ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურა

აგებულების მიხედვით ზმნა ჩეჩნურ ენაში შეიძლება იყოს მარტივი ან შედგენილი, რთული.

მარტივია ზმნა, რომელიც მხოლოდ ერთი ფუძით არის წარმოდგენილი, რთული კი ორ ან მეტ ფუძეს შეიცავს. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ზმნა, რომელსაც „მარტივს“ ვეძახით, შეიძლება იცვლებოდეს გრამატიკული კლასების მიხედვით, ფუძისეული ხმოვნების ცვლით გამოხატოს ასპექტის (ან: გზისობის) სახეები, ახასიათებდეს ორფუძიანი უღლების პრინციპი, ინფიქსად ჰქონდეს სუბიექტის მრ. რიცხვის გამომხატველი ფორმანტი და სხვა. მიუხედავად ამისა, პირობითად, ზმნა რომ მარტივად ჩაითვალოს, იგი უნდა შედგებოდეს ერთი ფუძისაგან. ერთფუძიან ზმნებში გამოვლენილ მორფემებს (კლასის, რიცხვის ნიშნები) ან ფუძეთა, ასე ვთქვათ, დრეკადობას ასპექტის გამოსახატავად მნიშვნელობა არა აქვს.

ზმნა ფუძის გარეშე არ არსებობს (თუმცა გამონაკლისიც დასტურდება). როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, „ფუძე ჰქვია იმ ნაწილს ზმნისას, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა“ (შანიძე 1973, 387). ეს დებულება ვრცელდება ჩეჩნური ენის ზმნაზეც.

ნახური ენებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კლასების გამო მარტივი ზმნური ფუძეები ჩეჩნურში შეიძლება ორჯგუფად დავყოთ:

1. კლასნიშნიანი მარტივი ზმნური ფუძეები;
2. უკლასნიშნო მარტივი ზმნური ფუძეები.

განვიხილოთ კლასნიშნიანი მარტივი ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურა.

ჩეჩნური მარტივი ზმნური ფუძე (კლასნიშნიანიცა და უკლასნიშნოც), როგორც წესი, თანხმოვანზე ბოლოვდება. არის საპირისპირო მოსაზრებაც. მაგ., კ. ჩოქაევი წერს: „უველა ნახურ ენაში ზმნური

ფუძეებისთვის... დამახასიათებელია (ვოკალური) დაბოლოება“ (ჩოქაევი 1968, 72). კ. ჩოქაევს, როგორც ჩანს, ზმნური მარტივი ფუძე ორმარცვლიანად მიაჩნია. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზმნის II მარცვლის ხმოვანი ფუძისეული არ არის, იგი თემატური (ან: მაერთებელი) ხმოვანია. გამონაკლისს ქმნიან ე.წ. ხმოვანფუძიანი ზმნები, რომელთა რაოდენობა ჩეჩნურში მცირეა და ბევრი თავისებურება ახასიათებთ.

ზმნური ფუძის გამოსავლენად ზმნა მოცემულია ინფინიტივის ფორმით. ფუძეს მოსდევს ე.წ. თემატური ხმოვანი **-ა**, რომელიც ნაზალიზებულია ინფინიტივის **-ნ** ფორმანტის დასუსტების შედეგად. როგორც ზემოთ ითქვა, ხმოვნის ნაზალობა ზოგ დიალექტში მოშლილია, ბოლოკიდურ პოზიციაში კი **-ა** ხმოვანიც ჩავარდნილია. ასეთივე ვითარებაა ინგუშურ ენაშიც. უფრო მეტიც, მიუთითებენ, რომ თვით ჩეჩნურ სალიტერატურო ენაშიც „ორ ან მეტ მარცვლიან სიტყვებში აუსლაუტისეული ხმოვანი არ გამოითქმის“ (ხამიდოვა 1991, 11). მაშასადამე, ნახურ ენათაგან მხოლოდ წოვა-თუშურ ენას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ხმოვნის ნაზალობა ინფინიტივის ფორმაში. ჩეჩნურისათვის კი ჩვენ ტრადიციულად ვიძლევით ინფინიტივის სრულ ფორმას (და არა ცალკე აღებულ ფუძეს ინფინიტივის შინაარსით).

კლასნიშნიანი მარტივი ზმნური ფუძეები ჩეჩნურში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი მოდელების სახით:

1. (—) VC
2. (—) VC ინტ.
3. (—) VCC
4. (—) VCCC
5. (—) V̄C
6. (—) V დიფთ. C
7. (—) V დიფთ. C ინტ.
8. (—) V დიფთ. CC
9. (—) V̄ დიფთ. C

მოცემული სქემის მიხედვით ნათელია, რომ ფუძეები დალაგებულია მათი ფონემატური სტრუქტურის მიხედვით, კერძოდ, გათვა-

ლისწინებულია ზმნურ ფუძეებში შემავალი როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები.

ჩეჩნური ენის კლასნიშნიანი ზმნური ფუძეების ზოგადი მოდელი შეიძლება შემდეგი სახითაც წარმოვადგინოთ:

K + V + C

მოცემულ მოდელში K არის ცოცხალი გრამატიკული კლასის ნიშანი (კლასიფიკატორი), V არის ხმოვანი ან დიფთონგი (მარტივი ან გრძელი), C — თანხმოვანი (ცალი თანხმოვანი, ინტენსიური თანხმოვანი, თანხმოვანთ-კომპლექსი).

ზმნურ ფუძეთა კლასიფიკაცია სხვა ნიშნების მიხედვითაც შეიძლება. მაგალითად, დ. მალსაგოვს ჩეჩნურ-ინგუშურ მასდარებში წარმოდგენილი ფუძეები დალაგებული აქვს მათში შემავალი ხმოვნების მიხედვით. ცალკეული მაგალითების მოხმობით იგი ჩეჩნურში გამოყოფს **оӀ** (ჩვენი ტრანსკრიფციით: ჲე), **ӕ, ӧ, ə, ӟ** ხმოვნების შემცველ ფუძეებს და აცხადებს, რომ ასეთი ფუძეების რაოდენობა დაახლოებით 260-ს შეადგენს (მალსაგოვი დ. 1998, 177-178).

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩეჩნურ ზმნურ ფუძეებს გაცილებით მეტი მრავალფეროვნება ახასიათებთ. ვფიქრობთ, რომ ზემოთ მოცემული ცხრა მოდელი (კლასნიშნიანი ზმნური ფუძეებისა) და ამ მოდელთა ზოგადი სახე ზმნური ფუძეების ანალიზისათვის ნაშრომის მიზანსა და ამოცანებს აკმაყოფილებს. თითოეული ჯგუფი, თავის მხრივ, სადაც ეს შესაძლებელია, ქვეჯგუფებად არის დაყოფილი (თანხმოვანთა კვალიტატიურობისა და კვანტიტატიურობის მიხედვით).

მოდელთა ასეთი დაყოფით ირკვევა, რომ გრძელი ხმოვნისა თუ გრძელი დიფთონგის მომდევნოდ ჩეჩნურ ენაში ერთზე მეტი თანხმოვანი კლასნიშნიან ზმნურ ფუძეებში გამორიცხულია.

განვიხილოთ აღნიშნული მოდელები ცალ-ცალკე.

მაგალითები იმგვარად არის დალაგებული, რომ ნათელი იყოს, რომელ ხმოვანს რა თანხმოვანი მოსდევს. ამიტომ ხმოვნებისა და თანხმოვნების პოზიციურ განლაგებას ფუძეებში ცალკე აღარ განვიხილავთ (როგორც ითქვა, სიმბოლო (—) აღნიშნავს ცვალებად გრამატიკულ ნიშანს).

1. (—) VC

დ-აʼ-ან „გრეხა“	დ-იჟ-ან „დაწოლა“
დ-უზ-ან „ავსება	
დ-აგ-ან „(ამო)ქარგვა“	დ-ილ-ან „გარეცხვა“
დ-უყ-ან „დაკეტვა“	
დ-ად-ან „გაქცევა“	დ-ის-ან „დარჩენა“
დ-ალ-ან „მიცემა“, „მოკვდომა“	დ-ით-ან „დატოვება“
დ-ათ-ან „შედედება“	დ-იგ-ან „წაყვანა“
დ-ახ-ან „წასვლა“	
დ-აჰ-ან „წაღება“	
დ-აშ-ან „დნობა“	
დ-აʼ-ან „ჭამა“	

შენიშვნა: პირველ ჩეჩნურ ტექსტში დილა[ნ] წარმოდგენილია დილლა[ნ] ფორმის სახით (დოსოვი 1862, 28-29). ამ მოდელში მარტივ ხმოვანთაგან წარმოდგენილია **ა, ი, უ** ხმოვნები, თანხმოვანთაგან კი:

ხშულები: დ, თ, გ, ʼ, ʻ, ყ;

სპირანტები: ჟ, შ, ზ, ს, ჰ, ხ.

2. (—) VC ინტ.

დ-ათთ-ან „ცხობა	დ-ილლ-ან „დაფარება“, "დადება“
დ-აჭჭ-ან „წართმევა“	დ-ისს-ან „ჩა(მო)სვლა“
დ-ალლ-ან „მყოფობა“, „შეცულობა“	დ-ითთ-ან „გარეცხვა“

ამ მოდელში მარტივ ხმოვანთაგან დასტურდება **ა** და **ი** ხმოვნები, ხოლო ინტენსიურთაგან: თთ, ჭჭ, ლლ, სს. ინტენსიური თანხმოვნები შეიძლებოდა ასეც აღგვენიშნა: თ, ჭ, ლ, ს; ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ინტენსიური თანხმოვანი ორი გრაფემით არის გადმოცემული. ალბათ, აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ინტენსიური თანხმოვანი ჩეჩნურ ენაში ფონემას წარმოადგენს, მოქმედ ანბანში კი იგი წარმოდგენილი არ არის.

3. (—) VCC

დ-ასთ-ან „გახსნა“	დ-უსთ-ან „გაზომვა“
დ-ახქ-ან „დალაგება“	

დ-ახჩ-ა^{5} „გამოწრთობა“

დ-არჟ-ა^{5} „გაშლა“

ამ მოდელში მარტივ ხმოვანთაგან წარმოდგენილია **ა** და **უ** ხმოვნები, თანხმოვანთკომპლექსთაგან კი დასტურდება:

სპირანტი + ხშული: სთ, ხჩ, ხქ;

სონორი + სპირანტი: რჟ.

4. (—) VCCC

დ-არსთ-ა^{5} „გასუქება“

მოდელი ერთადერთი მაგალითით არის წარმოდგენილი, მარტივ ხმოვანთაგან აქ გვაქვს **ა**, თანხმოვანთკოპლექსი კი შეიცავს:

სონორი + სპირანტი + ხშული: რსთ

ვვარაუდობთ, რომ ამ ფუძეში სონორი გვიანდელია, მეორეული. ამ მოსაზრებას ზმნის სემანტიკაც უნდა ადასტურებდეს, შდრ.: დარსთან „გასუქება“ და დ-ეესთა^{5} „გასივება, შესივება“.

როგორც ცნობილია, ასპექტის კატეგორია ჩეჩნურ ზმნაში აბლაუტითაც გამოიხატება. მოცემულ ფუძეებს სინქრონიულ დონეზე ასპექტის კატეგორია არა აქვთ — ორივე ერთგზისობას გამოხატავს, მაგრამ ისტორიულად აბლაუტურად დაპირისპირებული ფორმებით შთაბეჭდილებას ქმნიან: გრამატიკული კლასის ნიშნის მომდევნო **ა** ხმოვანი ერთგზისობის გამომხატველ ასპექტურ ფორმებში დასტურდება, ხოლო **ეე** დიფთონგი — მრავალგზისობისა.

როგორც ჩანს, **რ** სონორის ჩართვამ ეს დაპირისპირება მოშალა და ერთგზისობის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმას ლექსიკური მნიშვნელობაც შეუცვალა. რაც შეეხება **ეე** დიფთონგით გამოხატულ მრავალგზისობის ფორმას, საპოზიციო ასპექტური წყვილის დაკარგვის გამო, ერთგზისობის მნიშვნელობა შეეძინა. ამის მაგალითები კი ჩეჩნურ ენაში მრავლადაა.

მაშასადამე, აღნიშნული ზმნური ფუძის მოდელი ჩეჩნური ენისათვის დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო — სამთანხმოვნიანი კომპლექსით წარმოდგენილი ზმნური ფუძეები (და არც სახელური) ჩეჩნური ენისათვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი არ არის. აქვე შევნიშნავთ, რომ **რ** ბგერის ფუძეში გაჩენის შემთხვევები ჩეჩნურში მოულოდნელი არ არის, იგი სხვა შემთხვევებშიც დასტურდება.

5. (—) V̄C

დ-ა̄გ-ა^{ნ} „წვა“	დ-ულ-ა^{ნ} „გატენა“	დ-ილ-ა^{ნ} „აღმოცენება“
დ-ა̄ჟ-ა^{ნ} „ძოვა“	დ-უს-ა^{ნ} „გაბერვა“	დ-ი̄ც-ა^{ნ} „თხრობა“
დ-ა̄ზ-ა^{ნ} „მიბმა“	დ-უც-ა^{ნ} „დაწვნა“	დ-ი̄შ-ა^{ნ} „დაწოლა“
	დ-უხ-ა^{ნ} „ჩაცმა“	დ-ილ-ა^{ნ}„რგვა“

დ-ა̄ტ-ა^{ნ} „გასკდომა“
დ-ა̄ხ-ა^{ნ} „ცხოვრება“
დ-ა̄ც-ა^{ნ} „ტანჯვა, შრომა“
დ-ა̄შ-ა^{ნ} „პარსვა“
დ-ა̄ლ-ა^{ნ} „დამთავრება“
დ-ა̄რ-ა^{ნ} „გამოჭრა“
დ-ა̄თ-ა^{ნ} „ჩვენება“

მოცემულ მოდელში ხმოვანთაგან დასტურდება **ა̄, ე̄, ი̄** გრძელი ხმოვნები, თანხმოვანთაგან კი:

ხშულები: გ, ტ, თ, ც
სპირანტები: ჟ, შ, ზ, ს, ღ, ხ
სონორები: ლ, რ

მარტივ კლასნიშნიან ზმნურ ფუძეთა მომდევნო მოდელები დაჯგუფებულია ფუძეში წარმოდგენილი დიფთონგებისა და თანხმოვნების მიხედვით.

6. (—) V დიფთ. C

დ-აჲ-ა^{ნ} „დაკარგვა“	დ-ოუზ-ა^{ნ} „ცნობა“ (‹ დაუზა^{ნ})	
	დ-ოუდ-ა^{ნ} „გაქცევა(‹ დაუდა^{ნ})	
	დ-ოულ-ა^{ნ}„დამთავრება“ (‹ დაულა^{ნ})	

დიფთონგებთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა, ურთიერთგამომრიცხავი, მოსაზრება არსებობს ნახურ ენათა დიფთონგების შესახებ. მართალია, დიფთონგთა არსებობას ამ ენებში არავინ უარყოფს, მაგრამ პრობლემურ საკითხად იქცა ზოგი დიფთონგის არსებობა და დიფთონგთა რაოდენობა ამა თუ იმ ენაში. სადავო და საკამათოა აგრეთვე მათი ორთოგრაფიაც.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ აპრიორულად ვუშ-

ვებთ, რომ ხმოვანი — ჲ || უ, ან პირიქით — ჲ || უ + ხმოვანი ჩეჩნურში დიფთონგს ქმნის.

აქედან გამომდინარე, მოცემულ მოდელში წარმოდგენილია ერთმანეთისაგან განსხვავებული დიფთონგი **აჲ** და **ოუ**. ორივე დიფთონგი დაღმავალია. **ოუ** მიღებულია **აუ**-საგან (ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაციით). ამოსავალი ფორმა **აუ** ცოცხალია ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში (მაგ., ქისტური მეტყველების მაისთურ კილოკავში) უნდა შევნიშნოთ, რომ დ-ოუდა^{ნ}, დ-ოულა^{ნ} ფორმებში **უ** სუბიექტის მრ. რიცხვის გამომხატველი ფორმანტია, ამდენად იგი ფუძისეულად არც უნდა იქნეს გაგებული.

თანხმოვანთაგან დასტურდება:

ხშულები: ', დ

სპირანტი: ზ

სონორი: ლ

7. (—) V დიფთ. C ინტ.

დ-ჲელლ-ა^{ნ} „გაღება“	დ-უოლლ-ა^{ნ} „ჩადება“
დ-ჲეთთ-ა^{ნ} „წველა	დ-უოსს-ა^{ნ} „ჩა(მო)სვლა“
	დ-უოთთ-ა^{ნ} „დასხმა“

ამ მოდელში დასტურდება დიფთონგები **ჲე** და **უო**. ორივე დიფთონგი აღმავალია, თანაც — მეორეული: **ჲე** მიღებულია **ჲა**-საგან, ხოლო უო<უა-. ამოსავალი ვარიანტები დასტურდება ზოგ დიალექტში, მაგალითად, ხილდიხაროულში. შდრ., ხილდიხ. დ-ჲალლ-ა^{ნ}.., დ-უათთ-ა^{ნ}...

ინტენსიურ თანხმოვანთაგან დასტურდება: ლლ, თთ, სს.

არსებობს წესი, რომ ხილდიხაროულში **ჲე, უო** დიფთონგები თანხმოვანთკომპლექსების წინ ამოსავალ ვითარებას გვიჩვენებენ **ჲა, უა** ფორმათა სახით. ამავე სახითაა ისინი წარმოდგენილი ინტენსიურ თანხმოვანთა წინა პოზიციაშიც. ამ ფაქტს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინტენსიურ თანხმოვანთა ბუნების გასარკვევად. ირკვევა, რომ ინტენსიურ თანხმოვანს თანხმოვანთკომპლექსის თვისება აქვს. იგი იმავე ბუნებას ამჟღავნებს, რაც თანხმოვანთკომპლექსს გააჩნია. ამდენად ინტენსიურ თანხმოვანთა დაწერილობას უფრო ორი გრაფემა შეესაბამება. ალბათ, გადასასინჯია ტერმინო-

ლოგიური საკითხიც. ცნება-ტერმინი „ინტენსიური“ ჩვენთვის პირობითია და სამუშაო ტერმინად გამოიყენება.

8. (—) V დიფთ. CC

დ-Ერზ-ა^{ნ} „გადაბრუნება“ დ-Უოხქ-ა^{ნ} „ჩაყრა“

დ-Ეხქ-ა^{ნ} „შეკვრა“

დ-Ელხ-ა^{ნ} „ტირილი“

დ-Ესთ-ა^{ნ} „გასივება“

ეს მოდელი, თავისი სტრუქტურით, წინა მოდელის ნაირსახეობას წარმოადგენს. დიფთონგები (Ეე, Უო) იგივეა, ხოლო თანხმოვანთაგან დასტურდება:

სონორი + სპირანტი: რზ, ლხ

სპირანტი — ხშული: ხქ, სთ

9. (—) V̄ დიფთ. C

დ-Ე̄ხ-ა^{ნ} „თხოვნა“ დ-Ურლ-ა^{ნ} „დარგვა“

დ-Ე̄ჰ₃-ა^{ნ} „ქოშინი“ დ-Ურჟ-ა^{ნ} „დაცემა“

დ-Ე̄შ-ა^{ნ} „სწავლა“ დ-Ურზ-ა^{ნ} „გაბმა“

დ-Ე̄გ-ა^{ნ} „რყევა, რხევა დ-Ურლ-ა^{ნ}„შედგომა (შეუდგა)“

დ-Ე̄ზ-ა^{ნ} „ნდომა, სიყვარული“ დ-Ურხ-ა^{ნ} „დანგრევა“

დ-Ე̄ქ-ა^{ნ} „ჟღურტული“

დ-Ე̄ჳ-ა^{ნ} „მიზღვა“

დ-Ე̄უ-ა^{ნ} „გაყოფა“

დ-Ე̄ლ-ა^{ნ} „გაცინება“

ამ მოდელში **Ე̄, Ურ̄** დიფთონგები გრძელია (შდრ., მე-7 და მე-8 მოდელები). ამოსავალში აქაც **Ეა̄, ᲣᲐ̄** ვარიანტები ივარაუდება.

ამ შემთხვევაში ძალაში რჩება წესი, რომლის მიხედვითაც ჩეჩნურში გრძელი ხმოვნისა თუ გრძელი დიფთონგის მომდევნოდ ერთზე მეტი თანხმოვანი გამორიცხულია. ნ. იაკოვლევს ორივე დიფთონგი (Ეე, Ურ) ორი მარტივი ხმოვნით აქვს გადმოცემული:: იე, უო (იაკოვლევი 1940, 60-61...).

თანხმოვანთაგან დასტურდება:

ხშულები: გ, ქ, პ, ყ

სპირანტები: ღ, ხ, ჟ, შ, ზ, ჰ₃

სონორი: ლ

მაშასადამე, ჩეჩნური ენის მარტივ ზმნურ ფუძეებში გრამატიკული კლასის ნიშნის მომდევნოდ წარმოდგენილია:

ხმოვნები: ა, ი, უ; ӑ, ӥ, ӱ

დიფთონგები: აჲ; ოუ; ჲე, ჲე̄; უო, ӱო

როგორც საანალიზო მასალა გვიჩვენებს, კლასნიშნიან მარტივ ზმნურ ფუძეებში არ დასტურდება **ე** და **ო** ხმოვნები (**ო** ხმოვანი დიფთონგებში მეორეულია, მომდინარეობს **ა**-საგან). ცნობილ მოსაზრებას, რომ ნახურ ენებში აღნიშნული ხმოვნები მეორეულია (იმნაიშვილი 1977, 170), ადასტურებს ზემოთ მოყვანილი მასალაც.

მარტივ ზმნურ ფუძეებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოებაც: ჩეჩნურში კლასის გრამატიკულ ნიშანს, გამონაკლისის გარეშე, მოსდევს ხმოვანი (მარტივი ან დიფთონგი), ე.ი. კლასის ნიშანი უშუალოდ კი არ არის დართული ფუძისეულ თანხმოვანზე, არამედ ხმოვნის საშუალებით უკავშირდება მას. ამიტომ კანონზომიერად დგება საკითხი: აღნიშნული ხმოვანი (ან დიფთონგი) ზმნის ფუძისეულია, თუ გრამატიკული კლასის ნიშნის კუთვნილება, გნებავთ, მხლებელი? ამ კითხვას ჩვენ ღიად ვტოვებთ. მისი გადაჭრა ზმნური ფუძის აგებულების ბევრ საყურადღებო მომენტს გამოავლენს. მიუხედავად ამისა, მაინც საყურადღებოა ერთი გარემოება — ზმნური აბლაუტის საკითხი, როცა მომენტობრივი (ერთგზისი) და დიურატიული (მრავალგზისი) ასპექტის ფორმები ზმნის ფუძისეული ხმოვნებით არის დაპირისპირებული, შდრ.: საც-ა^{5} „გაჩერება“ (ერთგზისი) და სᲯეც-ა^{5} „გაჩერება“ (მრავალგზისი). ზმნურ ფუძეთა მსგავსი დაპირისპირება კლასნიშნიანებში არ ჩანს, თორემ კლასის ნიშნის მომდევნოდ მისი გამოყოფა, როგორც აფიქსისა, ადვილი იქნებოდა და ზმნური ფუძეც ცალი (ან ორი) თანხმოვნის სახით წარმოგვიდგებოდა. ჯერჯერობით, ალბათ, უფრო ძნელი იქნება უკლასნიშნო ფუძეთა დაშლა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ფუძეებში შინაგანი ფლექსია მორფოლოგიურად დაპირისპირებულ საოპოზიციო წყვილებს ქმნის.

თანხმოვანთაგან კლასნიშნიან ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილია:

ხშულები: ʼ, ბ, გ, დ, ქ, ჯ, ყ, თ, ტ, ც

სპირანტები: ღ, ჟ, ზ, , ს, ხ, ჰ, შ, '
სონორები: ლ, რ,
ინტენსიურები: ლლ, თთ, ჴჴ, სს
თანხმოვანთა კომპლექსები:
1) სონორი + სპირანტი: ლხ; რზ, რჟ
სონორი + სპირანტი + ხშული: რსთ
2) სპირანტი + ხშული: სთ, ხქ, ხჩ

საყურადღებოა, რომ საანალიზო მასალაში არ ჩანს იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ყრუ მკვეთრი თანხმოვნები, ე.წ. აბრუბტივები. ერთადერთი ფუძე, სადაც ტ ბგერა დასტურდება, ექსპრესიულობის შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ. მოდელი 5).

რა თქმა უნდა, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ჩეჩნურში ყველა კლასნიშნიანი ზმნა გამოვლენილია. რომც გამოვლინდეს ახალი ზმნური ფუძეები, ვფიქრობთ, რომ ისინი არსებითი ხასიათის ცვლილებებს არ შეიტანენ ზემოთ განხილულ მოდელთა სისტემაში. ახლად გამოვლენილი კლასნიშნიანი ზმნური ფუძეები მხოლოდ გაამრავლებენ უკვე მოპოვებულ საილუსტრაციო ნიმუშებს.

მაშასადამე, ნახურ ენებში ზმნები იყოფა კლასნიშნიანებად და უკლასნიშნოებად, სახელის მიკუთვნება ამა თუ იმ კლასისადმი რეალიზებულია კლასნიშნიან ზმნებში (და ზოგ სხვა მეტყველების ნაწილშიც). ამისათვის არსებით სახელს თავისი მარკერი აქვს ზმნაში პრეფიქსის სახით. კლასნიშნიან ზმნებს სახელის ცვალებადი მარკერის გამო სპეციფიკური სტრუქტურა აქვთ, სწორედ ცვალებადი მარკერის მიხედვით განსხვავდებიან კლასნიშნიანი (მარკერიანი) ზმნები უკლასნიშნოებისაგან, განსხვავებულია მათი ფონეტიკური სტრუქტურა.

§ 2. მარტივი უკლასნიშნო ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურა

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ქართველურ, ადიღურ და ლეზგიურ (ლეზგიურ, აღულურ, უდიურ) ენებს ამჟამად გრამატიკული კლასის კატეგორია არა აქვთ. დადგენილია, რომ გრამატიკული კლას-კატეგორია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ენათა ამ ჯგუფებისათვისაც — კლას-კატეგორიის ნაშთი აღნიშნულ ენებში გაქვავებული სახით დღემდე არის შემონახული.

უკლასნიშნო ზმნები არ იცვლებიან სახელის გრამატიკული კლასის ნიშნის ცვლილებების შესაბამისად. ასეთ ზმნებს სახელი ვერ მართავს კლასში.

ჩეჩნურში უკლასნიშნო ზმნური ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება. გამონაკლისია ე.წ. ხმოვანფუძიანი ზმნები. ხმოვანფუძიანი ზმნები ჩეჩნურში შეიძლება იყოს კლასნიშნიანიცა და უკლასნიშნოც. ზმნები ჩეჩნურში ორ ათეულს არ აღემატება. ამ ჯგუფის ზმნებს ბევრი თავისებურება ახასიათებს.

როგორც კლასნიშნიან, ისე უკლასნიშნო ზმნებშიც ზმნური ფუძის გამოსავლენად ზმნა მოცემულია ინფინიტივის ფორმით. უკლასნიშნო მარტივი ზმნური ფუძე ერთმარცვლიანია და, როგორც ზემოთ ითქვა, თანხმოვანზე ბოლოვდება. ამ მხრივ უკლასნიშნო ზმნები არ განსხვავდებიან კლასნიშნიანებისაგან: აქაც, როგორც კლასნიშნიანებში, ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანს მოსდევს **ა** ხმოვანი, რომელიც ინფინიტივის მაწარმოებელი **-ნ** სუფიქსის დასუსტების შედეგად ნაზალიზებულია. **ა** ხმოვნის ფუნქცია დადგენილი არ არის. ზმნათა ამ ჯგუფშიც ჩვენ მას პირობითად თემატურ ხმოვანს ვუწოდებთ. ჩეჩნურ ენასთან შედარებით თემატური ხმოვანი მკვეთრად ნაზალიზებულია წოვა-თუშურში.

უკლასნიშნო მარტივი ზმნური ფუძეები ჩეჩნურში შეიძლება შემდეგი მოდელების სახით წარმოვადგინოთ:

I.	ა) V C	ბ) V დიფთ. C
	V CC	V დიფთ. CC
	V C ინტ.	V დიფთ. C ინტ.
	V̄ C	V̄ დიფთ. C

II. ა) CVC
CVCC
CVCCC
CVC ინტ.
CV̄C

ბ) C V დიფთ. C
C V დიფთ. CC
C V დიფთ. CCC
C V დიფთ. C ინტ.
CV̄ დიფთ. C

III. CCV დიფთ. C

მოცემული მოდელების მიხედვით, ნათელია, რომ ფუძეები დალაგებულია ფონეტიკური სტრუქტურის მიხედვით. მხედველობაშია მიღებული ზმნურ ფუძეებში შემავალი როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები.

მოდელთა სიმრავლის გამო (სულ ცხრამეტია, შდრ., კლასნიშნიანებში გამოყოფილია ცხრა მოდელი) მათი კლასიფიკაცია შეიძლება თავკიდური ფონემების მიხედვითაც, კერძოდ:

I. ხმოვნით დაწყებული ფუძეები;

II. ცალი თანხმოვნით დაწყებული ფუძეები;

III. თანხმოვანთა კომპლექსით დაწყებული ფუძეები.

თითოეული ჯგუფი ქვეჯგუფებად იყოფა ფუძეში შემავალ ფონემათა კვალიტატიურობისა და კვანტიტატიურობის მიხედვით (როგორც კლასნიშნიანებშია).

III მოდელი ჩეჩნურში წარმოდგენილია ერთადერთი ფუძით, რაც, ალბათ, მის მეორეულობაზე უნდა მიუთითებდეს (იხ. ქვემოთ). ამ მოდელის ზმნური ფუძეები კანტიკუნტად დიალექტებშიც ჩანს (მაგ., ახიურში).

უკლასნიშნო ზმნური ფუძეების ზოგადი მოდელები შეიძლება შემდეგი სახითაც წარმოვადიგოთ:

VC

CVC

აქაც და ზემოთ მოცემულ მოდელებშიც V არის ხმოვანი ან დიფთონგი (მარტივი ან გრძელი), C კი — თანხმოვანი (მარტივი, ინტენსიური ან კიდევ თანხმოვანთა კომპლექსი).

საანალიზო მოდელებიდან VC სტრუქტურის ზმნური ფუძეები ჩეჩნურში ცოტაა (ჩვენი მონაცემებით გამოყოფილია ოცდასამი ფუძე). ზოგ მათგანს, ისტორიულად, გრამატიკული კლასის ნიშანი უნ-

და ჰქონდეს დაკარგული, რის შედეგადაც კლასნიშნიანი ფორმა უკლასნიშნო გახდა. ასეთად მიგვაჩნია, მაგალითად, ჩეჩნური უღ-ა^{5} „ყმუილი“; შდრ., წოვა-თუშური დ-უღ-ა^{5} „ყვირილი, ბღავილი“... ამ თვალსაზრისით ზმნური ფუძეების შესწავლა საინტერესო ჩანს.

ზმნურ ფუძეთა მოდელებად დაყოფით ირკვევა, რომ გრძელი ხმოვნისა თუ გრძელი დიფთონგის მომდევნოდ ერთზე მეტი თანხმოვანი უკლასნიშნო მარტივ ფუძეებშიც გამორიცხულია (იგივე წესი მოქმედებს კლასნიშნიან მარტივ ზმნურ ფუძეებშიც). უკლასნიშნო მარტივი ფუძეც, როგორც კლასნიშნიანი, ერთი მარცვლისაგან შედგება და თანხმოვანზე ბოლოვდება (დეფექტური უკლასნიშნო მარტივი ზმნური ფუძეები მხედველობაში არ მიიღება).

ზმნურ ფუძეთა ფონემატურ სტრუქტურასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ზმნური ფუძეები, ხშირ შემთხვევაში, ფუძისეულ ხმოვანს იცვლიან. ინფინიტივის ფუძეში ხმოვნის ცვლა იწვევს ასპექტურად დაპირისპირებული წყვილების წარმოქმნას, შდრ.:

თაბ-ა^{5} „მიპარვა“ (ერთგზისი, მომენტობრივი ასპექტი);

თᲔბ-ა^{5} „მიპარვა“ (მრავალგზისი, დიურატიული ასპექტი).

ასპექტურად განსხვავებული წყვილი ფუძეები ნაშრომში განხილულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე. ზმნაში ფუძისეული ხმოვნის ცვლის საკითხი ასპექტის კატეგორიას განეკუთვნება და იქ არის განსახილველი.

განვიხილოთ უკლასნიშნო ზმნურ ფუძეთა მოდელები ცალ-ცალკე.

ქვეჯგუფში საილუსტრაციო მასალა ფუძისეული ხმოვნებისა და თანხმოვნების მიხედვით არის დალაგებული.

ზმნურ ფუძეთა I მოდელი აერთებს ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს. VC სტრუქტურის ფუძეები ჩეჩნურში, როგორც უკვე ითქვა, ცოტაა, ესენია:

I. ა) VC: აჰ-ა^{5} „ფქვა“
იდ-ა^{5} „სირბილი“
უღ-ა^{5} „ყმუილი“

VCC: ალხ-ა^{ნ} „ჩეჩვა“
ახქ-ა^{ნ} „ბარვა“
VC ინტ.: ეჴჴ-ა^{ნ} „სკდომა“
V̄C: ā̆გ-ა^{ნ} „მოკოდვა“ ā̆ლ-ა^{ნ} „თქმა“
ā̆რ-ა^{ნ} „ლეწვა“ ā̆თ-ა^{ნ} „ნაყვა“
ā̆ჴ-ა^{ნ} შურისძიება“ ā̆ხ-ა^{ნ} „ხვნა“
ā̆-ზ-ა^{ნ} „გამოწევა“ ā̆'-ა^{ნ} „აწევა, აღება“
ā̆ხ-ა^{ნ} „შეხება“ ēღ-ა^{ნ} „წაჩხუბება“
ēტ-ა^{ნ} „ხევა“ ēჰ₁-ა^{ნ} „შეჩეჩება, მიწოდება“
ēც-ა^{ნ} „აღება“ ēშ-ა^{ნ} „კლება“
ბ) V დიფთ. C: აჲ'-ა^{ნ} „აწევა, აღება“
V დიფთ. CC: ურხქ-ა^{ნ} „დაკიდება“ (ობ. მრ.-ში)
V დიფთ. C ინტ.: ურღღ-ა^{ნ} „დაკიდება“ (ობ. მხ.-ში)
V̄ დიფთ. C: ურ̄ზ-ა^{ნ} „აწონა“

ზმნურ ფუძეთა ამ მოდელის ყველა მაგალითში ხმოვანთაგან და დიფთონგთაგან (მარტივი და გრძელი) წარმოდგენილია:

ხმოვნები:
ა, ā̆; ე, ē; ი, ī; უ
აჲ, ურ, ურ̄;
თანხმოვნები (აუსლაუტში):
ხშულები: დ, თ, ჴ, ', ტ, ც, შ;
სპირანტები: ჰ₁, ღ, ხ, ზ;
სონორები: ლ, რ;
ინტენს. ჴჴ, ღღ;
თანხმოვანთა კომპლექსები:
სონორი + სპირ.:ლხ;
სპირ. + ხშული: ხქ;

აღსანიშნავია, რომ ნახურ ენებში მარტივი **ე** (და, მით უფრო, გრძელი ē) ხმოვანი მეორეულია. მეორეულია იგი ზემოთ განხილულ ყველა მაგალითშიც. ამ ზმნათაგან ზოგიერთი დამოწმებული აქვს ნ. იაოკვლევს შემდეგი სახით: იეცა^{ნ}, იეშა^{ნ} (იაკოვლევი 1940, 60-61). ე.ი. იე<ია-საგან ასიმილაციის გზით. ეს ზმნები ამ სახით არის

წარმოდგენილი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტშიც. საინტერესოა, რომ ეღა^{ნ}, ეჰა^{ნ}, ეტა^{ნ} ფორმებიც ქისტურში ი ხმოვნით იწყება: იეღა^{ნ}, იეჰა^{ნ}, იეტა^{ნ} (|| იატყა^{ნ} || იეტყა^{ნ} || იატტა^{ნ} || იეტტა^{ნ}).

მაშასადამე, ასიმილაციის შემდეგ თავკიდური ხმოვანი დაიკარგა და საკომპენსაციოდ ე ხმოვანი დაგრძელდა.

ცოტა განსხვავებული ვითარება ჩანს ეხა^{ნ} „სიარული, დენა“ ფორმაში. ეხა^{ნ} მრავალგზისი (დიურატიული) ასპექტის ფორმაა, რომელსაც ინგუშურში შეესატყვისება ახა ფორმა. ორივე ამ ფორმისათვის ერთგზისი (მომენტობრივი) ასპექტის შესატყვისი არის დ-ახ-ა^{ნ} (ჩეჩნურში), დ-ახ-ა (ინგუშურში).

მაშასადამე, დიურატიული ასპექტის ფორმებში დაკარგულია გრამატიკული კლასის ნიშანი, ხოლო ჩეჩნურში ფუძისეული ა ხმოვანი შეცვლილია ე-თი სავარაუდო ი ხმოვნის ნაცვლად.

შდრ., ქისტურში: იხა^{ნ} „სიარული“; შდრ., აგრეთვე: დ-ად-ა^{ნ} (ჩეჩნური), დ-ად-ა (ინგუშური) „გაქცევა“ (ერთგზისი ასპ.) და იდ-ა^{ნ} (ჩეჩნური) და ად-ა (ინგუშური) „სირბილი“ (მრავალგზისი ასპ.), სადაც ჩეჩნურში ი ხმოვანია წარმოდგენილი. დასკვნა: ეხა^{ნ} ორთოგრაფიული ნორმების შესაბამისი ფორმაა, უ. ი. იხა^{ნ}.

ზმნურ ფუძეთა || მოდელში გაერთიანებულია ცალი თანხმოვნით დაწყებული ფუძეები. მარტივ უკლასნიშნო ზმნათა უდიდესი ნაწილი სწორედ ამ სახეობაში (მოდელში) იყრის თავს.

საილუსტრაციო მასალა აქაც ფუძისეული ხმოვნებისა და თანხმოვნების მიხედვით არის დალაგებული.

II. ა) CVC:

ხაბ-ა^{ნ} „მოკრუნჩხვა“, ხაზ-ა^{ნ} „გაგონება“, ქად-ა^{ნ} „ჩივილი“, ყად-ა^{ნ} „თავის გამოყოფა, გამოჩენა“, ყაჟ-ა^{ნ} „გაღიმება“, ლაყ-ა^{ნ} „დაშრეტა“, ლათ-ა^{ნ} „ანთება, წაკიდება“, ლა'-ა^{ნ} „შეკვრა“, თაჭ-ა^{ნ} „ხოხვა“, ჰააჟ-ა^{ნ} „ყურება, ცქერა“, ლახ-ა^{ნ} „ძებნა“, ლაშ-ა^{ნ} „ჟონვა“, მაგ-ა^{ნ} „შეძლება“, თაბ-ა^{ნ} „მიპარვა“, ჰაჭ-ა^{ნ} თიბვა, მკა“, ჰა'-ა^{ნ} „დალექვა“ ჰაგ-ა^{ნ} „მოწყურება“, თა'-ა^{ნ} „ჩაღუნვა, მოხრა“, ჰაახ-ა^{ნ} „მოთენთვა“, ხა'-ა^{ნ} „გაგება, ცნობა“, მალ-ა^{ნ} „სმა“, თას-ა^{ნ} „მოყრა“, 'ა'-ა^{ნ} „შენახვა, დაგროვება“, ჰაშ-ა^{ნ} „გათელვა“, ლაზ-ა^{ნ} „ატკივება“, ლაჭ-ა^{ნ} „დაკვრა“, საც-ა^{ნ} „გაჩერება“, ჰად-ა^{ნ} „გაქცევა“, 'ახ-ა^{ნ} „ბღავილი“, ლა'-ა^{ნ} „მო-

სურვება“, ჯი´-ან „ზრდა, თიგ-ან „დამორჩილება“, თიდ-ან „ახსნა“, ხილ-ან „ყოფნა“.

C V C C:

ჩახჩ-ან „შეწვა, ტრუსვა“, ჭაჭყ-ან „ჭმუნვა, მოღუშვა“, შარშ-ან „გასრიალება“, ქარჩ-ან „გორვა“, ჯალხ-ან „გადასახლება“, ლასთ-ან „რხევა“, ლატყ-ან „ჩივილი“, ლაჭყ-ან „დამალვა“, სარს-ან „ჟინჟღვლა“, თალხ-ან „გაფუჭება“, თარს-ან „ჭიხვინი“, თახჭ-ან „რწევა“, ხარც-ან „გადაბრუნება“, ჰაარჩ-ან „ხვევა“, ʻატყ-ან „მობეზრება“, ღართ-ან „გაწევა“, ყარზ-ან „დაჭყეტა“, ჯარდ-ან „დაცინვა“, ყახჭ-ან „დაფრთხობა“, ჯარზ-ან „მოხალვა“, ლანგ-ან „აგდება“, ლარგ-ან „კრეჭა“, ლახჭ-ან „გარეკვა“, მარც-ან „ტრუსვა“, ʻახჭ-ან „დაბმა, წოლა“, თახჭ-ან „დახურვა, დარქმევა“, ჰაარს-ან „მოყრა“, ჰაასთ-ან „მოფერება“, ხარჟ-ან „არჩევა“, ხახჭ-ან „გაჭენება“, ცასთ-ან „გაკაწვრა“, ყასთ-ან „გამოყოფა“.

C V C C C:

ჯარსთ-ან „ხეტიალი“ (ერთგზისი, მომენტობრივი ასპექტი), შდრ., ჯდერსთ-ან, იგივე ფუძე დიურატიული ასპექტისა.

ეს მოდელი ერთი ფუძითაა წარმოდგენილი (ასპექტურად დაპირისპირებული მეორე ფორმა, ფუძეში არსებული დიფთონგის გამო, სხვა მოდელში განიხილება, იხ. ქვემოთ).

სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ფუძეში **რ** თანხმოვანი მეორეული იყოს. ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში იგი არ ჩანს, მაგალითად, ქისტურში, შდრ., ჯასთ-ან. **რ** თანხმოვანი ამ ფუძეში წარმოდგენილი არ არის არც ინგუშურში და არც წოვა-თუშურში. შდრ., წოვა-თუშური ჯასტ-ან იმავე მნიშვნელობით და ინგუშური ჯასთ-ა (დოლაქოვა 1961, 6-7).

აღსანიშნავია, რომ კლასნიშნიან ზმნებშიც, ამავე პოზიციაში, სამთანხმოვნიანი კომპლექსი ერთადერთი მაგალითით იყო წარმოდგენილი: დ-არსთ-ან „გასუქება“. ამ შემთხვევაშიც იგივე **რსთ** კომპლექსი გვაქვს, რომელშიც **რ** თანხმოვნის მეორეულობა, ჩვენი ვარაუდით, დასაბუთებულია (იხ. ზემოთ: კლასნიშნიან ზმნათა ფონემატური სტრუქტურა, მოდელი IV).

აუსლაუტში სამი თანხმოვანია წარმოდგენილი ლოვჭყ-ან (< ლაუჭყ-ან) „დამალვა“ (სუბიექტი მრავლობითშია) ფუძეშიც. ეს ფუძე

რიცხვის მიხედვით იცვლება, შდრ., ლაჳუ-ან (სუბიექტი მხ-შია). **ჳჳუ** კომპლექსში **ჳ** (< უ) თანხმოვანი ფორმანტია, რომელიც სუბიექტის მრავლობითობას გამოხატავს, ე.ი. მრავლობითი რიცხვის ნიშანია ინფიქსის სახით. ამიტომ საანალიზო მოდელში იგი არ განიხილება, იგი ფორმანტია და ზმნის ფუძეს არ განეკუთვნება.

მაშასადამე, სამ და მეტთანხმოვნიანი კომპლექსები მარტივი ზმნური ფუძის აუსლაუტში ჩეჩნური ენისათვის ბუნებრივი (დამახასიათებელი) არ არის.

C V C ინტ.:

სათთ-ან „გაღუნვა“, ღათთ-ან „ადგომა“, ჰალლ-ან „ჭამა“, ლალლ-ან „გაგდება, გალალვა“, თალლ-ან „ქვლევა“, თათთ-ან „მიწევა, გაჩოჩება“, ხათთ-ან „კითხვა“, ლათთ-ან „დგომა“;

ხითთ-ან „გადაბმა“, ღითთ-ან „ადგომა“, ლითთ-ან „გაწურვა“, თილლ-ან „დახურვა“, თითთ-ან „მიწევა, გაჩოჩება“, ჰითთ-ან „გაჩერება“, ʻილლ-ან „გდება, დება“, ʻითთ-ან „ჩხვლეტა“.

C V̄ C:

ʻაბ-ან „გაჯერება“, ʻამ-ან „დაჩვევა“, ʻან-ან „დაღვრა“, ბახ-ან „ლაპარაკი“, ხად-ან „გაწყვეტა“, ყაგ-ან „ბრწყინვა“, ლაღ-ან „დნობა“, ლაც-ან „დაჭერა“, ჭაღ-ან „დაკეტვა“, ჴაბ-ან „შენახვა“, ჴაზ-ან „კიდება“, ჴაღ-ან „დახურვა, დაფარვა (რაიმეთი)“, ლარ-ან „დათვლა“, ლას-ან „გაცრა“, ხაღ-ან „ჩახლეჩა“, ʻახ-ან „დაბღავლება“, Ძაჩ-ან „გაავდრება“;

ზიზ-ან „წვა“, თიჟ-ან „მოთქმა“, ჰის-ან „ყურება, ცქერა“, წიზ-ან „წივილი“, ʻიჟ-ან „წვა, შუშხვა“, სის-ან „აფუება, დუღილი“, ჴიდ-ან „წვდომა“, ჴილ-ან „ტარება“, ჴის-ან „სროლა“, ხიც-ან „ცვლა“, ხიშ-ან „დაჯდომა“, ყილ-ან „ქეტვა“, ყის-ან „დავა“, ლიზ-ან „ბიჯება“, ლის-ან „ცრა, დღვება“, ლიჩ-ან „ბანაობა“, მილ-ან „სმა“, თის-ან „ყრა“, ʻიდ-ან „წურვა“, ʻიშ-ან „ღეჭვა“, ჰის-ან „ყურება, ცქერა“.

ხუდ-ან „შეწოვა“, თუდ-ან „წამოცმა, წამოსხმა“, თუს-ან „გამოწკეპა“.

ბ) C V დიფთ. C:

გაᲫთ-ან „ჩვენება“, ჯაᲫჯ-ან „დაძახება“;

ჯოუს-ან „თქრიალი“, ყოულ-ან „დაკეტვა“, ყოუს-ან „შედავება“,

ლოუზ-ა^{5} „თამაში“, ლოუს-ა^{5} „გაცრა“, ჰოუზ-ა^{5} „დართვა“, ʻოუშ-ა^{5} „დაღეჭვა“, ʻოუდ-ა^{5} „გაწურვა“, ʻოუჟ-ა^{5} „წვა, შეშხვა“, თოუჟ-ა^{5} „მიყრდნობა“, წოუზ-ა^{5} „წივილი“, ჯოუდ-ა^{5} „მიწვდომა“, ყოუყ-ა^{5} „დაქუხება“, სოჯუს-ა^{5} „აფუება“;

ხუ'-ა^{5} „ჩატევა“, თუ'-ა^{5} „ყოფნა, კმარება“.

C V დიფთ. C C:

ღუორთ-ა^{5} „სწრაფვა“, ჯუოხქ-ა^{5} „დაყრა“;

ლოუჭყ-ა^{5} „დამალვა“ (სუბ. მრ.-ში).

ღეერღ-ა^{5} „ყვირილი“ (ირმისა), ღეერთ-ა^{5} „სწრაფვა“, ქეერჩ-ა^{5} „გორვა“, ჯეეხქ-ა^{5} „დუღილი“, ყეერზ-ა^{5} „დაჭყეტა“, ყეესთ-ა^{5} „ჩამოშორება, განცალკევება“, ყეეხქ-ა^{5} „დაფრთხობა“, ლეელხ-ა^{5} „სკდომა“, ლეესთ-ა^{5} „რხევა“, ლეეტყ-ა^{5} „ჩივილი“, ლეეჭყ-ა^{5} „შალვა“, სეერს-ა^{5} „ყინულვლა“, თეერს-ა^{5} „ჭიხვინი“, თეეხქ-ა^{5} „რწევა“, „დახურვა, დაფარვა“, ხეერც-ა^{5} „ცვლა“, ჰოეერჩ-ა^{5} „ხვევა“, ჭეეჭყ-ა^{5} „დაჭყანვა, მოღუშვა“, ʻეეტყ-ა^{5} „მობეზრება, მოყირჭვა“, ლეეხქ-ა^{5} „გარეკვა“, ცეესთ-ა^{5} „კაწვრა“, ჰოეესთ-ა^{5} „ფერება“, ხეეხქ-ა^{5} „ჭენება“.

CV დიფთ. C C C:

ჯეერსთ-ა^{5} „ხეტიალი“ (ამ ფუძის შესახებ იხ. ზემოთ CVCCC მოდელი).

CV დიფთ. C ინტ.:

ჯუოლლ-ა^{5} „შექმნა, დახურვა, დაფარება“, ჯუოსს-ა^{5} „გასროლა“, ხუოთთ-ა^{5} „გადაბმა“, ʻუოთთ-ა^{5} „ჩხვლეტა“, ჰუოთთ-ა^{5} „გაჩერება“, მუოთთ-ა^{5} „გონება (ჰგონია)“;

ლეელლ-ა^{5} „ლალვა“, სეეთთ-ა^{5} „ღუნვა“, ხეეთთ-ა^{5} „კითხვა“.

აქვე შეიძლება განვიხილოთ კიდევ ერთი ზმნური ფუძე, როგორიცაა, ღ ო შ თ თ ა^{5} „ადგომა“ (სუბიექტი მრ.-ში). ღ ა თ თ ა^{5} ზმნაც იმავე შინაარსს გამოხატავს, ოღონდ სუბიექტი მასთან მხოლობითში დგას. მაშასადამე, ღოუთთ-ა^{5} ფორმაში **შ(ჳ)** ფორმანტია და სუბიექტის რიცხვს გამოხატავს, **-შ-** ფორმანტის საკითხი ზმნის რიცხვთან არის დაკავშირებული (შდრ., ლაჭყა^{5} და ლოუჭყა^{5} ფორმები).

CV̄ დიფთ. C:

ჯურლ-ა^{5} „მოღრუბლვა“, თურს-ა^{5} „მიხვედრა“, თურხ-ა^{5}

„დარტყმა“, თურლ-ან „გამარჯვება“;

ჰდეთ-ან „მიხვედრა“, ყდედ-ან „ციმციმი“, ყდეყ-ან „ღიმილი“, ყდეყ-ან „ქუხილი“, ყდეგ-ან „ბრწყინვა“, ლდეგ-ან „ცვენა“, ლდედ-ან „წვეთა“, ლდეყ-ან „შრეტა“, ლდელ-ან „სიარული“, ხდებ-ან „კრუნჩხვა“, ჰჲდელ-ან „მოთენთვა“, ჰჲდეყ-ან „გალაღება, გასუქება“, ჰჲდეგ-ან „შეშურება“, თდელ-ან „მიცემა, ძლევა“, ლდეჴ-ან „დაკვრა“,. ლდერ-ან „თვლა“, ლდეხ-ან „ძებნა“, ლდეც-ან „ჭერა“, ლდეთ-ან „ჭიდაობა“, ლდეფ-ან „ბრწყინვა“, ლდე'-ან „აწყობა“, სდეგ-ან „ნთება“, სდეც-ან „გაჩერება“, თდებ-ან „მიპარვა“, ხდედ-ან „წყვეტა“, ჭდე'-ან „სლუკუნი“, ჰდერ-ან „შიში“, თდეგ-ან „კერვა“, 'დეხ-ან „ყეფა, ბღავილი“, თდეჴ-ან „ხოხვა“, თდეყ-ან „ხვეწნა, მუდარა“, თდეშ-ან „დარწმუნება, ნდობა“, თდე'-ან „მიყრდნობა“, ჰჲდეყ-ან „ცქერა“, ჰჲდეჴ-ან „მკა, თიბვა“, ჰჲდეხ-ან „სწავლება“, ჰჲდეშ-ან „თელვა“, ხდეც-ან „გაშვება“, ხდეთ-ან „მიჩნევა“, 'დენ-ან „ღვრა“, ჴდეჰჲ-ან „ტარება“.

II მოდელში, სადაც თავმოყრილია ცალი თანხმოვნით დაწყებული ფუძეები, ანლაუტში შემდეგი თანხმოვნებია წარმოდგენილი:

ხშულები: ბ, თ, გ, ქ, ც, წ, ჩ, ჭ, ჴ, ყ, ';

სპირანტები: ღ, ხ, შ, ზ, ს, ჰჲ, ‘;

სონორები: ლ, მ, დ (ამას თუ ჩავთვლით სონორად — ი. დეშერიევის მიხედვით).

ზმნურ ფუძეთა წარმოებაში, რა თქმა უნდა, ეს თანხმოვნები მეტ-ნაკლები სიხშირით იღებენ მონაწილეობას.

ცალი თანხმოვანი ფუძის ბოლოკიდურ პოზიციაში II მოდელის შემდეგ სახეობებშია წარმოდგენილი: CVC, CV̄C, CV დიფთ. C, CV̄ დიფთ. C. ეს თანხმოვნებია:

ხშულები: ბ, ფ, დ, თ, ც, ჩ, გ, ჴ, ყ, ';

სპირანტები: ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ‘, ჰ;

სონორები: ნ, რ, ლ, მ.

საინტერესოა, რომ საკუთრივ ნახურ ენათა ლექსიკაზე დაკვირვებით ა. ვაგაპოვი ასკვნის: „ნახური ენების თანხმოვანთა თავდაპირველი სისტემა... სიმარტივით გამოირჩეოდა. კერძოდ, მასში, როგორც ფონემები, წარმოდგენილი არ იყო თანამედროვე კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი აბრუპტივები“ (ვაგაპოვი 1998, 300).

საკითხი, ჩვენი აზრით, საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

უკლასნიშნო ზმნური ფუძეების ანლაუტში არ დასტურდება: **ჯ, ჩ, ძ, ფ, პ, კ, ზ, ტ, რ, ნ** თანხმოვნები. **წ, ჭ** თანხმოვნებით დაწყებული ფუძეები ექსპრესიულობას გამოხატავენ: წოუზა^{5} (ერთგზ.), წ̄ზა^{5} „(მრავალგზ.) „წივილი“, ჭაჭყა^{5} (ერთგზ.), ჭეჭყა^{5} (მრავალგზ.) „ჭყივილი“.

თუ ანლაუტში არ დასტურდება მხოლოდ **პ, ტ, კ,** აუსლაუტში არ გვაქვს არც ერთი მკვეთრი თანხმოვანი.

ეს მომენტი საყურადღებო იყო კლასნიშნიანებშიც, სადაც აბრუპტივები საერთოდ არ ჩანს (ერთი გამონაკლისის გარდა, ისიც, ალბათ, ექსპრესიულ ზმნაში).

მაშასადამე, ზმნური ფუძეები ჩეჩნურში აბრუპტივებით არ ბოლოვდება: დ-ატა^{5} (ერთგზ.), ეტ-ა^{5} (მრავალგზ.) „ხევა“ ხმაბაძვით ფორმებს განეკუთვნება.

განსხვავება ზმნური ფუძის ანლაუტისა და აუსლაუტის თანხმოვნებს შორის სხვაც არის. ასე, მაგალითად: ხშულთაგან **ფ, დ** აუსლაუტშია და არ არის ანლაუტში. აუსლაუტშია სპირანტი **ჟ,** სონორები **ნ, რ,** ეს მაშინ, როცა **ლ, მ** სონორები ორივე პოზიციაშია.

II მოდელში ანლაუტში თანხმოვანთა კომპლექსები არა გვაქვს, აუსლაუტი კი წარმოდგენილია შემდეგი კომპლექსებით:

1. სონორი + ხშული: რთ, რჩ, რდ, რც, რგ; ნგ;
   სონორი + სპირანტი: რღ, რს, რჟ, რშ, რზ; ლხ;
2. სპირანტი + ხშული: ხქ, ხჩ; სთ;
3. ხშული + ხშული: ჭყ, ტყ.

თანხმოვანთა კომპლექსები ნახურ ენებში სპეციალური მსჯელობის საგანი იმთავითვე გახდა. კერძოდ, ა. შიფნერმა წოვა-თუშურში სიტყვათა ანლაუტში 79 წყვილი თანხმოვანი გამოყო, აუსლაუტში — 84, წერს ი. ჯოლბორდი (ჯოლბორდი 1978, 208-209). ა. შიფნერის შემდეგ ამ საკითხს თითქმის ყველა მკვლევარი შეეხო, მაგრამ ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილი თანხმოვანთა კომპლექსები ცალკე მსჯელობის საგანი დღემდე არ ყოფილა.

ამავე მოდელში ფუძეები დაჯგუფებულია ინტენსიური თან-

ხმოვნების მიხედვითაც (CVC ინტ., CV დიფთ. C ინტ.). ჩეჩნურში თხუტმეტ ინტენსიურ თანხმოვანს გამოყოფენ: დდ, გგ, ფფ, თთ, ცც, სს, ჩჩ, ქქ, ხხ, ჰჰ, ყყ, მმ, ნნ, ლლ, რრ (თიმაევი 1998, 47). თუმცა ეს ჩამონათვალი სრული არ არის, დასამატებელია: ჰაჰა, ტტ, წწ, ჰჰ, კკ. ამათგან მარტივ ზმნურ ფუძეებში დასტურდება შემდეგი ოთხი: ჰჰ, თთ, ლლ, სს.

II მოდელის ყველა ქვეჯგუფში ხმოვნების პოზიცია ინტერკონსონანტურია, ე.ი. ხმოვანი მოსდევს ცალ თანხმოვანს და დგას თანხმოვნის (ან თანხმოვნების) წინ, თვით მარტივი ფუძე კი უგამონაკლისოდ ერთმარცვლიანია. ეს ხმოვნებია:

მარტივები: а, и; ӑ, ӣ, ӯ;

დიფთონგები: аа; ӯо, ӯӣ; оӯ; ае, аӯ.

კლასნიშნიან მარტივ ზმნურ ფუძეებში არ დასტურდება **ӭ** და **ъ** ხმოვნები, ისინი არც უკლასნიშნოებში გვაქვს (იხ. ზემოთ). ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს მოსაზრებას ნახურ ენებში მათი მეორეულობის შესახებ (იმნაიშვილი 1977, 170). მარტივი **ӯ** ხმოვანი კი ფონეტიკური პროცესის შედეგად ჩანს დაკარგული: у + ӯ > ӯ.

ზოგი ზმნური ფუძე, რომელსაც ჩვენ მარტივს ვეძახით, შესაძლებელია, ისტორიულად მარტივი არც იყოს. რამდენადაც ნაშრომის მიზანი არ არის ზმნური ძირის საკითხი, ჩვენ ყველა ასეთი ფუძე მარტივებში განვიხილეთ.

III. CCV დიფთ. C:

თჰოუს-ა^{5} „დაძინება“ (ერთგზ. ასპ.) (< თჰაუსა^{5}).

საფიქრებელია, რომ ამ მაგალითში თავკიდური კომპლექსი მეორეული იყოს, კერძოდ, თანხმოვანი **ჰა** განვითარებული ჩანს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ზმნურ ფუძეებში ანლაუტში თანხმოვანთა კომპლექსები ჩეჩნურისათვის დამახასიათებელი არ არის. **თჰა** კომპლექსი აშკარად მეორეულია ახიურ (არსახანოვი 1959, 75) და ჭისტურ დიალექტებში. შდრ., ახიური თჰათთ-ა^{5} „მიწოლა, ბიძგება“ (ერთგზ.), თჰიითთა^{5} (მრავალგზ.) და ბარის კილოს თათთ-ა^{5}; ჭისტური თჰაჷელ-ა^{5} „მიცემა, ძლევა“, და ბარის კილოს თჷელ-ა^{5} ფორმები.

ეს მოდელი ჩეჩნურში ამ ერთი მაგალითით არის წარმოდგენილი. ცალკე არ გამოვყოფთ თჰიშ-ა^{5} (მრავალგზისი ასპექტი) ფუძეს

მოდელის სახით, რადგან იგი მომდინარეობს თჰოვს-ა^{ნ} (< თჰოუსა^{ნ}) ფორმისაგან.

აქამდე განხილული იყო **-ა^{ნ}** დაბოლოებიანი ინფინიტური ფორმები.

-უო^{ნ} დაბოლოებიანი ინფინიტივები ფონემატური სტრუქტურით არ განსხვავდებიან **-ა^{ნ}** დაბოლოებიანებისაგან. განსხვავება მათ შორის დრო-კილოთა ფორმების წარმოებაში შეინიშნება. მაშასადამე, ზმნური ფუძეები, რომელთაც ეწარმოებათ **-უო^{ნ}** დაბოლოებიანი ინფინიტური ფორმები, არც ფონემატურ და არც სტრუქტურულ ცვლილებებს არ განიცდიან. ამიტომ ასეთ ფუძეთა ცალკე განხილვის საჭიროება (ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით) არ არსებობს.

§3. მარტივი ხმოვანფუძიანი ზმნების ფონემატური სტრუქტურა

წინა ორ პარაგრაფში განხილულ ფუძეთა გვერდით ჩეჩნურ ენაში გამოიყოფა ისეთი ზმნური ფუძეები, რომელთაც აუსლაუტში აქვთ არა თანხმოვანი, არამედ ხმოვანი. ზმნათა ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია და ზოგი მათგანი დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით ბევრი თავისებურებით გამოირჩევა.

განსახილველ ზმნებში ფუძის მომდევნო ხმოვანი (იგივე თემატური ხმოვანი) ან შერწყმულია ფუძისეულ ხმოვანთან, ან კიდევ დაკარგულია, ინფინიტივის მაწარმოებელი სუფიქსი **ნ** დასუსტებულია და წინამავალ ხმოვანს ანაზალებს (სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ხმოვანფუძიანებში **ნ** იწერება). მაშასადამე, საანალიზო ზმნები ხმოვანფუძიანია და ასეთი მოდელები აქვთ:

I. V
II. (-) V
III. CV

პირობითი ნიშნები აქაც იგივეა, რაც თანხმოვანფუძიანებში.

სანამ ამ მოდელებს განვიხილავდეთ, ერთ საინტერესო აგებულების ზმნაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც, მართალია, ხმოვანფუძიანია, მაგრამ ჩამოთვლილ მოდელებში მისი ადგილი არ ჩანს. „ხმოვანფუძიანიაო“, ვამბობთ პირობითად, რადგან ამ ზმნას

ფუძე არ მოეპოვება, ეს არის დან „ქმნა, კეთება“ ზმნა.

დ. იმნაიშვილი წერს, რომ ამ ზმნაში „შეიძლება გამოიყოს მხოლოდ პრეფიქსები, წარმოდგენილი კლასის ექსპონენტების სახით, და სუფიქსები, საწარმოებელი ფუძე არა აქვს. მხოლოდ ჰებერლოურ დიალექტში პარალელურად გვხვდება '-ზე დაბოლოებული ფუძე: დ-ა'-ან, დ-ი'-ან“ (იმნაიშვილი 1976, 171).

დან ზმნა ასე დაიშლება: **დ-** — **-ა-ნ**, სადაც **დ** ცვალებადი გრამ. კლასის ნიშანია, -ა- მაერთებელი (ან თემატური) ხმოვანი, ხოლო **ნ** ინფინიტივის მაწარმოებელია. ამ ზმნის მოდელი (ფუძისა) ასეთია: KØ. K ცვალებადი გრამ. კლასის ნიშანია, კლასიფიკატორია, ხოლო Ø ნიშანი ფუძის უქონლობაზე მიუთითებს.

დიაქრონიაში, რა თქმა უნდა, ამ ზმნასაც ფუძე უნდა ჰქონოდა. ჰებერლოურ დიალექტში -ა'- || -ი'- ფუძეთა არსებობა (დ. იმნაიშვილის მიხედვით), ვფიქრობთ, რომ შესამოწმებელია. ჰებერლოურ დიალექტს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ა. მაციევმა (მაციევი 1965, 3-95). ამ ნაშრომში ასეთი ფორმების არსებობა არ დასტურდება. არ დასტურდება მათი არსებობა დ. იმნაიშვილისავე ნაშრომში, რომელიც ასევე ჰებერლოურს ეძღვნება და გამოქვეყნებულია უფრო ადრე (იმნაიშვილი 1966, 277-303).

დან ზმნა ამავე სახითაა წარმოდგენილი წოვა-თუშურ ენაშიც, ხოლო ინგუშურში გვაქვს დ ჲ ე ფორმით (ინფინიტივში), რაც მეორეულია. დან ზმნა საგანგებოდ არის შესასწავლი, გასათვალისწინებელია მონათესავე ენათა მონაცემები.

ფუძის დაკარგვის ' შემთხვევები ქართული ენისათვისაც არ არის უცხო. საგულისხმოა, რომ ქართულ მიმღეობურ ფორმებში მოს-ულ-ი, წა-ს-ულ-ი... ვალ ფუძე არ შემონახულა.

ფუძის გარეშეა წარმოდგენილი აგრეთვე დ-უ „არის“ მეშველი ზმნა. გარდა ამისა, აღნიშნულ ზმნისაგან არც ინფინიტივი და მასდარი იწარმოება (იხ. დეფექტური ზმნები).

განვიხილოთ ხმოვანფუძიან ზმნათა მოდელები ცალ-ცალკე. ამ ჯგუფში შემავალ ზმნათა სიმცირის გამო მოდელებში ქვეჯგუფებს არ გამოვყოფთ.

I. V̄ : ენ „შერევა, შერწყმა“.

ეს მოდელი ჩეჩნურში წარმოდგენილია ერთადერთი ნიმუშით, აშკარაა, რომ გრძელი **ე** მეორეულია, როგორც, ზოგადად, ყველა გრძელი ხმოვანი.

ამ ფუძის შედარება წოვა-თუშურის შესაბამის ფუძესთან ჩვენს ვარაუდს უეჭველს ხდის. შდრ., ჩეჩნური ᾱნ და წოვა-თუშური ეგ-ა^{ნ}. **გ** ფონემა ნახურ ენებში რეფლექსებს რომ იძლევა, ცნობილია. ამ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ **გ** დაიკარგა, რის საკომპენსაციოდაც ფუძისეული ხმოვანი დაგრძელდა. **გ**-სთან ერთად გაუჩინარებული უნდა იყოს ფუძის მომდევნო (თემატური) ხმოვანიც.

არსებობს ეგ-ა^{ნ} ფორმისაგან ᾱ^{ნ}-ის მიღების სხვა შესაძლებლობაც, კერძოდ: ეგ-ა^{ნ} > ე-ა^{ნ} > ეე^{ნ} > ᾱ^{ნ}.

მაშასადამე, როგორც ირკვევა, ᾱ^{ნ} ზმნაში უნდა გამოიყოს **ე** ფუძე, რომელიც ეგ-ისაგან მომდინარეობს.

დასკვნა: საანალიზო ზმნა ისტორიულად თანხმოვანფუძიანი ყოფილა. **ე** ხმოვნის მეორეულობის შესახებ VC (V̄C) სტრუქტურის ფუძეებთან დაკავშირებით გვქონდა მსჯელობა (იხ. ზემოთ). ᾱ^{ნ} ფუძესთან დაკავშირებით შეიძლება დავამატოთ, რომ ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ეს ფუძეც **ი** ხმოვნით იწყება: იე^{ნ} (შდრ., ᾱცა^{ნ} და იეცა^{ნ}, ᾱშა^{ნ} და იეშა^{ნ} და ა. შ.).

წოვა-თუშურის დაღა^{ნ}, რომელიც ჩვენ დ. და ნ. ქადაგიძეების ლექსიკონის მიხედვით დავიმოწმეთ, ი. ჯოლბორდს და'ა^{ნ} (მისი ტრანსკრიფციით: დაცა^{ნ}) სახით აქვს დაფიქსირებული (ჯოლბორდი 1878, 212). თუ ეს მაგალითი სარწმუნოა, **დაღ-** ფუძეში **ღ** ბგერის პოზიცია წოვა-თუშურის თქმებში შერყეულია.

წოვა-თუშურში წარმოდგენილი დაჰაა^{ნ} ფორმა ჩეჩნურშიც დასტურდება: დაჰაა^{ნ} „წაღება“. შდრ.: ჰᾰუო „მიაქვს“, დᾰჰაი „წაიღო“... არ. მაგომედოვს მიაჩნია, რომ აღნიშნულ ზმნაში ზმნისწინს მიმართულების გამოხატვის ფუნქციაც აქვს. შდრ.: დაჰააჰა „თუ მოიტანს“, ჰააჰა „თუ წაიღებს“ (პირობითი კილოს ფორმა) (მაგომედოვი 1975, 81). ვფიქრობთ, რომ საკითხი საგანგებოდ არის შესწავლილი.

II. (--) V̄ :
1) დᾱ^{ნ} „მოსვლა“
დᾱ^{ნ} „მოტანა“

დან „დაკარგვა“, „ჩაქრობა“
დან „დანახვა“

ოთხივე ფორმა სხვადასხვა წარმოშობისაა. ფუძისეული გრძელი ან ხმოვნის მეორეულობა ეჭვს არ იწვევს. იგი მიღებული ჩანს ფუძისეული და თემატური ა ხმოვნების შერწყმის შედეგად.

როგორც ირკვევა, ჩამოთვლილ ზმნებში ფუძის აუსლაუტისეული თანხმოვანი ყველგან დაკარგულია, ე. ი. თანხმოვანფუძიანი ფორმები ხმოვანფუძიანი გახდა. დაკარგული თანხმოვნის აღდგენის საშუალებას წოვა-თუშური ენის მონაცემები იძლევა (ქადაგიძე 1984). შდრ.:

ჩეჩნური	წოვა-თუშური
დან „მოსვლა“	დაღან (უსრ. ასპ.)
დან „მოტანა“	დაჰაან
დან „დაკარგვა, ჩაქრობა	დავან
დან „დანახვა“	დაგან

მაშასადამე, ჩეჩნურში ომონიმური ფორმა დან მიღებულია ოთხი ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული ფუძისაგან ფუძის ბოლოკიდური ღ, ჰ, ვ, გ თანხმოვნების დაკარგვის შედეგად. იგი ასე დაიშლება: დ-ა-ა-ნ, სადაც დ- ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია, -ა- ფუძისეული ხმოვანი, -ა-ა თემატური (იგივე მაერთებელი, გამყარი) ხმოვანი და -ნ — ინფინიტივის მაწარმოებელი (რამდენადაც ეს ზმნა კლასის ნიშნის მქონეა, -ა- ხმოვანი, რომელსაც ფუძისეული ვუწოდეთ, შეიძლება კლასის ნიშნის მხლებელიც იყოს. ეს საკითხი, ზემოთაც ითქვა, რომ დამატებით არის შესასწავლი). დან „მოსვლა“, დან „მოტანა“ ფორმები ერთმანეთისაგან კლასის ნიშნებითაც განსხვავდებიან: დან „მოსვლა“ ერთპირიანი ფორმაა, გარდაუვალი, მას მხოლოდ S-ური პირი შეეწყობა და კლასის ნიშანიც S-ისა იქნება; „მოტანა“ გარდამავალია, ორპირიანი, კლასის ნიშანი პირდ. ობიექტისაა, S-ის კლასის ნიშანი მასში ასახული არ არის.

საანალიზო ზმნებთან დაკავშირებით ერთ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, კერძოდ, დაკარგული თანხმოვნების აღდგენის საშუალებას თვით ჩეჩნური ენის მასალაც იძლევა, აწმყოს წარმოებისას

დაკარგული ფუძისეული თანხმოვანი თავის ადგილას წარმოჩნდება ხოლმე, მაგალითად:

ინფ. და̄ⁿ „მოსვლა“ და̄ⁿ „მოტანა“ და̄ⁿ „დაკარგვა, ჩაქრობა“

აწმყო	დ-ოღ-უ	დ-აჰ-ა	დ-ოუ- (< დო-უ-უ)
მყოფ.	1. დ-ოღ-უ-რ	დ-აჰ-ა-რ	დ-ოუ-რ
	2. დ-ოღ-უ-რ დ-უ	დ-აჰ-ა-რ დ-უ	დ-ოუ-რ დ-უ
ნამყო უწყვ.	დ-ოღ-უ-რა	დ-აჰ-ა-რა	დ-ოუ-რა
აწმყოს მიმღ.	დ-ოღ-უⁿ	დ-აჰ-აⁿ	დ-ოუ-ⁿ
აწმყოს აბსოლ.	დ-ოღ-უ-შ	დ-აჰ-ა-შ	დ-ოუ-შ

რაც შეეხება და̄ⁿ „დანახვა“ ზმნას, მას აწმყოს ფორმა ეწარმოება შემდეგნაირად: დაკარგულია **დ-** სეგმენტი, ხოლო *გაⁿ სეგმენტი (შდრ., აღდგენილი ჩეჩნურისათვის დაგაⁿ ფორმა) დამოუკიდებელ ფუძედ ჩამოყალიბდა და ჩეჩნურში აწმყოს ფორმაც სწორედ მისგან არის ნაწარმოები, შდრ.: გ-უო (< გ-ო) „ვხედავ, ხედავ, ხედავს...“ და აწმყოს წრის დროთა ფორმები: გ-ო-რა, გ-უ-რ (‖ გურ დუ), ⁵, გ-უ-შ.

რამდენადაც ჩამოთვლილი ფორმები აწმყოსაგან იწარმოება, მყოფადსა და მის მომდევნო ფორმებში (აწმყოს მიმღ., აწმყოს აბს.) აწმყოს ფორმანტი **ო** უნდა ყოფილიყო, მაგრამ გვაქვს **უ** (გ-უ-რ ‖ გ-უ-რ დ-უ, გ-უⁿ, გ-უ-შ). ჩეჩნური ენის ზოგი დიალექტი ამ ზმნაში **უ** ფორმანტსაც გვიჩვენებს აწმყოში, შდრ., ქისტური სუნა ‖ სუონა გუ „მე ვხედავ“ (სუბიექტი დატივშია)... ამდენად, სალიტერატურო ენაში გო ფორმა მეორეული უნდა იყოს და გუ-საგან უნდა მომდინარეობდეს (შდრ., აგრეთვე ნ. უწყ. გურა ქისტურში).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩეჩნურში ფუძეში აღდგება სწორედ ის თანხმოვანი, რომელიც ჩეჩნურშივე იყო სავარაუდო, წოვა-თუშურის შესაბამისი ფორმა კი მის არსებობას ზმნურ ფუძეში უეჭველს ხდის.

2) ჩეჩნურში ამავე ყალიბისაა შემდეგი ფორმებიც:

დ-ჲე̄ⁿ „მოკვლა“, დ-ჲენ „(და)თესვა“.

ამ მაგალითებში დიფთონგი მეორეულია, შდრ., წოვა-თუშური ფორმები:

დ-ავ-აⁿ „ხოცვა“ (უსრ. ასპ., გარდაუვალი), დ-ჰ-ევ-აⁿ „მოკვლა,

დაკვლა“ (სრული ასპ., გარდამავალი) და დ-ივ-ა^{ნ} „თესვა“ (გარდამ.). შდრ. იგივე ფორმები დ. იმნაიშვილის მიხედვით: დ-'ივ-ა^{ნ} „მოკვლა, დათესვა“ (იმნაიშვილი 1964, 385).

ყველა შემთხვევაში ზმნური ფუძე ბოლოვდება **ვ** თანხმოვანზე, რომელიც შესაბამის ჩეჩნურ ფორმებში დაკარგული ჩანს. თანხმოვნის დაკარგვის შედეგად **ი** და **ა** ხმოვნები შეერწყნენ და **ჲე** დიფთონგი მოგვცეს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ხმოვანფუძიანი ზმნები წარმოშობით თანხმოვანფუძიანებს განეკუთვნებიან.

ნიშანდობლივია პ. უსლარის შენიშვნა ჩამოთვლილ ზმნათაგან იმ საძის (და^{ნ} „მოსვლა“, დუ^{ნ} „მოტანა“ და დუ^{ნ} „დაკარგვა“) შესახებ, რომელიც მას ტექსტებთან დაკავშირებით აქვს განხილული. პ. უსლარი წერს: „Эти три глагола с общим неокончательным -ар достаточна показивают, до какой степени в чеченском языке, под влиянием времени, утратилась правильность и логичность словопроизводства“ (უსლარი 1888, 156-157).

III. CV :

ამ მოდელის ზმნურ ფუძეებს ჩეჩნურში მათში შემავალი ხმოვნების მიხედვით ქვეჯგუფებად ვყოფთ:

1. 'а^{ნ} „მშვიდად, უძრავად ყოფნა“
   გа^{ნ} „დანახვა“
2. ту^{ნ} „მოხდენა, შერიგება“
   лу^{ნ} „მოთმენა, მოსურვება“
   ӀӀу^{ნ} „დაძვრა“
3. тӀе^{ნ} „დამშვიდება“
   лӀе^{ნ} „ლაპარაკი“
   ӀӀӀе^{ნ} „ზელა, თელვა“
   зӀе^{ნ} „დაკვირვება, ძიება“
   'ӀӀе^{ნ} „ყოფნა, დარჩენა“

га^{ნ} ზმნაზე ზემოთ გვქონდა მსჯელობა, იგი ჩეჩნურისთვის აღდგენილი *дага^{ნ} (> да^{ნ}) ფორმის მეორე საუღლებელი ფუძეა, რომელიც ჩეჩნურში განზოგადებული ჩანს.

'а^{ნ} ზმნაში თითქოს მხოლოდ თანხმოვანი ' გამოიყოფა ფუძედ (და ძირადაც). შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ შემთხვევაში ფუძე

(ძირი) ცალთანხმოვნიანია. ეს ვარაუდი დასაშვებად მიგვაჩნია. ასეთ შემთხვევაში მომდევნო ხმოვანი თემატური იქნება ინფინიტივის **ნ** ნიშნის დასუსტების შედეგად ნაზალიზებული.

თა^{ნ} ზმნას წოვა-თუშურის თაგა^{ნ} „მოხდენა“ (სრ. ასპ.), თეგა^{ნ} „უსრ. ასპ.) ფორმები შეესატყვისება. მაშასადამე, ჩეჩნურ ფორმაში დაკარგულია **გ** თანხმოვანი და უშუალო მეზობლობაში აღმოჩენილი ხმოვნების შერწყმით გრძელი ხმოვანია მიღებული. ასპექტური დაპირისპირება კი ჩეჩნურში არ შეინიშნება. თა^{ნ} ზმნა ამოსავალში თანხმოვანფუძიანი ყოფილა, ჩეჩნურის ვითარება მეორეულია.

ჰა^{ნ} „დაძვრა“ ზმნის შესატყვისი წოვა-თუშურში არის ჰაბა^{ნ} (სრ. ასპ.) იმავე მნიშვნელობით. წოვა-თუშურში მას აქვს უსრული ასპექტის ფორმაც, შდრ.: ჰაება^{ნ}. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩეჩნური ჰა^{ნ} < ჰაბა^{ნ} **ბ** თანხმოვნის ჩავარდნით. ბ-ს ჩავარდნის შედეგად ჩეჩნურში იგივე ფონეტიკური პროცესი ამუშავდა, რაც თა^{ნ} ზმნაში.

ასეთივე სტრუქტურისაა ლა^{ნ} „მოთმენა“ ზმნაც. შეადარეთ, წოვა-თუშური ლავ-ა^{ნ} „მოთმენა“. ამოსავალში ჩეჩნურშიც თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძე უნდა გვქონოდა. მაშასადამე, ჩეჩნურში დაკარგულია ფუძისეული **ვ** თანხმოვანი — მარცვალი გაიხსნა.

საინტერესოა, რომ ლა^{ნ} ფორმას, რომელიც ზოგ დიალექტში „მოსურვება“-საც აღნიშნავს, ბარის კილოში (იგივე სალიტ. ენაში) შეესატყვისება ლა'-ა^{ნ} ფორმა, ლა'-ა^{ნ} გვაქვს წოვა-თუშურშიც. მაშასადამე, დიალექტური (მაგ., ქისტური) ლა^{ნ} მიღებულია როგორც ლა'-ა^{ნ}, ისე ლავა-ა^{ნ} ფორმებისაგან, თანაც შეთავსებული აქვს ორივე ზმნის მნიშვნელობაც.

ჲე დიფთონგიანი ზმნებიც (იხ. CV სახეობა) წარმოშობით თანხმოვანფუძიანი უნდა ყოფილიყო. შეადარეთ, შესაბამისი ზმნური ფუძეები წოვა-თუშურში:

ჩეჩნური	წოვა-თუშური
თჲე^{ნ} „დამშვიდება, დაწყნარება“	თივ-ა^{ნ}
ლჲე^{ნ} „ლაპარაკი“	ლავ-ა^{ნ} ‖ ლევ-ა^{ნ}
ჰაჲე^{ნ} „ზელა, თელვა“	ჰაევ-ა^{ნ}

'ჲე^{ნ} „ყოფნა, დარჩენა“ ზმნას წოვა-თუშურში დ-'ი'-ა^{ნ} ფორმა

შეესატყვისება, როგორც ჩანს, ჩეჩნურში კლასის ნიშანი მოიკვეცა, ხოლო ფუძეში აუსლაუტისეული ფარინგალური თანხმოვანი '-ც ჩავარდა: დ-'ი'-ა^{ნ} >'ი'-ა^{ნ}> 'ი-ა^{ნ} > 'ი-ე^{ნ} > 'ᲫᲔ^{ნ}. თანხმოვნის წინ კლასის ნიშანი ჩეჩნურში გამორიცხულია.

ჩეჩნურში ზᲫᲔ^{ნ} ნასესხები ფუძე ჩანს (შდრ., ქართული ძიება). ამ ზმნაში -ნ ფორმანტი ჩეჩნურია, საძიებელია სესხების წყარო.

ჩვენ არ ვეხებით დიალექტურ ფორმებს, როგორიცაა, მაგალითად, ხᲐ^{ნ} „დაჯდომა“, ჰაᲐ^{ნ} „გაღიზიანება“, ჯᲔᲔ^{ნ} „მოსწრება, მოწევა“.... ყველა მათგანი ფუძის ბოლოკიდური ' თანხმოვნის ჩავარდნის შედეგად არის მიღებული. ასე მაგალითად: ხᲐ^{ნ} < ხა-ა^{ნ} < ხა'-ა^{ნ} და ა. შ.

ფუძისეული თანხმოვნის დაკარგვა უცხო არ არის სხვა ენებისათვისაც. ასე, მაგალითად, არჩიბულში „როგორც გამონაკლისი, გვხვდება ისეთი ზმნებიც, სადაც ძირეული თანხმოვანი არ შემონახულა, არა გვაქვს. ძირეული თანხმოვნის დაკარგვის ნიმუშად არჩიბულში გამოდგება „კეთება“ ზმნა: ა-ვ-ს. ამ ზმნაში კლასის ნიშანი -ვ- დგას ფუძისეული ხმოვნის მომდევნოდ“ (ავტორი არ მიუთითებს, თუ რომელი თანხმოვანია დაკარგული ამ ფუძეში) (კახაძე 1979, 209).

მაშასადამე, ხმოვანფუძიანი ზმნების თავკიდურად დასტურდება შემდეგი თანხმოვნები:

ხშულები: გ, თ

სპირანტები: ', ჰ, ზ

სონორი: ლ

შეიძლება დავასკვნათ, რომ ამოსავალში ხმოვანფუძიანი ზმნური ფორმები ჩეჩნურისათვის ნიშანდობლივი არ არის, ამ ფუძეთა დღევანდელი ჩვენება მეორეულია — ფუძეში აუსლაუტისეული თანხმოვნის დაკარგვის შედეგი. აუსლაუტისეული თანხმოვნის ჩავარდნით დახურული მარცვალია (ამ შემთხვევაში — ზმნის ფუძე) გახსნილი.

§4. რთული ზმნები

ზემოთ განხილული ზმნები სტრუქტურის მიხედვით მარტივია. მარტივი ზმნა ერთ ფუძეს შეიცავს. როგორც ცნობილია, მარტივ ზმნას შეიძლება ჰქონდეს ცვალებადი გრამატ. კლასის ნიშანი, ფუძეში უჩნდებოდეს ინფიქსი, ახასიათებდეს აბლაუტი და სხვ.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ზმნები, რომლებიც მარტივად მიგვაჩნია, წარმოშობით შეიძლება მარტივი არც იყოს.

მარტივთა გვერდით ჩეჩნურში გამოიყოფა ისეთი ზმნური ერთეულები, რომლებშიც ორი ან სამი ფუძეა შეერთებული. მაშასადამე, ზმნათა წარმოქმნის ერთ-ერთ საშუალებას ჩეჩნურში თხზვა წრმოადგენს.

რთულ (შედგენილ) ზმნებში ზმნა ბოლო ადგილზეა. ორფუძიანებში პირველი ფუძე (კომპონენტი) დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე რომელიმე მეტყველების ნაწილია (სახელები, ზმნა, ზმნისართი). ამ გარემოების გამო შედგენილ ზმნათა კლასიფიკაცია პირველი შემადგენელი ნაწილის მიხედვით გამართლებული ჩანს.

რა თქმა უნდა, რთულ ზმნებში არ განიხილება პრევერბიანი ფორმები, აფიქსებით ან ნაწილაკებით ნაწარმოებნი (შდრ., კ. ჩოქაევი რთულს ეძახის პრევერბიან ზმნებსაც (ჩოქაევი 1959, 220).

ცნობილია, რომ რთული, შედგენილი სიტყვა, ე. წ. კომპოზიტი, მისი შემადგენელი ნაწილების სემანტიკის მიუხედავად, ერთ ცნებას გამოხატავს (ამით კომპოზიტი განსხვავდება სინტაგმისაგან). ზმნური კომპოზიტის სემანტიკაც არ უდრის მასში შემავალ კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ სპეც. ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ ზმნა სათურხა[ნ], რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება. ესენია სა „სული“ და თურხა[ნ] „დარტყმა“, მაგრამ ზმნას „მოთმენის“ სემანტიკა აქვს. აღსანიშნავია, რომ რთულ ზმნათა შემადგენელ ნაწილებს შორის კავშირი მყარი არ არის. ასეთი წარმონაქმნები შეიძლება დაიშალოს, მაგალითად, მათგან უარყოფითი ფორმების წარმოებისას. შდრ.: სათურხა! „მოითმინე!“ და სა მა თურხა! „ნუ მოითმენ!“

რთული ზმნების წარმოების საშუალებები ჩეჩნურ-ინგუშურში განილული აქვს კ. ჩოქაევს (ჩოქაევი 1961, 109-115; 1968, 157-191). ჩვენ ვიზიარებთ კ. ჩოქაევის ნაშრომში წარმოდგენილ დებულებებს აღნიშნულ საკითხზე. წინამდებარე ნაშრომში კი მოკლედ განვიხილავთ რთულ ზმნათა შედგენის პრინციპებს ჩეჩნურში.

ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს რთულ ზმნათა ფონემატური სტრუქტურის განხილვა. ვფიქრობთ, ამის აუცილებლობა არც

არის: რთულ ზმნებში ახალი მარტივი ზმნური ერთეულის (ზმნური ფუძის) გამოვლენის შანსი ცოტაა. უცნობი სეგმენტების შემცველ ზმნებში ჯერ ამ სეგმენტთა წარმომავლობა უნდა გაირკვეს, შეიძლება ზოგი მათგანი წარმოშობით ზმნაც იყოს.

ჩეჩნურში შედგენილი (რთული) ზმნები აგებულების (შემადგენელი ნაწილების) მიხედვით შეიძლება შემდეგი მოდელების მიხედვით დავაჯგუფოთ:

1. **არსებითი სახელი + ზმნა.**

რთულ ზმნათა წარმოების ეს სახეობა ყველაზე უფრო პროდუქტიულია. ამ სახეობაში მეორე კომპონენტად წარმოდგენილ ზმნათა რაოდენობა ფრიად შეზღუდულია. ასეთ ზმნებს განეკუთვნება, მაგალითად: დაჴა^{5} (ერთგზ.), დაბა^{5} (მრავალგზ.) „წართმევა“, თურხა^{5} „დარტყმა“, ლაცა^{5} „დაჭერა“, დახა^{5} „წასვლა“...

არსებითი სახელი შეიძლება ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით იყოს წარმოდგენილი. ასეთი ზმნები გარდაუვალიცაა და გარდამავალიც. შდრ.:

დუოგდაჴა^{5} „მოყირჭება“ (დუოგ „გული“ + დაჴა^{5} „წართმევა“)

საჰიზა^{5} „წუხილი, მოწყენა“ (სა „ხელი“ + ჰიზა^{5} „ტრიალი“)

ქათურხა^{5} „გამოგლეჯა“ (ქა „სული“ + თურხა^{5} „დარტყმა“)...

ამ მაგალითებში არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში დგას, მაგრამ შეიძლება სხვა ბრუნვებშიც იყოს წარმოდგენილი (ჩვეულებრივ, ლოკატიურ ბრუნვებში): ნოჟუადაღლა^{5} „გამგზავრება“ (შდრ. ნაეყ „გზა“: ნოჟუა ლოკ. ბრუნვა, გამოხატავს მიმართულებას); ქჟოგადახა^{5} „ფეხის ადგმა“ (შდრ. ქჟოგ „ფეხი“: ქჟოგა — ლოკ. ბრუნვა, გამოხატავს მიმართულებას და დახა^{5} „წასვლა“)...

მაშასადამე, არსებითი სახელისა და ზმნის შეერთებით შედგენილი კომპოზიტები სხვადასხვა სტრუქტურისაა მასში შემავალი არსებითი სახელის ბრუნვათა (შეიძლება რიცხვისაც) მიხედვით.

2. **ვითარებითი ზედსართავი სახელი + ზმნა.**

ამ სტრუქტურის კომპოზიტებშიც ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია. გვხვდება: და^{5} „კეთება“, დაჴა^{5} „წართმევა“, დურლა^{5} „შედგომა“ (შეუდგა), ხაშთა^{5} „გონება“ (ჰგონია) და სხვ. ასეთი ზმნე-

ბი შეიძლება გარდაუვალიც და გარდამავალიც იყოს: კაᲓა⁵ „გათეთრება“ (ათეთრებს) (კაᲓ⁵ „თეთრი“ + და⁵ „ქეთება“); კაᲓალა⁵ „გათეთრება“ (თეთრდება) (კაᲓ⁵ „თეთრი“ + დალა⁵ „გახდომა“); ხაზახᲔთა⁵ „გამხიარულება“ (ხაზა⁵ „ლამაზი“ + ხᲔთა⁵ „გონება“); მარზდა⁵ „დატკბობა“ (ატკბობს) (მარზ < მᲔერზა⁵ „ტკბილი“ + და⁵ „ქეთება“) და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, კომპოზიტში შემავალი ზედსართავი სახელები წარმოდგენილია ამოსავალ, საწყის ფორმათა სახით: მᲔერზა⁵ „ტკბილი“ < მარზ-, ‘არჟა⁵ „შავი“ — ‘არჟადალა⁵ „გათეთრება“... (ანალოგიურ ფორმათა შესახებ იხ.: პოტენციალისის კატეგორია). როგორც ცნობილია, ზმნასთან ვითარებითი ზედსართავი სახელი ზმნისართია. საკითხი ისმის: ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში კაᲓ⁵, ‘არჟა (< ‘არჟა⁵)... ზედსართავი სახელებია თუ ზმნისართები. ჩვენ პირობითად განვიხილეთ ისინი ზედსართავ სახელებში, მათი დიფერენცირება დამატებითი ძიების საგანს წარმოადგენს.

დ. იმნაიშვილს ეჰვის ქვეშ არ დაუყენებია ვითარებითი ზედსართავების მეშვეობით შედგენილი ზმნების წარმოების საკითხი. იგი წერს: „და⁵ ზმნის მეოხებით გარდამავალი ზმნები იწარმოება გარდაუვალთაგან და ვითარებითი ზედსართავი სახელების ფუძეებისაგან“ (იმნაიშვილი 1977, 182-184, 1978, 168).

3. **რიცხვითი სახელი + ზმნა.**

შედგენილ ზმნათა პირველი კომპონენტი შეიძლება იყოს მარტივი რიცხვითი სახელები სახელობით ან ამა თუ იმ ლოკატიურ ბრუნვაში. შდრ.: ახდაჴჳა⁵ „განახევრება“ (ახ „ნახევარი“ + დაჴჳა⁵ „წართმევა“); ახდაᲔლა⁵ „ორად გაყოფა, განახევრება“ (ნახევრდება) (ახ „ნახევარი“ + დაᲔლა⁵ „გასვლა“), შალხადაჴჳა⁵ „გაორმაგება“ (აორმაგებს) (შდრ.: ში „ორი“ > შალხა „ორმაგი“ + დაჴჳა⁵ „წართმევა“), ცჰჲანაჴᲔთა⁵ „შეერთება“ (შდრ.: ცჰჲა „ერთი“ > ცჰჲანა „ერთად“ + ჴᲔთა⁵ „შეერთება“) და სხვ.

კომპოზიტებში წარმოდგენილი რიცხვითი სახელები დამოკიდებული ფორმებია, ასეთი ფორმები მსაზღვრელის ფუნქციით დასტურდება არსებით სახელებთან. შდრ.: ცჰჲა’ „ერთი“ (გასუბსტანტივებული, დამოუკ. რიცხვითი სახელი) და ცჰჲა ქნიგა „ერთი წიგნი“.

რიცხვითი სახელის მონაწილეობით შედგენილი ზმნები ჩეჩნურში მცირერიცხოვანია, წარმოქმნის ეს სახეობა არაპროდუქტიულია.

4. **ნაცვალსახელი + ზმნა.**

ასევე მცირერიცხოვანია ნაცვალსახელთა მონაწილეობით შედგენილი ზმნები. შდრ.:

შადაჴა[ნ] „განცალკევება (აცალკევებს) (შა „თვით, თვითონ“ + დაჴა[ნ] „გაყვანა, წართმევა“); შადაწა[ნ] „განცალკევება“ (ცალკევდება) (შა „თვით, თვითონ“ + დაწა[ნ] „გასვლა“) შაჲნადაჴა[ნ] „გაყრა“ (გაყრის) (შაჲნა „თავისთვის“ + დაჴა[ნ] „გაყვანა“), შაჲნადაწა[ნ] „გაყრა“ (იყრება)...

5. **ზმნა+ზმნა.**

ამ სტრუქტურის ზმნები მრავალრიცხოვანია. II კომპონენტად გამოყენებულია ორიოდე ზმნა (და[ნ] „კეთება“, დალა[ნ] „გახდომა“), ეს მაშინ, როცა I კომპონენტად გამოყენებულ ზმნებში შეზღუდვები არ ჩანს. და[ნ] „კეთება“ აწარმოებს გარდაუვალთაგან გარდამავლებს, დალა[ნ] ორივე სახის ზმნათაგან აწარმოებს ახალ ფორმებს. შდრ.:

ღათთა[ნ] „ადგომა“ — ღათთა-და[ნ] „აყენება“

საცა[ნ] „გაჩერება“ — საცა-და[ნ] „გაჩერება“ (აჩერებს)

ლჲელა[ნ] „სიარული“ — ლჲელა-და[ნ] „ტარება“...

ამ ფორმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: და[ნ] მეშველი ზმნით ნაწარმოები შედგენილი ზმნები (ზმნა + და[ნ]) ფორმებს იცვლიან შემდეგნაირად: საცა-და[ნ] > საც-უ̄რ[ნ], ღათთა-და[ნ] > ღათთ-უ̄რ[ნ], ლჲელა-და[ნ] > ლჲელ-უ̄რ[ნ]... (იხ. გარდამავლობა). სალიტ. ენაში უპირატესობა **-უ̄რნ** დაბოლოებიან ზმნებს ენიჭებათ (შდრ., ანალოგიური პროცესი არ დასტურდება სხვა მოდელის რთულ ზმნებში).

დალა[ნ]-ით ნაწარმოები რთული ზმნები განხილული აქვს ლ. სანიკიძეს (სანიკიძე 1986), წინამდებარე ნაშრომში კი დალა[ნ]-ით ნაწარმოები ზმნების ანალიზი მოცემულია პოტენციალისის კატეგორიის (იხ.) განხილვისას.

ქვემოთ განხილულ რთულ ზმნებს კ. ჩოქაევი თანწყობილი ტიპის კომპოზიტებს უწოდებს (ზემოთ ქვეწყობილი ტიპისაა განხილული) (ჩოქაევი 1968, 163, 190). ვფიქრობთ, რომ რთულ ზმნათა მო-

დელების ასეთ დაყოფას საფუძველი არა აქვს.

აბსოლუტივი + ზმნა: ჯრჩუშდა^{5} „აღსრულება“ (აღასრულებს), სადაც: ჯრჩუშ ჯაჩა^{5} „(ბოლომდე) მისვლა, მოსვლა“ ზმნის აბსოლუტივი + და^{5} „კეთება“. შდრ., აგრეთვე: ჯრჩუშხილა^{5} „დასრულება, დაკმაყოფილება“ (ჯრჩუშ + ხილა^{5} „ყოფნა“)...

კომპოზიტები: ვახა^{5}-ვა^{5} „წასვლა-მოსვლა“, ალა^{5}-დიცა^{5} „მითქმა-მოთქმა“, „ლაპარაკი“, და'ა^{5}-მალა^{5} „ჭამა-სმა“, ღუოხჭა^{5}-ეცა^{5} „ყიდვა-გაყიდვა“ და სხვა სემანტიკის მიხედვით ზემოთ განხილულთაგან განსხვავებულია. პირველი მაგალითი საპირისპირო მიმართულების გამომხატველი ზმნებისაგან არის შედგენილი, მეორე — ასპექტის მიხედვით განსხვავებული ფორმებია (ალა^{5} ერთგზის, დიცა^{5} მრავალგზის), ასევე შინაარსის მიხედვით დაპირისპირებულია და'ა^{5}-მალა', ღუოხჭა^{5}-ეცა^{5}.

როგორც ჩანს, ამ მაგალითებში თანაბარი მნიშვნელობის მქონე, მაგრამ რაიმე ნიშნის მიხედვით დაპირისპირებული (ან თუმცა ასპექტით დაპირისპირებული, მაგრამ მაინც სინონიმური, როგორიცაა ალა-დიცა^{5}) ფორმებია დაკავშირებული.

აქვე უნდა იქნეს განხილული რედუპლიცირებული ფორმები, როგორიცაა: დიცინა-დიცინა „მოჰყვა-რა—მოჰყვა-რა“, ალლა-ალლა „თქვა-რა— თქვა-რა“, რლუ-რლუშ „ამბობს-რა—ამბობს-რა“ და ა. შ. აქ ერთმანეთთან დაკავშირებულია აბსოლუტივის რედუპლიცირებული ფორმები ნამყოსა და აწმყოში (აწმყოში I კომპონენტი კარგავს აბსოლუტივის -**შ** მაწარმოებელს). ასევე რედუპლიცირებული შეიძლება იყოს მიმღეობური ფორმებიც.

6. **ზმნისართი + ზმნა**.

ასეთი სტრუქტურის კომოზიტებიც მცირერიცხოვანია. ადგილის ზმნისართის ფუნქციით უპირატესად გამოყენებულია არსებითი სახელი რომელიმე ლოკატიურ ბრუნვაში. შდრ.: დაგაჰ₃დალლა^{5} „გულში ქონა“ (დაგაჰ₃ დუოგ „გული“ სიტყვის ადგ. ბრუნვის ფორმა + დალლა^{5} „ქონა“); დაგალაცა^{5} „გახსენება“ (დაგა დუოგ „გული“ სიტყვის მიმართ. ბრუნვის ფორმა + ლაცა^{5} „დაჭერა“)...

სხვა სახის ზმნისართები კომპოზიტებში იშვიათია. გასარკვევია პრევერბის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართის კვალიფიკაცია,

(თუმცა ჩვენ ისინი პრევერბიან ზმნებში განვიხილეთ): პრევერბია იგი თუ ადგილის (ან სხვა სახის) ზმნისართი. იგივე ითქმის ვით. ზედსართავებისა და ვით. ზმნისართების შესახებაც (იხ. ზემოთ — ზედსართავი სახელი + ზმნა).

მაშასადამე, ჩეჩნურში შედგენილი ზმნები შეიცავენ ორ ან სამ კომპონენტს. ორკომპონენტიანებში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია: სახელები, ზმნა და ზმნისართი. ორივე სახის შედგენილ ზმნებში ზმნა ბოლო ადგილზეა.

ზმნა + ზმნა სტრუქტურის მქონე ზმნებში მეორე კომპონენტად წარმოდგენილ ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია. ესენია: და^{5} „კეთება“, დალა^{5} „გახდომა“. ამავე მოდელში თავისებურ პლასტს ქმნიან რაიმე ნიშნით (საპირისპირო მიმართულება, ასევე საპირისპირო მოქმედება, ასპექტურად განსხვავებული ფორმები...) დაკავშირებული ფორმები შედგენილი ზმნებისა. ფუძეთა რედუპლიკაცია დაკავშირებულია აბსოლუტივებთან და მიმღეობებთან (ზოგჯერ ფუძის მცირეოდენი ცვლილებით).

როგორც ირკვევა, შედგენილი ზმნების გაკომპოზიტების მყარი, დაუშლელი სახით ჩამოყალიბების პროცესი ჩეჩნურში დასრულებული არ არის. რაიმე ნაწილაკის (მაგ., უარყოფის **მა** „არ“, **ცა** „არ“...) საშუალებით შედგენილი ზმნები შეიძლება შემადგენელ ნაწილებად დაიშალოს, (თუმცა არის შემთხვევები, როცა შედგენილი ზმნა მყარ კომპოზიტს წარმოადგენს. შდრ.: ჰუ^{5}და „რატომ“?: ჰუ^{5} „რა“ + და^{5} „კეთება“. ჰუ^{5}და-ს დაშლა ამჟამად ვერ ხერხდება).

7. **ნასესხები ზმნები + ზმნა**.

რთულ ზმნებში გამოიყოფა ისეთი მოდელები, რომელთა პირველი კომპონენტი რუსულიდან ნასესხებ სიტყვას წარმოადგენს, ხოლო მეორე — და^{5}, დალა^{5} ზმნები სუფიქსთა ფუნქციით: და^{5} აწარმოებს გარდამავალ ზმნებს, დალა^{5} — გარდაუვალებს.

ი. დეშერიევი წერს, რომ „ინგუშურ და ჩეჩნურ ენებში გავრცელება ჰპოვა ახალ ზმნათა წარმოების თავისებურმა საშუალებამ. მხედველობაში მაქვს ასეთი სიტყვათშეხამება: პროპაგანდიროვათ და^{5} „პროპაგანდირება“, აგიტიროვათ და^{5} „აგიტირება“. ასეთი ფორმების გაჩენა განპირობებულია რუსული ენის გავლენით ჩეჩნურ და ინგუ-

შურ ენებზე“ (დეშერიევი 1963, 467).

სპეციალურ ლიტერატურაში ანალოგიური ფორმები შესწავლილი არ არის, ი. დეშერიევიც ზემოთ ნათქვამით შემოიფარგლა — ზმნური სიტყვაწარმოების მხოლოდ ძირითად საშუალებებს განვიხილავთო.

ნასესხებ სიტყვაზე დ^{ა} ზმნის (თუ სუფიქსის) დართვით მიღებული ფორმა გაჩენილია, უღლებისას იცვლება მხოლოდ მეშველი ზმნა. მოვიყვანოთ მაგალითები:

акцентировать — აქცენთიროვათ დ^{ა}

анестезировать — ანესთეზი დ^{ა}

анексировать — ანექსი დ^{ა}

атаковать — ათაქა დ^{ა}

უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი-ხუთი ათეული წლის წინათ ჩეჩნურში ჩვეულებრივი ჩანს მოდელი, სადაც რუსული ინფინიტივი უცვლელად არის წარმოდგენილი. მაშასადამე, იყო, მაგალითად, ანესთეზიროვათ დ^{ა}, რომელიც ბოლო ათწლეულებში შეიცვალა ანესთეზი დ^{ა} ფორმით და ა. შ. თუ რუსული ინფინიტივი დამხმარე ზმნას **დ** კლასში მართავს, მოდელის შეცვლით აღნიშნული წესიც იცვლება: ზმნა იმ კლასში დგას, რომელსაც რთული ზმნის პირველი კომპონენტი მოითხოვს.

როგორც რ. გაგუამ გამოიკვლია, წოვა-თუშურში ნასესხები ზმნები ფორმდება დარ, დალარ ზმნებით. სესხების წყარო ქართული ენაა. ნასესხები ზმნის ფუძედ აღებულია მასდარი, რომელსაც ერთვის დ, ამ ფორმანტის წარმოშობა და ფუნქცია ნათელი არ არის: ხატო-დ-დარ „ხატვა“... (გაგუა 1972, 25).

სესხების აღნიშნული პრინციპი მოქმედებს ქისტურშიც. ქისტურშიც სესხების წყარო ქართულია. შდრ.: დახ̄ატა-დ-და^{ნ} (< დახატვა-დ-და^{ნ}), გაკვირბა-დ-და^{ნ} „გაკვირვება“... ნასესხებ ზმნათა ფუძეში (აუსლაუტში) გარკვეული ცვლილებები ხდება მათგან რთული ზმნების წარმოების დროს, რაც ცალკე შესწავლის საგანია. მთავარია ის, რომ ნახურ ენებში (ჩეჩნურში, ინგუშურში, წოვა-თუშურში) ზმნათა სესხებისას რთული ზმნები წარმოიქმნება საკუთრივ ნახური დ^{ა} და დალა^{ნ} ზმნა-სუფიქსოიდების საშუალებით.

8. სამკომპონენტიანი ზმნები.

ჩეჩნურში ფართოდ არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც სამი კომპონენტისაგან არის შედგენილი. ასეთი ზმნები უპირატესად გარდაუვალია. მეშველი ზმნის ფუნქციას ასრულებენ დალა⁵, დალა⁵ „შეძლება“, „გახდომა“ ზმნები. შდრ.: საფარღათდალა⁵ „დამშვიდება“ (სა „სული“ + ფარღათ „თავისუფალი“ + დალა⁵ „გახდომა“), საბ'არზდალა⁵ „აღშფოთება, გაბრაზება“ (სა „სული“ + ბ'არზ'ალ „ბრმა“ + დალა⁵ „გახდომა“)...

სამ კომპონენტში, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზე დგას არს. სახელი, მეორეზეც არს. სახელია ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით, ან კიდევ ზედსართავი სახელი (დუოგმუსთადალა⁵ „სიმჟავის შეგრძნება“: დუოგ „გული“ + მუსთა < მუსთა⁵ „მჟავე“ + დალა⁵ „გახდომა“...), ბოლო ადგილზე კი ზმნაა.

სამი კომპონენტისაგან შედგენილი ზმნებიც უარყოფითი ნაწილაკის დართვისას ორ ნაწილად იყოფა: უარყოფითი ნაწილაკი თავს იჩენს პირველი კომპონენტის შემდეგ. შდრ.: დუოგღელდალა⁵ „გულშეღონება“ და: დუოგ ცა ღელდალა⁵ (დუოგ „გული“ + ცა „არ“ + ღელ < ღილა „ნელი“ + დალა⁵ „გახდომა“)...

სამკომპონენტიან ზმნათაგან უკუთქმითი ბრძანებითის წარმოებისას **მა** „არ“ ნაწილაკი კი ჩნდება მეორე კომპონენტის შემდეგ, შდრ.: დუოგღელ მა დალითა! „გულს ნუ იღონებ!“

ასეთი ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩეჩნურში შედგენილ ზმნათა კომპოზიტებად ქცევის პროცესი დასრულებული არ არის, დაუმთავრებელია.

9. უცნობკომპონენტიანი შედგენილი ზმნები.

ზმნურ კომპოზიტებში გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელთა პირველი კომპონენტის სემანტიკა ამჟამად დაჩრდილულია, უცნობია და საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ასეთი კომპონენტები დამოუკიდებლად ჩეჩნურში უკვე აღარ იხმარება. ივარაუდება, რომ წარსულში ისინი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს განეკუთვნებოდნენ, შორისდებულებსაც კი. ეს გარემოება ამგვარ ზმნათა სიძველეზე უნდა მიუთითებდეს. კ. ჩოქაევმა ამ სახის კომპონენტებად გამოყო შვიდიოდე ერთეული, როგორიცაა:

დიც-: დიც-და⁵ „დავიწყება“ (ავიწყებს), დიც-დალა⁵ „და-

ვიწყება“ (ავიწყდება)

დაგარ-: დაგარ-და^{5} „დათვლა“ (თვლის)

გიეზ-: გიეზ-და^{5} „შემოვლა“ (გარდმ.)

აყ-: აყ-და^{5} „გაოცება“ (აოცებს), აყ-დალა^{5} „გაოცება“ (ოცდება)

მ'აჭ-: მ'აჭ-დაჭა^{5} „(ბოლომდე მიყვანა“, მ'აჭ-დალა^{5} „(ბოლომდე) მისვლა“

გიეჩ-: გიეჩ-და^{5} „პატიება“

'ად-: 'ად-'ა^{5} „მშვიდად ყოფნა“

ზოგი მათგანის ნასესხობა (გიეჩ-, გიეზ-) კ. ჩოქაევს შესაძლებლად მიაჩნია (ჩოქაევი 1968, 183).

კომპონენტები, რომელთა სემანტიკის დადგენა ვერ ხერხდება, ჩეჩნურში გაცილებით მეტია, ორ ათეულზე მეტი ჩვენ მიერ არის გამოყოფილი. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

კამ-: კამ-და^{5} „აქავება“ (აქავებს), კამ-დალა^{5} „ქავილი“ (ექავება)

ღიბა-: ღიბა-დაჭა^{5} „მიბეგვა“

ყრბალ-: ყრბალ-და^{5} „მოწონება“

ლაღ-: ლაღ-და^{5} „შენელება“

ლარ-: ლარ-დან „თვალთვალი“

მუწა-: მუწა-დურლა^{5} „გაწითლება“ (თვალებისა)

ქარც-: ქარც-და^{5} „დამსხვრევა“ (ამსხვრევს), ქარც-დალა^{5} „დამსხვრევა“ (იმსხვრევა)

ჰულ-: ჰულ-და^{5} „დამალვა“ (მალავს), ჰულ-დალა^{5} „დამალა“ (იმალება)

ცხარ-: ცხარ-დურლა^{5} „დაჟანგვა“

წუბ-: წუბ-და^{5} „წუწნა“

ჭულ-: ჭულ-დალა^{5} „(კაკლის, წაბლის...) კანიდან გამოსვლა“

გულ-: გულ-და^{5} „შეგროვება“ (აგროვებს), გულ-დალა^{5} „შეგროვება“ (გროვდება)

ღიქ-: ღიქ-დაჭა^{5} „მოცილება, მოშორება“

ლდეჰა-: ლდეჰა-და^{5} „(მო)კრეფა“.

ეჭვს გარეშეა, რომ ანალოგიური სიტყვების შესწავლა საინტერესოა ენის განვითარების ისტორიის შესასწავლად, ენათა შორის კონტაქტების დასადგენად (სესხების შემთხვევაში).

§5. ზმნისწინთა სისტემა

ზმნათა წარმოება ჩეჩნურში ზმნისწინებითაც არის შესაძლებელი. ზმნისწინი (პრევერბი) წინ ერთვის ზმნას, მისი ძირითადი ფუნქცია სივრცეში მოქმედების მიმართულებისა და ადგილის გამოხატვაა.

პ. უსლარის მიხედვით, ჩეჩნურში მხოლოდ და მხოლოდ თანდებულებია, რომლებიც სახელებს მოსდევენ, მაგრამ ამ თანდებულებს ერთი თავისებურება ახასიათებთ — ისინი ზმნას უსწრებენ, ზმნის წინ დგანან. პ. უსლარს ამ დებულების დასამტკიცებლად მაგალითებიც მოჰყავს: ხა'არ „დაჯდომა“ ზმნას შეიძლება დაერთოს ზმნისწინები (მისი ტერმინით — თანდებულები): ტᲔ-ხა'არ „შეჯდომა“, კᲔᲚხა'არ „ქვეშ დაჯდომა“, ულაუ-ხა'არ „გვერდზე დაჯდომა“ და ა. შ. ზოგი მათგანი ზმნისართიაო, შენიშნავს პ. უსლარი (უსლარი 1888, 103).

ზმნისწინს, სხვა საკითხების კვლევისას, ძალიან მოკლედ ეხებიან: ზ. მალსაგოვი (მალსაგოვი, 1998, 134), რ. დოლაქოვა (დოლაქოვა 1961, 7-8). ზ. მალსაგოვი, ჩამოთვლის რა ზმნისწინებს ინგუშურში, აღნიშნავს, რომ ერთმარცვლიანი ზმნისწინები იწერება ზმნასთან ერთად, ორმარცვლიანები კი — ცალკე. რ. დოლაქოვას მოჰყავს ორდა სამზმნისწინიანი ზმნები, აგრეთვე იმის ნიმუშებიც, როცა ზმნისწინის დართვა ზმნას მნიშვნელობას უცვლის.

ზმნისწინებს საგანგებო ნაშრომები მიუძღვნა ფ. ოზდოევამ (ოზდოევა 1961, 70-100; 1962, 89-153). მეტყველების ნაწილთა, მათ შორის ზმნათა, აფიქსებით წარმოება შესწავლილი აქვს კ. ჩოქაევს (ჩოქაევი 1961, 101-115; 1970, 122-142). ზმნისწინთა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებს ეხება ა. თიმაევის ნაშრომებიც (თიმაევი 1971, 181; 1979; 1983).

ყველა ამ ნაშრომში სადავო არ გამხდარა დებულება, რომ ჩეჩნური ზმნისწინები (და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული თანდებულები) ზმნისართული ან სახელური წარმოშობისაა, ზმნისწინები ოდესღაც დამოუკიდებელი სიტყვები იყო, გაზმნისწინებით მათ დაკარგეს ლექსიკური მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, წინადადების წევრობის უნარიც.

ზმნის ისეთ ფორმათა შედარება, როგორიცაა, ერთი მხრივ, ჯუოსსა⁶ „სროლა“ და, მეორე მხრივ:

დ'ა-ჯუოსსა⁶ „სროლა“ (აქედან იქით)

სჰა-ჯუოსსა⁶ „სროლა“ (იქიდან აქეთ)

უოჰა-ჯუოსსა⁶ „სროლა“ (ზევიდან ქვევით)

ჰალა-ჯუოსსა⁶ „სროლა (ქვევიდან ზევით)

ტაე-ჯუოსსა⁶ „სროლა“ (რაიმეზე, რაიმის ზედაპირზე)

ჩუ-ჯუოსსა⁶ „სროლა“ (რაიმეში)

ვრა-ჯუოსსა⁶ „სროლა (რაიმიდან) და ა. შ.

გვიჩვენებს, რომ საწყისი ფორმა ჯუოსსა⁶ „სროლა“ (ე. ი. უზმნისწინო ფორმა) ნეიტრალურია მიმართულებისადმი, მაშინ როცა პრევერბიანები უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავენ, ასეთი ფორმებით მოქმედების მიმართულება არის დაკონკრეტებული.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოქმედების მიმართულების გამოხატვა რაიმე სახის გრამატიკულ კატეგორიას არ წარმოადგენს, ამდენად ზმნისწინიც არ აწარმოებს გრამატიკული კატეგორიას, მათ შორის ასპექტის კატეგორიასაც (შდრ., ასპექტის კატეგორიას ქართულში ზმნისწინი ქმნის). სპეციალურ ლიტერატურაში შემდეგი პრევერბებია გამოყოფილი (ქართული შესატყვისები, რა თქმა უნდა, პირობითია):

დ'ა- „მი-“	უოჰა- „ჩა-“, „ჩამო-“	ლახა- „ქვემოთ“	
სჰა- „მო-“	ჰალა- „ა-“, „ამო-“	ლაჯ- „ზემოთ“	
ტაე- „ზედ-“	ირხ- „ა-“, „ამო-“	ჰალხა- „წინ“	
კაელ- „ქვეშ“	ატხა- „უკან“	ტაჰა- „უკან“	
ჩუ- „შე-“	ვრა- „გა-“, „გარეთ-“	ტაეხ- „გადა-“, „გადმო-“	
ჩაეჯ- „გამჭოლ“	ჩურა- „გამო-“	სოჭ- „გადა-“	
ბუხაა- „ძირს“	გენა- „შორს-“	ატყა- „შორის“	
დ'ასჰა- „მიმო“	კაელჰაჰ- „ქვეშ“	ირა- „ა-, აღ-“	

ტაეკაელ- „ამო-“, „გად-“ კაელჰაჰრა- „ქვეშიდან“ ულლუო- „ახლოს“,

ატხხაე- „ახლოს“ აჭსთახ- „ნაპირას", „გვერდზე“

ნაწყარ- „განზე“ ახუორ- „გვერდზე“ დუჰალ- „პირისპირ“

აისთაე- „ნაპირზე“... (ჩოქაევი 1961, 101-107; 197, 122-142;

არსახანოვი 1965, 138...).

ჩეჩნური პრევერბების ეს ჩამონათვალი სრული არ არის. უნდა გამოიყოს, აგრეთვე, -რა ფორმანტით ნაწარმოები პრევერბები იმავე პრევერბებისაგან, რომლებიც ზემოთ არის ჩამოთვლილი (-რა ლოკატიური, კერძოდ, გამოსვლითი ბრუნვის ნიშანია, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ საბუთს იმისა, რომ ჩეჩნური პრევერბები არსებითი სახელებისაგან მომდინარეობენ ისევე, როგორც ზმნისართებისაგან). მაგ.: ტᲔრა- „ზემოდან“ (შდრ. ტᲔᲜ „ზედაპირი“), ჰალარა- „ზემოდან“, კᲔლარა- „ქვემოდან“, Არარა „გარედან“, ულლᲔრა- „ახლოდან, გვერდიდან“...

შდრ.: დაᲮᲮა[5] „ამოღება“, „წართმევა“ და: ტᲔᲠრა-დაᲮᲮა[5] „გადახდა“ (მაგ., ვალისა), ბუხარა-დაᲮᲮა[5] „ამოღება“ (მაგ., ძირიდან, ფსკერიდან რაიმისა, შდრ. ბუხ „ფსკერი“), კᲔლარა-დაᲮᲮა[5] „გადარჩენა“ (მაგ., ვინმესი ან რაიმესი) და სხვა.

ქა- „ხელი“, ქარა- „ხელში“, ქარარა- „ხელიდან“ აშკარად მიმართულების გამომხატველი პრევერბებია ზმნებში: 1. ქა-თურხა[5] „ხელის გამოკვრა“, ქა-ჰაᲮა[5] „ხელის გადასმა“..; 2. ქარა-დალა[5] „ხელში მიცემა“, ქარა-დახა[5] „ხელში ჩავარდნა“, ქარ-Ეცა[5] „ხელზე აღება“..; 3. ქარარა-დᲐლა[5] „ხელიდან დასხლტომა“, ქარარა-დაᲮᲮა[5] „ხელიდან გამოგლეჯა“... საინტერესოა, რომ ქᲔᲔ- პრევერბი დარგუულშიც გამოიყოფა, როგორც ჩეჩნურში, ნიშნავს „ხელში“. მათი დაკავშირება დარგუულსა და ჩეჩნურში ეკუთვნის ა. მაჰომეტოვს (მაჰომეტოვი 1961, 253-254). გარდა ამისა, რთული ზმნისწინებით, რომლებითაც მდიდარია ჩეჩნური ენა, მიღწეულია უფრო მეტი კონკრეტიზაცია მოქმედების მიმართულებისა და ადგილისა ნიუანსების გათვალისწინებითაც კი. შდრ.:

დ'ა-ჩუ-ᲯᲣსსა[5] „მი-შე-სროლა“

სჰა-ჩუ-ᲯᲣსსა[5] „მო-შე-სროლა“

დ'ა-კᲔელ-ᲯᲣსსა[5] „მი-ქვეშ-სროლა“

სჰა-კᲔელ-ᲯᲣსსა[5] „მო-ქვეშ-სროლა“...

პრევერბს სიტყვაწარმოების ფუნქციაც აქვს: ზმნაზე პრეფიქსის დართვა იწვევს ზმნის შინაარსის შეცვლას. შდრ.:

თურხა[5] „დარტყმა“ და: ტᲔᲮ-თურხა[5] „საყვედურის თქმა“

თა'ურ^{5} „ტკეპნა“ და: დ'ა-თა'ურ^{5} „შეჩურთვა“
დ-ისა^{5} „დარჩენა“ და: ტაჰა-დ-ისა^{5} „ჩამორჩენა“
ასეთი შემთხვევები ჩეჩნურში იშვიათია.

ზმნისწინი ჩეჩნურში არ არის ზმნასთან შერწყმული. მათ შორის შეიძლება სიტყვებისა და ნაწილაკების ჩართვა, უფრო მეტიც, ზმნისწინი შეიძლება მოძრავიც იყოს — უსწრებდეს ან მოსდევდეს ზმნას. შდრ.:

ჩუველირა დაელანა ლაეჯურ^{5} სთაგ
„შე(მო)ვიდა ტანმაღალი კაცი“
დაელანა ლაეჯურ^{5} სთაგ ველირა ჩუ
„ტანმაღალი კაცი შე(მო)ვიდა“
დაელანა ლაეჯურ^{5} სთაგ ველირა ცუნცა ჩუ
„ტანმაღალი კაცი შე(მო)ვიდა იმასთან“
ჩუ ცჰაა ლაეჯურ^{5} სთაგ ველირა
„ერთი ტანმაღალი კაცი შე(მო)ვიდა“ (ესხაჯიევი 1987, 76).

ნათელია, რომ ჩუ- „შე-“ ზმნისწინის ზმნისაგან მოწყვეტით, მათ შორის სიტყვისა თუ სიტყვების ჩასმით, ჩუ-ველირა ზმნის მნიშვნელობა არ იცვლება. შდრ., აგრეთვე, უარყოფითი ფორმები: დ'ა ცა ვახა „არ წავიდა“ (მამაკ.), ჰაალა მა ღუო! „არ წახვიდე (ზევითკენ)!“ და სხვ., სადაც ცა და მა ნაწილაკებით გათიშულია ზმნა ზმნისწინისაგან.

ზმნისწინებისა და თანდებულების მჭიდრო კავშირის მიუხედავად ზმნისწინთა ერთ ჯგუფს არ შეიძლება ჰქონდეს თანდებულის ფუნქცია. ასეთია, მაგ.: სჰაა-, დ'ა-, უოჰაა-, ჰაალა-, ირხ-, ტაეხ-, ჩაეჭ-, ატხა-, გენა-, აუსთახ-... ზოგი თანდებული კი, როგორიცაა, მაგალითად, -ხულა, -დუჰაა-, -ჰაოყაეჰა პრევერბის ფუნქციით არ იხმარება (ოზდოევა 1962, 142).

როგორც პრევერბის, ისე თანდებულის ფუნქცია აქვთ შემდეგ ფორმებს: ჩუ, ა̄რა, ტაე, კაელ, ჰაალხა, ტაეჰაა, ატყაე̄ (და მათგან ნაწარმოებ ლოკატიურ ფორმებს: ჩუ̄რა, ტაე̄რა, ა̄რარა და სხვ.)

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დ. და ნ. ჭადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ ზემოთ ჩამოთვლილი (და სხვ.) ზმნისწინები კვალიფიცირებულია როგორც ზმნისწინები და

ზმნისართები. მაგ.: „აჰი, აჰო ზმნისართი და ზმნისწინი, ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას ზევიდან ქვევით, ან გახაზავს ზმნის შინაარსს“ (ქადაგიძე 1984, 64). ნათელია, რომ ზმნისართი და ზმნისწინი ლექსიკონის ავტორებს დიფერენცირებული არა აქვთ, ზმნისწინი ზმნასთან ერთადაც და ცალკეც არის წარმოდგენილი. შდრ.: ბატინჩრ დონევ თადლზი აჰი დეჯდიდე[5] „გაქცეულმა ცხენმა ხურჯინები გადმოყარა“; ჯორ აჰიბეკი[6] „ვაშლი ჩამოცვივდა“; გიგოს დო' აჰიხახკი[6] „გიგომ ცხენი გააჭენა (ქვევითკენ)“... (ქადაგიძე 1984, 64). შდრ., აგრეთვე: ბოთლენ ჩუ აპყრ პროპკ „ბოთლს უცობენ საცობს“ (იქვე, 696), ტეხ დოთთარ, ტეხ დეთთარ „დაყვედრება“, მაგრამ: ტეხდეთრ „აყვედრის“ (იქვე, 559-560).

აღსანიშნავია, რომ **ჩუ**-ს სვანურში, როგორც ჩეჩნურში, აქვს თანდებულის ფუნქცია. ვ. თოფურიას მოჰყავს შესაბამისი მაგალითები სვანურიდან: უორჩუ „მიწაში“, ლარაჩუ „სათიბის ქვემო მიმართულებით“ და სხვ. გარდა ამისა, **ჩუ** სვანურში, როგორც ჩეჩნურში, გამოყენებულია პრევერბადაც, რომელიც სვანურში გვიჩვენებს მიმართულებას ზევიდან ქვევით (შდრ., ჩეჩნურში: ზევიდან ქვევით და გარედან შიგნით): ჩუანღრი „ჩამოდის“ (შდრ., საპირისპირო **ჟი**: ჟ'ანღრი „ამოდის“). მეგრულ-ჭანურის **ქო** და ქართული **ქვე** სვანური **ჩუ**-ს ფონეტიკურ-გრამატიკული შესატყვისია (თოფურია 1967, 63-64).

ჩუ-ს ფუნქციური და მატერიალური დამთხვევა სვანურსა და ნახურში საყურადღებო ფაქტია. დასკვნების გამოსატანად საჭიროა საგანგებო კვლევა-ძიება.

პრევერბთა ჯგუფები

პრევერბები, რომლებიც სივრცობრივ ურთიერთობებს გამოხატავენ, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1) მიმართულების პრევერბები (რომლებიც მხოლოდ მიმართულებაზე მიუთითებენ) და 2) ლოკატიური პრევერბები (რომლებიც როგორც ადგილზე, ისე მიმართულებაზე მიუთითებენ).

1) **მიმართულების პრევერბები**.

პრევერბები დ'ა გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას იქით, სადაც მოუბარი არ არის, ხოლო სჰა — აქეთ, სადაც მოუბარია. შე-

საბამისად გვექნება:

საიქეთო მიმართულება:

დ'ა-ლახჭა^{5} (ობ. მრ.)	„გარეკვა“
დ'ა-დილლა^{5}	„გადადება, შენახვა“
დ'ა-თასსა^{5}	„გადაგდება“
დ'ა-ყაზდა^{5}	„გადაწერა“
დ'ა-დალა^{5}	„მიცემა“...

სააქეთო მიმართულება:

სჰა-ლახჭა^{5}	„მორეკვა“
სჰა-დილლა^{5}	„გადმოდება“
სჰა-თასსა^{5}	„გადმოგდება“ და ა. შ.

მაშასადამე, დ'ა და სჰა ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებას გამოხატავენ, როგორც ქართულში **მი-** და **მო-** ზმნისწინები. ამ პრევერბებთან ჩანს მოუბრის ადგილსამყოფელი.

ზმნისწინთა უდიდესი ნაწილი მოქმედების მიმართულების ანალოგიურ დიფერენცირებას არ ახდენს, ე. ი. ასეთ ზმნისწინიან ფორმებში არ ჩანს, სად იმყოფება მოუბარი: ზევით თუ ქვევით, გარეთ თუ შიგნით, წინ თუ უკან. შდრ.: ჩუ-ჯუოსსა^{5} „შესროლა“ (შიგნით) და „შემოსროლა“, ბრა-ჯუოსსა^{5} „გასროლა“ (გარეთ) და „გამოსროლა“, ჰალა-ჯუოსსა^{5} „ასროლა“ და ამოსროლა“ და სხვ.

მოუბრის ადგილმდებარეობის დაკონკრეტების გარეშე მოქმედების მიმართულებას ქვევიდან ზევით გვიჩვენებენ შემდეგი პრევერბები: ჰალა, ლაჯა, ირა, ირხ. შდრ.:

ჰალა-ღათთა^{5} „ადგომა“

ლაჯა-ჯუოსსა^{5} „შესროლა“ (ზემოთ), „შემოსროლა“ (ზემოთ)

ირა-ჰუოთთუო^{5} „აყენება“

ირხ-დახა^{5} „აღ(მა)ზრდა, აღმა წასვლა“...

ასევე მოუბრის ადგილმდებარეობის დაკონკრეტების გარეშე მოქმედების მიმართულების ზევიდან ქვევით გვიჩვენებენ შემდეგი პრევერბები: ჳოჰა, ლახა, ჩუ. შდრ.:

ჳოჰა-დაჲა^{5} „ჩასვლა“, „ჩამოსვლა“

ლახა-დაჯა^{5} „ჩატანა“, „ჩამოტანა“...

ჩუ-დუოჟა^{5} „ჩავარდნა“, „ჩამოვარდნა“ (შდრ., ქართ.: **ჩა-**).

მოქმედების მიმართულებას გარედან შიგნით გამოხატავს პრევერბი **ჩუ-**. შდრ.:

ჩუ-ვახა^{5} „შესვლა“ (მამაკ.), „შემოსვლა“

ჩუ-თასსა^{5} „ჩაყრა“, „ჩაგდება“, „ჩამოყრა“, „ჩამოგდება“

ჩუ-ბუზა^{5} „ჩასვლა“ (მნათობთა)...

მოქმედების მიმართულებას შიგნიდან გარეთ გამოხატავს პრევერბი Არა. შდრ.:

Არა-დაჴა^{5} „გატანა, გაყვანა“, „გამოტანა, გამოყვანა“

Არა-ლალლა^{5} „გაგდება“, „გამოგდება“

მოქმედების მიმართულებას ვინმეს ან რაიმის წინ გამოხატავს პრევერბი ჰაალხა, შდრ.:

ჰაალხა-ლᲔელა^{5} „წინ სიარული“

ჰაალხა-დიჟა^{5} „წინ დაწოლა“...

მოქმედების მიმართულების ვინმეს ან რაიმეს უკან, მომდევნოდ გვიჩვენებს პრევერბი ტᲔეჰაა. შდრ.:

ტᲔეჰაა-ვᲐლა^{5} „გამოკიდება“ (მამაკ.), „გამოდევნება“

ტᲔეჰაა-ჴაᲔჴა^{5} „უკნიდან დაძახება“,

ტᲔეჰჯა-დისსა^{5} „ჩამორჩენა“...

დაბრკოლების გადალახვის მაჩვენებელია პრევერბი ტᲔეხ, შდრ.:

ტᲔეხ-დᲐლა^{5} „გადავსება“, „გადმოვსება“

ტᲔეხ-ჴუოსსა^{5} „გადაგდება“, „გადმოგდება“

ზოგი ზმნისწინი არ გამოხატავს სივრცობრივ მნიშვნელობას (მიმართულებას სივრცეში), შდრ.: ვოჴშახ-ლათა^{5} „ერთმანეთს წაკიდება“, ვოჴშახ-ჴᲔეთა^{5} „ერთმანეთთან შეხვედრა“, სოჴ-დᲐლა^{5} „გადამეტება“...

მიმართულებას ღრუ სივრცეში გვიჩვენებს ჩᲔეჴ: ჩᲔეჴ-დაჴჴან „გაყრა“ (მაგ., ძაფისა ნემსში)... იგივე პრევერბი გამოხატავს აგრეთვე დაბრკოლების გადალახვას, მოქმედების ერთ-ერთი ეტაპის დასრულებას... შდრ.: ჩᲔეჴ-ვᲐლა^{5} „დამთავრება“ (მაგ., სასწავლებლისა), „გამოვლა“ (მაგ., საბრძოლო მოქმედებისა) და სხვ.

საპირისპირო მიმართულებას, დ'ა „მი-“, სჰაა „მო-“ ზმნისწინთა გარდა, გამოხატავენ შემდეგი წყვილ-წყვილი ფორმები ზმნისწინებისა:

ტᲔე-კᲔელ „ზე-ქვე“:

ჰალა-უოჰა „ზევით-ქვევით“

დ'ასა (<დ'ა-სჰა) „მიმო“: დ'ასა-ჰაჟა^{5} „მიმოხედვა“

ესენი რთული ზმნისწინებია (იხ. ქვემოთ).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრევერბი მიმართულების მაჩვენებელია, შედგენილობის მიხედვით კი — მარტივი.

ლოკატიური პრევერბები და ორმაგი მიმართულება

მიმართულების პრევერბებთან შედარებით ლოკატიური პრევერბები რთულია — ლოკატიური პრევერბები მარტივ პრევერბთა კომბინაციურ ვარიანტებს წარმოადგენენ, რის შედეგადაც მიღწეულია ორმაგი მიმართულების გამოხატვა. მაშასადამე, ასეთი პრევერბები ინფორმაციულობის მეტი ხარისხით გამოირჩევიან. დ'ა და სჰა ზმნისწინებთან სხვა ზმნისწინთა კომბინაციური ვარიანტები კი დამატებით მოუბრის ადგილსამყოფელსაც აკონკრეტებენ. შდრ.:

დ'ა-ჩუ-დიგა^{5} „მი-შე-ყვანა“

დ'ა-კჲელ-დიგა^{5} „მი-ქვეშ-ყვანა“

დ'ა-Არა-დიგა^{5} „მი-გა(რეთ)-ყვანა“...

სჰა-ჩუ-დᲐლუ^{5} „მო-შე-ყვანა“ („შემოყვანა“)

სჰა-კჲელ-დᲐლუ^{5} „მო-ქვეშ-ყვანა“

სჰა-Არა-დᲐლუ^{5} „მო-გა(რეთ)-ყვანა“

სჰა-ტჲე-დᲐლუ^{5} „მო-ზედ-ყვანა“...

დანარჩენ ზმნისწინთა (დ'ა-სჰა-ს გამოკლებით) კომბინაციები, როგორც ითქვა, მოუბრის ადგილსამყოფელს არ აკონკრეტებენ. შდრ.:

ჰალა-ჩუ-ლალლა^{5} „ზე(მოთ)-ში-ლალვა“

ჰალა-კჲელ-ლალლა^{5} „ზე(მოთ)-ქვეშ-ლალლვა“

ჰალა-ტჲე-ლალლა^{5} „ზე(მოთ)-ზედ-ლალვა“...

ნათელია, რომ პირველი პრევერბი აღნიშნავს მიმართულებას, მეორე აზუსტებს ადგილს, რომლისკენაც მოქმედება არის მიმართული.

შდრ., აგრეთვე: უოჰა-ტჲე-დილლა^{5} „ქვე-ზედ-(და)დება“

უოჰა-ჩუ-დილლა^{5} „ქვე-ში-(და)დება“ და ა. შ.

პრევერბთა შედგენილობა

პრევერბები შედგენილობის მიხედვით (ე. ი. სტრუქტურის მიხედვით) ორ ჯგუფად იყოფა, ესენია:

მარტივი პრევერბები: დ'ა „მი-", სჰაა „მო-", ჰაალა „ზევით", ლაჯა „ზევით", ლახა „ქვევით", ბუხა „ძირს", ირა „ა-, აღ-", ირხ „ა-", ტდე „ზე-", კდელ „ქვეშ", ჩუ „ში-", ჰაალხა „წინ-", ტდეჰაა „უკან", ჩდეჴ „გასწვრივ", ტდეხ „გადა".

რთულია პრევერბები, რომლებიც ორი პრევერბის შეერთებით არის მიღებული. მაგალითად: ტდეკდელ (ტდე „ზე" + კდელ „ქვეშ") „ამო-", „გადა-"; დ'ასჰაა (დ'ა „მი-" + სჰაა „მო-") „მიმო-", დ'აჩუ (დ'ა „მი-", ჩუ „შე-"), ჰაალა-უოჰაა „ზევით-ქვევით", დ'ა-ჳრა (დ'ა „მი-", ჳრა „გარეთ")...

გარდა ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ ფუძეგანორკეცებულ (რედუპლიცირებულ) პრევერბებსაც, როგორიცაა:

ლაჯა-ლაჯა „ზევით-ზევით", გდენნა-გდენნა „შორი-შორს", ლახა-ლახა „ქვევით-ქვევით"... (ჩოქაევი 1970, 140-142).

რედუპლიცირებისას პირველ სეგმენტს შეიძლება ბგერა (ან მარცვალი) მოეკვეცოს: დუჰა-დუჰაალ „პირისპირ", დუხ-დუხა „კვლავდაკვლავ", ტაჰა-ტაჰაა „თანდათან"...

ზოგი ზმნისწინი, როგორც ჩანს, ნაწარმოებია -დე სუფიქსით. შდრ.: დისთ-დე „ნაპირას, ნაპირზე" (< დისთ „პირი"), დუხ-დე „ძირს, ძირზე" (< დუხ || ბუხ „ფსკერი, ძირი").

-რა ფორმანტით ნაწარმოებ პრევერბებს გამოსვლითობის ფუნქცია აქვთ, შდრ.: ჩურა- (< ჩუ+რა) „შიგნიდან", ტდერა (< ტდე+რა) „ზევიდან, ზედაპირიდან" ჰაალარა (<ჰაალა-რა) „ზემოდან"...

მიმართულების გამოხატვა პრევერბის გარეშე. რამდენიმე ზმნური ფორმა პრევერბის გარეშეც გამოხატავს მიმართულებას (საიქეთთოს, საქეთოს, ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით). ასეთი ფორმებია:

დ-ახა^{ნ} „წასვლა" (საიქეთო მიმართულება)

დ-ჳ^{ნ} „მოსვლა" (სააქეთო მიმართულება)

დ-აჰაა^{ნ} „წაღება" (საიქეთო მიმართულება)

დ-ჳ^{ნ} „მოტანა" (სააქეთო მიმართულება)

ამ ზმნებთან მოუბრის (პირველი პირის) ადგილსამყოფელიც

არის დაზუსტებული: იქით მოუბრისაგან (საიქეთო მიმართულება) და აქეთ მოუბრისაკენ (სააქეთო მიმართულება).

როგორც ჩანს, მოქმედების მიმართულების გამოხატვა შესაძლებელი გახდა ჩამოთვლილ ზმნათა სემანტიკური დაპირისპირების საფუძველზე.

შდრ., აგრეთვე, ამავე ზმნათა ბრძანებითი კილოსა და კაუზატიური ფორმები:

ღურ! „წადი“, ჰ₃ურ! „წაიღე“ (საიქეთო მიმართ.)

ვ-ურლა! „მოდი“ (მამაკ.), და! „მოიტანე“ (სააქეთო მიმართულება);

ვახ̄თა⁵ „გაგზავნა“ (მამაკ.), დაჰ₃̄თა⁵ „გაგზავნა“, გატანება“ (საიქ. მიმართ.)

ვა'̄თა⁵ „გამოგზავნა“ (მამაკ.), და'̄თა⁵ „გამოგზავნა, გამოტანება“ (სააქ. მიმართ)

ხა'ა⁵ „დაჯდომა“, დიჟა⁵ (სუბ. მხ.), დ̄შა⁵ (სუბ. მრ.) „დაწოლა“, ღათთა⁵ (სუბ. მხ.), ღოუთთა⁵ (სუბ. მრ.) „ადგომა“, დუოჟა⁵ (სუბ. მხ.), ლ₃ეგა⁵ (სუბ. მრ.) „დაცემა, წაქცევა, ვარდნა; ცვენა“ ზმნებიც პრევერბის გარეშე გამოხატავენ მოქმედების მიმართულებას ზევიდან ქვევით და — პირიქით.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ზმნებთან, როგორც წესი, ზმნისწინები იხმარება. შდრ.: უოჰ₃ა-ხა'ა⁵ „დაჯდომა“, უოჰ₃ა-დიჟა⁵ „დაწოლა“..., ჰ₃ალაღათთა⁵ „ადგომა“ და სხვ.

ამგვარად, პრევერბები და თანდებულები ჩეჩნურში საბოლოოდ გამიჯნული არ არის (პრევერბთა ნაწილი თანდებულებადაც არის გამოყენებული), რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრევერბთა ჩამოყალიბების პროცესი გრძელდება. პრევერბის ფუნქცია მოქმედების მიმართულების ან მოქმედების მიმართულებისა და ადგილის გამოხატვაა, რის საფუძველზეც გამოიყოფა მიმართულების აღმნიშვნელი (მარტივი) პრევერბები და ლოკატიური (რთული) პრევერბები, რომლებიც მიმართულებასა და ადგილს — ორმაგ მიმართულებას — გამოხატავენ.

იშვიათ შემთხვევაში პრევერბებს შეიძლება დერივაციის ფუნქციაც ჰქონდეთ.

უღლება

როგორც ცნობილია, მარტივ ზმნათა ერთი ნაწილი ჩეჩნურში იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით. კლასების მიხედვით ცვალებად ზმნათა რაოდენობა ერთ ასეულს არ აღემეტება (იხ. გრამატ. კლასის კატეგორია).

კიდევ უფრო ნაკლებია იმ ზმნათა რაოდენობა, რომელთაც შეუძლიათ სუბიექტის ან ობიექტის რიცხვის გამოხატვა (იხ. გრამატ. რიცხვის კატეგორია). ჩეჩნურში მარტივ ზმნათა სამ მეოთხედზე მეტი გრამატიკული კლასისადმი ნეიტრალურია. უკლასნიშნო ზმნები ფორმალურად არ გამოხატავენ არანაირ კავშირს სუბიექტთან ან ობიექტთან.

ზმნათა ასეთი დაჯგუფების გამო (კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ზმნები) უღლებაც დიფერენცირებულია: კლასნიშნიან ზმნებთან კლასოვანი უღლება გვაქვს, უკლასნიშნოებთან ისეთი სახის ცვლილებები, როგორიც კლასნიშნიანებშია, არ ხდება.

უღლების პროცესი, პირველ რიგში, გულისხმობს ზმნის ცვლას დრო-კილოთა მიხედვით. უღლების პროცესში ნათლად წარმოჩნდება აგრეთვე ზმნათა ცვლა გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვითაც.

დრო-კილოთა მიხედვით ჩეჩნური ზმნა მდიდარი და მრავალფეროვანია. ზმნის ცვლა დრო-კილოთა მიხედვით უღლების სისტემას ქმნის.

დრო-კილოთა სისტემა სრული სახით ზმნის თხრობითი კილოს ფორმებშია წარმოდგენილი. ამიტომ დროთა სისტემას, ჩვეულებრივ, თხრობითი კილოს ფორმების მიხედვით არის განხილული. დროთა სისტემა დანარჩენი კილოების მიხედვით განხილულია სათანადო კილოების ანალიზის დროს.

უღლებისას გასათვალისწინებელია გარდამავლობა-გარდაუვალობის კატეგორიაც, რომელიც ჩეჩნურში მორფოლოგიურ კატეგორიად მხოლოდ კლასნიშნიან ზმნებში შეიძლება ჩაითვალოს — მხოლოდ კლასნიშნიან ზმნებშია ასახული სუბიექტისა თუ ობიექტის

კლასის ნიშნები. უკლასნიშნო ზმნებში კი გარდამავლობა სინტაქსურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება.

დროთა წარმოების თვალსაზრისით კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ზმნები არ განსხვავდებიან. ამიტომ უღლების სისტემაში ორივე ჯგუფის ზმნები ერთადაა წარმოდგენილი.

სანამ დროთა სისტემის წარმოებაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ კლასოვანი უღლების თავისებურებანი.

კლასოვანი უღლება. ცნობილია, რომ კლასნიშნიანი ზმნა ჩეჩნურში ოთხი გრამატ. კლასის მიხედვით იცვლება. ასეთი ზმნები კლასოვანი უღლების პრინციპით იცვლებიან. ისმის კითხვა: რა თავისებურება ახასიათებს კლასოვან უღლებას?

კლასოვანი უღლება ორგვარია: კლასოვანი სუბიექტური და კლასოვანი ობიექტური. გარდაუვალ ზმნაში შეიძლება აღინიშნებოდეს მხოლოდ სუბიექტის კლასი და რიცხვი (სუბიექტურ-კლასოვანი უღლება), გარდამავალში კი — მხოლოდ ობიექტის კლასი და რიცხვი (ობიექტურ-კლასოვანი უღლება). მაშასადამე, კლასოვანი უღლებისას გარდამავალ ზმნაში სუბიექტის ნიშანი არ ჩანს, სუბიექტის არც კლასი და არც რიცხვი აქ ზმნაში არ აღინიშნება (ჩიქობავა 1979, 166).

ჩეჩნური ზმნა პირის მიხედვით არ იცვლება. ნახურ ენათაგან პიროვანი უღლება დამახასიათებელია წოვა-თუშურისათვის, ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტისათვის. ორივე ამ ერთეულისათვის მხოლოდ პიროვანი უღლება ნიშანდობლივია უკლასნიშნო ზმნებისათვის, კლასნიშნიანებისათვის კლასოვან-პიროვანი უღლებაა დამახასიათებელი.

გრამატიკული კლასი ოთხია და ოთხივე პრეფიქსს წარმოადგენს მარტივ ზმნებში (რთულ ზმნებში შეიძლება ინფიქსადაც იყოს). აწმყოში ქართულ ენას ექვსი (3 მხ-ში, 3 მრ-ში) ფორმა აქვს, ჩეჩნურში უკლასნიშნოებში ერთი ფორმაა, პირთა გარჩევა სათანადო ნაცვალსახელების გამოყენებით ხერხდება.

სამაგიეროდ თავისებურებას კლასნიშნიანი ზმნები ქმნიან: თითოეული პირისათვის იმდენი ფორმაა საჭირო, რამდენი გრამატიკული კლასიც არის გარჩეული. ზმნაში აისახება იმ პირის გრამატიკუ-

ლი კლასი, რომელიც სახ. ბრუნვაში დგას: სუბიექტის კლასის ასახვის შემთხვევაში სუბიექტური უღლება გვექნება, ობიექტის კლასის ასახვისას კი — ობიექტური უღლება.

სუბიექტური უღლება ნომინატიური კონსტრუქციის ზმნებითვისაა დამახასიათებელი, ესენი გარდაუვალი ზმნებია, ობიექტური უღლება — ერგატიული კონსტრუქციის ზმნებისათვის, ე. ი. გარდამავალი ზმნებისათვის. ანალოგიური ვითარებაა წოვა-თუშურშიც (ჭრელაშვილი 1982, 123; 2002, 160-203). განსხვავებულ ვითარებას დატიური და ლოკატიური კონსტრუქციის ზმნები გვიჩვენებენ (იხ. გარდამავლობა).

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ გარდაუვალი ზმნა (სუბიექტური უღლებისა) ვუ „არის“:

მხ. რ. I. სუო ვ-უ (დ-უ, ბ-უ, დ-უ) „მე ვარ“
II. ჰ*უო ვ-უ (დ-უ, ბ-უ, დ-უ) „შენ ხარ“
III. იზა ვ-უ (დ-უ, ბ-უ, დ-უ) „ის არის“

	გონიერთა კლასი	ნივთის კლასი
მხ. რ.	I. ვად ‖ თხუო დ-უ;	—
	II. შუ დ-უ;	—
	III. უშ ბ-უ	უშ დ-უ, ბ-უ, დ-უ

ნივთის კლასში I და II პირი გაპიროვნების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ფოლკლორულ მასალაში დასტურდება.

შდრ., აგრეთვე დახა[5] „წასვლა“ ზმნის ნამყო უახლესის ფორმები:

მხ. რ. I. სუო ვ-ახა (დ-ახა, ბ-ახა, დ-ახა) „მე წავედი“
II. ჰ*უო ვ-ახა (დ-ახა, ბ-ახა, დ-ახა) „შენ წახვედი“
III. იზა ვ-ახა (დ-ახა, ბ-ახა, დ-ახა) „ის წავიდა“

	გონიერთა კლასი	ნივთის კლასი
მრ. რ.	I. ვად ‖ თხუო დ-ახა;	—
	II. შუ დ-ახა	—
	III. უშ ბ-ახა	უშ დ-ახა (ბ-ახა, დ-ახა)

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მრავლობით რიცხვში განსხვავებული ვითარებაა: მრ. რიცხვის პირველსა და მეორე პირებში განზოგადებულია კლასის ნიშანი დ-. I პირი და II პირი, რა თქმა უნდა,

მოუბარსა და მსმენელს გულისხმობს. ყველა დანარჩენი III პირს წარმოადგენს. სწორედ III პირში ხდება სახელთა დაყოფა კლასის ნიშანთა მიხედვით.

გამონაკლისს ქმნის ვ- ფორმანტი, რომელიც მრ. რიცხვში არ ფიგურირებს.

განსხვავებული ვითარებაა გარდამავალ ზმნებშიც. მაგალითად:

მხ. რ. I. ასა დ-ჶუ დ-უსთუ დ-ოლლუ „მე ვყოფ, ვზომავ, ვაღებ“
II. აჰა „ „ „ „შენ ყოფ, ზომავ, აღებ“
III. ცუ „ „ „ „ის ყოფს, ზომავს, აღებს“

მრ. რ. I. ვაqჶხა „ „ „ჩვენ ვყოფთ, ვზომავთ, ვაღებთ“
II. აშა „ „ „თქვენ ყოფთ, ზომავთ, აღებთ“
III. ცარა „ „ „ისინი ყოფენ, ზომავენ, აღებენ“

ჩამოთვლილ ზმნებში კლასის ნიშნით ობიექტია გამოხატული (ობიექტური უღლება), ამიტომ პირებს შორის განსხვავება მრავლობითში არა გვაქვს. ამ ზმნებთან პირდაპირი ობიექტი შეიძლება გამოხატავდეს **ვ-, დ-, ბ-** კლასის სახელებსაც, ასე რომ გვექნება:

მხ.რ. I. ასა ვ-ჶუ, დ-ჶუ, ბ-ჶუ, დ-ჶუ „მე ვყოფ“
II. აჰა „ „ „ „ „შენ ყოფ“
III. ცუ „ „ „ „ „ის ყოფს“
მრ. რ. I. ვაqჶხა „ „ „ „ „ჩვენ ვყოფთ“
II. აშა „ „ „ „ „თქვენ ყოფთ“
III. ცარა „ „ „ „ „ისინი ყოფენ“

თეორიულად სუბიექტი ან ობიექტი შეიძლება იცვლებოდეს ოთხივე კლასის მიხედვით, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით ვინ-ჯგუფის სახელებთან შეიძლება შეზღუდვებმა იჩინოს თავი. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

დ-უცა[ნ] „წვნა“ გარდამავალი ზმნაა და **დ-** პირდაპირი ობიექტის გრამატ. კლასის ნიშანია. ამ ზმნასთან ოთხივე გრამატ. კლასის ნიშანი ვინ- ჯგუფის სახელებთან ნაკლებ სავარაუდოა, თუმცა თეორიულად გამორიცხული არ არის. შდრ.:

ასა (აჰა...) თუსქარ დ-უცუ „მე (შენ...) კალათს ვწნავ“
ასა (აჰა...) მqესაშ დ-უცუ „მე (შენ...) თმას ვიწნავ“ და სხვ.

ამ ზმნას ბ- კლასნიშნიანი რომელიმე სახელი თუ შეეწყო, ბ-უცუ ფორმა გვექნება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ რეალიზებული იყოს გონიერთა კლასის გ- ფორმანტიანი ვ-უცუ (წნავს, მაგ., მამას, ძმას...), დ- ფორმანტიანი დ-უცუ (წნავს, მაგ., დედას, დას...), თუმცა რა- ჯგუფის სახელებთან დ-უცუ ჩვეულებრივ იხმარება (იხ. ზემოთ).

ვინ- ჯგუფის სახელებთან ასევე შეზღუდული იქნება დ-უყა[ნ] „დაკეტვა“, დ-ელლა[ნ] „გაღება“, დ-ითთა[ნ] „გარეცხვა“... ზმნათა ხმარება, რადგან წარმოუდგენელია ვ-უყა[ნ], ვ-ელლა[ნ], ვ-ითთა[ნ] ფორმები. მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზმნათა სემანტიკას.

ამრიგად, უღლება კლასოვანია, თუ ზმნა კლასების მიხედვით იცვლება. კლასოვანი უღლება „იბერიულ-კავკასიურ ენებში პიროვანსა და კლასოვან-პიროვანზე უფრო ძველია“ (ჩიქობავა, ცერცვაძე 1961, 233). პიროვანი უღლება, კლასოვან-პიროვანი უღლება, უღლების ტიპები და პირის ნიშანთა გენეზისის საკითხები ზოგადად ნახურში, კერძოდ კი წოვა-თუშურში, დამუშავებული აქვს კ. ჭრელაშვილს (ჭრელაშვილი 1979; 1982; 1990; 1995; 2002). ამ ნაშრომებში დასმული და გადაჭრილია ბევრი საკვანძო საკითხი უღლების კატეგორიისა. პირების შესახებ ბაცბურ ზმნაში მსჯელობს აგრეთვე რ. გაგუა (გაგუა 1952).

კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღლება ჩეჩნური ენის სინამდვილეში ქისტურ დიალექტში გაჩნდა. ეს მოვლენა სათანადოდ არის დამუშავებული ი. ალიროევის (ალიროევი 1962), დ. იმნაიშვილის (იმნაიშვილი 1968; 1971, 21), ა. მაგომედოვის (მაგომედოვი 1975) ნაშრომებში და აქ არ განვიხილავთ მისი სპეციფიკურობის მიუხედავად.

კლასოვანი და უკლასო უღლების თავისებურებათა ანალიზის შემდეგ განვიხილოთ დროთა სისტემა — საკუთრივ უღლება. უღლების გასარკვევად „საჭიროა გამოიყოს ზმნის საუღლებელი ერთეულები შინაარსისა და აგებულების მიხედვით, შინაარსის მიხედვით განსხვავდება: გარდაუვალი და გარდამავალი, სტატიკური და დინამიკური ზმნები. დინამიკურ ზმნებში — მომენტობრივი და განგრძობითი

ასპექტი. აგებულების მიხედვით შეიძლება გვქონდეს მარტივი და რთული შედგენილობის ზმნური ფუძეები“ (იმნაიშვილი 1979, 158-159).

მარტივი და რთული ზმნები განხილულია ზემოთ. განვიხილოთ გარდამავლობა.

გარდამავლობა

ცნობილია, რომ გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების გასარჩევი მორფოლოგიური ნიშანი ჩეჩნურ ენაში არ არის. დაპირისპირება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის ლექსიკურ-სინტაქსურია. ი. არსახანოვი წერს: „არც ერთი სახის მორფოლოგიური ნიშანი არ არსებობს გარდამავლობის მიხედვით პირველადი (ე. ი. უაფიქსო) ზმნების გასარჩევად: ისინი თავიანთი შინაგანი სემანტიკით განირჩევიან ერთმანეთისაგან“ (არსახანოვი 1965, 110). გამონაკლისია -ურ[5] ფორმანტიანი ზმნები (იხ. ქვემოთ).

გარდა ამისა, ცნობილია, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი დაისმის ერგატიულ ბრუნვაში, გარდაუვალისა-სახელობითში. გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტიც სახელობით ბრუნვაში დგას (არსახანოვი 1965, 111; ესხაჯიევი 1987, 86-87; შავხელიშვილი 2003, 52-65). სინტაქსურ კონსტრუქციებზე მსჯელობისას სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვათა ფორმებს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან იძლევა კ. ჭრელაშვილი (ჭრელაშვილი 1987, 205).

კლასნიშნიან ზმნებში კლასის ნიშნის (მარკერის) საშუალებით გამოხატულია სახელობითში მდგომი სახელი, ე. ი. არა აქვს მნიშვნელობა, სუბიექტია იგი თუ ობიექტი: კლასნიშნიან ზმნას, გარდამავალსაც და გარდაუვალსაც, კლასში მართავს მასთან შეწყობილი სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ჩეჩნური ზმნა, მასთან შეწყობილი სუბიექტის ან სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით, შეიძლება იყოს აბსოლუტური ან რელატიური. ყველა აბსოლუტური ზმნა გარდაუვალია, სუბიექტით სახელობით ბრუნვაში. ასეთია, მაგალითად:

კლასნიშნიანები:

დაგა^{5} „წვა“ დახა^{5} „ცხოვრება“ დისა^{5} „დარჩენა“
დადა^{5} გაქცევა“ დახა^{5} „წასვლა“ დოუზა^{5} „გაცნობა“
დაჟა^{5} „ძოვა“ დაქქა^{5} „გალობა“ დაელხა^{5} „ტირილი“...
დარსთა^{5} „გასუქება“ დიჟა^{5} „დაწოლა“

უკლასნიშნოები:

ლოუზა^{5} „თამაში“ ‘ილლა^{5} „წოლა“ ხალა^{5} „გაწყვეტა“
‘ეე^{5} „დარჩენა“ საცა^{5} „გაცერება“ თუოლა^{5} „გამარჯვება“
ლაე^{5} „ლაპარაკი“ იდა^{5} „სირბილი“ ლაჭყა^{5} „დამალვა“
ღათთა^{5} „ადგომა“ ყასთა^{5} „გაცილება“ ლაეთა^{5} „ჩხუბი“...

საილუსტრაციო მაგალითები ფოლკლორიდან, მხატვრული ლიტერატურიდან:

მალხ ჰაჳუნა ჳხქაენან დოუხა დაე დარა
„მზიანი ზაფხულის მცხუნვარე დღე იყო“
ხიტა ლიჩა ვახარა ი ში’
„მდინარეზე საბანაოდ წავიდა ის ორი“
თაადფ-თაადფანა ეშარშ ლუჯურა... ოლხაზარშა
„ნაირ-ნაირ ხმაზე გალობდნენ ფრინველები“ (გაისულთანოვი 1972)
მაელლაშა მუოხ ჰაჳჩირა
„ნელმა სიომ დაუბერა“
ხუოჟა წეჰაა ვურლაველირა
„ხოჟა შინისაკენ გაემართა“
ნანა რაღუ კელ დახარა
„დედა ფარდულის ქვეშ შევიდა“ (მუზაევი 1960)
თხა^{5} ეულა დისთაეჰა ცჰაა ხი დუ, ი ლარდაეშ სარმიქ ბუ
„ჩვენი სოფლის ნაპირას ერთი წყალი არის, იმის დარაჯობაში გველეშაპი არის“
ბუორზ უღუ „მგელი ღმუის“
ნეყახუოდ დურთაჰა სეუცირა „მგზავრები სოფელში შეჩერდნენ“
გენა ფანა მახქა ვახანა ელა
„შორეულ უკაცრიელ ქვეყანაში წავიდა ხელმწიფე“ (ჩეჩნური ზღაპრები 1991)

რელატიური ზმნა, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება იყოს გარდამა-

ვალიც და გარდაუვალიც. რელატიური ზმნა გარდამავალია, თუ მას სუბიექტი ერგატივში შეეწყობა. ასეთია, მაგალითად, ზმნები:

კლასნიშნიანი:

და^{ნ} „მოტანა“	დიგა^{ნ} „წაყვანა“	დუოთთა^{ნ} „დასხმა“
და'ა^{ნ} „ჭამა“	დაჭა^{ნ} „წართმევა“	დდელლა^{ნ} „გაღება“
დალა^{ნ} „მიცემა“	დაჰა^{ნ} „წაღება“	დილა^{ნ} „დაბანა“
დასთა^{ნ} „გახსნა“	დათთა^{ნ} „შეწვა“	დითთა^{ნ} „გარეცხვა“..

უკლასნიშნოები:

ᾱლა^{ნ} „თქმა“	მალა^{ნ} „დალევა“	ხოუცა^{ნ} „გაცვლა“
ᾱრა^{ნ} „ლეწვა“	მᾱლა^{ნ} „სმა“	ლახა^{ნ} „ძებნა“
ᾱთა^{ნ} „ნაყვა“	ჭᾱბა^{ნ} „შენახვა“	'ოუდა^{ნ} „გაწურვა“
ᾱხა^{ნ} „ხვნა“	ჭუოსსა^{ნ} „გასროლა“	'ოუშა^{ნ} „დაღეჭვა“...

როგორც მაგალითებიდან ჩანს, გარდამავალ ზმნებთან პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია. კლასნიშნიან ზმნებში კი გამოხატულია იმ სახელის კლასი, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას.

ნ. იაკოვლევი შენიშნავს, რომ ჩეჩნურში ზოგ ზმნას აქვს როგორც გარდამავლის, ისე გარდაუვალის მნიშვნელობა. მისი აზრით, ასეთი ზმნები იმ უძველესი დროის გადმონაშთია, როცა გარდამავლობა-გარდაუვალობა გარჩეული არ იყო (იაკოვლევი 1960). ანალოგიურ ზმნებზე ინგუშურში, ალბათ, ნ. იაკოვლევის გავლენით, მიუთითებს რ. ახრიევაც (ახრიევა 1972, 152).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, ლეზგიურ ენაში, მაგალითად, ბევრი ზმნა გარდამავლობის მიხედვით ნეიტრალურია. ზმნის გარდამავლობა ირკვევა კონტექსტის მიხედვით. მაგალითად, ყენა კონტექსტის მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს როგორც მოკლა-ს (გარდამ.), ისე მოკვდა-საც (გარდაუვ.) (თოფურია გ. 1959, 3).

ამ სახის ზმნური ფუძეები, ალბათ, ჩეჩნური ენისათვისაც იყო ნიშანდობლივი. მაშასადამე, ზმნა კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი. შდრ.: მᾱოხ ჰაᾱრჭ-უ „ქარი უბერავს“ და ცუᾱ ხᾱერხ ჰაᾱრჭუ „ის ხერხავს“ (სიტყვასიტყვით: ის ხერხს უსვამს). ჰაᾱრჭუ ზმნა პირველ შემთხვევაში გარდაუვალია,

მეორე შემთხვევაში კი — გარდამავალი. ასეთი ფუძეების გამოსავლენად საგანგებო კვლევა-ძიებაა ჩასატარებელი.

რელატიურ ზმნათა ერთი ნაწილი სუბიექტს მიცემით ან, იშვიათად, ადგილობით ბრუნვებში მართავს. მიცემით სუბიექტიანი ზმნები ე. წ. გრძნობა-აღქმის ზმნებია. ამ ჯგუფის ზმნებთანაც ობიექტი სახელობით ბრუნვაში დგას და კლასნიშნიანებში ობიექტი კლასის ნიშნითაც არის გამოხატული.

სწორედ ამ თავისებურების გამო სამეცნიერო ლიტერატურაში გრძნობა-აღქმის ზმნები გარდამავლად მიაჩნიათ. ასე, მაგალითად, ი. არსახანოვის მიხედვით, გარდამავალია გრძნობა-აღქმის ზმნებიც, „რადგანაც ისინი, ჯერ ერთი, თავიანთი სემანტიკით გარდამავლებს ჰგვანან, მეორეც, წინადადებაში ამ სახის ზმნებთანაც არის ან იგულისხმება პირდაპირი ობიექტი: აჰმადანა შაქნ კანთ დუჰავეზა „ახმადს თავისი ვაჟი ძალიან უყვარს“ (არსახანოვი 1965, 111). ამავე აზრს იზიარებს მკვლევარი ი. ესხაჯიევი (ესხაჯიევი, 1987, 87), ალბათ, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ჯ. ნიკოლსიც (ნიკოლსი 1994, 37) და სხვები. უფრო ადრინდელ ერთ-ერთ ნაშრომში ი. არსახანოვი შენიშნავს, რომ გრძნობა-აღქმის ზმნები ჩეჩნურში გენეტურად ახლოს დგანან გარდამავლებთან, მაგრამ სუბიექტი მიცემითში აქვთო (არსახანოვი 1959, 48-49).

ანალოგიური ვითარებაა ინგუშურ ენაშიც, სადაც გრძნობა-აღქმის ზმნებს გარდამავლად მიიჩნევს რ. ახრიევა (ახრიევა 1972, 152).

ი. არსახანოვის ზემოთ მოყვანილ მაგალითში სუბიექტად მიცემითში დასმული სახელი (აჰმადანა „ახმადს“) არის მიჩნეული, პირდაპირ ობიექტად კი — სახელობით ბრუნვაში მდგომი კანთ „ვაჟი“.

მიცემითსუბიექტიანი ზმნების არსებობა ნახურ ენათა სინამდვილეში პირველად ა. შიფნერმა შენიშნა წოვა-თუშურში. მისი აზრით, ზმნები, „რომლებიც აღნიშნავენ არა რაიმე მოქმედებას, არამედ გამოხატავენ აღქმას, გრძნობას, სურვილს, საჭიროებას, შესაძლებლობას, სიყვარულს და მათგან ნაწარმოებნი ანდა მათგან მიღებული რთული (შედგენილი) ზმნები უკავშირდებიან მიცემით ბრუნვას“ (შიფნერი 1856, §100, 26).

მიცემითსუბიექტიანი ზმნები ჩეჩნურში მცირერიცხოვანია (ორ ათეულს არ აღემატება), ისევე, როგორც ზოგადად სხვა ენებში. ასეთია, მაგალითად:

ხა'ან „ცოდნა“ ხᲥეთან „ჩვენება“ თუო'ან „კმარება“
გან „დანახვა“ დაგადᲐან „გახსენება“ ᲒᲨან „კლება“
მაგან „შეძლება“ დოᲨზან „ცნობა“ თან „მოხდენა“
დᲥᲨზან „ყვარება“ ეჰახᲥეთან „დარცხვენა“ დიცდალან „დავიწყება“
ლა'ან „ნდომა“ ხალხᲥეთან „წყენა“ თარდალან „მოჩვენება“
ხაზან „მოსმენა“ მᲨოთთან „გონება“ ქარადან „პოვნა“
კუორდადან „მობეზრება“...

საინტერესოა, რომ ვ. ფანჩვიძის მიერ ჩამოთვლილი გრძნობა-აღქმის ზმნები უდიურში სემანტიკურად იდენტურია ჩეჩნურის მასალისა (გამონაკლისია ორი ზმნა: **მიბსუნ** „ცივება“, ყიმბსუნ „შინება“ (ფანჩვიძე 1974, 137). ამ ზმნათა გარდამავლობაზე იგი არაფერს ამბობს.

ნ. იაკოვლევს „ჩეჩნური ენის სინტაქსში“ ყასთან „განცალკევება“, 'Ამან „სწავლა, ჩვევა“ მიჩნეული აქვს მიცემითსუბიექტიან ზმნებად (იაკოვლევი 1940, 64). ამჟამად ეს ზმნები ჩეჩნურ სალიტ. ენაში ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან.

ჩამოთვლილ ზნათაგან ზოგი მარტივი არ არის, რთული აგებულებისაა, ორფუძიანი. ასეთია: დიც-დ-ალან, თარ-დ-ალან, დაგ-ა-დᲐან, ქარ-ა-დ-ან, კუორდ-ა-დ-ან... ზმნათა სტრუქტურას ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

საილუსტრაციო მაგალითები:

ვეჟარშნა ტაᲨჯა-მ დაგადᲔ'ანა ალხასტა შაᲥგა Ალლარგ
„ძმებს მაშინ-ღა გაახსენდათ ალხასტის მიერ მათთვის ნათქვამი“ (ჩეჩნური ფოლკლორი 1964)

'არუაჩუ სთიგლაჰა კაᲥ სᲥედარჩი გირა სᲨნა, ტაᲨჯა დაგაბე'არა სᲨნა კურზანაშ ტელᲥეთთა ბოლუ თხოვ ა „შავ ცაზე თეთრი ვარსკვლავები დავინახე (მე), მერე გამახსენდა (მე) ჰვარტლით მოფენილი ჰერიც“ (ამაევი 1992, 79).

ჟრრა-ბაბინა თხოვ ტᲥეჰა ჟიმა კანთ გინა „ქვრივმა (ბებერმა) ქალმა სახურავზე ყმაწვილი ვაჟი დაინახა“ (ჩეჩნური ზღაპრე-

ბი 1991, 17).

ანდიურ ენაში გრძნობა-აღქმის ზმნებზე დაკვირვებით ი. ცერცვაძე წერს, რომ „ეს კონსტრუქცია ძველი და გარდაუვალი ზმნისეული ჩანს (ისევე, როგორც ხუნძურში შესაბამის ზმნათა დატიური და ლოკატიური კონსტრუქციები); სათანადო ზმნათა ეკვივალენტები ქართულში ინვერსიული ზმნებია...“ (ცერცვაძე 1965, 223). როგორც ცნობილია, ინვერსიული ზმნები ქართულში ზოგ მკვლევარს გარდაუვალად მიაჩნია, უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში კი ინვერსიულ ზმნათა არსებობა ქართულში უარყოფილია თ. უთურგაიძის მიერ (უთურგაიძე 2002, 89-103). ამჯერად ჩვენ არ ვეხებით ვითარებას ქართულში, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ხუნძურსა და ანდიურ ენებში მიცემითსუბიექტიანი ზმნები გარდაუვალად არის მიჩნეული.

ი. ცერცვაძე გრძნობა-აღქმის ზმნათა გარდაუვალობის დასამტკიცებლად იმავე ნაშრომში მიუთითებს აგრეთვე ბრძანებითის ფორმებზე ანდიურში. იგი წერს: „ბრძანებითის ფორმები, რომელთა წარმოება კარგ საკონტროლო საშუალებას იძლევა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა გასარჩევად, მათ გარდაუვალ ზმნათა შესაფერისი აქვთ“ (ცერცვაძე 1965, 223). ბრძანებითის ფორმები განსხვავებულია, აგრეთვე, ბაგვალურ ენაში, სადაც „გარდამავალ ზმნათა ბრძანებითში გამოყენებულია სუფიქსი ა.., გარდაუვალ ზმნებში — ა-ბე“ (გუდავა 1971, 120). მაშასადამე, გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებში ბრძანებითის ფორმები ბაგვალურშიც დიფერენცირებულია.

და, ბოლოს, „გარდაუვალია არა მხოლოდ სახელობითიანი კონსტრუქცია (რეალური სუბიექტი — სახელობითში), არამედ ისეთი კონსტრუქციაც, რომელსაც რეალური სუბიექტი მიცემითში აქვს“, — წერს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1961, 61). უფრო მოგვიანებით არნ. ჩიქობავას აღნიშნულ საკითხზე თავისი შეხედულება ჩამოყალიბებული აქვს შემდეგნაირად: „... დატიური კონსტრუქცია ძველი კონსტრუქციაა ისევე, როგორც ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქცია; ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის გარდამავალი ზმნა, ნომინატიურ კონსტრუქციას — გარდაუვალი ზმნა, დატიური კონსტრუქციაც გარდაუვალ ზმნებს ეფარდება, სახელდობრ, იმ გარდაუ-

ვალ ზმნებს, რომელთაც „გრძნობა-აღქმის ზმნები (verba sentiendi) ეწოდება (მოსწონს, უყვარს, სძულს, ჰშია, სწყურია...)“ (ჩიქობავა 1979, 232).

გრძნობა-აღქმის ზმნებთან გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით ზმნათა გარჩევის ისეთი საკონტროლო საშუალება, როგორიც ანდიურშია ან ბაგვალურში, ჩეჩნურში ჯერჯერობით არ იძებნება. ვვარაუდობთ, რომ იგი ჩეჩნურშიც გამორიცხული არ უნდა იყოს.

1862 წელს თბილისში დაიბეჭდა პირველი ჩეჩნური საანბანო წიგნი. იგი შედგენილია დუოსიანთ ყეედი-ს მიერ, როგორც ვარაუდობენ, პ. უსლარის ხელმძღვანელობით (მაგომედოვი 1979, 295). შევნიშნავთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ამ 33 გვერდიანი ნაშრომის ავტორი ქედი დოსოვის სახელით არის ცნობილი (ჩიქობავა 1965, 187).

საინტერესოა, რომ აღნიშნულ ნაშრომში ხა'ან „ცოდნა“ ზმნასთან სუბიექტი ერგატივში დგას. ასეთი შემთხვევა სულ შვიდ ფრაზაში დასტურდება, რომელთაგან ორი იდენტურია. მოგვყავს დანარჩენი ხუთი უცვლელად:

1. ჰაჲ სე̄ ბე̄რ, აჰა ხა'ა ხა'აზა̄ მეგიშ დრცუ̄ ჰუმა!
2. ჰაჲ სე̄ ბე̄რ, აჰა ხა'ა ხა'აზა̄ მეგიშ დრცუ̄ ჰუმანაშ!

ეს ორი ფრაზა ტექსტში მეორდება.

3. ჰაჲ სე̄ ბე̄რ, ტაჳჳა, აჰა ხა'ა, ხა'აზა̄ მეგიშ დრცუ̄ ჰუმა!
4. ჰაჲ სე̄ ბე̄რ, აჰა ხა'ა, დაჳლა დოლლუჩუ ხალყალ სი̄ლაჰა ვაზვინარგ ვაჲ̄ ფაჲხამარ მუჰამმად ხილარ.
5. ჰაჲ სე̄ ბე̄რ, აჰა ხა'ა ნაჳხახი̄ სი̄ლაჰა ბეზინიგიშ ვაჲ ფაჲხამარა̄ ნაჳყუოსთუოჲ ხილარ (ჩეჩნური ანბანი 1862, 25-33).

ჩამოთვლილი ფრაზები ქართულად ასე ჟღერს:

1. ჰაი, ჩემო შვილო, შენ (ერგ.) [უნდა] იცოდე რამე, რისი არცოდნაც არ შეიძლება!

2. ჰაი, ჩემო შვილო, შენ (ერგ.) [უნდა] იცოდე რამეები, რომელთა არცოდნაც არ შეიძლება!

3. ჰაი, ჩემო შვილო, კვლავაც შენ (ერგ.) [უნდა] იცოდე რამე, რისი არცოდნაც არ შეიძლება!

4. ჰაი, ჩემო შვილო, შენ (ერგ.) [უნდა] იცოდე, რომ ღმერთის

მიერ ყველა ადამიანზე მეტად დიდებით შემოსილი მოციქული მუჰამედია.

5. ჰაი, ჩემო შვილო, შენ (ერგ.) [უნდა] იცოდე, რომ ადამიანებში დიდებით დაფასებული (?) ჩვენი მოციქულის მეგობრები არიან.

შემთხვევითია თუ არა ხა'ა^{5} ზმნასთან სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში? ხუთივე შემთხვევა ამ ზმნასთან ერგატივის ფორმის გამოყენებისა· ფუნქციურად ერთნაირია, ვგულისხმობთ ბრძანებითის ფორმას. ამჟამად ხა'ა^{5} ფორმა ბრძანებითშიც და თხრობითი კილოს ფორმებშიც სუბიექტს მიცემით ბრუნვაში მართავს: იყო ერგატიული კონსტრუქცია XIX საუკუნის შუა წლებში, გვაქვს დატიური. ფაქტია, რომ ამ ზმნასთან დაკავშირებული ყოფილა ერგატიული კონსტრუქცია, ყოველი შემთხვევისათვის იმ დიალექტში მაინც, რომელზეც მეტყველებდა პირველი ჩეჩნური საანბანო წიგნის ავტორი.

ამ ფაქტის განზოგადებისაგან თავს ვიკავებთ. განზოგადების საფუძველზე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩეჩნურში დატიური კონსტრუქცია მეორეულია. ზემოთ მოყვანილი მაგალითების ერთფეროვნების გამო საფუძველი ასეთი განზოგადებისათვის, ვფიქრობთ, საკმარისი არ უნდა იყოს. სწორი დასკვნების გამოსატანად მეტი ფაქტობრივი მასალის მოძიება· გახდება საჭირო.

ჩეჩნურში ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნის დუ „არის" ზმნა, როცა იგი ქონა-ყოლის მნიშვნელობით არის გამოყენებული. შდრ., მაგალითად: цӀунгахь гоӀур дуо „იმას (ლოკ. ბრუნვა) ცხენი ჰყავს"; сӀогахь ахча дуо „მე (ლოკ. ბრუნვა) ფული მაქვს"; мӀохь бӀелира шаҳтанаш (ლოკ. ბრ.) „ყვირილი აღმოხდა შაიტანს" (ბისულთანოვი 1991, 87).

დუ მეშველი ზმნაა, ამდენად იგი გარდაუვალია, გარდაუვალია იგი მაშინაც, როცა ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის, მაგალითად: тхо^{5} еӀзла дисташ цхьа хи дуо, и лардацӀ сӀармиг бу „ჩვენი სოფლის ნაპირას ერთი წყარო არის, მის ყარაულობაში გველეშაპი არის" (ჩეჩნური ზღაპრები 1991, 17); цхьана дӀртахь магӀра стаг ву „ერთ სოფელში გულადი კაცი არის" (იქვე, 91); цхьа' ӀаӀцӀуалца нислo, аммa хаҳа дац, ваҳа хаҳа дуо, аммa аӀмал ӀцӀо^{5} дуо „ერთი

ჰკვიანი შეგხვდება, მაგრამ ლამაზი არ არის, მეორე ლამაზი არის, მაგრამ ცუდი ხასიათისა არის“ (იქვე, 92); შა ირს დუ შუ^{5} ქალერთა-რა დ'ადრ̃დუშ „მე ბედი ვარ თქვენი ეზოდან მიმავალი“ (ჩეჩნური ფოლკლორი 1990, 94).

ლოკატიური კონსტრუქციისაა, მაგალითად (ზემოთ დასახელე-ბულის გარდა):

კანთალე დიშა დუ „ვაჟს და ჰყავს“
დეგა კანთ ვუ „მამას ვაჟი ჰყავს“
ნენალე ახჩა დუ „დედას ფული აქვს“...

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტი მორფოლოგიურად არ აისახება ზმნაში, მათ შორის კავშირი სინტაქსურ-სემანტიკურია, სუ-ბიექტი სპეციალურად მისთვის განკუთვნილ ბრუნვაში — ერგატივში დგას. არა აქვს მნიშვნელობა იმას, კლასნიშნიანია თუ არა ზმნა.

ჩეჩნურ ზმნაში მორფოლოგიურად, კლასის ნიშნის საშუალე-ბით, ზმნაში ასახულია მხოლოდ სახელობით ბრუნვაში მდგომი სახე-ლი. გარდაუვალ ზმნასთან ნომინატიურ კონსტრუქციაში ასეთი იქნე-ბა სუბიექტი, დატიურ და ლოკატიურ კონსტრუქციებში — პირდაპი-რი (ან: რეალური) ობიექტი. უკლასნიშნო ზმნისა და სუბიექტ-ობი-ექტის კავშირიც სინტაქსურ-სემანტიკურია.

გარდაუვალ ზმნათაგან გარდამავალი ზმნები იწარმოება -ურ^{5} ფორმანტის საშუალებით. გარდაუვალთაგან გარდამავალ ზმნათა წარმოებისას ინფინიტივის ფორმას ჩამოსცილდება -ა^{5} ფორმანტი,. რჩება ზნის ფუძე, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ზემოთ აღნიშნუ-ლი ფორმანტი. ამ ტიპის ზმნებთანაც, რა თქმა უნდა, სუბიექტი დგას ერგატიულ ბრუნვაში, ხოლო პირდ. ობიექტი — სახელობითში.

გარდაუვალი	გარდამავალი
ჰალხჭა^{5} „დუღილი“ (დუღს)“	ჰალხჭურ^{5} „დუღება (ადუღებს)“
ლალელა^{5} „სიარული (დადის)“	ლალელურ^{5} „ტარება (ატარებს)“
ხალა^{5} „წყვეტა (წყდება)“	ხალურ^{5}„(გა)წყვეტა (წყვეტს)“
ლაჭყა^{5} „დამალვა (იმალება)“	ლაჭყურ^{5} „დამალვა (მალავს)“
ლათა^{5} „დაჭიდება (ეჭიდება)“	ლათურ^{5}„დაჭიდება(აჭიდავებს)
„ანთება (ინთება)“	„ანთება (ანთებს)“

დაგა^{5} „წვა (იწვის)“ დაგურ^{5} „წვა (წვავს)“
დაჟა^{5} „ძოვა (ძოვს)“ დაჟურ^{5} „ძოვა (აძოვებს)“
დახა^{5} „თრობა (თვრება)“ დახურ^{5} „თრობა (ათრობს)...

-ურ^{5} ფორმანტი რთული შედგენილობისა ჩანს, იგი ორი სეგმენტისაგან შედგება: -უო-+ნ (>^{5}). შენიშნულია, რომ -უო- მომდინარეობს და^{5} „ქმნა, კეთება“ ზმნის აწმყოს ფორმისაგან, სადაც ჩავარდნილია კლასის ნიშანი (არსახანოვი 1965, 111; იმნაიშვილი 1978, 171). უნდა აღინიშნოს, რომ -ურ^{5} ფორმანტს შეიძლება შეენაცვლოს და^{5} ზმნა. მაშასადამე, ჩეჩნური ენისათვის უცხო არ არის ჰ̣ეხ̣ქადა^{5}, ლ̣ე̄ლადა^{5} და ა. შ. ფორმებიც.

ფუძეთა მაერთებელი ხმოვანი (ჰ̣ეხ̣ქ-ა-და^{5}...) -ა- შეიძლება -ო-ს სახითაც იყოს წარმოდგენილი. ასეა, მაგალითად, ჭებერლოურში, შაროულში, ხილდიხაროულში. ამ სახითაა იგი წოვა-თუშურ ენაშიც: -ა-ს -ო-თი შენაცვლება ფუძისეული ხმოვნის ცვლილებასაც იწვევს, კერძოდ, რეგრესიული ასიმილაციის ნიადაგზე ფუძისეული ა>ო-ში. შდრ.: ლათ-ო- > ლოთ-ო, ღათთ-ო > ღოთთ-ო...

-ურ^{5} ფორმანტიანი ზმნებისაგან აწმყოს წარმოებისას აღდგება ამოსავალი ფორმა — და^{5} ზმნის აწმყო. შდრ.:

ინფინიტივი	აწმყო
ჰ̣ეხ̣ქ-ურ^{5} „ადუღება“	ჰ̣ეხ̣ქ-ა-დ-ურ
ლ̣ე̄ლ-ურ^{5} „ტარება“	ლ̣ე̄ლ-ა-დ-ურ
ხ̣ად-ურ^{5} „(გა)წყვეტა“ (წყვეტს)	ხ̣ად-ა-დ-ურ...

და^{5} ზმნის საშუალებით იწარმოება, აგრეთვე, აწმყოს წრის ფორმები (დროთა ის ფორმები, რომლებიც საწარმოებლად იყენებენ აწმყოს ფორმას — მყოფადი (მარტივი და რთული), ნამყო უწყვეტელი და კიდევ: აწმყოს მიმღეობა და აბსოლუტივი.

მაშასადამე, აწმყოს წრის ფორმათა (ე. ი. I სერიის დროთა) საწარმოებლად -ურ^{5} დაბოლოებიანი ზმნების საუღლებლად საკმარისია და^{5} ზმნის უღლების ცოდნა.

ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში დროთა II სერიის წარმოებისას და^{5} „ქმნა, კეთება“ ზმნა მონაწილეობს კლასის ნიშნის გარეშე, შდრ.:

ნამყო უახლესი: ჰ̣ეხ̣ქ-ი̄ (< ჰ̣ეხ̣ქ-ი-ჲ<ჰ̣ეხ̣ქ-ი-ი < ჰ̣ეხ̣ქ-ა-ი < ჰ̣ეხ̣ქ-ა-დ-ი)

ნამყო განსაზღვრული: ჰ̣ეხ̣ჭ-ი̄-რა

ნამყო განუსაზღვრელი: ჰ̣ეხ̣ჭ-ი̄-ნა

ნამყო წინარე წარსული: ჰ̣ეხ̣ჭ-ი̄-ნ-ე̣რა

ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში კი მეორეულ ფორმებთან ერთად პარალელურად იხმარება ამოსავალი ფორმებიც: შდრ.:

ნამყო უახლესი: ჰ̣ეხ̣ჭ-ო-ე̣ || ჰ̣ეხ̣ჭ-(ო)-დ-ი

ნამყო განსაზღვრული: ჰ̣ეხ̣ჭ-ო-ე̣-რა || ჰ̣ეხ̣ჭ-(ო)-დ-ი-რა

ნამყო განუსაზღვრელი: ჰ̣ეხ̣ჭ-ო-ე̣-ნა || ჰ̣ეხ̣ჭ-(ო)-დ-ი-ნა...

ეს ფორმები ჩვეულებრივია ქისტურის ომალურ კილოკავში, მაისთურში კი ხმოვანთა ასიმილაციის პროცესი უფრო შორს მიდის. შდრ.: ჰ̣ეხ̣ჭ-ე-ე̣ || ჰ̣ეხ̣ჭი, ჰ̣ეხ̣ჭ-ე-ე̣-რა || ჰ̣ეხ̣ჭირა და ა. შ.

მაშასადამე, ჩეჩნურ ენაში გარდამავალია ზმნა, რომელიც სუბიექტს მართავს ერგატიულ ბრუნვაში. გარდამავალია, აგრეთვე, -უო[5] ფორმანტიანი ზმნებიც, ყველა გარდამავალ ზნასთან, გარდა სუბიექტისა, დაკავშირებულია ობიექტიც, რომლის გრამატიკული კლასის ნიშანიც ზმნაში არის ასახული (თუ ზმნა კლასნიშნიანია). გარდამავალი ზმნა ჩეჩნურში ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. გარდაუვალია ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები, როგორც დაღესტნურ ენათა მონაცემებთან შედარებით ირკვევა, ჩეჩნურში გარდაუვალი ჩანს დატიური და ლოკატიური კონსტრუქციის ზმნებიც.

დროთა სისტემა

ჩეჩნური ენის ზმნის დროთა სისტემის შესწავლის ისტორია დაწვრილებით განხილული აქვს დ. იმნაიშვილს სტატიაში „დროთა წარმოების სისტემა ნახური ჯგუფის ენებში“ (იმნაიშვილი 1979, 155-188).

წინამორბედ მკვლევართა ნააზრევის შეჯამების გარდა ნაშრომი ფასეულია ჩეჩნური ენის დიალექტური მასალის, მათ შორის ბარის კილოს (იგივე სალიტ. ენის) ღრმა მეცნიერული ანალიზის მხრივაც დროთა წარმოების თვალსაზრისით.

გარდა ამ ნაშრომისა, დ. იმნაიშვილს ზმნის დროთა წარმოება განხილული აქვს იმ წერილებშიც, რომლებიც ამა თუ იმ ფონეტიკუ-

რი მოვლენის გარკვევას ან ცალკეული დიალექტის შესწავლას ეძღვნება (იმნაიშვილი 1953, 317-326; 1954, 327-342; 1959, 239; 1962, 240-242; 1966, 204-207; 1968, 194-198; 1970, 203-205; 1976, 165-166...). დროთა წარმოებას ჩეჩნურში ეძღვნება ბ. არსემიკოვას ნაშრომი „მორფოლოგიური მოვლენები ზმნური კილოს წარმოებისას ჩეჩნურ ენაში“ (არსემიკოვა 1986).

დროთა წარმოების თავისებურებანი ჩეჩნური ენის დიალექტებში სალიტ. ენასთან მიმართებით მოცემული აქვს ი. არსახანოვს მონოგრაფიაში „ჩეჩნური დიალექტოლოგია“ (არსახანოვი 1969).

1990 წელს კ. ჭრელაშვილი შენიშნავდა, რომ ნახური ენების ზმნათა უღლების სრული პარადიგმა ჯერ გამოვლენილი არ არისო (ჭრელაშვილი 1990, 64). შემდეგში იმავე მკვლევარმა ზმნის უღლების სრული პარადიგმა (სისტემა) წოვა-თუშური ენის მასალაზე ხელმისაწვდომი გახადა სპეციალისტებისათვის (ჭრელაშვილი 2002, 221-273).

ჩეჩნურში დავას არ იწვევს საკითხი, რომ უღლების (ან: დროთა წარმოების სისტემის) თვალსაზრისით მარტივი ზმნები იყოფიან წესიერი და არაწესიერი უღლების ზმნებად.

არაწესიერი უღლების ზმნები ჩეჩნურში მცირერიცხოვანია და მათ ბევრი თავისებურება ახასიათებთ: ასეთია, მაგალითად: 1. ვ-უ „არის“ (ვ- ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია. ეს არის ერთადერთი ზმნა, რომელსაც თავისი ინფინიტივი და მასდარი არა აქვს); 2. რამდენიმე ზმნა, რომელთა ფუძეები ’ თანხმოვანზეა დაბოლოებული: ხა'-ა^{ნ} „ცოდნა“, ლა'-ა^{ნ} „ნდომა, სურვილი“... 3. ხმოვანფუძიანი (ფუძეგაცვეთილი) ზმნები, როგორიცაა: ლᲔ^{ნ} „ლაპარაკი“, ლᲐ^{ნ} „მოთმენა, ატანა“... 4. ორფუძიანი უღლების ზმნები: დალა^{ნ} „მიცემა“, დახა^{ნ} „წასვლა“ და სხვ. ორფუძიანი უღლების ზმნებში I ფუძისაგან იწარმოება აწმყოს წრის დროთა ფორმები, ხოლო მეორე ფუძისაგან — ნამყოს წრის დროები, მეორე ფუძისაგან არის ნაწარმოები აღნიშნულ ზმნათა ინფინიტივი და მასდარიც. ჯერ არ არის გარკვეული, რომელია აღნიშნულ ფუძეთაგან თავდაპირველი.

არაწესიერი უღლების ზმნები დაწვრილებით ქვემოთ არის განხილული.

ჩეჩნურში, ისევე როგორც, მაგალითად, ქართულში, გარჩეულია სამი დრო: ახლანდელი, წარსული და მომავალი. თითოეულ ამ დროს რამდენიმე ფორმა (ნაკვთი) შეესაბამება. ფორმათა სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა წარსული დრო. დროთა ფორმების მრავალფეროვნება გართულებულია მარტივი (აბსოლუტური) და აღწერითი (რთული) ფორმების არსებობითაც.

ზმნის საუღლებელი ფუძე მიიღება ინფინიტივისაგან ინფინიტივის ფორმანტის (წინამავალი ხმოვნით) ჩამოცილებით.

დროის მარტივი ფორმა იწარმოება სპეციალური აფიქსით, რომელიც ზმნურ ფუძეს დაერთვის. შდრ., მაგალითად:

ინფ.: მალა^{5} „დალევა“, ფუძე — მალ-

აწმყო: მოლ-უ (< მალ-უ) „სვამს“

მოცემულ მაგალითში -უ ფორმანტი აწმყოს მაწარმოებელია, რომლის ფუძეზე დართვა ფუძისეული ხმოვნის ლაბიალიზაციას იწვევს (იხ. აწმყოს წარმოება).

აწმყო აღწერითადაც იწარმოება. ასეთ შემთხვევაში აბსოლუტივის ფორმას დაერთვის მეშველი ზმნა. შდრ.: მოლუშ ვუ „სვამს, სმაშია“. მოლუშ აბსოლუტივი, იგივე გერუნდივია, რომელსაც მოსდევს მეშველი ზმნა ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნით.

ანალოგიური ვითარებაა დანარჩენი დროების წარმოების შემთხვევებშიც.

მაშასადამე, მარტივ დროთა ფორმების წარმოებაში ძირითადი ფუნქცია აკისრიათ აფიქსებს, რომლებიც ზმნის ფუძეს მოსდევენ გარკვეული წესის მიხედვით. დროთა წარმოებაში, ამასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ფუძისეულ ხმოვანთა ცვლასაც: ფორმანტისეული ხმოვნები მოქმედებენ ფუძისეულ ხოვნებზე და ცვლიან მათ (შდრ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი: მოლ-უ < მალ-უ). აღსანიშნავია, რომ დროთა წარმოებისას ფუძისეული ხმოვნები არ იცვლებიან ჰებერლოურ დიალექტში, სადაც ხმოვანთა ასიმილაციის აღნიშნული მოვლენა, ა. მაციევის აზრით, არ მოქმედებს (მაციევი 1965, 65). აქედან გამომდინარეობს, რომ ჰებერლოურში დროთა წარმოება ოდენ აფიქსების საშუალებით ხდება და უფრო მარტივია, ვიდრე ჩეჩნურ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებში, სადაც (აფიქ-

სებთან ერთად) გასათვალისწინებელია ფუძისეულ ხმოვანთა ცვლაც.

უღლების სისტემაში განირჩევა დროის აღმნიშვნელი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, რვა ფორმა. ეს ფორმებია:

1. აწმყო: ჰუ^{5} დუო „რას შვრება“?
2. მყოფადი (მარტივი): ჰუ^{5} დ̌ერა „რას იზამს“?
3. მყოფადი (რთული) ჰუ^{5} დ̌ერ დუ „რას იზამს?“
4. ნამყო უწყვეტელი: ჰუ^{5} დურ̌რა „რას შვრებოდა“?
5. ნამყო უახლესი: ჰუ^{5} დი^{5} „რა ქნა?“
6. ნამყო განსაზღვრული: ჰუ^{5} დირა „რა ქნა?“
7. ნამყო განუსაზღვრელი: ჰუ^{5} დინა „რა უქნია?“
8. ნამყო წინარეწარსული: ჰუ^{5} დინ̌ერა „რა უქნია?“

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები: მალა^{5} „დალევა“, საცა^{5} „გაჩერება“.

1. მოლ-უ, სოც-უ; 2. მოლ-უ-რა, სოც-უ-რა; 3. მოლ-უ-რ, სოც-უ-რ; 4. მოლ-უ-რ დ-უ, სოც-უ-რ-დ-უ; 5. მელ-ი^{5}, სეც-ი^{5}; 6. მელ-ი-რა, სეც-ი-რა; 7. მელ-ლა (< მელ-ი-ნა), სეც-ნა (< სეც-ი-ნ-ა); 8. მელ-ლ-ერა (< მელ-ნ-ერა < მელ-ი-ნ-ერა), სეც-ნ-ერა (< სეც-ი-ნ-ერა).

ნათელია, რომ აღნიშნული ფორმები წარმოების მიხედვითაა დალაგებული, ე. ი. ინფინიტივის ფუძისაგან ნაწარმოებია აწმყო და ნამყო უახლესი სხვადასხვა აფიქსებით. ამ ორ ფორმას კი, თავის მხრივ, საწარმოებლად იყენებენ დანარჩენი დროები.

სპეციალურ ლიტერატურაში დროთა თანმიმდევრობა სხვადასხვანაირად არის მოცემული. მაგალითად, ა. თიმაევს ნამყო უწყვეტელი და მყოფადის ფორმები განთავსებული აქვს ნამყო წინარეწარსულის შემდეგ (თიმაევი 1971, 159). ა. ხალიდოვმა, მართალია, აწყოს შემდეგ ჩასვა მყოფადის ფორმები, აგრამ ნამყო უწყვეტელი, რომელიც აწმყოსაგან იწარმოება, დროთა სისტემაში სულ ბოლოს მოაქცია (ხალიდოვი 1987, 185).

ზემოთ მოხმობილ მაგალითებში აწმყოს ფორმანტი -უ იმსგავსებს ფუძისეულ ხმოვანს, ხდება რეგრესული ასიმილაცია (დისტანციური, ნაწილობრივი), აწმყოს მზა ფორმა კი მეორდება მყოფადის ორივე ფორმასა და ნამყო უწყვეტელში.

წარმოების თვალსაზრისით დროთა აღნიშნული ფორმები უპი-

რისპირდებიან ნამყო უახლესს (და მისგან ნაწარმოებ დროებს). ამდენად დროთა ამ ჯგუფს შეიძლება ვუწოდოთ ნამყო უახლესის წრის დროები (ან: ჯგუფი), პირობითად კი ორივეს (აწმყოსა და ნამყოს ჯგუფებს) — I და II სერიის დროები. ნამყო უახლოესისაგან კი ნაწარმოებია: ნამყო განსაზღვრული, ნამყო განუსაზღვრელი და ნამყო წინარეწარსული.

II სერიის დროებში ნამყო უახლესის მაწარმოებელი -ი ფორმანტი მეორდება ნამყო უახლესისაგან ნაწარმოებ ყველა დრო'ში. თავის მხრივ აღნიშნული ფორმანტი აპალატალებს (შდრ., აწმყოს -უ ფორმანტი ალაბიალებდა) და ნაწილობრივ იმსგავსებს ფუძისეულ -ა ხმოვანს (იხ. ქვემოთ). აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენებს, ი. დეშერიევის მიხედვით, შესაბამისად ბაგისმიერი და რბილი უმლაუტი ჰქვია (დეშერიევი 1963). გარდა ამისა, I სერიის დროები გამოხატავენ ისეთ მოქმედებას, რომელიც დამთავრებული არ არის, II სერიისა კი — პირიქით, გამოხატავენ ისეთ მოქმედებას, რომელიც დამთავრებულია.

დროთა ფორმების სერიებად დაყოფა მოსახერხებელია იმ ზმნათა უღლების დროსაც, რომლებიც ორფუძიანი უღლების პრინციპის მიხედვით იცვლებიან (იხ. ქვემოთ).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩეჩნურ ენაში წესიერი ზმნის საუღლებლად საკმარისია ვიცოდეთ აწმყოსა და ნამყო უახლესის ფორმები.

რამდენადაც ნამყო განუსაზღვრელი და ნამყო წინარეწარსული დროები უნახავ მოქმედებას გამოხატავენ, ე. ი. მთქმელი, მოუბარი შედეგის მიხედვით აფასებს მოქმედებას, ნახურ ენათა მკვლევარი დ. იმნაიშვილი დროთა ამ ფორმებს შესაბამისად თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეს უწოდებს (იმნაიშვილი 1954, 327-342). ამ ფორმათა არსებობის საფუძველზე იგი გამოყოფს თურმეობითის კატეგორიას.

ინგუშურ'ში ნამყო უახლესის ფორმა არ დასტურდება. მისი ფუნქცია შეთავსებული აქვს ნამყო განსაზღვრულს. ნამყო უახლესი უნდა ყოფილიყო ინგუშურ ენაშიც. როგორც ჩანს, ფუძე-ნახური ენის დაშლის შემდეგ აღნიშნული ფორმა ინგუშურ ენაში დაიკარგა,

სამაგიეროდ შენარჩუნებულია იგი წოვა-თუშურში, შედარებისათვის ვიტყვით, რომ ფუძე-ნახური ენის დაშლის შემდეგ წოვა-თუშურში ჩამოყალიბდა პირის კატეგორია (დეშერიევი 1963, 465).

როგორც ზემოთ ითქვა, წესიერი უღლების ზმნებისაგან დროთა წარმოებისას ჩეჩნურში საკმარისია აწმყოსა და ნაყო უახლესის ფორმათა ცოდნა. დანარჩენი დროები ამ ორი ფორმისაგან იწარმოება.

ამრიგად, უღლების თვალსაზრისით ჩეჩნურში დროთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: I. აწმყოს ჯგუფის დროები (I სერიის დროები, I სერია) და II. ნამყო უახლესის ჯგუფის დროები (II სერიის დროები, II სერია). აწმყოს ჯგუფის დროების ძირითადი მახასიათებელი ფუძისეულ ხმოვანთა ლაბიალიზაციაა, ნამყო უახლესისა კი — პალატალიზაცია (ან ერთდროულად — პალატალიზაცია — დავიწროება). თუ ვიცით აწმყოსა და ნამყო უახლესის ფორმები, ვაუღლებთ წესიერი უღლების ზმნებს.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

დროები

ა წ მ ყ ო.

პ. უსლარმა აწმყოს მაწარმოებლად -**უ** ფორმანტი გამოყო. მისი თვალსაზრისით, აღნიშნული ფორმანტი აწმყოს აწარმოებს I ტიპის უღლების ზმნებისაგან.

რომელია I ტიპის უღლების ზმნები?

ამ კითხვაზე პ. უსლარი პასუხობს შემდეგნაირად: I ტიპის უღლებისაა ზმნები, რომელთაც ფუძეში აქვთ -ə̄- ხმოვანი ან შემდეგი დიფთონგები: -ии-, -ад-, -ау- და -ов-. შდრ., მაგალითები:

1. лəӀ-а^{н} „ბანაობა“, дəца^{н} „თხრობა“...
2. виерз-а^{н} „დაბრუნება“...
3. ‘адт-а^{н} „დატოვება“, ваьадт-а^{н} „გაგზავნა“...
4. сауц-а^{н} „გაჩერება“ (ბევრისა)...
5. ловз-а^{н} „თამაშობა“... (უსლარი 1888, 82-84).

პ. უსლარის ყურადღების მიღმა დარჩენილა -и- ხმოვნიანი ფუძეები, როგორიცაა: диг-а^{н} „წაყვანა“, дит-а^{н} „დატოვება“ და სხვ. ამ

ზმნებსაც აწმყო ისევე ეწარმოებათ, როგორც **-ი-** ხმოვნიან ფუძეებს.

ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში **-იე-** დიფთონგი არ არის, უნდა იყოს **-ჲე-**. ასევე **-ოჳ-**ის ნაცვლად უნდა იყოს **-ოუ̯-**, რომელიც პ. უსლარს, მართლაც, ამ სახით აქვს მოცემული ზმნაში ბოუდა[ნ] „გაქცევა“ (ბევრისა). ‘აჲთა[ნ], ვახაჲთა[ნ] ფორმები **-ოთ-** (>**ჲთ**) სუფიქსით ნაწარმოები კაუზატივის ფორმებია.

დასახელებულ მაგალითებს აწმყოში ინფინიტივის **-ა[ნ]** (<**ა+ნ**) დაბოლოება ჩამოსცილდება და დაემატება აწმყოს ფორმანტი **-უ**. მაშასადამე, აწმყოში გვექნება: ლიჩ-უ „ბანობს“ ა. შ.

გარდა ამისა, პ. უსლარს ცალკე აქვს გამოყოფილი ზმნები, რომელთაც ფუძეში **-იე-** აქვთ. ასეთი სტრუქტურის ზმნები აწმყოს აწარმოებენ არა -უ- ფორმანტით, არამედ **-ა-**თი. მაგალითად:

ლიელ-ა[ნ] „სიარული, აწმყო: ლიელ-ა „დადის“

თიეშ-ა[ნ] „ნდობა“ თიეშ-ა „ენდობა“

ჴიეთ-ა[ნ] „მიხვედრა“ ჴიეთ-ა „ხვდება“...

პ. უსლარის აზრით, საერთო წესიდან ასეთი გადახვევა ანომალიაა და მისი საფუძველი უცნობია.

აშკარაა, რომ პ. უსლარისეული -იე- კომპლექსიანი ფუძეები თანამედროვე ჩეჩნურში მხოლოდ სიგრძით განსხვავებული დიფთონგებია, ესენია: **-ჲē** და **-ჲე-**. ისინი პოზიციურად უპირისპირდებიან ერთმანეთს: გრძელი ვარიანტი ცალი თანხმოვნის წინ დასტურდება, მეორე კი თანხმოვანთა კომპლექსის (ან: ინტენსიური, გაორმაგებული თანხმოვნის) წინ იჩენს თავს (თუმცა ზოგი გამონაკლისიც გვხვდება სალიტერატურო ენაში).

პ. უსლარის მიხედვით, უღლების II ტიპს განეკუთვნება ფუძეში **-ა-**, **-ā-** ხმოვნიანი ზმნები, რომლებიც აწმყოს, მართალია, -უ ფორმანტით აწარმოებენ, მაგრამ ამავე ფორმანტის გავლენით ხდება ფუძისეულ **ა, ā** ხმოვანთა ლაბიალიზაცია. შდრ.:

ā̆ხ-ა[ნ] „ხვნა“ აწმყო: ᾱხ-უ

ღათთ-ა[ნ] „ადგომა“ ღოთთ-უ...

აღნიშნული სტრუქტურის ზმნებშიც გამოიყოფა ე. წ. გამონაკლისები, რომელთაც, როგორც პ. უსლარმა შენიშნა, აწმყოში -ე ფორმანტი აქვთ, -ე ფორმანტი კი იმსგავსებს ფუძისეულ ხმოვნებს:

დაჟ-ან „ძოვა“, აწმყო: დეჟ-ე; ლათ-ან „დაჭიდება“, აწმყო: ლეთ-ე...

„უცნობია, რით არის განპირობებული ამ ზმნათა გადახრა მე-2 (ტიპის) უღლების ზოგადი ნიმუშისაგან“, — წერს პ. უსლარი (უსლარი 1888, 88).

უნდა ითქვას, რომ აწმყოში -ე ფორმანტი ამჟამად მხოლოდ ზოგ დიალექტშია შემონახული. ასეა, მაგალითად, შატოურში, ქისტურში. ჩეჩნური ენის ბარის კილოსა და სალიტერატურო ჩეჩნურში იგი -ა-ში გადავიდა, თუმცა მისგან გამოწვეული ცვლილებები ფუძეში უცვლელი დარჩა. მაშასადამე, ზმნათა ეს ჯგუფი გამონაკლისს არ წარმოადგენს და მას სათანადო ახსნა ეძებნება: -ე ფორმანტი აწმყოს ერთ-ერთი მაწარმოებელი იყო ჩეჩნური ენის ბარის კილოში (იგი სალიტ. ენაში) და არის ამავე ენის ზოგ დიალექტში.

III ტიპის უღლებაში პ. უსლარმა გააერთიანა ყველა ზმნა, რომელთაც ფუძეში -უ-, -ჳ-, ხმოვნები, ან კიდევ -უო-, -ჳო- დიფთონგები აქვთ. ასეთი სტრუქტურის ფუძეებში აწმყოს -უ ფორმანტი ფუძისეული -უ-, ჳ- ხმოვანთა ცვლილებებს არ იწვევს, მაგრამ ამავე პოზიციაში -ჳო- დიფთონგი იძლევა -უ-ს, -ჳო — დიფთონგი კი — -ჳ-ს (ასიმილაციის შედეგად).

გარდა ამისა, პ. უსლარმა აწმყოს მაწარმოებლად -ო ფორმანტიც გამოყო, შდრ.: დან „კეთება“, აწმყო: დ-ო (დ-ჳო).

მაშასადამე, უღლების ტიპებად დაყოფის მექანიზმის კვლევისას პ. უსლარმა აწმყოს ფორმათა წარმოების პრინციპს მიაქცია ყურადღება, აწმყოს მაწარმოებლად -ა, -უ, -ო ფორმანტები გამოყო, აუხსნელ გამონაკლისებში კი — -ე ფორმანტიც.

1940 წელს დასტამბულ სასკოლო გრამატიკაში, რომელიც ფაქტობრივად ჩეჩნური ენის პირველ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, აწმყოს მაწარმოებლებად გამოყოფილია -ა, -უ, -ო, -ჳ ფორმანტები (გუგიევი... 1940, 156). როგორც ავტორები წინასიტყვაობაში წერენ, ნაშრომს გასცნობია ნ. იაკოვლევი და შენიშვნებიც გაუკეთებია.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში შენიშნულია, რომ: 1. თუ ზმნის ფუძეში არის ბაგისმიერი ო, ჳ, უ, ჳ, დუ, დჳ ხმოვნები თუ დიფთონგები, მაშინ აწმყოში გვაქვს -უ ფორმანტი; 2. თუ ფუძეში

ბაგისმიერი ბგერა არ დასტურდება, მაშინ აწმყოში გვაქვს -ა; 3. -ო, -ჷ ფორმანტები კი გვაქვს ერთმარცვლიანებში (ე. ი. იგულისხმება ხმოვანფუძიანი ან ორფუძიანი ზმნები, რ. ფ.), როგორიცაა, მაგალითად: ლუო „აძლევს“, დუო „აკეთებს“, ჰოუო „მიაქვს“, დჷ „თესავს“... იგივე ფორმანტებია შედგენილ ზმნებშიც, რომლებიც დაᵑ „კეთება“, დალაᵑ „მიცემა“ და სხვ. მეშველი ზმნებით არის ნაწარმოები. შდრ.: ქაზ-დაᵑ „წერა“, აწმყო: ქაზ-დუო „წერს“...

უნდა აღინიშნოს, რომ დუო მიღებული ჩანს შემდეგნაირად: *დ-ა-უ > *დ-ო-უ > დ-უო (‖ > დო დიალ. ვარ.) (მეტათეზისით). შდრ., აგრეთვე: გაᵑ „დანახვა“, აწმყო: *გა-უ > გო-უ > გუო (‖ გო დიალ. ვარ.) (თიმაევი 1971, 158); მაშასადამე, ამოსავალში აქაც აწმყოს მაწარმოებელი -უ უნდა ყოფილიყო. ანალოგიური პროცესი (-უ-ს ფუძეში გადასმა) სახელებშიც დასტურდება. შდრ., წოვა-თუშური ლაუ ‖ ლავ „თოვლი“ და ჩეჩნური ლუო და სხვ.

1941 წელს დაიბეჭდა დ. მალსაგოვის „ჩეჩნურ-ინგუშური დიალექტოლოგია“ (რომელზეც ავტორმა იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია). ამ ნაშრომში აწმყოს მაწარმოებლებად ჩეჩნურში გამოყოფილია ექვსი ფორმანტი: **-უ, -ა, -ოგ, -ჷ, -ოუ, -უო**. ავტორი შენიშნავს, რომ ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობა ჩეჩნურში აწმყოს აწარმოებს **-უ** და **-ა** ფორმანტების საშუალებით, **-ჷ** სულ ხუთ ზმნასთანა გვაქვს (დასახელებულია ხმოვანფუძიანი ზმნები). ასევე ერთეულ ზმნებთან დასტურდება დანარჩენი ფორმანტებიცო (მალსაგოვი დ. 1998, 181-183). როგორც ირკვევა, ეს ერთეული ზმნებიც აწმყოს **-უ** ფორმანტის წინამავალ ხმოვანთან შერწყმით (აღნიშნული ხმოვნის ლაბიალიზაციით) ან სუბსტიტუციით აწარმოებენ. **-ოგ** და **-ოუ** ფორმანტებშიც **-უ-** გამოიყოფა.

ნ. იაკოვლევი წერს, რომ ჩეჩნურში აწმყოს აწარმოებს **-უ** ფორმანტი, **-ა** კი აწმყოს აწარმოებს მცირერიცხოვანი უწესო ზმნებისაგან, ასეთ ზმნებს ჩვენ არ განვიხილავთო (იაკოვლევი 1960, 154). ამავე ფორმანტებს გამოყოფს რ. დოლაქოვაც, ეს აფიქსები ამჟამად ინგუშურში რედუცირებულიაო, შენიშნავს იგი (დოლაქოვა 1961, 26).

სასკოლო გრამატიკის ავტორთა თვალსაზრისს უცვლელად იმეორებს ა. მაციევი (მაციევი 1961, 604), **-ა, -უ, -ო** ფორმანტებს

გამოყოფს ი. დეშერიევი (დეშერიევი 1967, 200), მხოლოდ -ჲ ფორმანტი აქვს გამოყოფილი ი. არსახანოვს (არსახანოვი 1965, 116-117). ა. თიმაევი -ჲ-სთან ერთად -ა-საც გამოყოფს და დასძენს, რომ იგი -ე-საგან მომდინარეობს (თიმაევი 1971, 159), -ჲ-ს და -ე-ს — დ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი 1979, 164), რ. სალამოვა (სალამოვა 1989, 27).

საინტერესოა, რომ, ი. არსახანოვის აზრით, ქისტურ დიალექტში აწმყო იწარმოება არა ფორმანტებით, არამედ ფუძეში ხმოვანთა მონაცვლეობით, ფორმანტები მოკვეცილია იმ შემთხვევაშიც, როცა ფუძეში ხმოვანთა მონაცვლეობა არ ხდება (არსახანოვი 1969, 163-164).

პირველი დებულება დაზუსტებას მოითხოვს; ფუძეში ხმოვან-მონაცვლეობა (უფრო ზუსტად — ასიმილაცია) სწორედ იმ ფორმანტის მიზეზით ხდება, რომელიც აწმყოს აწარმოებს (მაგალითები იხ. ზემოთ), ორივე შემთხვევაში კი ფორმანტები ზეპირმეტყველებაში მოკვეცილია არა მარტო ქისტურში, არამედ თვით ჩეჩნური ენის ბარის კილოშიც: სალიტერატურო ენაში აწმყოს მაწარმოებელთა ფიქსაცია ნორმებით გათვალისწინებული წესების გამო ხდება, უფრო მეტიც, ზმნურ ფუძეებში ხმოვანთა მონაცვლეობის (იგივე ასიმილაციის) კანონზომიერება იძლევა აწმყოს ფორმანტის განსაზღვრის საშუალებას, რაც ზეპირმეტყველებაში ამ ფორმანტების აწყოში არარსებობაზე მიუთითებს.

აწმყოს წარმოება მრავალფეროვნებით ხასიათდება დიალექტების მიხედვით. ამ მხრივ საყურადღებოა ი. არსახანოვის „ჩეჩნური დიალექტოლოგია“ (1969), ა. მაციევის (მაციევი 1965, 61), დ. იმნაიშვილის, ა. თიმაევისა და სხვათა მთელი რიგი ნაშრომები.

როგორც ზემოთ ითქვა, აწმყოს მაწარმოებლად -ე ფორმანტი გამოყო პ. უსლარმა და მას ანომალია უწოდა. ჩვენი ვარაუდით, არც -ე ფორმანტი უნდა იყოს აწმყოს უძველესი მაწარმოებელი, რამდენადაც თვით ეს ხმოვანი ითვლება მეორეულად ნახურ ენებში (იმნაიშვილი 1977, 170).

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში აწმყოს მაწარმოებლად უნდა გამოიყოს -ა, -უ, -ო, -

რ̃, -უ ფორმანტები, რომელთაგანაც პროდუქტიულია -ა და -უ, დანარჩენი სამი კი მცირერიცხოვანი, ერთეული ზმნებისაგან აწარმოებენ აწმყოს. ზმნათა ეს ჯგუფი ჩეჩნურში ან ხმოვანფუძიანია, ან ორფუძიანი (უღლების თვალსაზრისით).

ასე, მაგალითად, -უ ფრმანტი აწმყოს აწარმოებს შემდეგი ზმნებისაგან:

ინფ. და̃ „დაკარგვა“	აწმყო:	დო-უ (< და-უ)
თა̃ „შერიგება“		თო-უ (< თა-უ)
ლა̃ „მოთმენა“		ლო-უ (< ლა-უ)

უნდა აღინიშნოს, რომ უ სალიტ. ენაში გარჩეული არ არის ვ-საგან, ორივე შემთხვევაში იწერება ვ.

აღნიშნულ ზმნათაგან და̃ სინქრონიაში ომონიმური მნიშვნელობისაა (იხ.: ხმოვანფუძიან ზმნათა ფონემატური სტრუქტურა), ამდენად თითოეული მნიშვნელობის მიხედვით აწმყოც განსხვავებული აქვს. შდრ.:

ინფ.	და̃ „დაკარგვა“	აწმყო: დო-უ
	და̃ „მოსვლა"	დრ̃ღ-უ
	და̃ „მოტანა“	დაჰ-ა
	და̃ „დანახვა“	—

ეს უკანასკნელი აწმყოში სესხულობს გა̃ „დანახვა“ ზმნის აწმყოს ფორმას: გუო (< *გა-უ), შდრ., ნამყო დროთა ფორმები: დაჲ, დაჲრა, დაჲნა...

ნათელია, რომ ზემოთ ჩამოთლილი ფორები სხვადასხვა წარმოშობისაა, მათ ისტორიულად ერთმანეთისაგან განსხვავებული სტრუქტურა აქვთ.

აწმყოს ფორმას, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება გამოხატოს წარსული და მომავალი დროც. ასე, მაგალითად: სჲელხანა სჰაგრ̃ღუ სუო ჰაუნხახულა „გუშინ მოვდივარ ტყე-ტყე“; სუო ჯანა წა ვრ̃დუ „მე ხვალ შინ მივდივარ“ (მოსალოდნელი სჰაგრ̃ღურა, ღურ ვუ ფორმათა ნაცვლად). ანალოგიური მაგალითები მითითებული აქვს ნ. იაკოვლევს (იაკოვლევი 1960, 154), მ. ჯამბულათოვას (ჯამბულათოვა 1970, 107).

აწმყოს ფორმის, შესაძლებელია, რომ დროული გაგება სულაც

დაკარგული ჰქონდეს. ასეთი ზმნა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ზოგადად ხდება. ამ მნიშვნელობით ზმნათა გამოყენება ჩვეულებრივია, მაგალითად, ანდაზებში. შდრ.: ქალერლაჩუ ნრრურ ნეხაშ წენა Ქრხუ „ახალი ცოცხი კარგად გვისო“; წრნახ იდდა ბაქჟანა ბაერზა[ნ] ბაგა დახნა „შინიდან გაქცეული პირუტყვი მგლის ხახაში ვარდებაო“... ამავე (ზოგადი მოქმედების) შინაარსისაა: დუნაქ ჰიზა „დედამიწა ბრუნავს“, ათთურ ბუც დო'უ „ძროხა ბალახს ჭამს“ და სხვ. მაგალითების გამრავლება შეიძლება.

აწმყოს წარმოება და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური მოვლენები

ხმოვანთა ასიმილაცია, როგორც ფონეტიკური მოვლენა, ნახურ ენებსა და დიალექტებში დაწვრილებით აქვს განხილული დ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 1979, 160-167). ეს ნაშრომი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს შეჯამებას მანამდე დაბეჭდილი სტატიებისას, რომლებიც ფონეტიკური პროცესების ამა თუ იმ კერძო საკითხებს ეძღვნებოდა. დ. იმნაიშვილის თვალსაზრისი გაზიარებულია ნახურ ენათა ისეთი მკვლევრების მიერ, როგორიცაა ი. არსახანოვი, ა. თიმაევი... ჩვენ ამ შემთხვევაში განვიხილავთ მხოლოდ აწმყოს წარმოებასთან დაკავშირებულ ფონეტიკურ პროცესებს ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში. ამ პროცესთა გათვალისწინებით ნათელი იქნება I სერიაში შემავალ ნაკვთთა (დროთა) გამოყოფის საფუძველი.

-უ ფორმანტი იწვევს წინამავალი (ფუძისეული) ხმოვნის ლაბიალიზაციას, მაგალითად:

ინფინიტივი	აწმყო
დად-ა[ნ] „გაქცევა“	დოდ-უ (< დად-უ)
ღათთა[ნ] „ადგომა“	ღოთთ-უ (< ღათთ-უ)
Ალ-ა[ნ] „თქმა“	Რლ-უ (< Ალ-უ)
ჯᲐბ-ა[ნ] „შენახვა“	ჯᲠბ-უ (< ჯᲐბ-უ)...
დჲელლ-ა[ნ] „გაღება“	დრლლ-უ (< დჲელლ-უ)
დჲელხ-ა[ნ] „ტირილი“	დრლხ-უ (< დჲელხ-უ)
თჲეგ-ა[ნ] „კერვა“	თრგ-უ (< თჲეგ-უ)
ჰაჲეხ-ა[ნ] „რჩევა, დარიგება“	ჰაᲠხ-უ (< ჰაჲეხ-უ)...

დიგ-ა^{ნ} „წაყვანა“	დუ̈გ-უ (< დიგ-უ)
დითთ-ა^{ნ} „(გა)რეცხვა“	დუ̈თთ-უ (< დითთ-უ)
ლი̄ჩ-ა^{ნ} „ბანაობა“	ლუ̈ჩ-უ (< ლი̄ჩ-უ)
ხი̄ც-ა^{ნ} „ცვლა“	ხუ̈ც-უ (< ხი̄ც-უ)...

(შდრ.: ჰაი̄ზ-ა^{ნ} „ტრიალი“ - ჰაი̄ზ-ა)

ცნობილია, რომ კაუზატიურ ფორმებშიც ჩნდება გრძელი **ē** (< **ა + e**) მორფემათა ზღვარზე (იხ. კაუზატიური ფორმები). კაუზატიური ფორმებისაგან ნაწარმოებ აწმყოს ფორმებში **ē > ჳ̈**-ში: ინფ. ა̄ხი̄თა^{ნ} (< ა̄ხა-ით-ა^{ნ}) „მოხვნევინება“, აწმყო: რხჳ̈თუ, ე. ი. ორივე მარცვალშია ლაბიალიზებული ხმოვნები.

ასევე:	დუ̈ხქ-ა^{ნ} „გაყიდვა“	დუხქ-უ (< დუ̈ხქ-უ)
	ჯუ̈სს-ა^{ნ} „გაყიდვა“	ჯუსს-უ (< ჯუ̈სს-უ)
	დუ̈რხ-ა^{ნ} „დანგრევა, დაშლა“	დუ̈ხ-უ (< დუ̈რხ-უ)
	თუ̈რხ-ა^{ნ} „დარტყმა“	თუ̈ხ-უ (< თუ̈რხ-უ)...

როგორც უკვე ითქვა, ფუძისეული **-ჳ̈-** (**-ჳ̈-**) აწმყოს **-უ̈-** ფორმანტით წარმოებისას უცვლელი რჩება (ფუძისეული და ფორმანტისეული ხმოვნების იდენტურობის გამო). შდრ.: დუ̈ზ-ა^{ნ} „ავსება“ — დუ̈ზ-უ „ავსებს“, უღ-ა^{ნ} „ღმუილი“ — უ̈ღ-უ „ღმუის“.., დჳ̈ს-ა^{ნ} „გაბერვა“ — დჳ̈ს-უ „ბერავს“ და სხვ.

აქვე შემოდის ის ზმნები, რომელთაც ფუძეში **-ო-** ხმოვანი აქვთ. **-ო-** ხმოვანი საკვლევ ფუძეებში მეორეულია, იგი **-ა-**საგან მომდინარეობს, მომდევნო **-უ̈-** თანხმოვნის გავლენის შედეგია, ორივე ერთად კი **-ოუ̈-** დიფთონგს ქმნის. ზოგ კილოკავში **-ოუ̈-** დიფთონგის ნაცვლად გვაქვს მისი ამოსავალი ვარიანტი **-აუ̈-**, ასეა, მაგალითად, მაისთურში, სადაც ასიმილაციის ეს სახე არ მოქმედებს.

ზმნათა ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია, სულ ექვსი ფუძე იძებნება. ესენია:

ინფ. დოუ̈ლ-ა^{ნ} „დამთავრება“ (სუბ. მრ-ში)	აწმყო:დოუ̈ლ-უ
დოუ̈დ-ა^{ნ} „გაქცევა“ (სუბ. მრ-ში)	დოუ̈დ-უ
ყოუ̈ლ-ა^{ნ} „დაკეტვა“	ყოუ̈ლ-უ
ლოუ̈ს-ა^{ნ} „გაცრა“	ლოუ̈ს-უ
ლოუ̈ზ-ა^{ნ} თამაში“	ლოუ̈ზ-უ
ჰაოუ̈ს-ა^{ნ} „ყურება“ (სუბ. რ-ში)	ჰაოუ̈ს-უ

შდრ.: მაისთური: დაულ (-უ), დაუდ (-უ), ყაულ (-უ) და ა. შ.

როგორც ზემოთ ითქვა, სალიტერატურო ენაში **უ** და **ვ** ფონემები გარჩეული არ არის. ორივე **ვ** გრაფემით გადმოიცემა და იწერება, მაგ., ასე: დოვდა, ყოვლა..., ორმარცვლიან ზმნებში არ იწერება ინფინიტივის ნიშანიც.

მაშასადამე, ჩეჩნურში აწმყოს ფორმანტისეული **-უ** ხმოვანი ზმნურ ფუძეებში იწვევს ხმოვანთა ლაბიალიზაციას, რის შედეგადაც: ა > ო, ӏ > р, дӏ > р, дӏ > р, и > у, ӏ > у, уо > у, ур > у. ეს არის წესი. ამ წესის მიხედვით კონტროლდება ლაბიალიზაციის გამომწვევი მიზეზი — აწმყოს ფორმანტი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ზეპირმეტყველებაში მოკვეცილია (ან ძალიან ბუნდოვნად ისმის).

აწმყოს ფორმანტის დადგენის სხვა ხერხიც არსებობს: მოკვეცილი ფორმანტი სრული სახით აღდგება სხვა რომელიმე, მაგალითად, აბსოლუტივის **-ш** ფორმანტის წინ.

-а ფორმანტის საშუალებით აწმყოს წარმოებისას ხდება ფუძისეულ ხმოვანთა პალატალიზაცია. რა თქმა უნდა, აწმყოს ფორმანტი **-а** მეორეულია და **-е** ხმოვნისაგან მოდინარეობს, რაც დასტურდება დიალექტური მონაცემების მიხედვით და, აგრეთვე, ზმნის ფუძისეული ხმოვნის ცვლილების სპეციფიკითაც.

მართალია, ფორმანტმა სახე იცვალა, მაგრამ უცვლელი დარჩა ამ ფორმანტის მიზეზით გამოწვეული ფონეტიკური მოვლენა — პალატალიზაცია ზმნურ ფუძეში. შდრ.:

ინფ.:	ჰӏа'-а^{н} „დალექვა“	აწმყო: ჰӏӑ'-а (< ჰӏа'-е)
	ლათთ-а^{н} „დგომა“	ლӑთთ-а (< латт-е)
	ӄа'-а^{н} „ცოდნა“	ӄӑ'-а (< ӄа'-е)
	ҳӏаг-а^{н} „მოწყურება“	ҳӏӑг-а (< ҳӏаг-е)
	ҳӏах-а^{н} „დათენთვა“	ҳӏӑх-а (< ҳӏах-е)
	тӏа'-а^{н} „დახრა“	тӏӑ'-а (< тӏа'-е)
	'а'-а^{н} „დაგროვება“	'ӑ'-а (< 'а'-е)
	ӄарц-а^{н} „ჩამონგრევა“	ӄӑрц-а (< ӄарц-е)
	ҳӏарӏ-а^{н} „გადახვევა“	ҳӏӑрӏ-а (< ҳӏарӏ-е)
	'атӏу-а^{н} „მობეზრება“	'ӑтӏу-а (< 'атӏу-е)

ღართ-ა^{ნ} „გაღება“ ღ̆ართ-ა (< ღართ-ე)
ყარზ-ა^{ნ} „აჭრელება“ ყ̆არზ-ა (< ყარზ-ე)
ჴარდ-ა^{ნ} „დაცინვა“ ჴ̆არდ-ა (< ჴარდ-ე)
ყახქ-ა^{ნ} „დაფრთხობა“ ყ̆ახქ-ა (< ყახქ-ე)
*დარჟ-ა^{ნ} „ამღვრევა, გაშლა“ დ̆არჟ-ა (< დარჟ-ე)

ამავე რიგის მაგალითებია:

თჰაოუს-ა^{ნ} (< თჰააუს-ა^{ნ}) „დაძინება“ თჰაა̆უს-ა (< თჰააუს-ე)
ჰაოუზ-ა^{ნ} (<ჰააუზ-ა^{ნ}) „დატრიალება“ ჰაა̆უზ-ა (< ჰააუზ-ე)
‘ოუდ-ა^{ნ} (< ‘აუდ-ა^{ნ}) „გაწურვა“ ‘ა̆უდ-ა (< ‘აუდ-ე)...

როგორც საილუსტრაციო მაგალითების ანალიზი გვიჩვენებს, აწმყოს მაწარმოებელი **-ე** ფორმანტი (**-ე** ფორმანტი ამჟამად **-ა**-შია გადასული) აპალატალებს ფუძისეულ **ა** ხმოვანს. **ა** > **ა̆**-ში ზმნის ფუძეში შედარებით იშვიათია და ზემოთ მოხმობილი ნიმუშებით შემოიფარგლება. სამაგიეროდ ხშირია შემთხვევები, როცა ფორმანტისეული **-ე** ხმოვანი სრულად იმსგავსებს ფუძისეული **-ა-** ხმოვანს. მაგალითად:

ინფ.: ლაყ-ა^{ნ} „დაშრეტა“ აწმყო: ლეყ-ა (< ლაყ-ე)
ლათ-ა^{ნ} „დაჭიდება“ ლეთ-ა (< ლათ-ე)
ხაბ-ა^{ნ} „დანაოჭება“ ხებ-ა (< ხაბ-ე)
შარშ-ა^{ნ} „სრიალი“ შერშ-ა (< შარშ-ე)
ჭარჩ-ა^{ნ} „დაგორება“ ჭერჩ-ა (< ჭარჩ-ე)
სათთ-ა^{ნ} „გაღუნვა“ სეთთ-ა (< სათთ-ე)
თოუჟ-ა^{ნ} (< თაუჟ-ა^{ნ}) „მიყრდნობა“ თეუჟ-ა(< თაუჟ-ე)
სოუს-ა^{ნ} (< საუს-ა^{ნ}) „აფუება“ სეუს-ა (< საუს-ე)
დოუზ-ა^{ნ} (< დაუზ-ა^{ნ}) „გაცნობა“ დეუზ-ა (< დაუზ-ე)...

მაშასადამე, პალატალიზაციის შემთხვევაში აწმყოში შემდეგი სახის ცვლილებები ხდება:

ა : ა (< ე) > ა̆ ‖ ე : ა > ა̆ ‖ ე : Ø.

აწმყოს **-ა** (< **-ე**) ფორმანტით წარმოებისას ზმნის ფუძისეული **-ჲე-** (‖ **-ჲē-**), **-ō-**, **-ē-** ხმოვნები უცვლელი რჩება, შდრ.: ინფ.: ლჲელა^{ნ} „სიარული“, ლჲელხა^{ნ} „ხტომა, სკდომა“.., წ̄ზა^{ნ} „ზუზუნი“, სი̄სა^{ნ} „დუღილი“, ე̄ტა^{ნ} „დახევა“ და მათგან ნაწარმოები აწმყოს ფორმები: ლჲელ-ა, ლჲელხ-ა, წ̄ზ-ა, სი̄ს-ა, ე̄ტ-ა.

ჩვენი მონაცემებით, მარტივ თანხმოვანფუძიან ზმნათა დაახ-

ლოებით 115 ფუძე აწმყოს აწარმოებს -ა ფორმანტით, იმავე სტრუქტურის დანარჩენი ზმნები -უ ფორმანტით აწარმოებენ აწმყოს.

დასკვნა: აწმყოს წარმოებისას გასათვალისწინებელია ზმნის ფუძისეულ ხმოვანთა ცვლის კანონზომიერებანი. ზმნის ფუძეში ხმოვანთა ლაბიალიზაციას იწვევს **-უ**, ხოლო პალატალიზაციას **-ე** (> ა) ფორმანტები.

აწმყოს წარმოება ომონიმური ზმნებისაგან. აწმყოს განსხვავებულად აწარმოებენ ომონიმური ზმნები. ასეთ ზმნებთან აწმყოში დასტურდება როგორც ა-, ისე -უ ფორმანტები. ეს მაშინ, როცა ნამყო დროებს აღნიშნული ზმნური ფუძეები არ განარჩევენ. შდრ., მაგალითად:

ინფ.: თაჯ-ა^{ნ} „ხოხვა“ აწმყო: თაქ̄ჯ-ა (< თაჯ-ე)
თაჯ-ა^{ნ} „გადახდა“ (მაგ. ვალისა)თოჯ-უ (< თაჯ-უ)

ამ ზმნებს ნამყო დროები ერთნაირი აქვთ:

ნამყო უახლესი: თაქ̄ჯ-ი

ნამყო განსაზღვრული: თაქ̄ჯ-ი-რა

ნამყო განუსაზღვრელი: თაქ̄ჯ-ი-ნა (> თაქ̄ჯ-ნა);

შდრ., აგრეთვე:

დაშ-ა^{ნ} „იმპონირება“ დეშ-ა (< დაშ-ე)
დაშ-ა^{ნ} „პარსვა“ დრშ-უ (< დაშ-უ)

ნამყო დროებში: დეშ-ი, დეშ-ი-რა, დაშ-ნა (დაშ-ი-ნა);

ანალოგიურად აწარმოებენ აწმყოს შემდეგი ომონიმური ზმნები: ხა'-ა^{ნ} „ცოდნა“ და ხა'-ა^{ნ} „დაჯდომა“, ხარც-ა^{ნ} „გადაბრუნება“ და ხარც-ა^{ნ} „გაცვლა“, ლახ-ა^{ნ} „მოჭრა“ (მაგ., კბილისა) და ლახ-ა^{ნ} „ძებნა“ და სხვ.

-რ̄ ფორმანტიანი აწმყო. აწმყოში რამდენიმე ზმნასთან **-რ̄** ფორმანტიც იჩენს თავს. ასეთია, მაგალითად:

ინფ.:ზეე^{ნ} „ძიება“ აწმყო:ზრ̄ (< ზეე + უ)
ლეე^{ნ} „ლაპარაკი“ ლრ̄ (< ლეე + უ)
თეე^{ნ} „დამშვიდება“ თრ̄ (< თეე + უ)
ჰ₁ეე^{ნ} „ზელა“ ჰ₁რ̄ (< ჰ₁ეე + უ)
ე^{ნ} (< ეე^{ნ}) „შერევა“ (<ეე^{ნ}) რ̄ (< ეე + უ)
დეე^{ნ} „დაკვლა, თესვა“ დრ̄ (< დ-ეე + უ)

ჩამოთვლილი ზმნები ხმოვანფუძიანებია (იხ.: ხმოვანფუძიანი ზმნების ფონემატური სტრუქტურა). **ჲე̄** დიფთონგის ლაბიალიზაცია **-უ** ფორმანტს უნდა გამოეწვია. მაშასადამე: ლ̌ < ლჲე̄-უ-საგან და ა. შ.

საფიქრებელია, რომ მოცემულ მაგალითებში ფუძისეული (პირობითად!) დიფთონგის ლაბიალიზაციის შემდეგ აწმყოს ფორმანტი მოიკვეცა (თუ შეერწყა მას?). **ჲე̄** + **უ** > **ṙ** პროცესი ჩვეულებრივია ზმნურ ფუძეებში (შდრ., ზემოთ განხილულ დჲეყ-ა̄ — დ̌ყ-უ და სხვ.).

რა თქმა უნდა, **-ṙ** ფორმანტის გამოყოფა პირობითია, რადგან ამოსავალი **-ჲე̄-** დიფონგი თვითონ შეიცავს ორ სეგმენტს: **-ჲ-** (< **ი**) ზმნის ფუძის კუთვნილებაა, ხოლო **-ე̄** (< **ე** < **ა**) მაერთებელი ხმოვანი ჩანს (ფუძე + **ა** + ინფინიტივის ფორმანტი **-ნ**).

მაშასადამე, აწმყოს მაწარმოებელი ხმოვანფუძიან ზმნებთანაც ისტორიულად **-უ** უნდა ყოფილიყო.

-ო ფორმანტიანი აწმყოს ფორმები ზემოთ იყო განხილული და აქ არ გავიმეორებთ. მეორეულია **-უ̄** (< **უ**), რომელიც რამდენიმე ფუძესთან იჩენს თავს. ასეთია, მაგალითად: ინფ. დ̌ა̄ⁿ „დაკარგვა“, აწმყო დო-უ̄ (< და-უ), ინფ. თ̌ა̄ⁿ „შერიგება“, აწმყო თო-უ̄ (< თა-უ), ჰ̌ა̄ⁿ „შერხევა“, აწმყო: ჰო-უ̄...

დასკვნა: ჩეჩნურ ენაში აწმყოს მაწარმოებლად შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფორმანტები: **-ა̄, -უ, -ო, -უ̄ (< უ), -ṙ**.

ამ ფორმანტთაგან პროდუქტიულია **-ა̄** და **-უ**, დანარჩენები მეორეულია და მათი გამოყენების არეალი უმნიშვნელოა.

აწმყოს აღწერითი ფორმები. ზემოთ განხილული იყო აწმყოს წარმოების სინთეზური ფორმები. ამ ფორმათა გარდა ჩეჩნურში ფართოდ გამოიყენება აგრეთვე აღწერითი (ანალიზური) ფორმებიც. აღწერითი აწმყო ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან პირველი აწმყოს აბსოლუტივია, მეორე — მეშველი ზმნა დუ „არის“. შევადაროთ შემდეგი ზმნების სინთეზური და ანალიზური ფორმები: ა̄ხა̄ⁿ „ხვნა“, დუოთთა̄ⁿ „დასხმა“ (სითხისა), ღათთა̄ⁿ „ადგომა“, დადა̄ⁿ „გაქცევა“. ამ ზმნათაგან პირველი ორი გარდამავალია, მომდევნო ორი კი — გარდაუვალი.

მხ. რ.		მრ. რ.
I. ასა რხუ, დუთთუ	რხა	რხუ, დუთთუ
II. აჰაა რხუ, დუთთუ	აშა	რხუ, დუთთუ
III. ცურ რხუ, დუთთუ	ცარა	რხუ, დუთთუ

I. სუო ღოთთუ, ვოდუ	თხუო ღოუთთუ, დოუდუ
II. ჰაუო ღოთთუ, ვოდუ შუ	ღოუთთუ, დოუდუ
III. ი ‖ იზა ღოთთუ, ვოდუ	უშ ღოუთთუ, ბოუდუ

შენიშვნა: -უ- ინფიქსი ღოუთთუ, დოუდუ (შდრ. ამავე ზმნათა მხ. რ. ფორმები) ტიპის ზმნები განხილულია რიცხვის კატეგორიაში, ხოლო ვოდუ (დოდუ, ბოდუ, დოდუ) ფორმის შესატყვისი დოუდუ (I და II პირი), ბოუდუ (III პირი) ფორმათა შესახებ ლაპარაკია გრამატიკული კლასისადმი მიძღვნილ თავში.

თჳეგუშ ვუ და მის მსგავს აღწერით ფორმებს კონკრეტული აწმყოს გამოხატვის გარდა შეიძლება ჰქონდეთ ხელობის, საქმიანობის აღნიშვნის ფუნქციაც. შდრ.:

თჳეგუშ ვუ „კერავს, კერვაშია“ და „საერთოდ კერავს, მკერავია“

მოლუშ ვუ „სვამს, სმაშია“ და „საერთოდ სვამს, მსმელია“

ლჳეთაშ ვუ „ჰიდაობს, ჰიდაობაშია“ და „საერთოდ ჰიდაობს, მოჰიდავეა“...

ანალოგიური მაგალითების გამრავლება შეიძლება, მაგრამ ასეთი ფუნქცია ყველა ზმნას არ აქვს. ჩანს, რომ მსგავსი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ იმ ზმნებს, რომელთა სემანტიკა ამის შესაძლებლობას იძლევა.

აღწერითი ფორმები -ურ^{5} ფორანტით დაბოლოებული ზმნებისაგანაც იწარმოება. შდრ.:

მალურ^{5} „სმევა“ (ასმევს): იზა გორანა ხი მოლურშ ვუ „ის ცხენს წყალს ასმევს (წყლის სმევაშია)“...

ამავე ზმნათა აღწერითი ფორმები შემდეგი სახისა იქნება:

I. ასა რხუშ დუ, დუთთუშ დუ	რხა რხუშ დუ, დუთთუშ დუ
II. აჰაა რხუშ დუ, დუთთუშ დუ	აშა რხუშ დუ, დუთთუშ დუ
III. ცუო რხუშ დუ, დუთთუშ დუ	ცარა რხუშ დუ, დუთთუშ დუ

I. სუო ღოთთუშ ვუ, ვოდუშ ვუ თხუო ღოუთთუშ დუ, დოუდუშ დუ

II. ჰაუო ღოთთუშ ვუ, ვოდუშ ვუ შუ ღოუთთუშ დუ, დოუდუშ დუ

III. იაიზა ღოთთუშ ვუ, ვოდუშ ვუ უშ ღოუთთუშ ბუ, ბოუდუშ ბუ

გარდამავალ ზმნათა აღწერით ფორმებში მეშველი ზმნა რეალური ობიექტის გრამატიკულ კლასს ასახავს, თუ აბსოლუტივიც კლასნიშნიანი ზმნისაგან არის ნაწარმოები, ისიც, მეშველ ზმნასთან ერთად, რეალური ობიექტის კლასის აღმნიშვნელია. გარდაუვალ ზმნათა აღწერით ფორმებში კი ორივე შემთხვევაში რეალური სუბიექტის კლასია ასახული.

საინტერესოა, რომ ჩეჩნურში გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოები აღწერითი ფორმებიც გამოიყოფა, რომლებთანაც რეალური სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, მეშველი ზმნა სუბიექტის კლასს გამოხატავს, ხოლო აბსოლუტივი — რეალური ობიექტისას, რომელიც ასევე სახელობით ბრუნვაში დგას.

მაშასადამე, წესი, რომლის მიხედვითაც ზმნაში აისახება სახელობითში მდგომი სახელის კლასი. ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება. შდრ.:

მხ. რ. I. სუო (ჴა) რხუშ ვუ „მე (მამაკ.)(ნაკვეთს) ვხნავ“
II. ჰაუო (ჴა) რხუშ ვუ „შენ (ნაკვეთს) ხნავ“
III. იაიზა (ჴა) რხუშ ვუ „ის (ნაკვეთს) ხნავს“

მრ. რ. I. თხუო (ჴა) რხუშ დუ „ჩვენ (ექსკ.)(ნაკვეთს) ვხნავთ“
II. შუ (ჴა) რხუშ დუ „თქვენ (ნაკვეთს) ხნავთ“
III. უშ (ჴა) რხუშ ბუ „ისინი (ნაკვეთს) ხნავენ“

და:

მხ.რ. I. სუო (ხი) დუთთუშ ვუ „მე (მამაკ.) (წყალს) ვასხამ“
II. ჰაუო (ხი) დუთთუშ ვუ „შენ (წყალს) ასხამს“
III. იაიზა (ხი) დუთთუშ ვუ „ის (წყალს) ასხამს“

მრ.რ.I.თხუო (ხი) დუთთუშ დუ „ჩვენ (ექსკ.)(წყალს) ვასხამთ“
II. შუ (ხი) დუთთუშ დუ „თქვენ (წყალს) ასხამთ“
III. უშ (ხი) დუთთუშ ბუ „ისინი (წყალს) ასხამენ“

მეორე პარადიგმის („სუო ხი დუთთუშ ვუ“) აბსოლუტივის ფორმა იმ სახელის კლასს გამოხატავს, რასაც ასხამენ (ამ შემთხვევაში — წყლისა), ე. ი. რეალური ობიექტისა, კლასის ნიშანი ცვალებადია ობიექტის კლასის ნიშნის შესაბამისად. შდრ., მაგ.: სუო ქომფოთ დუთთუშ ვუ „მე კომპოტს ვასხამ“ და სხვა, აღწერით ფორმათა მეშველი ზმნა კი რეალური სუბიექტის გრამატიკულ კლასს გვიჩვენებს. აწმყოს აღწერითი ფორმები, რამდენადაც ვიცით, პირველად შენიშნული აქვს ი. არსახანოვს (არსახანოვი 1965, 117).

ვრდუშ ვუ „მიდის (მამაკ.)“, ლოუზუშ დუ „თამაშობს (მაგ., ბავშვი)“ ტიპის აღწერით ფორმათა პირველი ნაწილი მიმღეობად მიიჩნია მ. ჯამბულათოვამ (ჯამბულათოვა 1970, 106). აღნიშნულ ზმნათა მიმღეობებია ვრდუ, ლოუზუ, ხოლო ვრდუშ, ლოუზუშ ფორმები, როგორც ზემოთ ითქვა, აწმყოს აბსოლუტივის ფორმებია. თუ აბსოლუტივის მომდევნოდ ჩვეულებრივია მეშველი ზმნა, მიმღეობის მომდევნოდ იგი გამორიცხულია, მიმღეობას სახელი მოსდევს, მიმღეობა სახელთანაა კავშირში. შდრ.: ვრდუ კანთ „მიმავალი ბიჭი“, ლოუზუ ბერ „მოთამაშე ბავშვი“... თუ მიმღეობა დამოუკიდებლად არის ნახმარი, გასუბსტანტივებულია, მაშინ მას თავისი მაწარმოებელი ექნება (იხ.: მიმღეობა).

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ აწმყოს აღწერითი ფორმა წარმოადგენს აწმყოს აბსოლუტივს + ვუ (დუ, ბუ, დუ) მეშველი ზმნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზმნის უარყოფით ფორმებში მეშველი ზმნის მტკიცებით ფორმას ჩაენაცვლება ამავე ზმნის უარყოფითი ფორმა ვაც (დაც, ბაც, დაც).

მყოფადი

ჩეჩნურში მყოფადის ორი სახეობა განირჩევა.

მყოფადის პირველი სახეობა გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება შეიძლება შესრულდეს (ან არ შესრულდეს). ზმნის ამ ფორმას სპეციალურ ლიტერატურაში მარტივ მყოფადს (შესაძლებელ მყოფადს) უწოდებენ (მყოფადი განსაზღვრული — პ. უსლარი).

მყოფადის მეორე სახეობა გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება აუცილებლად, უეჭველად შესრულდება (ან არ შესრულ-

დება). ზმნის ამ სახეობას რთული, ანალიტიკური, ფაქტობრივი მყოფადი ჰქვია. ორივე ეს სახეობა სრული ასპექტისაა.

წარმოების თვალსაზრისით მყოფადის ორივე სახეობა დროთა აწმყოს ჯგუფს (I სერიას) განეკუთვნება, ორივე სახეობა აწმყოს ფორმისაგან იწარმოება: თუ ვიცით აწმყოს ფორმა, მისგან მყოფადის სახეობათა წარმოება სიძნელეს არ წარმოადგენს.

მარტივი მყოფადის ფორმა აწმყოზე -რ სუფიქსის დართვით იწარმოება. შდრ.:

აწმყო	მარტივი მყოფადი
ლჲეთ-ა „ჰიდაობს“	ლჲეთ-ა-რ
ლჳთთ-ა „დგას“	ლჳთთ-ა-რ
სოც-უ „ჩერდება“	სოც-უ-რ
რხ-უ „ხნავს“	რხ-უ-რ...

მარტივი მყოფადის ფორმაზე დ-უ „არის“ (დ- ცვლებადი გრამატიკული კლასის ნიშანია) მეშველი ზმნის დართვით იწარმოება მყოფადის რთული (აღწერითი) ფორმა. მაგალითად:

გარდაუვალი: ლჲეთარ ვ-უ (დ-უ, ჲ-უ, ბ-უ), ლჳთთარ ვ-უ, სოცურ ვ-უ;

გარდამავალი: რხურ დ-უ, დ-იითურ დ-უ „გარეცხავს“...

მხ. რ., გარდ. სუო ვ-რღურ ვ-უ „მე მოვალ“
ჰჲუო ვ-რღურ ვ-უ „შენ მოხვალ“
იზა ვ-რღურ ვ-უ „ის მოვა“

შდრ. მრ. რიცხვის ფორმები:

თხუო (ვაჲ) დ-რღურ დ-უ „ჩვენ მოვალთ“
შუ დრღურ დ-უ „თქვენ მოხვალთ“
უშ ბრღურ ბ-უ „ისინი მოვლენ“...

მყოფადის ფორმით გამოხატული მოქმედება უნდა შესრულდეს საუბრის შემდეგ, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, როდის — ახლო თუ შორეულ მომავალში. აღწერითი ფორმის პირველი ნაწილი ნაირგვარია დიალექტების მიხედვით. სალიტ. ენის ისეთ ფორმას, როგორიცაა რხურ დუ „მოხნავს“ დიალექტებში შეესაბამება: ჰებერლოურში ახურიგ დუ (მაციევი 1965, 65). დ. იმნაიშვილი ჰებერლოურში **-ოგ** სუფიქსს არ ადასტურებს, შდრ.: ვაღორ ვუ „მოვა“, თაურ

დუ „მორიგდება“ (იმნაიშვილი 1966, 300); ქისტურში — Რხურგ დუ (ალიროევი 1962, 47), ინგუშურში — Რახარგ და (მაციევი 1965, 65), შატოურში — ღუაგ (< ღუარგ) დუ "წავა" (თიმაევი 1967, 25) და სხვა. როგორც ა. თიმაევის ნაშრომიდან ჩანს, ამ მხრივ მთელი რიგი ფონეტიკური პროცესები განვითარებულია შოტოურში (ფუძისეულ და ფორმანტისეულ ბგერათა დაკარგვა, ასიმილაცია...).

-რგ (< **-რიგ**) დამოუკიდებელი მიმღეობის მაწარმოებელია, აწმყოსიც და ნამყოსიც. შდრ.: ვᲠღურგ „მიმავალი“, ვრღურგ „მომავალი“, ‘ულლურგ „მწოლიარე“, ლᲠხურგ „მძებნელი“..., ვახანარგ „წასული“, ვე’ანარგ „მოსული“, ‘ილლინარგ „ის, ვინც იწვა“, ლეხნარგ „ის, ვინც ეძება“...

აწმყოს მიმღეობის მსგავსება აღწერითი მყოფადის პირველ ნაწილთან (დიალექტთა უმეტესობაში კი მათი იდენტურობა) იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ აღწერითი მყოფადი ნაწარმოები არის სწორედ აწმყოს მიმღეობისაგან მეშველი ზმნის დართვით (გონიაშვილი 1970, 17; იმნაიშვილი 1976, 167; გირეევი 1986, 40...).

ჩვენი ვარაუდით, აღწერითი მყოფადის პირველი ნაწილი აწმყოს მიმღეობას არ წარმოადგენს. აწმყოს მიმღეობასთან თავისთავადაც შეიძლება შეგვხვდეს მეშველი ზმნა, მაგრამ მეშველი ზმნის დართვა აწმყოს მიმღეობის მყოფადის მიმღეობაში გადასვლას არ იწვევს, არც თვით აღწერით ფორმას ეძლევა მყოფადის შინაარსი. შდრ.: ჰარა დეში ლᲠხურგ ვუ „ეს ოქროს მძებნელია“ ‘ულლურგ ვუ „მწოლიარე არის, მწოლიარეა“...

აღწერითი მყოფადის I ნაწილი უნდა იყოს მარტივი მყოფადის ფორმა **-რ** ფორმანტით ნაწარმოები აწმყოსაგან. აღნიშნულ ფორმასთან **-გ** (< **იგ**) სუფიქსი აწმყოს მიმღეობის ანალოგიით ჩანს გაჩენილი. **-გ** სუფიქსი კი მყოფადის მაწარმოებელი **-რ** ფორმანტის ჩავარდნასაც იწვევს, მაგალითად, შატოურში (იხ. ზემოთ: ღუა-გ...).

შენიშნულია, რომ მარტივი მყოფადი თანდათან იცვლება აღწერითი მყოფადით, გადის ხმარებიდან, მისი გამოყენების არეალი მცირდება (იაკოვლევი 1960, 155). თ. გონიაშვილის დაკვირვებით იგი ზოგ კილოკავში განიდევნა კიდეც (გონიაშვილი 1970, 16-17).

მყოფადის წარმოების ზოგი თავისებურება. სპეციალურ ლიტე-

რატურაში შენიშნულია, რომ ზნათა ერთი ნაწილი მყოფადს თავისებურად აწარმოებს. მხედველობაშია ისეთი ზნები, რომელთაგანაც მარტივი მყოფადი აწმყოსაგან არ იწარმოება (თიმაევი 1971, 163).

განვიხილოთ ასეთი ზმნები ცალ-ცალკე.

1. რამდენიმე ზმნა, რომელთა ფუძე ლარინგალურ აბრუპტივ ' (ხმის წყვეტა) -ზე ბოლოვდება, მყოფადს აწარმოებს შემდეგნაირად:

ინფ.	აწმყო	მარტივი მყოფადი
ლა'ა^{ნ} „ნდომა“	ლაʔ-ა	ლუ'-უ-რ
და'ა^{ნ} „ჭამა“	დუო-უ (‖დო-უ)	დუ'-უ-რ
ხა'ა^{ნ} „ცოდნა“	ხაʔ-ა	ხუ'-უ-რ

ნათელია, რომ მოცემულ მაგალითებში მყოფადი საწარმოებლად არ იყენებს აწმყოს ფორმას. ამ ზმნათაგან აწმყოს აბსოლუტივიცა და მიმღეობაც არ იწარმოება აწმყოსაგან. სხვა შემთხვევებში აბსოლუტივი და მიმღეობა, ჩვეულებრივ, აწმყოსაგან არის ნაწარმოები. შდრ.: ლუ'უშ, დუ'უშ, ხუ'უშ აბსოლუტივები და ლუ'ურგ, დუ'ურგ, ხუ'ურგ მიმღეობები.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჩამოთვლილ ზმნათა აწმყოს ფორმები მეორეულია, ძველი ვითარება კი შემორჩენილია სახელზმნურ ფორმებში, ე. ი. აწმყოში უნდა გვქონოდა: ლუ'-უ, დუ'-უ, ხუ'-უ, რომელთაგანაც კანონზომიერად მივიღეთ **-შ** ფორმანტის საშუალებით აბსოლუტივი, **-რგ** ფორმანტით — მიმღეობა და **-რ** ფორმანტით კი — მარტივი მყოფადის ფორმები.

2. აწმყოს ძველი ფორმები უნდა იყოს გამოყენებული მყოფადის საწარმოებლად ისეთ ერთმარცვლიან ზმნებში, როგორიცაა: გა' „დანახვა“, 'ა^{ნ} „უძრავად, მშვიდად ყოფნა“, და^{ნ} „კეთება“. შევადაროთ ამ ზმნათაგან ნაწარმოები აწმყოს, აწმყოს აბსოლუტივისა და აწმყოს მიმღეობის ფორმები მყოფადისას:

აწმყო	აწმყოს აბსოლუტივი	აწმყოს მიმღეობა	მყოფადი
გუო	გუ-შ	გუ-რგ	გუ-რ
'ა	'ეე-შ	'ეე-რგ	'ეე-რ
დუო‖დო	დეე-შ	დიე-რგ	დეე-რ

მარტივი მყოფადი ეყრდნობა იმ ფუძეს, რასაც აბსოლუტივი

და მიმღეობა, აწმყოში ქისტურში სწორედ ის ფუძეებია, რომლებიც, მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტივში გვაქვს. დ^{ნ} ზმნა გარდამავალია და ქისტურში ორი ფორმა შეესატყვისება: I და II პ. დᲔე || დე, III პ. დუო || დო. ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში ეს მესამე პირის ფორმაა განზოგადებული, დᲔე || დე რომ სალიტერატურო ენაშიც იყო, ადასტურებს იმავე ზმნის აბსოლუტივის ფორმა. დასკვნა: აქაც აწმყოს ფორმები მეორეულია.

მაშასადამე, ზოგ ერთმარცვლიან ზმნაშიც, მყოფადის წარმოების თვალსაზრისით, იგივე ვითარება გვაქვს, როგორიც წინა პუნქტშია მოცემული.

3. მეტად თავისებურად აწარმოებენ მყოფადს ზმნები: Ალა^{ნ} „თქმა“, დᲐლა^{ნ} (ერთგზ.), დᲘლა^{ნ} (მრავალგზ.) „აღმოცენება, დამთავრება, გადასვლა“, ხილა^{ნ} „ყოფნა“, მალა^{ნ} "დალევა" (ერთგზ.), მᲘლა^{ნ} (მრავალგზ.) „სმა“. შდრ.:

აწმყო:	მარტ. მყოფ.
რლ-უ „ამბობს“	Ა̈რ
დრლ-უ „ამთავრებს“	დᲐრ
ხულ-უ „არის (ხოლმე)“	ხირ
მოლ-უ (მᲘლ-უ) „სვამს“	მᲓერ (მᲘრ)
დᲐლა^{ნ} „დამთავრება“	დᲐრ‖დერ დუ

მარტივი მყოფადი ამ შემთხვევაში უცვლელად მეორდება აღწერით მყოფადშიც მეშველი ზმნის დართვით.

მაშასადამე, ჩამოთვლილ ზმნათა მყოფადის ფორმებში ფუძისეული **ლ** თანხმოვანი წარმოდგენილი არ არის (სხვა ფონეტიკურ მოვლენებთან ერთად).

საანალიზო მასალაში **-რ** ფორმანტს ქისტურში **Ø** მოსდევს: Ა̈რჰ, ხირჰ, მარჰ || მᲘრჰ... ხომ არ არის **Ø** რომელიმე სხვა ბგერის რეფლექსი? ქვემოთ დავინახავთ, რომ **Ø** სხვა ანალოგიურ შემთხვევებში არ ჩანს. იქ მიმღეობისებური დაბოლოებებია.

ჩამოთვლილ ფუძეთა შედარება წოვა-თუშური ენის სათანადო მასალასთან გვიჩვენებს, რომ ოთხივე შემთხვევაში ჩეჩნურ **–ლ**-ს წოვურში შეესატყვისება ყრუ ლატერალური სპირანტი ლ̓. შდრ.: Ალ̓ა^{ნ}, დალ̓ა^{ნ}, ხილ̓ა^{ნ}, მალ̓ა^{ნ}.

როგორც ვარაუდობენ, ლატერალი **ლ**' ნახურ ფუძე-ენაში იყო და მისი შესატყვისი **ლ** ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში აღნიშნული ლატერალის რეფლექს წარმოადგენს (სანიკიძე 1968; იმნაიშვილი 1977, 194-195).

ფუძისეული -**ლ**-ს ჩავარდნის პროცესი თითქმის სისტემებრ არის გატარებული ქისტური დიალექტის კილოკავებში. შდრ., მაგალითად:

ინფინიტივი	მარტივი მყოფადი
ვᲔლა^{5} „გაცინება“	ვᲔრქ ვუ
დუᲠლა^{5} „დაწყება, შედგომა“	დუართ‖დუორქ‖დუარქ დუ
დილლა^{5} „დადება“	დირქ ‖ დირქ დუ
დᲘლა^{5} (მრავალგზ., ნ. დუᲠლა^{5})	დᲘრქ ‖ დირთ დუ
დოულა^{5} (S მრ., ნ. დᲐლა^{5})	დოურთ დუ და ა. შ.

რამდენადაც ვიცით, **ლ** არ იკარგება რამდენიმე ზმნურ ფუძეში, ესენია:

დᲔელლა^{5} „გაღება“	დᲔელლურ დუ
ლᲐლა^{5} „გადნობა“	ლᲔლერ ‖ ლᲔლარ დუ
ლᲔელა^{5} „სიარული	ლᲔელერ ‖ ლᲔᲔლარ დუ
ჴუოლლა^{5} „დახურვა“	ჴულლურ დუ

არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ზოგ ამ ფორმას პარალელურად შეიძლება ჰქონდეს სრული ვარიანტიც (მაგ., დილა^{5}: დილურ ‖ დირთ ‖ დირქ დუ). უპირატესად მაინც შეკუმშული ფუძეებია გამოყენებული.

საინტერესოა Ალა^{5} „თქმა“ ზმნის უღლების ერთი თავისებურებაც. ამ ზმნას ქისტურში ნამყო განსაზღვრულში ორი ფორმა აქვს: Ელირ(ა) ‖ Არჰ(ა). ორივეს ერთი და იგივე შინაარსი აქვს, მათ შორის განსხვავება, ფორმობრივის გარდა, არ არსებობს. მოულოდნელია Არჰ(ა) ფორმის არსებობა. იგი შეიძლება მიღებული იყოს შემდეგნაირად: Არჰა < Არლ'ა < Ალ'რა < ალ'ირა. არსებობს მოსაზრება, რომ დარგუულ ენაში „მყოფადი ჯერ არ არის საკმაოდ ჩამოყალიბებული და დიალექტების მიხედვით მისი გამოხატვა სხვადასხვანაირია“ (მაჰომეტოვი 1981, 9).

მყოფადის წარმოებიდან გამომდინარე იგი მეორეული ჩანს

აწმყოსთან შედარებით. ფრიად მრავალფეროვანია მყოფადის ფორმები დიალექტების მიხედვითაც, თვით დიალექტის შიგნითაც კი კილოკავების დონეზე. მყოფადის წარმოების ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლა კვლავაც აქტუალურ საკითხად რჩება.

ნამყო უწყვეტელი

ნამყო უწყვეტელი (ან: ნამყო უსრული) იწარმოება აწმყოს ფორმისაგან **-რა** სუფიქსის საშუალებით. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ფორმანტით არის ნაწარმოები აწმყო, მაშასადამე, ნამყო უწვეტელი განეკუთვნება დროთა აწმყოს წრეს, ანუ I სერიას.

ნამყო უწყვეტელი გვიჩვენებს მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობდა უწყვეტად, დაუსრულებლად. ეს არის ისეთი მოქმედება, რომელიც გრძელდებოდა წარსულში, საუბრამდე. ზმნის აღნიშნული ფორმა მიუთითებს იმაზეც, რომ მოქმედების პროცესი მიმდინარეობდა მოუბრის თანდასწრებით, მის თვალწინ. როგორც ა. ხალიდოვი აღნიშნავს, ასეთი მოქმედების შედეგი უცნობია (ხალიდოვი 1987, 187). მაგალითად:

ʀხ-უ-რა „ხნავდა“
ʀლ-უ-რა „ამბობდა, იტყოდა“
ხეზ-ა-რა „ისმოდა“
ლᲥელ-ა-რა „დადიოდა“ და სხვ.

მოქმედების უწყვეტობის შინაარსიდან გამომდინარე დროის ამ ფორმას აქვს მოქმედების განმეორებადობის, მრავალგზისობის გაგება, რაც ქართულად „ხოლმე“ ნაწილაკის საშუალებით გადმოიცემა. შდრ.: ʀლ-უ-რა „ამბობდა ხოლმე, იტყოდა ხოლმე“...

ჩეჩნურ ზმნას აქვს გზისობის, ანუ ასპექტის, კატეგორია. ასპექტურად დაპირისპირებული ფორმები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აწარმოებენ დროთა ფორმებს, მათ შორის ნამყო უწყვეტელსაც. განსხვავება მათ შორის, ალბათ, ნამყო უწყვეტელში განმეორებასა (ერთგზის ან უასპექტო ზმნებში) და უწყვეტობაში (მრავალგზისი, დიურატიული ასპექტის ზმნებში) უნდა იყოს საძიებელი.

ჩეჩნურში, როგორც დროთა სისტემის სქემიდან ჩანს, ნამყო დროთა ხუთი ფორმა გამოიყოფა. ამ ფორმათაგან ნამყო უწყვეტელი ერთადერთია, რომელიც დაუმთავრებელ მოქმედებას გამოხატავს.

არ არის მართებული ნამყო უწყვეტლის მაწარმოებლად **-ურა**, **-არა** ფორმანტების გამოყოფა (არსახანოვი 1969, 165 და სხვ.), ან კიდევ ინგუშურში **-ар** (< **-арa**) ფორმანტში **-а-** ხმოვნის მაერთებელ ხმოვნად გამოცხადება (დალაქოვა 1961, 35). ასეთი მცდარი დასკვნები სხვა მკვლევართა ნააზრევშიც შეინიშნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხმოვანი, რომელიც **-р** ფორმანტის წინ დგას, აწმყოს მაწარმოებელია, აწმყოს ეკუთვნის. ნამყო უწყვეტელს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ხოლმეობითის ფუნქციაც აქვს: რლურა „ამბობდა ხოლმე, იტყოდა ხოლმე"...

ნამყო უახლესი

ნამყო უახლესი აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც „თქმის პროცესთან ძლიერ ახლო ხანში შესრულდა: ეხი[ნ] „აი ახლა დახნა" (იმნაიშვილი 1954, 328). პ. უსლარის მიხედვით დროის ამ ფორმას прошедшее недавное ჰქვია, ნამყო უახლოესს ეძახის მას დ. იმნაიშვილი.

ნამყო უახლესის მაწარმოებელია **-о** ფორმანტი. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, **-о** ოდნავ ნაზალიზებულია, ხმოვნის ნაზალურობა სალიტერატურო ენაში არ ფიქსირდება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა (იხ. დროთა სისტემა), ნამყო უახლესის ფორმა ინგუშურში არ დასტურდება. ინგუშურში იგი ფუძენახური ენის დაშლის შემდეგ ჩანს დაკარგული. ნამყო უახლესს ინგუშურში ცვლის ნამყო განუსაზღვრული ზმნისართით ჰანზ(а) „ახლა". ზმნისართი უსწრებს დროის აღმნიშვნელ ფორმას. შდრ., ჩეჩნური: სუო ვახა[ნ] და ინგუშური: სუო ჰანზ(а) ვახარ „მე წავედი" (მალსაგოვი დ. 1998, 172; დეშერიევი 1959, 20). მ. ჯამბულათოვას აზრით კი ჩეჩნურის ნამყო უახლესს ინგუშურში შეესატყვისება ნამყო განუსაზღვრელის ფორმა, რომელსაც ენკლიტიკის სახით მოსდევს მეშველი ზმნის თანხმოვნითი ნაწილი (იგივე გრამატ. კლასის ნიშანი). შდრ., ინგუშური ӓნნად (< ӓნნა დ-а) „თქვა" (ჯამბულათოვა 1970, 110).

ნამყო უახლესის ფორმა არ ჩანს ჩეჩნური ენის კილოკავებშიც, როგორიცაა: ნაშხოური, ლამახიური, სადაც ნამყო უახლესი აღწერითად იწარმოება ინგუშურის მსგავსად (არსახანოვი 1969: 199, 132).

ნ. იაკოვლევის მოსაზრებით, -ი ფორმანტის ნაზალურობა მიუთითებს მის წარმომავლობაზე -ინ-ისაგან, ეს ეჭვგარეშეაო, აცხადებს ნ. იაკოვლევი. საინტერესოა, რომ, იმავე მკვლევრის აზრით, ნამყო უახლესი მიღებულია ნამყო განუსაზღვრელისაგან (იაკოვლევი 1960, 155-156).

მაშასადამე, ნამყო უახლესით გამოხატული მოქმედება ახლახან, ლაპარაკის წინ მოხდა, მოუბარი ესწრებოდა მოქმედების პროცესს, დროის ეს ფორმა გამოხატავს, რომ მოქმედება დამთავრებულია.

ნამყო უახლესი განეკუთვნება ნამყო დროთა წრეს (ჯგუფს), მისგან არის ნაწარმოები დანარჩენი ნამყო დროები. ამდენად დროთა ამ ჯგუფს II სერიის დროები, II სერიაც შეიძლება ეწოდოს (ასეც ეძახის დ. იმნაიშვილი).

აქედან გამომდინარე, არ არის მართებული ნ. იაკოვლევის მოსაზრება, რომ ნამყო უახლესი ნაწარმოებია ნამყო განუსაზღვრელისაგან. პირიქით, ნამყო განუსაზღვრელი საწარმოებლად ნამყო უახლესს იყენებს. შდრ.: ēხი^{5} (ნამყო უახლესი) და ēხ-и-на (> ӓხ-на) (ნამყო განუსაზღვრელი).

ნამყო უახლესის ფორმანტი -и იწვევს ზმნის ფუძისეული ხმოვნის პალატალიზაციას, პალატალიზაცია-დავიწროებას (იმნაიშვილი 1958, 18). ეს ფონეტიკური მოვლენა ნამყოს ჯგუფის დროთა II სერიად გამოყოფის ერთ-ერთი საფუძველია (შდრ.: აწმყოს ძირითადი მაწარმოებელი -ӯ ფუძისეული ხმოვნის ლაბიალიზაციას იწვევს). შესაბამის პროცესებზე ბაცბურში მიუთითებს რ. გაგუა (გაგუა 1956, 470).

ნამყო უახლესის წარმოებისას ფუძისეულ ხმოვანთა პალატალიზაციის რამდენიმე მოდიფიკაცია განირჩევა. კერძოდ:

1. а (ӓ) > е (ē)
2. ӕ (ӕ̄) > и (ӣ)
3. ӯ (ӯ̄) > ӱ (ӱ̄ — პალატალიზაცია-დავიწროებით)
4. у (ӯ) > ӱ (ӱ̄)

მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

1. საც-ა^{5} „გაჩერება“ — სეც-ი^{6} (< საც-ი^{5}), მალ-ა^{5} „დალევა“ — მელ-ი^{6} (< მალ-ი^{5}): დად-ა^{5} „გაქცევა“ — დედ-ი^{6} (< დად-ი^{5})... ლაც-ა^{5} „დაჭერა“ — ლეც-ი^{6} (< ლაც-ი^{5}): ალ-ა^{5} „თქმა“ — ელ-ი^{6} (< ალ-ი^{5}), ახ-ა^{5} „ხვნა“ — ეხ-ი^{6} (< ახ-ი^{5})...

შენიშვნა: ', ჰ, ჴ ბგერათა მეზობლობაში (პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს) და რამდენიმე სხვა შემთხვევაში, რომელიც ახსნას არ ექვემდებარება, ნამყო უახლესში ფუძისეული -ა- > -ა̈-ში: 'ა'-ა^{5} „დაგროვება“ — 'ა̈'-ი^{6} (< 'ა'-ი^{5}), თა'-ა^{5} „მოხრა“ — თა̈'-ი^{6} (<თა'-ი^{5}), აჰა-ა^{5} „დაფქვა“ — ა̈ჰა-ი^{6} (< აჰა-ი^{5}), დაჰა-ა^{5} „წალება“ — და̈ჰა-ი^{6} (< დაჰა-ი^{5}), ჴარდ-ა^{5} „დაცინვა“ — ჴა̈რდ-ი^{6} (< ჴარდ-ი^{5}), დაჴჭ-ა^{5} „წართმევა“ — დეჴჭ-ი^{6} (< დაჴჭ-ი^{5}), მაგრამ: ყასთ-ა^{5} „განდგომა“ — ყა̈სთ-ი^{6} (< ყასთ-ი^{5}), ხათთ-ა^{5} „შეკითხვა“ — ხა̈თთ-ი^{6} (< ხათთ-ი^{5})....

ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ეს ფონეტიკური პროცესი არ მოქმედებს, ამიტომ იქ ა > ე — წესი გამონაკლისის გარეშეა.

2. ხჷეთთ-ა^{5} „კითხვა“ — ხითთ-ი^{6} (< ხჷეთთ-ი^{5}), დჷეხ̌ა^{5} „შეკვრა“ — დიხ̌ჭ-ი^{6}... ლჷეხ-ა^{5} „ძებნა“ — ლიხ-ი^{6} (< ლჷეხ-ი^{5}), თჷეშ-ა^{5} „ნდობა“ — თიშ-ი^{6}...

3. ტუოთთ-ა^{5} „დასხმა“ — ტითთ-ი^{6} (< ტუოთთ-ი^{5}), ხუოთთ-ა^{5} „გადაბმა“ — ხითთ-ი^{6}... თურლ-ა^{5} „გამარჯვება“ — თულ-ი^{6} (< თურლ-ი^{5}), თურხ-ა^{5} „დარტყმა“ — თუხ-ი^{6} (< თუროხ-ი^{5})...

4. დუზ-ა^{5} „ავსება“ — დუზ-ი^{6} (< დუზ-ი^{5}), უღ-ა^{5} „ყმუილი“ — უ̈ღ-ი^{6} (< უღ-ი^{5})... თუს-ა^{5} „გამოპირვა“ — თუ̈ს-ი^{6} (< თუს-ი^{5}), ხუდ-ა^{5} „შეწოვა“ — ხუ̈დ-ი^{6} (ხურდ-ი^{5})...

ფუძისეული -ი- (‖-ე-) ხმოვანი ნამყო უახლესში, რა თქმა უნდა, ფორმანტისეული -ი-ს გავლენით ცვლილებებს არ განიცდის:

დიგ-ა^{5} „წაყვანა“ — დიგ-ი^{6}, დით-ა^{5} „დატოვება“ — დით-ი^{6}...

დიღ-ა^{5} „რგვა“ — დიღ-ი^{6}, დიც-ა^{5} „მოყოლა, თხრობა“ — დიც-ი^{6}...

ფუძისეული -ოუ- დიფთონგის -о- ხმოვანიც იძლევა ნამყო უახლესში -ა̈-ს. ეს იმიტომ ხდება, რომ -ოუ- დიფთონგი მეორეულია, მომდინარეობს -аუ-ისაგან, -а- კი ჰ, '- ბგერათა მეზობლობაში, როგორც ზემოთ ითქვა, ა̈-ს იძლევა: თჰოუს-ა^{5} „დაძინება“ — თჰა̈უს-ი^{6}

(< თჰაუს-ი^{n}): ჰოუზ-ა^{n} „დაგრეხა“ —ჰაუზ-ი^{n}..., ‘ოუდ-ა^{n} „მოჭერა, დაწურვა“ — ‘აუდ-ი^{n}, ‘ოუშ-ა^{n} „დაღეჭვა“ — ‘აუშ-ი^{n}...

ხმოვანთა პალატალიზაციის შემთხვევები (ფუძისეული ან ფორმანტისეული **-ი-** ხმოვნის გავლენით წინა ხმოვანზე) სახელებშიც დასტურდება (არსახანოვი 1981; მაგომედოვი 1974...).

ფუძისეული **-ა-** ხმოვანი არ იცვლება, თუ ზმნის ფორმა კაუზატივია ან წარმოქმნილია **-ურ^{n}** სუფიქსით.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ის ფონეტიკური მოვლენები, რომლებსაც ნამყო უახლესის **-ი** ფორმანტი იწვევს ზმნის ფუძეში, ზოგი გამონაკლისის გარდა (ნამყო განუსაზღვრელში ზოგჯერ რედუცირდება **-ი** ფორმანტი), უცვლელად მეორდება ნამყო დროთა სისტემაში.

ნამყო უახლესს თავისებურად აწარმოებს ორადორი ზმნა. ესენია:

ვ-ახ-ა^{n} „წასვლა“ — ვ-ახ-ა^{n} „წავიდა“ და დ-ა^{n} „მოსვლა, მოტანა“ — დ**ე**ე’-ა^{n} „მოვიდა, მოიტანა“. საფიქრებელია, რომ ორივე შემთხვევაში ნამყო უახლესის მაწარმოებელი **-ე** ფორმანტი უნდა ყოფილიყო: დ**ე**ე’-ა^{n} ფორმის ფუძისეული **-ა-** (დ**ა**^{n} < **და**-ა^{n}), ჩანს, ფორმანტისეული **-ე**-ს გავლენით იქცა **ე**-დ (სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე). ამ ვარაუდს ამყარებს აგრეთვე ისეთი ფორმები ქისტური დიალექტის ზოგ კილოკავში, როგორიცაა: ვ-ეხ-ე^{n} (< ვ-ახ-ე^{n}), დ**ე**ე^{n} (< დ**ე**ე-ე^{n} ფუძისეული ხმოვნის დავიწროებით).

მაშასადამე, დასახელებულ ორ ზმნაში ნამყო უახლესის მაწარმოებლად **-ა** ფორმანტი მეორეული ჩანს, **-ე**-საგან მიღებული.

ნამყო უახლესის წარმოებისას თავისებურებას გვიჩვენებენ ე. წ. ხმოვანფუძიანი ზმნები CV სტრუქტურისა, შდრ.:

თ**ა**^{n} (< თა-ა^{n}) „შერიგება“ — თ**აჲ**^{n} (< თა-ი^{n})

ლ**ა**^{n} (< ლა-ა^{n}) „ნდომა“ — ლ**აჲ**^{n} (< ლა-ი^{n})...

ამ მაგალითებში ფუძისეული **-ა-** ხმოვნის მომდევნო **-ი** ფორმანტი **ჲ**-ს იძლევა და წინა ხმოვანთან დიფთონგს ქმნის.

იმავე პოზიციაში **-ე**- (**-ე̄**-) დიფთონგის მომდევნო **-ი** ფორმანტი ერწყმის მას ასიმილაციის შემდეგ:

ჰ**ე**ე^{n} „ზელა“ — ჰ**ე̄**^{n} (< ჰ**ე**ი-ი^{n} < ჰ**ე**ე-ი^{n})

ლდე^{ნ} „ლაპარაკი — ლი^{ნ} (< ლი-ი^{ნ} < ლდე-ი^{ნ})...
'დე̄^{ნ} „დარჩენა“ — 'ი^{ნ}
დდე̄^{ნ} „დათესვა“ — დი^{ნ}...

VC სტრუქტურის ზმნებისაგან ნამყო უახლესის წარმოება გვაფარაუდებინებს, რომ აღნიშნულ პოზიციაში **ე** ხმოვანი (მარტივი თუ გრძელი) მეორეულია, იგი მიღებული ჩანს **-დე-** (**-დე̄-**) დიფთონგისაგან. შდრ.:

ეჴჳ-ა^{ნ} „(გა)სკდომა“ — იჴჳ-ი^{ნ}
ეხ-ა^{ნ} „დენა“ — იხ-ი^{ნ}...
ე̄შ-ა^{ნ} „(და)კლება“ — ი̄შ-ი^{ნ}
ე̄ღ-ა^{ნ} „წაჩხუბება“ — ი̄ღ-ი^{ნ}
ე̄ტ-ა^{ნ} „ხევა“ — ი̄ტ-ი^{ნ}
ე̄ჰჲ-ა^{ნ} „შეჩეჩება“ — ი̄ჰჲ-ი^{ნ}
ე̄ც-ა^{ნ} „აღება“ — ი̄ც-ი^{ნ}

ამოსავალი ფორმა დაცულია, მაგალითად, ხილდიხაროულში, სადაც თავკიდურ პოზიციაში -და- (> -დე-) დიფთონგი გვაქვს.

ამრიგად, ნამყო უახლესის ფორმისაგან ჩეჩნურში იწარმოება ყველა ნამყო დრო, რომლებიც დამთავრებულ მოქმედებას გამოხატავენ. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნამყო უახლესი უძველესია ნამყო დროებს შორის. ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში, სადაც ნამყო უახლესის ფორმა ამჟამად არ დასტურდება, მეორეული მოვლენა ჩანს, იგი დაკარგული უნდა იყოს ინგუშურ ენაშიც.

ნამყო განსაზღვრული

ნამყო განსაზღვრული გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ნამყო უახლესთან შედარებით უფრო ადრე მოხდა, ამასთანავე მოუბარი ამ მოქმედების თვითმხილველია, მომსწრეა. მაშასადამე, ეს არის ნამყოს ნამყო ფორმა, განსაზღვრული.

ნამყო განსაზღვრული (ნამყო სრული — პ. უსლარი, რ. დოლაქოვა..., ნამყო ნახული — ნ. იაკოვლევი, ი. ალიროევი.., ნამყო განსაზღვრული — დ. იმნაიშვილი...) იწარმოება ნამყო უახლესისაგან **-რა** ფორმანტის საშუალებით, შდრ.:

ნამყო უახლესი	ნამყო განსაზღვრული
სეც-ი^{ნ} „გაჩერდა“	სეც-ი-რა
ლეხ-ი^{ნ} „მოძებნა“	ლეხ-ი-რა
ლეყ-ი^{ნ} „დაიშრიტა“	ლეყ-ი-რა
ჴებ-ი^{ნ} „შეინახა“	ჴებ-ი-რა...

როგორც ჩანს, ნამყო უახლესის მაწარმოებლის ნაზალური ელემენტი, რომელიც მეტად სუსტია და დიალექტებში თითქმის არ ჩანს, ნამყო განსაზღვრულში დაიკარგა.

როგორც ზემოთ ითქვა, ინგუშურს არა აქვს ნამყო უახლესის ფორმა, მის ფუნქციას ინგუშურში **-რა** (> **-რა**) ფორმანტიანი ნამყო განსაზღვრული ასრულებს ჰანზ(ა) ზმნისართთან ერთად. შდრ.: ჰანზ(ა) ვახარ „ახლა წავიდა“ (მალსაგოვი 1988, 183-184; დეშერიევი 1956, 69, 39...).

ნ. იაკოვლევის აზრით, ნამყო განსაზღვრული იწარმოება ნამყო განუსაზღვრელისაგან **-ნა** ფორმანტის **-ორა**-თი შეცვლით (იაკოვლევი 1960, 150). **-ორა** ფორმანტი რთული შედგენილობისაა, **-ო-** ნამყო უახლესის მაწარმოებელია, **-რა** კი — ნამყო განსაზღვრულისა. აქედან გამომდინარეობს, რომ ნამყო განუსაზღვრელი ნამყო განსაზღვრულის წარმოებაში მონაწილეობას არ იღებს. პირიქით, ნამყო განუსაზღვრელიც საწარმოებლად ნამყო უახლესს იყენებს (იხ. ნამყო განუსაზღვრელი).

ამრიგად, ნამყო განსაზღვრულის საწარმოებლად საკმარისია ნამყო უახლესის, როგორც მისი საყრდენი ფორმის, ცოდნა. **-რა** ფორმანტის დართვა ნამყო უახლესის ფუძისეული ხმოვნის რაიმე სახის ცვლილებებს არ იწვევს.

ნამყო განუსაზღვრელი

ნამყო განუსაზღვრელი სპეც. ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: თხრობითი (პ. უსლარი), ნამყო სრული (ნ. იაკოვლევი), ნამყო ახლახან წარსული (რ. დოლაქოვა), ნამყო წყვეტილი (დ. იმნაიშვილი, თ. გონიაშვილი), ნამყო განუსაზღვრელი (დ. იმნაიშვილი).

ნამყო დროთა სისტემაში გამოიყოფა ისეთი ფორმა, რომელიც უნახავ მოქმედებას გამოხატავს, მაგრამ მოუბარი მის შესახებ შედეგის მიხედვით მსჯელობს, აღნიშნული მოქმედების პროცესი დამთავრებულია. სწორედ მოქმედების უნახაობის გამოხატვით განირჩევა ნამყო განუსაზღვრელი ნამყო განსაზღვრულისაგან: პირველი უნახავ, მეორე კი ნახულ (ნანახ) მოქმედებას გამოხატავს. დროული განსხვავება მათ შორის არ ჩანს, ორივე ნამყოა, უფრო ზუსტად — ნამყოს ნამყო, ორივე ნამყო უახლესისაგან არის ნაწარმოები.

ნამყო განუსაზღვრელის მოქმედების უნახაობის ფუნქციიდან გამომდინარე მას თურმეობითსაც უწოდებენ, იგი ქართული ენის თურმეობით პირველს უდრის (იმნაიშვილი 1954, 88, 328).

ნამყო განუსაზღვრელი იწარმოება, როგორც ითქვა, ნამყო უახლესისაგან **-ნა** ფორმანტის საშუალებით. შდრ.:

ინფ.	ნ. უახლ.	ნ.განუს
ჴაძჴა^{ნ} „დაძახება“	.ჴაძჴ-ი^{ნ}	. ჴაძჴ-ი-ნა
დით-ა^{ნ} „დატოვება“	დით-ი^{ნ}	დით-ი-ნა
ყახქ-ა^{ნ} „დაფრთხობა“	ყäხქ-ი^{ნ}	ყäხქ-ი-ნა
ლაშერ-ა^{ნ} „თვლა“	ლაშრ-ი^{ნ}	ლაშრ-ი-ნა
ლაშუ-ა^{ნ} „დამალვა“	ლაშუ-ი^{ნ}	ლაშუ-ი-ნა...

შევნიშნავთ, რომ დროის ამ ფორმისათვის, პ. უსლარის მიხედვით, **-ნე** ფორმანტია გამოსაყოფი: შდრ.: ხილლე (< ხილ-ი-ნე) (უსლარი 1888, 74).

ჩეჩნური ჴაძჴინა-ს შესატყვისი ინგუშურში არის ჴაძჴად. ანალოგიურ ფორმათა ანალიზის საფუძველზე რ. დოლაქოვა ასკვნის, რომ ორივე მომდინარეობს აღწერითი ფორმისაგან, რადგან: ჴაძჴად < ჴაძჴინა დუ/და „დაძახებული არის“. მისი აზრით, ჩეჩნურში ჩავარდა მეშველი ზმნა და ნამყოს მიმღეობამ იკისრა ნამყო განუსაზღვრელი დროის გამოხატვის ფუნქცია, ინგუშურში კი მეშველი ზმნა, ფორმაწარმოების ელემენტის სახით, დაერთო მიმღეობის ფორმა (დოლაქოვა 1961, 53-57).

მაშასადამე, ინგუშურს არა აქვს ნამყო განუსაზღვრელის მარტივი ფორმა, ნამყო განუსაზღვრელი ინგუშურში აღწერითია: მიმღეობა + მეშველი ზმნის თანხმოვნითი ნაწილი.

ცნობილია, რომ ნამყო განუსაზღვრელი ჩეჩნურში მართლაც იხმარება მიმღეობის ფუნქციით, ეს მაშინ ხდება, როცა ის სინტაგმაში არსებით სახელთან არის დაკავშირებული და, ზედსართავის მსგავსად, უსწრებს მას (პრეპოზიციური წყობა). შდრ.: ჯაჯინა სთაგ „დაძახებული, მიწვეული (მიპატიჟებული) ადამიანი, კაცი"; ლეუზინა კანთ „ნათამაშევი ბიჭი"...

გვარის კატეგორიის უქონლობის გამო მიმღეობაც არ განარჩევს გვარს. იგივე ჯაჯინა სთაგ ითარგმნება როგორც „დაძახებული" (მიპატიჟებული) კაცი", ისე "დამძახებელი (მიმპატიჟებელი) კაცი". გვარის მიხედვით სემანტიკური დიფერენციაცია კონტექსტის საშუალებით არის შესაძლებელი.

ჩეჩნურისათვის არ არის უცხო ნამყო განუსაზღვრელის აღწერითი წარმოება, პარალელურად შეიძლება, გამოყენებული იყოს, მაგალითად: ვახანა „წასულა" და ვახანა ვუ „წასული არის". ვახანა მეორე შემთხვევაში იგივე ნამყო განუსაზღვრელის ფორმა უნდა იყოს, რომელიც მეშველ ზმნასთან ნამყოს მიმღეობის ფორმას იძენს.

ნამყო განუსაზღვრელის წარმოებისას ხშირ შემთხვევაში იკარგება ნამყო უახლესის **-ი-** ფორმანტი. **-ი-**ს ჩავარდნის შემთხვევაში უშუალო მეზობლობაში აღმოჩენილი ფუძისეული და ფორმანტისეული (-ნა) თანხმოვნები ერთმანეთს იმსგავსებენ. თანხმოვანთა ასიმილაცია, მოცემულ პოზიციაში, ერთმანეთისაგან განსხვავებულია დიალექტებისა და ენების მიხედვით. **-ი-** ფორმანტის ჩავარდნის შემთხვევაში ზმნის ფუძისეული ხმოვანიც შეიძლება სხვაგვარად შეიცვალოს.

ნამყო დროთა წარმოების საწყის ფორმად, ნ. იაკოვლევის აზრით, სწორედ ნამყო განუსაზღვრელია მიჩნეული: პ. უსლარსაც ნამყო განუსაზღვრელი მიაჩნია ამოსავალ ფორმადო, აცხადებს იგი. მისი უპირატესობა, მაგალითად, ნამყო უახლესთან შედარებით, ის არის, რომ ნამყო განუსაზღვრელი უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველებაში, მისი აფიქსები მერყეობა (გულისხმობს -ნა და -ი-ნა ფორმანტებს), ამ ფორმის ცოდნა საშუალებას გვაძლევს დანარჩენი ნამყო დროები (ნამყო უწყვეტლის გარდა) შეუცდომლად ვაწარმოოთ წესიერი უღლების ზმნებისაგანო (იაკოვლევი 1960, 157-158).

მაშასადამე, ნამყო დროთა წარმოებაში უგულებელყოფილია

მორფოლოგიური, სტრუქტურული მხარე. თუ რატომაა ნამყო დროებისათვის ამოსავალი ნამყო უახლესი, ზემოთ არის ნაჩვენები და აქ არ გავიმეორებთ (იხ. ნამყო უახლესი).

უნდა აღინიშნოს, რომ ნამყო განუსაზღვრელის რედუცირებული ფორმები ჩეჩნურში თანდათან იფართოებენ გავრცელების სფეროს, რედუცირებულ და არარედუცირებულ ფორმათა პარალელური ხმარება ზოგ დიალექტში ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა (იაკოვლევი 1960, 158).

ნამყო უახლესის წარმოების განხილვისას ნათქვამია, რომ ვახა^{ნ} „წასვლა", ვა^{ნ} „მოსვლა" ზმნებისაგან ნამყო უახლესი იწარმოება **-ა** ფორმანტის საშუალებით (და არა **-ი-** ფორმანტით): ვახ-ა, ვეე'-ა.

ეს ორი ზმნა **-ა** ფორმანტს ინარჩუნებს ნამყო განუსაზღვრელშიც: ვახ-ა-ნა, ვე'-ა-ნა.

დასკვნა: ნამყო განუსაზღვრელში ფუძის მომდევნოდ შეიძლება იყოს -ი-ნა (ნამყო უახლესის ფორმანტს + ნამყო განუსაზღვრელის ფორმანტი), -Ø-ნა (რედუცირებულია ნამყო უახლესის ფორმანტი); -ა-ნა (გამონაკლისს ქმნის ორი ზმნა).

განვიხილოთ ნამყო განუსაზღვრელის წარმოების თავისებურებანი ფონეტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით.

ნამყო განუსაზღვრელის წარმოებისას თვალში საცემია ისეთი ფონეტიკური მოვლენა, როცა ზმნური აუსლაუტისეული **ლ, დ, თ, ტ** თანხმოვნები იმსგავსებენ ნამყო განუსაზღვრელის მაწარმოებლის, **-ნა** ფორმანტის, თანხმოვნით ნაწილს. მაშასადამე, ხდება სრული პროგრესული ასიმილაცია. ეს მაშინ ხდება, როცა ფუძისეულ თანხმოვანს უშუალოდ მოსდევს ფორმანტისეული თანხმოვანი ნამყო უახლესის **-ი-** ფორმანტის ჩავარდნის შედეგად (**-ი-**ს ჩავარდნით ფუძე იკუმშება).

ნამყო განუსაზღვრელის წარმოებისას თანხმოვანთა ასიმილაცია, პ. უსლარიდან მოყოლებული, შენიშნული აქვს ჩეჩნური ენის ყველა მკვლევარს, ვინც კი დროთა წარმოებას ან ფონეტიკურ მოვლენებს შეეხო. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, შემაჯამებელია დ. იმნაიშვილის ნაშრომები (იმნაიშვილი 1972, 55; 1977, 250-252), მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები:

ა) ლ + ნ > ლლ:

ბ) ინფ.	ნ.განუს
Ალ-ა^{ნ} „თქმა“	Ალლა (< Ალ-ი-ნა)
ჯᲘლ-ა^{ნ} „ტარება“	ჯილლა (< ჯᲘლ-ი-ნა)
ლᲓᲔლ-ა^{ნ} „სიარული“	ლᲓელლა (< ლᲓᲔლ-ი-ნა)
მალ-ა^{ნ} „დალევა“	მელლა (< მალ-ი-ნა)
თᲓᲔლა^{ნ} „მიცემა (მრავალგზ. ასპ.)	თᲓელლა (< თᲓᲔლ-ი-ნა)
თილ-ა^{ნ} „დაბნევა, შეშლა“	თილლა (< თილ-ი-ნა)
თუᲠლ-ა^{ნ} „გამარჯვება“	თᲠლლა (< თუᲠლ-ი-ნა)
დუᲠლ-ა^{ნ} „დაწყება, შედგომა“	დᲠლლა (< დუᲠლ-ი-ნა)
დᲐლ-ა^{ნ} „აღმოცენება“	დᲐლლა (< დᲐლ-ი-ნა)
დᲘლ-ა^{ნ} „აღმოცენება“(მრავ. ასპ.)	დილლა (<დილლ-ი-ნა)...

აღნიშნულ მოვლენას გემინაციასაც უწოდებს ზოგიერთი მკვლევარი. ეს ისეთი გემინაციაა, რომელიც ფონეტიკურ პროცესებთან არის დაკავშირებული (დეშერიევი 1981, 137-138; ალიროევი 1964, 96; 1986, 56; თიმაევი 1966, 111-112).

ამ წესს გამონაკლისებიც აქვს. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ მაგალითებზე არავინ მიუთითებს და ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აღნიშნული წესი უგამონაკლისო იყოს. თანხმოვანთა ასიმილაცია არ ხდება, თუ ნამყო განუსაზღვრელის წარმოებისას **-ი-** ფორმანტი არ რედუცირდება, შდრ.:

ჯᲐლ-ა^{ნ} „გადახურვა, ამოვლება“	ჯᲔლ-ი-ნა
ლᲐლ-ა^{ნ} „დნობა“	ლᲔლ-ინა
ყᲘლ-ა^{ნ} „დაკეტვა“ (მრავალგზ. ასპ.)	ყᲘლ-ი-ნა

სავარაუდოა, რომ ჩამოთვლილ ფორმებში ნამყო განუსაზღვრელს დიალექტებში ჰქონდეს ასიმირებული ვარიანტებიც.

-ი- ფორმანტი არ რედუცირდება ინტენსიური **ლლ** თანხმოვნის შემდეგაც, ამიტომ ასეთ პოზიციაშიც, რა თქმა უნდა, ასიმილაცია გამორიცხულია. შდრ.:

ინფ. ჯალლ-ა^{ნ} „მოკბეჩა, შეჯმა“	ნ. განუს. ჯᲐლლ-ი-ნა
ლალლ-ა^{ნ} „გაგდება“	ლᲐლლ-ი-ნა

თილლ-ა^{ნ} „დახურვა“ თილლ-ი-ნა

ʻილლ-ა^{ნ} „წოლა“ ʻილლ-ი-ნა...

როგორც ჩანს, ინტენსიური (ან: ორმაგი) **ლლ** თანხმოვანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იმსგავსებს ფორმანტისეულ თანხმოვანს, ნამყო უახლესის შენარჩუნების მიზეზიც, ალბათ, ამაშია საძიებელი.

ბ) დ + ნ > დდ:

ინფ. იდ-ა^{ნ} „სირბილი“ იდდა (< იდ-ი-ნა)

დად-ა^{ნ} „გაქცევა“ დედდა (< დად-ი-ნა)

ქად-ა^{ნ} „ჩივილი“ ქედდა (< ქად-ი-ნა)

ხად-ა^{ნ} „გაწყვეტა“ ხადდა (< ხად-ი-ნა)...

რამდენიმე გამონაკლისს, როგორიცაა, ჯოუდ-ა^{ნ} „შეწვდენა“ — ჯეუდ-ინა, ʻრდ-ა^{ნ} „გაწურვა“ (მრავალგზ. ასპ.) — ʻრდ-ი-ნა, ʻოუდ-ა^{ნ} „გაწურვა“ (ერთგზის. ასპ.) — ʻაუდ-ი-ნა... ახსნა სჭირდება.

ჩამოთვლილი გამონაკლისები საერთო წესს ექვემდებარებიან, მაგალითად, ქისტურში. შდრ., ქისტური: ჯოუდდე/ა (< ჯოუდ-ი-ნა) და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ **დ + ნ** > დდ ნამყო განუსაზღვრელში უგამონაკლისოა.

გ) თ + ნ > თთ:

აღნიშნული პროცესი ხდება იმ შემთხვევაში, როცა ფუძე ბოლოვდება **თ**-თი. ასეთი ზმნები ცოტაა, შდრ.:

ინფ. ათ-ა^{ნ} „დანაყვა“	ნ. განუს. ათთა (< ათ-ი-ნა)
ჰდეთ-ა^{ნ} „მიხვედრა“	ჰეთთა (< ჰდეთ-ი-ნა)
ლათ-ა^{ნ} „დაჭიდება“	ლეთთა (< ლათ-ი-ნა)
ხდეთ-ა^{ნ} „ჩათვლა, მიჩნევა“	ხეთთა (< ხდეთ-ი-ნა)
დათ-ა^{ნ} „შედედება“	დეთთა (< დათ-ი-ნა)
დათ-ა^{ნ} „ჩვენება“	დათთა (< დათ-ი-ნა)

როგორც ითქვა, ასიმილაცია არ ხდება მაშინ, თუ **თ**-ს წინ რომელიმე თანხმოვანი დგას ან თვით იგი არის ინტენსიური, შდრ.:

ინფ. ყასთ-ა^{ნ} „გა(მო)ყოფა“	ნ. განუს. ყასთ-ი-ნა
ლასთ-ა^{ნ} „შერხევა“	ლდესთ-ი-ნა
ჰაასთ-ა^{ნ} „მოფერება“	ჰაასთ-ი-ნა...

ლათთ-ა^{ნ} „დგომა“ ლა̈თთ-ი-ნა
ღათთ-ა^{ნ} „ადგომა“ ღა̈თთ-ი-ნა
ხათთ-ა^{ნ} „შეკითხვა“ ხა̈თთ-ი-ნა

მაგალითების გამრავლება შეიძლება, ასეთი ფორმები სამ ათეულზე მეტია.

დ) ტ + ნ > ტტ:

და̈ტ-ა^{ნ} „გახლეჩა, გაპობა“ და̈ტტა (< და̈ტ-ი-ნა)
ე̈ტ-ა^{ნ} „დახევა“ (მრავალგზ. ასპ.) ეტტა (< ტ-ი-ნა)

ნამყო განუსაზღვრელის წარმოებისას ყურადღებას იქცევს ფუძისეულ ხმოვანთა სიგრძის საკითხიც. ფუძისეული გრძელი ხმოვანი, როგორც ჩანს, ასიმილაციის შედეგად გაჩენილი ორმაგი თანხმოვნების წინ სიგრძეს კარგავს, მარტივდება (მაგალითები იხ. ზემოთ). გამონაკლისს ქმნის გრძელი **ო**. ჩვენი ვარაუდით, **ო**-ც მარტივი უნდა იყოს, რამდენადაც თანხმოვანთა კომპლექსების ან ინტენსიური თანხმოვნების წინ ჩეჩნურში გრძელი ხმოვნები არ დასტურდება.

გარდა ამისა, ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში სპორადულად შეინიშნება ასიმილაციის ისეთი შემთხვევები, როცა ფუძისეული **ც, ბ** და **ჩ** თანხმოვნები იმსგავსებენ ფორმანტისეულ **-ნ**-ს, შდრ.: სეცცა (< სეც-ნა < სეც-ი-ნა < საც-ი-ნა) „გაჩერდა“; ეცცა (< ეცნა) „იყიდა“; ჰეჩჩა (< ჰეჩ-ნა < ჰეჩ-ი-ნა < ჯაჩ-ი-ნა), — ჯაბბა (< ჯაბ-ნა) „შეინახა“.

ვითარება უფრო შორს არის წასული ბარის კილოს ნადტერეჩნის კილოკავში, სადაც ფუძისეული თითქმის ყველა თანხმოვანი იმსგავსებს ფორმანტისეულ **-ნ**-ს (იაკოვლევი 1960, 160-161). მაშასადამე, აღნიშნულ კილოკავში, როგორც წესი, ნამყო განუსაზღვრელი უსრული (შეკუმშული) ფუძეებით არის წარმოდგენილი. წესი გამონაკლისების გარეშე არ არსებობს, გამონაკლისები ამ შემთხვევაშიც გვაქვს: აქა-იქ შეინიშნება სრული (შეუკუმშველი) ფუძეები, ზოგი ფუძე პარალელურად — შეკუმშული (და, მაშასადამე, ასიმილირებული) და შეუკუმშველი — იხმარება.

ნამყო განუსაზღვრელის წარმოება საინტერესო ჩვენებას იძლევა ინგუშურში. ჩეჩნურისაგან განსხვავებით ინგუშურში ფორმანტისეული **-ნ** იმსგავსებს ფუძისეულ -ლ-ს, ე.ი. ინგუშურში პირიქით — ასიმილაცია რეგრესულია. შდრ.: ჩეჩნური მელლა „დაულევია“,

ალლა „უთქვამს“ და ინგ.: მეენნა-დ, ანნა-დ (< მეელ-ნა, ალ-ნა...).

ი. დეშერიევის მიხედვით, ალლა მიღებულია შემდეგნაირად: ალინა > აილნა > ალლა, ე.ი. ფორმანტისეული ხმოვანი გადასმულია ფუძეში (მეტათეზისი) (დეშერიევი 1981, 131). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის ასიმილაციასთან გვაქვს საქმე და არა მეტათეზისთან.

ახიურ დიალექტს არ ახასიათებს ნამყო განუსაზღვრელში ასიმილაცია. ახიურში ჩვეულებრივ უასიმილაციო ფორმებია გამოყენებული. ასეთია, მაგალითად: ალნა (ალიროევი 1964, 96).

სამაგიეროდ, შატოურში, როგორც გამორკვეულია, აღნიშნული პროცესის გავრცელების არეალი შეუდარებლად უფრო ფართოა, იგი სხვა თანხმოვნებზეც ვრცელდება, რომლებიც ფორმანტისეულ **-ნ**-ს იმსგავსებენ. შდრ.: დაბ-ბა (< დაბ-ნა) „წასულა“ (ბ+ნ>ბბ), ჰაჳ-ჳა (<ჰაჳ-ნა) „მოუთიბავს“ (ჳ+ნ>ჳჳ), ’უეზ-ზა (<’უეზ-ნა) „აუწონია“ (ზ+ნ > ზზ). ანალოგიურად შატოურში : ყ+ნ>ყყ, შ+ნ>შშ, ჟ+ნ>ჟჟ და სხვ. (თიმაევი 1972, 97-98).

ც, ჩ თანხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეებისაგან ნამყო განუსაზღვრელის წარმოების თავისებურებანი (ც+ნ>ცნ>სნ>სთ; ჩ+ნ>ჩნ>შნ>შთ) ზოგი დიალექტის მიხედვით შესწავლილი აქვთ დ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 1972, 22), რ. სალამოვას (სალამოვა 1982, 153).

ნამყო განუსაზღვრელის წარმოების მრავალფეროვნება ჩეჩნური ენის დიალექტებში აშკარაა. კითხვა ისმის: რა ვითარება იყო ამოსავალში? ამ კითხვაზე პასუხი, როგორც მაგალითებიდან ჩანს, ახიურმა უნდა გაგვცეს: ახიურის ვითარება ამოსავალი უნდა იყოს ჩეჩნური ენის ყველა დიალექტისათვის, ინგუშური ენისათვის.

ვფიქრობთ, სამართლიანია თ. გონიაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „ნახურ ენათა ადრეულ მდგომარეობაში ნამყო წყვეტილი (ე.ი. ნამყო განუსაზღვრელი) იყო **-ნ**-არიანი, ურედუქციო და უასიმილაციო, ზმნის ფუძეში ძირეული თანხმოვანი დაცული იყო, ასეთი ერთფეროვანი მოდელი ჩეჩნურმა შეინარჩუნა ზმნათა ერთ ნაწილში, მოდელი დაირღვა რედუქციის შედეგად წარმოქმნილი პოზიციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა და საფუძვლად დაედო ჩეჩნურ კილოთა დაცილებას“ (გონიაშვილი 1984, 15).

ნამყო წინარეწარსული

ნამყო წინარეწარსული გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას, რომელიც იმ მოქმედებაზე ადრე მოხდა, საუბრამდე რომ შესრულდა.

დროის ეს ფორმა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სახელებით: **давнопрошедшее** — პ. უსლარი, **преждепрошедшее** — ნ. იაკოვლევი, ნამყო წინარეწარსული (დ. იმნაიშვილი...) პ. უსლარისეული ტერმინის თარგმანია.

ნამყო წინარეწარსულით გამოხატული მოქმედების დრო, მართალია, სადავო არ გამხდარა, მაგრამ მასზე სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვანაირად მიუთითებს. მაგალითად, მიუთითებენ, რომ აღნიშნული მოქმედება იმ მოქმედებაზე დიდი ხნით ადრე მოხდა, საუბრამდე რომ შესრულდა (არსახანოვი 1965, 122; ხალიდოვი 1987, 187...), ან კიდევ გახაზავენ, რომ იგი უშუალოდ უსწრებდა საუბრამდე შესრულებულ მოქმედებას (დოლაქოვა 1965, 57...).

ნამყო წინარეწარსული იწარმოება ნამყო განუსაზღვრელისაგან -ᲓᲔრა ფორმანტის დართვით. ნამყო განუსაზღვრელისაგან ნამყო წინარეწარსულის წარმოებისას იკარგება ნამყო განუსაზღვრელის **-ნა** ფორმანტის ხმოვნითი ნაწილი. შდრ.:

ნამყო განუსაზღვრელი	ნამყო წინარეწარსული
Ახნა „მოუხნავს“	Ახნ-ᲓᲔრა (< Ახნა-ᲓᲔრა)
თᲠხნა „დაურტყამს“	თᲠხნ-ᲓᲔრა (< თᲠხნა-ᲓᲔრა)
Ალლა „უთქვამს“	Ალლა-ᲓᲔრა (< Ალლა-ᲓᲔრა)...

სპეციალურ ლიტერატურაში -დერა ფორმანტი დარა „იყო“ (დ-დარა ფორმაში ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია) მიღებულად არის მიჩნეული (არსახანოვი 1965, 122; თიმაევი 1971, 162...). ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, პ. უსლარის გრამატიკიდან იღებს სათავეს.

პ. უსლარი ნამყო წინარეწარსულს აღწერითად გამოხატავდა ნამყოს მიმღეობაზე დ-არა „იყო“ მეშველი ზმნის დართვით. შდრ.: ხილლა დარა „მომხდარი იყო“ (თარგმანი მიახლოებითია) (უსლარი 1888, 74).

ნამყო წინარეწარსულის წარმოების შესახებ განსხვავებული შეხედულება აქვს დ. იმნაიშვილს. მისი აზრით, იგივე ᲐხნᲓᲔრა ასე

უნდა დაიშალოს: ӓხნꙋ-რა „მოუხნავს“. ამ ფორმაში პირველი ნაწილი ნამყოს მიმღეობის ძველი ფორმაა, რომელსაც **-რა** ფორმანტი დაერთვის. თავის მხრივ, ӓხნꙋ-ც ორი ნაწილისაგან შედგება: **ӓხ-** (შდრ.: ӓხ-ა[ნ] „ხვნა“) და **-ნꙋ** — ნამყოს მიმღეობის მაწარმოებელი (იმნაიშვილი 1976, 167).

ნამყო წინარეწარსული მიღებული ჩანს ნამყოს მიმღეობისა და ჷარა მეშველი ზმნის შერწყმით. კლასის ნიშნის, ჩვენი აზრით, გაქვავების შედეგად მეშველმა ზმნამ ფორმანტის ფუნქცია შეიძინა, ჷა(>ჷე>ჷე) დიფთონგის ტრანსფორმაციაც მეშველი ზმნის ფორმანტად ქცევის შემდეგ არის სავარაუდებელი. ნამყო განუსაზღვრელი, თავის მხრივ, მეშველ ზმნასთან ნამყოს ფუნქციას იძენს, ამიტომ ძალაში რჩება დებულება ნამყო წინარეწარსულის ნამყო განუსაზღვრელისაგან წარმოების შესახებ.

უღლების ტიპების შესახებ

ჩეჩნურში უღლების ტიპებად დაყოფას საფუძვლად ზმნის ფუძისეული ხმოვანი (თუ დიფთონგი) დაედო.

მაგალითად, პ. უსლარმა ფუძისეული ხმოვნების მიხედვით ჩეჩნურში უღლების სამი ტიპი გამოყო (იხ. აწმყოს წარმოება).

ნ. იაკოვლევი ამავე პრინციპებზე დაყრდნობით გამოყოფს არა სამ, არამედ ხუთ ტიპს, ესენია:

I. ა, ӓ ხმოვნიანი ფუძეები: თასა[ნ] „დაგდება“, ӓრა[ნ] „ლეწვა“

II. იე, იӭ დიფთონგიანი ფუძეები: დჷერზა[ნ] „მორჩენა“, ჰაჷӭყა[ნ] „გალაღება“

III. ი, ӣ ხმოვნიანი ფუძეები: დიგა[ნ] „წაყვანა“, დӣცა[ნ] „თხრობა“

IV. ჶო: ჶრ დიფთონგიანი ფუძეები: დჶოხჭა[ნ] „ჩაყრა“, თჶრხა[ნ] „დარტყმა“

V. უ, ӯ ხმოვნიანი ფუძეები: დუზა[ნ] „ავსება“, დӯცა[ნ] „დაწვნა“

გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ აღნიშნული ზმნები აწმყოს აწარმოებენ **-ჳ** ფორმანტით (იაკოვლევი 1960, 167-168).

გარდა ამისა, ნ. იაკოვლევმა გამოყო გამონაკლისები, რომლებიც ფუძისეული ხმოვნების მიხედვით მისდევენ პირველ სამ ტიპს, მაგრამ აწმყოს მათგან განსხვავებულად აწარმოებენ. მაშასადამე,

ზმნათა გარკვეული ნაწილი უღლების ტიპების მიღმაა დარჩენილი.

უღლების ტიპებს უფრო დაწვრილებით განიხილავს ი. არსახანოვი (არსახანოვი 1965, 123-128). იგი შვიდ ტიპს გამოყოფს: კერძოდ, ი. არსახანოვი ზემოთ მოყვანილი სქემის I ტიპს ორად შლის. I ტიპში გაერთიანდა ყველა ზმნა, რომელთაც აწმყო **-უ**-თი ეწარმოებათ, II ტიპში კი ის ზმნები, რომლებიც აწმყოს **-ა**-თი აწარმოებენ (ასეთი ზმნები ნ. იაკოვლევმა I ტიპში გამონაკლისად მიიჩნია). მაშასადამე, ი. არსახანოვის მიხედვით გამონაკლისები უღლების ერთ-ერთ ტიპად გამოცხადდა.

ნ. იაკოვლევის II და ი. არსახანოვის III ტიპები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ორივე მკვლევარი გამონაკლისებზეც საუბრობს.

ასევე დაშლილი აქვს ი. არსახანოვს ნ. იაკოვლევის III ტიპიც IV და V ტიპებად. მხედველობაშია მიღებული ნამყო განუსაზღვრელის წარმოება, სადაც ნამყო უახლესის (რომლისგანაც ნამყო განუსაზღვრელი იწარმოება) მაწარმოებელი **-о** ფორმანტი **о-** ხმოვნის შემცველ ფუძესთან რედუცირებულია, **о̄** ხმოვნის შემცველთან კი — არა. შდრ.: დიგნა (< დიგ-ი-ნა) „წაიყვანა", მაგრამ: დიც-ი-ნა „მოუყოლია, უთქვამს".

-о̄- ხმოვნიან ფუძეებშიც გამოიყოფა გამონაკლისები, რომლებიც აწმყოს **-ა**-თი აწარმოებენ. ასეთი ექვსი ზმნა გამოყო ნ. იაკოვლევმა,
ი. არსახანოვი მათზე არ მსჯელობს.

ნ. იაკოვლევის IV და V ტიპები ი. არსახანოვთან შესაბამისად არის VI და VII. მოვიყვანოთ ი. არსახანოვის სქემაც:

I. а, ā ხმოვნიანი ფუძეები (აწმყოში **-უ** ფორმანტით)

II. а, ā ხმოვნიანი ფუძეები (აწმყოში **-ა** ფორმანტით)

III. е, ӕ, ӕ̄ ხმოვან-დიფთონგიანი ფუძეები (აწმყოში **-უ** ფორმანტით)

IV. и ხმოვნიანი ფუძეები (აწმყოში **-უ** ფორმანტით)

V. ӣ ხმოвნიანი ფუძეები (აწმყოში **-უ** ფორმანტით)

VI. ӧ, ӧ̄ დიფთონგიანი ფუძეები (აწმყოში **-უ** ფორმანტით)

VII. у, ӯ ხმოვნიანი ფუძეები (აწმყოში **-უ** ფორმანტით)

ზოგი ტიპის დაზუსტების მიუხედავად ი. არსახანოვის სქემაში

უადგილოდ რჩება III და V ტიპში შემავალი ზოგი ზმნა, რომლებიც არც ფუძისეულ ხმოვანს იცვლიან, აწმყოში კი **-ა** ფორმანტი აქვთ.

დასკვნა: ორივე მკვლევართან უღლების ტიპებად დაყოფის საფუძველი არის ზმნის ფუძისეული ხმოვანი, რომელიც აწმყოს **-უ** ფორმანტის გავლენით ლაბიალდება. აწმყოს **-ა** ფორმანტი (რომელიც **-ე**-საგან მომდინარებს), აპალატალებს ფუძისეულ **-ა, -ა̄-** ხმოვნებს (მოვლენის მიზეზი სალიტერატურო ენაში არ ჩანს, შედეგი დარჩა). პალატალიზაციის მომენტი **ა, ა̄** ხმოვნიან ფუძეებთან არის გათვალისწინებული (ი. არსახანოვის სქემის II ტიპი).

ფუძეში ხმოვანთა ცვლის მიხედვით უღლების 10 ტიპს ვარაუდობს

თ. დეშერიევა — საილუსტრაციო მასალა მოხმობილი არ არის (დეშერიევა 1986, 68).

ა. თიმაევის აზრით, უღლების ტიპებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს ფუძისეულ ხმოვანთა ცვლის მიზეზი: „რომელი ბგერების ძალით იცვლება ფუძეში წარმოდგენილი ხმოვნები, ეს არის მთავარი", — წერს იგი (თიმაევი, 1971, 172). უღლების ტიპებად დაყოფას თუ აწმყოს მაწარმოებელი სუფიქსებისა (**-უ** თუ **-ა**) და ფუძისეული ხმოვნების ცვლილებათა გათვალისწინებით მივუდგებით, ა. თიმაევის აზრით, ერთ ტიპში მოექცევა ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე, მაგრამ ასპექტით განსხვავებული ზმნები. ასე, მაგალითად, ნ. იაკოვლევის მიხედვით, მალა[ნ] „დალევა" (ერთგზ.), მი̄ლა[ნ] „სმა" (მრავალგზ.) სხვადასხვა ტიპში იყო მოქცეული (ფუძისეული ხმოვნების მიხედვით), აწმყოს წარმოების მიხედვით კი ისინი ერთ ტიპში მოექცევიან: მოლ-უ, მი̄ლ-უ (თიმაევი 1971, 170-179).

ცნობილია, რომ **-უ** ფორმანტი ფუძისეულ **ა, ა̄, ო, ო̄, ჲე, ჲე̄** ხმოვნებს ალაბიალებს, **უო, უო̄** დიფთონგებს კი ავიწროებს (იხ.: აწმყოს წარმოება).

უღლების ტიპებად დაყოფას თუ აწმყოს წარმოებას დავუდებთ საფუძვლად, სულ ორი სახის უღლება გვექნება:

I. აწმყოში **-უ** ფორმანტიანი ზმნები;

II. აწმყოში **-ე** (> ა) ფორმანტიანი ზმნები.

გარდაუვალ ზმნათაგან აწმყო ორივე ამ აფიქსით იწარმოება,

მაშასადამე, ისინი ორ ტიპში განაწილდებიან. გარდამავლები აწმყოს **-უ**-თი აწარმოებენ. ყველა გარდამავალი ზმნა I ტიპისა იქნება. შდრ.:

I ტიპი:	გარდაუვალი	გარდამავალი
	დრგ-უ (<დაგ-უ) „იწვის“	რხ-უ (<ახ-უ) „ხნავს“
	სოც-უ (<საც-უ) „ჩერდება“	რლ-უ (<ალ-უ) „ამბობს“
	ღუოთთ-უ (<ღათთ-უ) „დგება“	ლრც-უ (<ლაცუ)„იჭერს“...

II ტიპი: გარდაუვალი

ლჲელ-ა (<ლჲელ-ე)

ლეთ-ა (<ლათ-ე)

ლეჭყ-ა (<ლაჭყ-ე)...

აწმყოში ამოსავალი ფორმანტის მიხედვით გადანაწილდებიან ამ ტიპებში ხმოვანფუძიანი ზმნებიც.

მართლაც, აწმყოს ფორმანტის მიხედვით შეიძლება ფუძისეული ხმოვნების ცვლილებათა განსაზღვრა (და პირიქით: ამ ცვლილების მიხედვით შეიძლება განისაზღვროს აწმყოს ფორმანტი, რომელიც მეტყველებაში თითქმის რედუცირებულია ბოლოკიდურ პოზიციაში). თუ ზმნათა ტიპებს მხოლოდ აწმყოს ფორმანტების მიხედვით დავყოფთ, რაც მისაღები იქნება მხოლოდ I სერიის (აწმყოს წრის ჯგუფის) ფორმებისათვის, ამ ტიპების მიღმა დარჩება II სერიის (ნამყოს წრის ჯგუფი) ფორმები: II სერია საწარმოებელ ფუძედ იყენებს არა აწმყოს ფუძეს, არამედ ნამყო უახლესისას. ნამყო უახლესს კი თავისი მაწარმოებელი აქვს და ფუძისეულ ხმოვნებს **-ი** ფორმანტი სხვაგვარად იმსგავსებს, ვიდე აწმყოს **-უ** და **-ე** (> ა).

ამგვარად, უღლების ტიპების საკითხი ჩეჩნურში დასადგენია, კრიტერიუმები შესამუშავებელი, რადგან უღლება ერთია, შეიძლება ტერმინი „ტიპები“ არც იყოს საჭირო, უფრო მისაღები „სახეობები“ ჩანს.

ზემოთ ნათქვამი ეხება წესიერი უღლების ზმნებს, უღლების საერთო წესიდან გადახვევებს თავისებური ზმნები გვიჩვენებენ (იხ. თავისებური ზმნები).

ნაზმნარი სახელები

ნაზმნარი სახელებია: მასდარი, **-ჲ** ფორმანტიანი სახელები და მიმღეობა. მასდარი განხილულია ინფინიტივთან ერთად. ახლა განვიხილოთ ნაზმნარ სახელთა ორი სახეობა.

1. **-ჲ** ფორმანტიანი სახელები

როგორც ცნობილია, ჩეჩნურში მასდარი გამონაკლისის გარეშე იწარმოება ყველა ზმნისაგან. მაწარმოებელია **-რ** ფორმანტი, რომელიც ზმნის **-ა** ხმოვნით გავრცობილ ფუძეს დაერთვის. მასდარი ნაზმნარი სახელია, ბრუნებადია.

ნაზმნარია ჩეჩნურში **-ჲ** ფორმანტიანი სახელებიც, საწარმოებლად გამოყენებულია **-ა** ხმოვნით გავრცობილი იგივე ფუძე, რაც მასდარშია. შდრ.: ხათთ-ა-რ „კითხვა“ (მასდარი), ხათთ-ა-ჲ (**-ჲ** ფორმანტიანი სახელი) „აღსარება“...

-ჲ ფორმანტიანი სახელები, ჯერ ერთი, იბრუნვიან, მეორეც, სემანტიკურად უფრო ახლოს დგანან არსებით სახელებთან, აბსტრაქციის ხარისხი ამ სახელებში მასდართან შედარებით დაბალია.

ზმნათაგან **-ჲ** ფორმანტიან სახელთა წარმოება შეზღუდულია, პროდუქტიული არ არის. ასეთი სახელები ყველა ზმნისაგან არ იწარმოება. ამ ნიშნის მიხედვით ზმნათა დაყოფა ვერ ხერხდება: ზოგს ეწარმოება, ზოგს — არა. მაგ.:

ინფინიტივი	მასდარი	**-ჲ** ფორმანტიანი სახელები
ჰაჲეშ-ა^{ნ} „სწავლება“	ჰაჲეშ-ა-რ	ჰაჲეშ-ა-ჲ
ჯეჲთ-ა^{ნ} „მიხვედრა“	ჯეჲთ-ა-რ	ჯეჲთ-ა-ჲ
თეჲშ-ა^{ნ} „ნდობა“	თეჲშ-ა-რ	თეჲშ-ა-ჲ
ხათთ-ა^{ნ} „კითხვა“	ხათთ-ა-რ	ხათთ-ა-ჲ...

მოხმობილ მასალაში მასდარებიცა და **-ჲ** ფორმანტიანი სახელებიც ნაწარმოებია უკლასნიშნო ზმნებისაგან.

კლასნიშნიან ზმნათაგან მასდართა წარმოება შეზღუდული არ არის — სახეზეა ოთხივე გრამატიკული კლასის ნიშნის მიხედვით განსხვავებული მასდარები (ვ-ეზარ, ე-ეზარ, ბ-ეზარ, დ-ეზარ „სიყვარული“...). ამ კლასნიშანთაგან **-ჲ** ფორმანტიანი სახელი მხო-

ლოდ **-ბ** კლასით არის წარმოდგენილი: ბ-ᲔᲒზამ „სიყვარული“, ე.ი. კლასის ნიშანი გაქვავებულია.

ასეთი სახელებია: ბᲔᲒᲔჯამ „საზღაური“, ბაბამ „ქონება, მეურნეობა“, ბᲔᲒᲔლამ „სასაცილო რამ“, ბუსთამ || ბაᲠამ „საზომი“ (თარგმანები მიახლოებითია).

საინტერესოა მასდარებისა და **-ჲ** ფორმანტიან სახელთა გრამატიკულ კლასებში განაწილების საკითხიც: მასდარი განეკუთვნება **დ-დ** კლასს, **-ჲ** ფორმანტიანი სახელები — **ბ-ბ** კლასს.

შენიშნულია, რომ რთულ (შედგენილ) მასდარებში, როგორიცაა: საყᲔრარ „მხიარულება“, ყაჰᲔგაᲠ „შრომა, გარჯა“, ყაბᲔთარ „შეცოდება“... I კომპონენტი **ხა** „სული“, **ყა** „ცოდვა“ სახ. ბრუნვაში დგას. ამავე ფორმებისაგან **-ჲ** ფორმანტიან სახელთა წარმოებისას სახელი (I კომპონენტი) ბრუნვას იცვლის, ნათესაობითში დგება: ყინჰᲔგამ, სინყᲔრამ, ყინხᲔთამ... (ხამიდოვა 1983, 22).

-ჲ ფორმანტიანი სახელები წოვა-თუშურში არ ჩანს, აქედან გამომდინარე, ი. დეშერიევი ასკვნის, რომ **-ჲ** ფორმანტი ნასესხები უნდა იყოს (დეშერიევი 1963, 394). უნდა აღინიშნოს, რომ **-ჲ** ფორმანტი წოვა-თუშურისათვისაც უცხო არ არის, შდრ.: თეგომ „მორიგება, თანხმობა“, ჴერლ'ომ „შიში, შიშიანობა“, თეშომ „ნდობა“ (ქადაგიძე 1984).

-ჲ ფორმანტით ზმნებისაგან სახელთა წარმოება ჩვეულებრივია თურქულ ენებში, მაგალითად, ყუმიყურში, რომელიც ჩეჩნურს ესაზღვრება. მ. კადირაჯიევის აზრით, ჩეჩნურში **-ჲ** ფორმანტი ყუმიყურიდან არის ნასესხები (კადირაჯიევი 1990, 61-62).

აფიქსთა სესხება ენებში იშვიათი მოვლენაა. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული **-ჲ** ფორმანტი ნასესხები იყოს: ჩეჩნურში **-ჲ** ფორმანტით ნაწარმოები სახელები მცირერიცხოვანია, ზმნათა უმეტესობისაგან ასეთი სახელები არ იწარმოება, იშვიათია **-ჲ** ფორმანტიანი სახელები წოვა-თუშურშიც.

2. მიმღეობა

მიმღეობის შესახებ პირველი ცნობები ჩეჩნურში პ. უსლარის

ნაშრომში იძებნება. პ. უსლარის მიხედვით, ჩეჩნურში გამოიყოფა აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის პარალელური ფორმები. ასე, მაგალითად, თხრობითი კილოს აწმყოს მიმღეობა -ᵏ (ნაზალური **ნ**), ან კიდევ **-რიგ** ფორმანტების აწმყოს ფორმაზე დართვით იწარმოება. ნამყოს მიმღეობა ფორმალურად ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელის ფორმას, ან კიდევ იმავე ნამყოსაგან **-რიგ** ფორმანტით იწარმოება. მყოფადში მიმღეობა აღწერითია. იგი შედგება: 1. აწმყოს მიმღეობისა და დოლუ[ნ] ფორმისაგან; 2. აწმყოს მიმღეობისა და დჯერგ ფორმისაგან (უსლარი 1888, 70, 75...).

პ. უსლარს ცალკე განხილული არა აქვს მიმღეობის წარმოება ჩეჩნურში, მაგრამ ნათელია, რომ მის მიერ გამოყოფილი მიმღეობის ფორმები იგივეა, რაც ამჟამად დამოკიდებული (-ᵏ ფორმანტიანი) და დამოუკიდებელი (**-რიგ||-რგ** ფორმანტიანი) მიმღეობის სახელით არის ცნობილი. დამოკიდებული მიმღეობა აუცილებლად დგას სახელთან, დამოუკიდებელი კი ცალკე იხმარება, როგორც სუბსტანტივი, არსებითი სახელი. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ მიმღეობას ჩეჩნურში კილოს კატეგორია არა აქვს — კილოს კატეგორია მიმღეობაში გარჩეული არ არის.

პ. უსლარის დამსახურებაა ისიც, რომ მან დაინახა მსგავსება მიმღეობისა და ზედსართავი სახელის ბრუნებას შორის, შენიშნა დამოუკიდებელი მიმღეობის მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვების ფორმათა დაპირისპირება.

მიმღეობის შესახებ საყურადღებო დაკვირვებები აქვთ ნ. იაკოვლევს (იაკოვლევი 1960, 195-198 — წარმოების შესახებ, 221-225 — ბრუნების შესახებ), ი. დეშერიევს (დეშერიევი 1963, 483; 1967, 204), ი. არსახანოვს (არსახანოვი 1965, 140-144), ა. თიმაევს (თიმაევი 1971, 184-187), ვ. გირეევს (გირეევი 1988, 36-57), რ. ჩოჭაევს (ჩოჭაევი რ. 1988, 93), ლ. სანიკიძეს (სანიკიძე 1990, 116) და სხვ.

მიმღეობა ნაზმნარი სახელია და ჩეჩნურში იწარმოება ყველა ზმნისაგან. მიმღეობას ზმნასთან საერთო ფუძე აქვს. ზმნური კატეგორიებიდან მიმღეობას გააჩნია:

1. დროის კატეგორია (აწმყოს მიმღეობა, ნამყოს მიმღეობა, მყ. მიმღეობა);

2. გარდამავლობა (გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათაგან ნაწარმოებ ფორმათა შესაბამისად);

3. რიცხვის კატეგორია (რიცხვის კატეგორიის მქონე ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღეობებს);

4. ასპექტის კატეგორია (ასპექტის კატეგორიის მქონე ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღეობებს);

5. გრამატიკული კლასის კატეგორია (გრამატიკული კლასის მქონე ზმნათაგან ნაწარმოებ მიმღეობებს).

ჩეჩნურში მიმღეობა, ზედსართავი სახელის მსგავსად, შეიძლება იყოს მსაზღვრელი, ე.ი. ზედსართავ სახელსა და მიმღეობას ერთნაირი სინტაქსური ფუნქცია აქვთ. მიმღეობა, ზედსართავის მსგავსად, ბრუნებადი სიტყვაა — იბრუნვის ზედსართავი სახელის ანალოგიურად. დამოუკიდებელ მიმღეობას (ე.ი. გასუბსტანტივებულს) აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმაც, როგორც დამოუკიდებელ ზედსართავს (ასევე გასუბსტანტივებულს). ნიშანდობლივია, რომ ინგუშური ენის მკვლევარი ზ. მალსაგოვი მიმღეობას (და აბსოლუტივსაც) ნაზმნარ ზედსართავ სახელებს უწოდებს. იგი წერს: „ზმნისაგან იწარმოება ნაზმნარი ზედსართავები, ანუ მიმღეობები და აბსოლუტივებიო“ (მალსაგოვი ზ. 1998, 102), რაც შემთხვევითი არაა.

განვიხილოთ მიმღეობის დროები.

აწმყოს მიმღეობა, როგორც ითქვა, იწარმოება აწმყოს ფორმისაგან. განირჩევა ორი სახეობა: 1) **-^{5}** ფორმანტიანი დამოკიდებული მიმღეობა (აწმყოს მაწარმოებელი ფორმანტის ნაზალიზება იწვევს აწმყოს ფორმის მიმღეობად ქცევას). საინტერესოა, რომ ჩეჩნურის ეს თავისებურება (ე.ი. ნაზალობა) შენიშნული არა აქვს დ. მალსაგოვს. მისი აზრით, აწმყოს მიმღეობა ჩეჩნურში იგივეა, რაც აწმყოს ფორმა (მალსაგოვი დ. 1998, 185), 2) **-რგ** (< **-რიგ**) ფორმანტიანი დამოუკიდებელი მიმღეობა.

ი. დეშერიევი ყურადღებას ამახვილებს აწმყოს მიმღეობის წარმოების შემდეგ გარემოებაზე: ჩეჩნურ ზეპირმეტყველებაში აწმყოს ფორმანტი თითქმის არ გამოითქმის (შდრ., პ. უსლარს დაფიქსირებული აქვს არა მარტო ფორმანტი, არამედ ხმოვნის ნაზალობაც), მაგრამ მისგან ნაწარმოები **-^{5}** ფორმანტიან მიმღეობაში აწმყოს მა-

წარმოებელი წარმოითქმის სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც. აქედან გამომდინარე, აწმყოს მაწარმოებელი ნაზალური ხმოვანი ასრულებს მიმღეობის ფუნქციას (დეშერიევი 1963, 463).

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

აწმყო	დამოკ. მიმღ.	დამოუკ. მიმღ.
ვრ̃დ-უ	ვრ̃დ-უ^{ნ} კანთ	ვრ̃დ-უ-რგ
„მიდის“ (მამაკ.)	„მიმავალი ვაჟი“	„მიმავალი“
ვრღ-უ	ვრღ-უ^{ნ} კანთ	ვრღ-უ-რგ
„მოდის“ (მამაკ.)	„მომავალი ვაჟი“	„მომავალი“
ლოჴ-უ	ლოჴ-უ^{ნ} ფრნდარ	ლოჴ-უ-რგ
„უკრავს“	„დასაკრავი გარმონი“	„დასაკრავი“...

ფონეტიკური პროცესები (ლაბილიზაცია, პალატალიზაცია...), რაც ინფინიტივისაგან აწმყოს (და, საერთოდ, ნამყო განუსაზღვრელისა და მყოფადის) წარმოებისას შეინიშნება, შენარჩუნებულია დროთა ფორმებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებშიც (თუმცა არის გამონაკლისებიც, შდრ., აწმყო: დუო „აკეთებს“, მაგრამ: დდე^{ნ} (დამოკ.) დდერგ (დამოუკ.) „მკეთებელი“; ლუო „აძლევს“, მაგრამ: ლუ^{ნ}, ლურგ „ის, რასაც აძლევს“ და სხვ.). საერთო წესიდან გადახრებს ყურადღება მიაქცია დ. მალსაგოვმა (მალსაგოვი დ. 1998, 102).

ნამყოს მიმღეობის ფორმა სავსებით ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმას. როგორც ცნობილია, ნამყო განუსაზღვრელი ჩეჩნურში მეორეულია, იგი წარმოშობით მიმღეობაა, რომელსაც დაკარგული აქვს მეშველი ზმნა. ამდენად, მოულოდნელი არ არის ნამყო განუსაზღვრელისა და ნამყოს მიმღეობის იდენტურობა, შდრ.:

ნამყო განუსაზღვრელი: ვახანა „წავიდა“, „წასულია“ (მამაკ.) და ვახანა სთაგ „წასული კაცი (ადამიანი)“, მელლა „დალია, დაულევია“ და მელლა ხი „დალეული (შესმული) წყალი“ და ა.შ.

განსხვავებულია ი. დეშერიევის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ნამყოს მიმღეობა იწარმოება არა ნამყო განუსაზღვრელისაგან, არამედ ნამყო უახლესისაგან. მის მიერ მოხმობილი მაგალითები სარწმუნო არ ჩანს (დეშერიევი 1967, 204). შდრ., აგრეთვე რ. დოლაქოვას მოსაზრება — ინგუშურში ნამყოს მიმღეობა იწარმოება ნამყო

უახლესისაგანო (დოლაქოვა 1967, 221).

ნამყოს დამოუკიდებელი მიმღეობა იმავე ნამყოს დამოკიდებული მიმღეობისაგან არის ნაწარმოები **-რგ** (< **-რიგ**) ფორმანტის დართვით. შდრ.: ვახანარგ „წასული“, მელლარგ „დალეული, შესმული“, ვეე̆ანარგ „მოსული“, დიცინარგ „მონაყოლი“, ა̈ხნარგ „მოხნული“ და სხვ.

მიმღეობის წარმოებასთან დაკავშირებით ჩეჩნურში ერთი საყურადღებო მოვლენაც არის გასათვალისწინებელი: მიმღეობის დამოუკიდებელ ფორმას შეუძლია გამოხატოს როგორც მოქმედი, სუბიექტი, ისე სამოქმედო ობიექტი. მაშასადამე, აწმყოს მიმღეობები რხურგ გამოხატავს როგორც „მხვნელს“, ისე „სახვნელს“, დეეყურგ არის „გამყოფიც“ და „გასაყოფიც“... ნამყოს მიმღეობები ა̈ხნარგ ნიშნავს „მომხვნელსაც“ და „მოხნულსაც“, დინარგ — „გამკეთებელი“ და „გაკეთებული“... ასეთივე ვითარება გვაქვს მყოფადშიც (შედარებისათვის: ზედსართავი სახელი ჩეჩნურში ვითარების ზმნისართის ფუნქციითაც გამოიყენება). პარალელურ ფორმათა გარჩევა კი კონტექსტის მიხედვით არის შესაძლებელი.

აშკარაა, რომ ქართულ თარგმანში მიმღეობური ფორმები გვარების (მოქმედებითი და ვნებითი) მიხედვით განირჩევა. ასეთი გარჩევა ჩეჩნურში არა გვაქვს — გვარის კატეგორიისადმი ჩეჩნური ზმნა ნეიტრალურია (თუმცა გვარის კატეგორიის ჩანასახები ჩეჩნურშიც შეინიშნება, ხოლო წოვა-თუშურში იგი ჩამოყალიბებულად მიაჩნიათ (ჭრელაშვილი 2002, 218-220).

მყოფადის მიმღეობა რთული, ანალიტიკური ფორმაა და ორი ნაწილისაგან შედგება. კერძოდ, მყოფადის დამოკიდებული მიმღეობა აწმყოს მიმღეობისა და დუ მეშველი ზმნის ასევე აწმყოს მიმღეობის დოლუ̆ ფორმებისაგან შედგება. შდრ.:

დუ̆ცუ̆ დოლუ̆ თუ̆რა „მოსაყოლი ზღაპარი“, რხუ̆ დოლუ̆ ქეერთ „მოსახნავი ეზო, ნაკვეთი“, ჯუსსუ̆ დოლუ̆ თუ̆ოფ „გასასროლი თოფი“, ლოჯუ̆ დოლუ̆ შედაგ „დასაკრავი სალამური“...

მყოფადის დამოუკიდებელი მიმღეობა იწარმოება მყოფადი დამოკიდებულისაგან დოლუ̆ ფორმაზე **-რგ** ფორმანტის დართვით. აღნიშნული ფორმანტის დართვის შედეგად დოლუ̆ ფორმაში იკარ-

გება **-ლ-** თანხმოვანი (რაც ჩვეულებრივია **-ლ-** თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნათაგან მყოფადის წარმოებისას) და მარტივდება: დოლუ^{ნ}+რგ>დეერგ. ივარაუდება, რომ დოლუ^{ნ} ფორმისათვის ამოსავალია დალუ^{ნ} (>დოლუ^{ნ}), რომელშიც **-ა-** ხმოვანი, **-ლ-**ს ჩავარდნის შემდეგ, გადადის **-ე-**ში (-რიგ ფორმანტის **-ი-** ხმოვნის გავლენით). მაგალითები:

დუ̄ც(უ)დეერგ „მოსაყოლი“, დუ̄ც(უ)ვეერგ „ვინც მოყვება“, რხ(უ)დეერგ „მოსახნავი“, რხ(უ)ვეერგ „ვინ მოხნავს“ და ა.შ.

მყოფადის მიმღეობის ფორმათა წარმოების სხვა გზაც არ უნდა იყოს გამორიცხული. ვფიქრობთ, რომ მყოფადის მიმღეობა პირველი შემადგენელი ნაწილის საწარმოებლად შეიძლება იყენებდეს არა აწმყოს მიმღეობას, როგორც ზემოთ ითქვა, არამედ თვით მყოფადისავე ფორმით **-რ** ფორმანტის გარეშე, იგი მყოფადის მიმღეობის პირველ კომპონენტში დაკარგული ჩანს.

ჩეჩნურში მყოფადი, მისი წარმოებიდან გამომდინარე, ახალი ფორმაციისაა. საფიქრებელია, რომ მისი ჩამოყალიბების პროცესი ჯერაც დასრულებული არ არის. ამ ვარაუდის საფუძველს მყოფადის წარმოების მრავალფეროვნება იძლევა. მაგალითად, ჩეჩნური ენის ჭისტურ დიალექტში მყოფადის წარმოების თითქმის ყველა ცნობილი საფეხურია წარმოდგენილი. შდრ.: დი̄ც დოლ „მოსათხრობი, მოსაყოლი“, დი̄ც(უ) დოლ(უ), დი̄ცურ დოლ(უ), დი̄ცურგ დოლ(უ) — დამოკიდებული და: დი̄ცდეერგ, დი̄ცუდეერგ, დი̄ცურდეერგ, დი̄ცურგ დეერგ — დამოუკიდებელი ფორმები.

ჩვენს ვარაუდს ამაგრებს წოვა-თუშურის მონაცემები, სადაც აწმყოსა და მყოფადის მიმღეობები იწარმოება შესაბამის დროთა ფორმებისაგან (სანიკიძე 1990, 116).

მყოფადის მიმღეობა, შესაძლებლობის მოდალური მნიშვნელობის გამოხატვისას, შეიძლება გაორმაგდეს კიდეც. ასეთ შემთხვევაში მეორე ფორმა კარგას ბოლოკიდურ **-გ** ელემენტს. შდრ.: ხირგ ხირ დუ, რაც დაახლოებით ასე ითარგმნება: „მოსახდენი მოხდება“, დუ̄ხურგ დუ̄ხურ დუ „დასანგრევი დაინგრევა“ და სხვ.

მიმღეობის ბრუნება. როგორც ითქვა, მიმღეობა ჩეჩნურში ბრუნებადი სიტყვაა. დამოკიდებული და დამოუკიდებელი მიმღეობები

განსხვავებულად იბრუნვიან. მათი ბრუნება დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ზედსართავ სახელთა ბრუნების ანალოგიურია.

1. დამოკიდებული მიმღეობა მსაზღვრელია და თავისი საზღვრული ახლავს. მოვიყვანოთ მაგალითები:

სახ.	მოლუ^{ნ} ხი	„სასმელი წყალი“
ნათ.	მოლუ-ჩუ ხი^{ნ}	
მიც.	მოლუ-ჩუ ხინა	
ერგ.	მოლუ-ჩუ ხინუო	
გამსჭ.	მოლუ-ჩუ ხიხ	
შედ.	მოლუ-ჩუ ხილ	
თან.	მოლუ-ჩუ ხიც	
ადგ.	მოლუ-ჩუ ხიგა	

ასე იბრუნვის: დრ̄ღუ^{ნ} ხან „მომავალი დრო“, თუ̄ხუ^{ნ} ვოთა „დასაკრავი დოლი“, დრ̄შუ^{ნ} ქნიგა „საკითხავი წიგნი“, დრ̄დუ^{ნ} გოურ „მიმავალი ცხენი“ და ა.შ.

შდრ., მსაზღვრელი ზედსართავის ბრუნება საზღვრულთან: კად^{ნ} ბადრაჭ „თეთრი დროშა“, კად-ჩუ ბადრაჭა^{ნ}, კად-ჩუ ბადრაჭნა და ა.შ.

მაშასადამე, მსაზღვრელად გამოყენებული დამოკიდებული როგორც მიმღეობა, ისე ზედსართავი სახელი იბრუნვის ერთნაირად. მათ სულ ორი ფორმა აქვთ — სახელობითისა და დანარჩენი ბრუნვებისა **-ჩუ** ელემენტით.

არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელ რიცხვშია საზღვრული. შდრ.: დრ̄შუ^{ნ} ქნიგაშ „საკითხავი წიგნები“, ნათ. დრ̄შუ-ჩუ ქნიგი^{ნ} და ა.შ.

შედარებისათვის ავიღოთ ნამყოს დამოკიდებული მიმღეობა საზღვრულთან ერთად და ვაბრუნოთ იგი. მაგალითად:

სახ.	დაჭჭინა თურ „ამოღებული ხმალი“
ნათ.	დაჭჭინა-ჩუ თურა^{ნ}
მიც.	დაჭჭინა-ჩუ თურანა
ერგ.	დაჭჭინა-ჩუ თურუო და ა.შ.

შდრ., აგრეთვე: დაჭჭინა თარრაშ „ამოღებული ხმლები“, ნათ. დაჭჭინა-ჩუ თარრი^{ნ}, მიც. დაჭჭინა-ჩუ თარრაშნა და ა.შ. მაშასადამე, ნამყოს დამოკიდებული მიმღეობაც აწმყოს დამოკიდებული მიმღეო-

ბის ანალოგიურია.

მყოფადის დამოკიდებული მიმღეობის ბრუნებისას უცვლელია მისი პირველი ნაწილი, მეორე კი ისევე იცვლება, როგორც ზემოთ ნაჩვენები დამოკ. მიმღეობები. შდრ.:

სახ.	დოჴუ̄ დოლუ̄ თურ (თარრაშ) „ამოსაღები ხმალი“
ნათ.	დოჴუ̄ დოლ(უ)ჩუ თურან (თარრი̄ნ)
მიც.	დოჴუ̄ დოლ(უ)ჩუ თურანა
ერგ.	დოჴუ̄ დოლ(უ)ჩუ თურუო და ა.შ.

2. დამოკიდებული მიმღეობისაგან განსხვავებულია დამოუკიდებელი მიმღეობის ბრუნება. მაგალითად:

სახ. რხურგ „მხვნელი“, „სახვნელი“, ნათ. რხურგან, მიც. რხურგანა, ერგ. რხურგურ და ა.შ. ასევე იბრუნვიან ნამყოსა და მყოფადის დამოუკიდებელი მიმღეობები.

მიმღეობათა ბრუნების ამ ორ სახეობას, ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზნით, შეიძლება სუსტი (დამოკიდებული მიმღეობისა) და ძლიერი (დამოუკიდებელი მიმღეობისა) ბრუნების სახეობები ეწოდოთ.

დამოუკიდებელი მიმღეობის დაწვრილებითი ანალიზი მოცემული აქვს ვ. გირეევს (გირეევი 1986, 36-57), ამიტომ ჩვენ ზემოთ ნათქვამს დავჯერდებით.

აბსოლუტივი

ჩეჩნურში აბსოლუტივი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც წინადადებაში ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მთავარ მოქმედებას რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, აზუსტებს. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ, რა სახით ან ფორმით ხდება მთავარი მოქმედება. აბსოლუტივი ზმნის უცვლელი ფორმაა, მას ზმნისა და ზმნისართის ფუნქციები აქვს. შდრ.:

ზუდარი̄ შაჲ̄ ტარღა ა ყაჟბაეშ თაფ‘ალლა ‘არა — „ქალები (თავიანთთვის) მატყლს ჩეჩავდნენ-რა, წყნარად (მშვიდად, ჩუმად) ისხდნენ“;

დაეყაჩუ ღაშ ბუხახულა შურ-შურ დაეშ დ‘აუდურა დაეხჭი̄ — „ხმელი ფოთლების ქვეშ შარიშურით (= შარიშურს აკეთებდნენ-რა)

დარბოდნენ თაგვები“;

ცჰაცცა - შიშშა ვრღუშ ტეგულბელირა გათიურთახუოჲ — „თითო-ოროლა მოდიოდა-რა მოგროვდნენ (თავი მოიყარეს) გათიიურთელები“ (აიდამიროვი 1990, 264, 77, 376).

პირველ მაგალითში აბსოლუტივის ფორმა არის ყაჟბეშ, რომელიც აზუსტებს ‘არა „იყვნენ, ისხდნენ“ ზმნით გამოხატულ მოქმედებას. მაშასადამე, აბსოლუტივი დამატებით ინფორმაციას იძლევა მთავარი ზმნით აღნიშნული მოქმედების შესახებ. ანალოგიური ვითარებაა მეორე (და მესამე) მაგალითებშიც: შურ-შურ დეშ „შარი-შურს აკეთებდნენ-რა“ აზუსტებს დ‘აუდურა „გარბოდნენ“ ზმნით გამოხატულ მოქმედებას და ა.შ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, აბსოლუტივით გამოხატული მოქმედება წინადადებაში მთავარი არ არის, მეორეხარისხოვანია. ორივე ეს მოქმედება ერთ სუბიექტს მიემართება.

აბსოლუტივით და წინადადების მთავარი ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებებს შორის ურთიერთმიმართება ჩეჩნურში დაახლოებით იმდაგვარია, რაც რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ზმნებით გამოხატულ მოქმედებებს შორის ქართულში (შედარება, რა თქმა უნდა, პირობითია).

აბსოლუტივს ზმნური ნიშნებიდან ჩეჩნურში გააჩნია:

1. ზმნასთან ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა (აბსოლუტივი ზმნის დროთა ფორმებისაგან არის ნაწარმოები), შდრ.:

ლოხ-უ „ეძებს“ — ლოხ-უ-შ „ეძებს-რა“

რლ-უ „ამბობს“ — რლ-უ-შ „ამბობს-რა“

2. აბსოლუტივი, როგორც ზმნა, სამ დროს განარჩევს: ახლანდელი (ლოხ-უ-შ), წარსული (ლეეხნა) და მომავალი (ლოხურ დოლუშ).

3. აბსოლუტივს, როგორც ზმნას, მოეპოვება ასპექტში მონაცვლე ფორმები:

ლოხ-უ-შ „ეძებს-რა“ (ერთგზისი, მომენტობრივი ასპექტი)

ლრ̄ხ-უ-შ (მრავალგზისი, დიურატიული ასპექტი)

4. აბსოლუტივს გააჩნია რიცხვში მონაცვლე ფორმები (ზმნის მსგავსად):

მხ.რ. ვრდუშ „მიდიოდა-რა“ მრ.რ. ბრლხუშ „მიდიოდნენ-რა“
ჰარუშ „უყურებდა-რა“ ჰაოსუშ „უყურებდნენ-რა“...

5. აბსოლუტივს, როგორც ზმნას, აქვს გრამატიკული კლასის ნიშნებიც:

ვ-რღუშ „მოდის-რა“ (მამაკ.)
დ-რღუშ „მოდის-რა“ (დედაკ.)
ბ-რღუშ „მოდის-რა“ (მაგ., ძროხა)
დ-რღუშ „მოდის-რა“ (მაგ., ბავშვი)...

6. აბსოლუტივი შეიძლება იყოს გარდაუვალი და გარდამავალი (იმ ზმნის მსგავსად, რომლისგანაც არის ნაწარმოები (თიმაევი 1971, 187; ჩოქაევი 1988, 92).

ზმნისართის ფუნქციებიდან აბსოლუტივს გააჩნია ვითარების გარემოების გამოხატვის ფუნქცია.

აბსოლუტივის დროები. როგორც აღინიშნა, აბსოლუტივი სამ დროს განარჩევს — ახლანდელს, წასრულსა და მომავალს. განვიხილოთ ისინი.

1. აწმყოს აბსოლუტივი იწარმოება აწმყოს მარტივი ფორმისაგან **-შ** ფორმანტის დართვით.

ინფ. მალა^{ნ} „დალევა“	აწმყო: მოლ-უ აბს.	მოლ-უ-შ
ღათთა^{ნ} „დგომა“ ღოთთ-უ		ღოთთ-უ-შ
დუხხა^{ნ} „ნგრევა“ დუხ-უ		დუხ-უ-შ
ვახა^{ნ} „წასვლა“ (მამაკ.)	ვრდ-უ	ვრდ-უ-შ
კად^{ნ}-დ-ა^{ნ} „გათეთრება“	კად^{ნ}-დ-უო	კად^{ნ}-დ-დე-შ
ხაზ-დ-ა^{ნ} „გალამაზება“	ხაზ-დ-უო	ხაზ-დ-დე-შ...
სიხ-დ-ალა^{ნ} „აჩქარება“	სიხლუო	სიხლ-უ-შ
დასთა-დ-ალა^{ნ} „გახსნა“	დასთალუო	დასთა-ლ-უ-შ...

აწმყოს აბსოლუტივი აწმყოს აღწერითი ფორმისაგანაც იწარმოება, ასეთ შემთხვევაში აბსოლუტივის ორი ფორმა გვექნება — ძირითადი და მეშველი ზმნებისაგან ნაწარმოები აბსოლუტივები, შდრ.: ასა რხ-უ „მე ვხნავ“

და: სუო რხ-უ-შ ვ-უ „მე ხვნაში ვარ“ (= მე ვხნავ)
სუო რხ-უ-შ ვოლ-უ-შ... „მე რომ ხვნაში ვიყავი || ვხნავდი“...

ამ ბოლო შემთხვევაში მეშველი ზმნის დრო შეიცვალა: ვოლუშ

ნამყო უწყვეტელია (შდრ., აგრეთვე: ჰაუო დრშუშ ვუ „შენ სწავლობ || შენ სწავლაში ხარ“ და ჰაუო დრშუშ ვოლუშ „შენ რომ || როცა სწავლაში იყავი“, ე.ი. როცა სწავლობდი...).

აწმყოს აბსოლუტივისაგან იწარმოება სემანტიკური ელფერით განსხვავებული ნაყარი აბსოლუტივები. ასეთ ფორმათა წარმოების საშუალებებიდან აღსანიშნავია სუფიქსი -ეჰა (გამოხატავს მოქმედებათა ერთდროულობას): რხ-უ-შ-ეჰა „ხვნისთანავე“, დრშ-უ-შ-ეჰა „სწავლისთანავე“, მოლ-უ-შ-ეჰა „სმისთანავე“ (ქართული შესატყვისები პირობითია) და ა.შ. შდრ., აგრეთვე: რხ-უ-შშ-ეჰა, ოხხ-უ-შ-ეჰა (ფუძისეულ თანხმოვანთა გაორმაგება), ბრხ-(უ)—ბრხ-უ-შ „ლაპარაკლაპარაკით“, მოლ(უ) — მოლ-უ-შ „სმითა და სმით“ (ფუძეთა გაორკეცებით, I ფუძეს მოკვეცილი აქვს **-შ** ფორმანტი). ანალოგიურად ნაწარმოები ფორმები იხმარება ყურადღების გასამახვილებლად აბსოლუტივით გამოხატულ მოქმედებაზე.

დუ „არის“ ზმნა დეფექტურია. მისგან აწმყოში ნაწარმოები ფორმებია: მიმღეობა დოლუ, აბსოლუტივი დოლუშ. ჟ. დიუმეზილმა შენიშნა, რომ დუ ზმნისაგან მოსალოდნელი იყო დუშ ფორმა, მაგრამ არა გვაქვსო (დიუმეზილი 1933, 277-278). ასეთი ფორმა წოვათუშურში დადასტურდა: კაწკონ ვაშ ‘ალიხ ბოდ დებღრას ჰაადწკინ „პატარა რომ ვიყავი, ზამთარში მახეს ვუგებდი ჩიტებს“ (ქადაგიძე 1984, 92). ერთი შეხედვით, თითქოს ჩანს, რომ ჩეჩნურში დ ო ლ უ შ მეორეულია. მეორეული უნდა იყოს მიმღეობის დოლუ ფორმაც. მაშასადამე, იყო დუშ, გვაქვს დოლუშ, ასევე დუ>დოლუ.

ნამყოს აბსოლუტივი არ განირჩევა ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმისაგან. აღსანიშნავია, რომ ნამყოს მიმღეობაც ნამყო განუსაზღვრელს ემთხვევა ფორმალურად. მაშასადამე, ზმნის ერთსა და იმავე ფორმას სამი ფუნქცია, გაგება გააჩნია: ნამყო დროის გაგება; ნამყოს აბსოლუტივის გაგება; ნამყოს მიმღეობის გაგება.

დროთა სისტემის განხილვისას ითქვა, რომ ჩეჩნურში ნამყო განუსაზღვრელი წარმოშობით მიმღეობა უნდა იყოს, რომელსაც კლასნიშნიანი მეშველი ზმნა დაკარგული აქვს (შდრ., ინგუშურში ამოსავალი ვითარება შემონახულია). ამ ფაქტით უნდა აიხსნას ის გარემოება, როგორც სამართლიანად შენიშნავენ სპეციალურ ლიტე-

რატურაში, რომ ნამყო განუსაზღვრელი დროისა და ნამყოს მიმღეობის ფორმები იდენტურია (დაწვრილებით: ნამყო განუსაზღვრელი დრო).

მოულოდნელი არ უნდა იყოს ნამყოს მიმღეობისა და ნამყოს აბსოლუტივის ფორმათა დამთხვევაც. როგორც ცნობილია, ჩეჩნურში ვითარებითი ზედსართავი სახელები და ვითარებითი ზმნისართები ფორმალურად არ განირჩევიან, მაგ.: დიქა[ნ] ერთდროულად არის როგორც „კარგი“, ისე „კარგად“, ხაზა[ნ] — „ლამაზი“ და „ლამაზად“, ათთა[ნ] „ადვილი“ და „ადვილად“. ანალოგიურად არ განირჩევა ნამყოს მიმღეობაც ნამყოს აბსოლუტივისაგან.

ნამყოს — განუსაზღვრელი დროის, მიმღეობისა და აბსოლუტივის — ფორმათა გარჩევა სინტაქსურ დონეზე ხერხდება: მიმღეობა სახელთან არის სინტაგმაში, მსაზღვრელია და საზღვრულის წინ დგას, აბსოლუტივი კი, როგორც ზმნისართი, ძირითად ზმნასთანაა კავშირში. შდრ.:

ვახას წა დინა (ზმნა) — „ვახამ სახლი აიშენა“

ვახას დინა (მიმღ.) წა ხაზა დუ — „ვახას აშენებული სახლი ლამაზია“

წა ა დინა (აბსოლ.) ლრმა ვახარა ვახა — „სახლი აიშენა-რა, მთაში წავიდა ვახა“.

შდრ., აგრეთვე:

სრნა თხოუ ბინა (აბს.), სთიგლა ყადლა ა დაჴჴინა (აბსოლ.)... ლათთარა ფდეფნრნ დუყა ჰოუნ — „მწვანე ჭერი გაეკეთებინა-რა, ცა გადაეფარებინა-რა ... იდგა წიფლის ხშირი ტყე“ (აიდამიროვი 1990, 77).

ნამყოს აბსოლუტივი შეიძლება ორი ნაწილისაგან შედგებოდეს. განირჩევა შემდეგი სახეობები:

1. აწმყოს აბსოლუტივის ფორმას + დუ „არის“ ზმნის ნამყო განსაზღვრული ფორმა დ-არა. შდრ.: დრშ-უ-შ ვარა „სწავლობს-რა, იყო“ (ე.ი. სწავლაში იყო);

2. აწმყოს აბსოლუტივის ფორმას + დალლა[ნ] „რაიმეში ყოფნა“; ხილა[ნ] „ყოფნა“ მეშველ ზმნათა ნამყო დროთა ფორმები, შდრ.:

ა) ნამყო უწყვეტელი: დრშუშ ვოლლუ, ხულუ

ბ) ნამყო განსაზღვრული: დრშუშ ვოლლურა, ხულურა

გ) ნამყო განუსაზღვრელი: დრშუშ ვალლინა, ხილლა

დ) ნამყო წინარეწარსული: დრშუშ ვალლინგერა, ხილლგერა და სხვ.

ნ. იაკოვლევს ნამყო აბსოლუტივის მაწარმოებლად გამოყოფილი აქვს **-ჩა** სუფიქსიც. **-ჩა** სუფიქსიანი აბსოლუტივი იწარმოება ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმათაგან **-ნა** (**- V -ნა**) სუფიქსის — ნამყო განუსაზღვრელის მაწარმოებლის — **-ჩა** სუფიქსით შეცვლის გზით. შდრ.: მელლა (< მელ-ი-ნა) „დაულევია“ და მელ-ჩა „როცა დალია, რომ დალია“, ახნა (< ახ-ი-ნა) „მოუხნავს“ და ახჩა „როცა მოხნა, რომ მოხნა“, დინა „გაუკეთებია“ და დიჩა „როცა გააკეთა, რომ გააკეთა“... **-ჩა** სუფიქსი შეიძლება გართულდეს **-ჰ-** ან ჰ-ანა ელემენტით, რომლებიც მცირეოდენ სემანტიკურ ნიუანს უცვლიან აბსოლუტივის ფორმას (იაკოვლევი 1960, 220).

მყოფადის აბსოლუტივი. მყოფადის აბსოლუტივი იწარმოება მყოფადი ფაქტობრივისაგან. ამ შემთხვევაში დუ „არის“ მეშველი ზმნა იცვლება დოლუშ ფორმით, ე.ი. აბსოლუტივის ფორმას აწარმოებს მეშველი ზმნა, მყოფადი ფაქტობრივის პირველი ნაწილი კი უცვლელი რჩება. შდრ.:

მყოფადი ფაქტობრივი	მყოფადის აბსოლუტივი
ღურ დუ „წავა“	ღურ დოლუშ
რხურ დუ „მოხნავს“	რხურ დოლუშ
თუხურ დუ „დაარტყამს“	თუხურ დოლუშ
დაზდგერ დუ „დაწერს“	დაზდგერ დოლუშ...

მყოფადის აბსოლუტივს შეიძლება მოსდევდეს დუ „არის“ მეშველი ზმნაც, შდრ.: ღურ დოლუშ დუ, რხურ დოლუშ დუ, რომელთა ზუსტი თარგმანი ქართულში ცალკე შესწავლის საგანია. ასეთ ფრაზებში, თუ აბსოლუტივის ფორმა გარდამავალია, მასში ასახულია რეალური ობიექტის გრამატიკული კლასის ნიშანი, ხოლო ზმნაში დუ — სუბიექტისა. შდრ.: და ქალრთ რხურ დოლუშ ვუ „მამა ნაკვეთს მოხნავს“. მეორე მხრივ, თუ აბსოლუტივის ფორმა გარდაუვალია, ისიც და მომდევნო დუ ზმნაც სუბიექტის გრამატიკული კლასის ნიშანს გამოხატავს.

აღსანიშნავია, რომ ჩეჩნური ენის ცნობილ მკვლევარს ი. არსახანოვს აბსოლუტივის დროთა ფორმებში არ მოჰყავს მყოფადის აბსოლუტივი. ეს მაშინ, როცა წინამორბედ მკვლევრებს (ნ. იაკოვლევი...) მყოფადის აბსოლუტივი აღწერილი და შესწავლილი აქვთ. ი. არსახანოვი ჩეჩნურში მხოლოდ აწმყოსა და ნამყოს აბსოლუტივებზე მსჯელობს (არსახანოვი 1965, 144).

ამრიგად, ჩეჩნურში გამოიყოფა აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის აბსოლუტივები. აწმყოს აბსოლუტივი იწარმოება აწმყო დროის ფორმისაგან, ნამყოს აბსოლუტივი ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელი დროის ფორმას, მყოფადის აბსოლუტივი კი იწარმოება მყოფადი ფაქტობრივისაგან.

საბარემოებო ფორმები

ქართულში დამოკიდებული წინადადება უკავშირდება მთავარს მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნისართების საშუალებით (მაქვემდებარებელ კავშირებთან ერთად). „ამით ქართული სალიტერატურო ენა განსხვავდება მთის იბერიულ-კავკასიური ენებისაგან, რომლებშიც დამოკიდებული წინადადება გამოხატულია ზმნის ან ნაზმნარი სახელის სისტემაში შემავალი სათანადო მიმართულებითი აფიქს-ნაწილაკების საშუალებით“ (როგავა 1987, 43).

ჩეჩნურში დამოკიდებული წინადადების შინაარსის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება საგარემოებო ფორმებია. ასეთი ფორმები პ. უსლარს აქვს გამოყოფილი სამი ძირითადი დროის მიხედვით: აწმყო: დიეჩუ, ნამყო: დინაჩუ, მყოფადი: დ‍ე[6] დოლუჩუ (უსლარი 1888, 91).

შემდგომი ხანის მკვლევრები საგარემოებო ფორმათა მყოფადის დროზე არ მიუთითებენ (იაკოვლევი 1960, 231-234; თიმაევი 1971, 167; იმნაიშვილი 1974, 20...).

1. ადგილის გარმეობის ფუნქციის მქონე ფორმებმა შეიძლება გამოხატონ ადგილმდებარეობაცა და მიმართულებაც. შდრ.:

აწმყო: ოხქ-უ-ჩუ „იქითკენ, სადაც ბარავს“
ოხქ-უ-ჩუ-ჰ „იქ, სადაც ბარავს“
ოხქ-უ-ჩუ-რა „იქიდან, სადაც ბარავს“

ნამყო: აბქ-ი-ნა-ჩუ „იქითკენ, სადაც დაბარეს“
აბქ-ი-ნა-ჩუ-ჰი „იქ, სადაც დაბარეს“
აბქ-ი-ნა-ჩუ-რა „იქიდან, სადაც დაბარეს“...

ნათელია, რომ აწმყოსა და ნამყოს ფორმები შესაბამისად აწმყოსა და ნამყო განუსაზღვრელის ფორმებისაგანაა ნაწარმოები.

მყოფადის ფორმები კი მყოფადი ფაქტობრივისაგან არის ნაწარმოები. შდრ.:

ოხქუ^{ნ} დოლუჩუ „იქითკენ, სადაც დაბარავს“
ოხქუ^{ნ} დოლუჩუჰი „იქ, სადაც დაბარავს“
ოხქუ^{ნ} დოლუჩურა „იქიდან, სადაც დაბარავს“...

-ჩუ სუფიქსზე **-ხულა, -ჰაარა, -ჰიახულა** სუფიქსების დართვით მიღებულია მეორეული რთული სუფიქსები. რთულსუფიქსიანი საგარემოებო ფორმები უფრო აზუსტებენ მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილმდებარეობასა და მიმართულებას.

დროის საგარემოებო ფორმები იწარმოება აწმყოს აბსოლუტივისაგან

-დეჰი ფორმანტის მეშვეობით, ხოლო ნამყოში ნამყო უახლესისაგან **-მა** ნაწილაკის დართვით:

ოხქუშ-დეჰი „მაშინ, როცა ბარავდა“
მა აბქი^{ნ} „დაბარვისთანავე“...

საგარემოებო ზმნურ ფორმებს ჩეჩნურში, მაშასადამე, დამოკიდებული წინადადების შინაარსის გამოხატვის ფუნქცია აქვთ.

კითხვითი ფორმები

ჩეჩნურში კითხვით ფორმათა ორი სახეობა განირჩევა. ესენია:

1. ინტონაციით გამოხატულია კითხვა, მაგ.: ვეჩი^{ნ}? „მორჩა?“, აჭლა? „უთქვამს?“: ბაბნა? „ულაპარაკია?“, დრშუ? „კითხულობს?“, ვრდუ? „მიდის?“, ვრღუ? „მოდის?“...

შდრ., თხრობითი კილოს შესაბამისი ფორმები: ვეჩი^{ნ} „მორჩა“, აჭლა „უთქვამს“ და ა.შ.

2. **-ა** ნაწილაკიანი კითხვითი ფორმები. **-ა** ნაწილაკი ზმნას ბოლოში დაერთვის და თხრობითი კილოს ფორმათაგან კითხვით

ფორმებს აწარმოებს. მაგალითად, აჰაᲬ „დაფქვა“, საცაᲬ „გაჩერება“ (სუბ. მხ.-ში) ზმნათაგან კითხვითი ფორმები შემდეგნაირად იწარმოება:

აწმყო:	უოჰაᲬ (<ოჰაუ-ჲ)?	სუოც-Წ (<სუოცუ-ჲ)?
მყოფადი I:	უოჰაურᲬ?	სუოცურ-Წ?
მყოფადი II:	უოჰაურ დუ-ჲ?	
ნ. უწყვ.:	უოჰაურᲬ?	
ნ. უახლ.:	ეჰაᲬ?	
ნ. განსაზღვ.:	ეჰაირᲬ?	
ნ. განუსაზღვ.:	ᲐჰანᲬ?	
ნ. წინარეწარ.:	აჰანჲერᲬ?	სეცნჲერᲬ?

როგორც უღლების პარადიგმიდან ჩანს, მყოფადი I-სა (მყ. შესაძლ.) და ნამყო უწყვეტლის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. ვვარაუდობთ, რომ მყოფადი I-ის ფორმაში (ოჰაურ-ი-ჲ) ი ხმოვანს თანხმოვანთგამყარის ფუნქცია აქვს.

ნათელია, რომ -ჲ ნაწილაკი იმსგავსებს წინამავალ ხმოვანს (შდრ.: ოჰა-უ-ჲ > ოჰა-ი-ჲ > ოჰაᲬ?; ვახ-ა-ჲ > ვახ-ი-ჲ > ვახ-Წ? „წავიდა?“... განსხვავებული ვითარებაა ერთმარცვლიანებში, სადაც ასიმილაცია გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე წესს.

მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან: ბაყდერგ ერ დუჲ აჰა, მუსა? „სიმართლეს იტყვი შენ, მუსა?“ (165); რეზა ვუჲ შუში? „ცმაყოფილი ხართ თქვენ (ორნი)?“ (167) (აიდამიროვი 1990); ჰაშნა გინᲬ უშ? „შენ გინახავს ისინი? (6); დუცᲬ აჰა? „გვიამბობ შენ?“ (6); ღურ ვუჲ ჰაუო? „წახვალ შენ?“ (11); ყოუსალჲ ჰუო? „გაეკიბრები შენ?“ (11) (სარაკაევი 1987); მოგუშ დარᲬ ესᲬ? „კარგად იყვნენ ხბორები?“ (12); ჰაუო სამავᲐლლᲬ? „შენ გაგეღიძა?“ (20) (გაცაევი 1977).

თჲეჰაჲ -თჲე (< თჲეჰაჲ) ნაწილაკები აძლიერებენ კითხვას: ხი მუყანჲე ა ღუჲ-თჲე ჰუოჯუ ჩუოჰა? „წყალი მაინც თუ არის ამაში?“ (სარაკაევი .987); ცჰაჲ ა ეჯა დისინᲬ თჲეჰაჲ ოცუ ჶრცახ? „ერთი ნადირი თუ ;ადაურჩა იმ განგაშს?“ (9) (გაცაევი 1977); ... თჲეჰაჲ ნაწილაკი შიძლება ნეტა-თიც ითარგმნოს: ჰაანნა ლჲეთა თჲეჰაჲ ბარზა? „ნეტა ვის უყეფს ბარზა?“ (გაცაევი 1977).

თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვაა, **-ჲ** ნაწილაკი არ იხმარება:

ჰარა ჰუ^{5} ჲუ? „ეს რა არის?“ (4); მილა ვარა იზა? „ვინ იყო ის?“ (7); სუო მიჩა ჲურთა ჯაჩნა? „მე რომელ სოფელში მოვაღწიე?“ (8) (სარაკაევი 1987); ჰჯუო ჰუ^{5} დჲეშ ვუ? „შენ რას აკეთებ? (რის კეთებაში ხარ?) (8); ჰუ^{5} ქარჩნა ჰჯუნა ციგაჰა? „რა იპოვე შენ იქ? (8), ჰჯუნა^{5} დუ ი ბარზა? „ვისი (ის) ბარზა?“ (93) (გაცაევი 1977).

პირის კატეგორიასთან დაკავშირებით კითხვითი ფორმები ქისტურში განხილული აქვს დ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 1968, 206-207).

კითხვითი ფორმების წარმოება ნახურ ენებში დამუშავებულია ნ. სანიკიძის მიერ. ამ ნაშრომში გამოტანილი ზოგადი დასკვნები დამაჯერებელია და მისაღები (სანიკიძე 1984, 95-103).

-ჲ ნაწილაკიან კითხვით ფორმებს პ. უსლარი (უსლარი 1888, 76), ნ. იაკოვლევი (იაკოვლევი 1965, 129-130), ი. არსახანოვი (არსახანოვი 1965, 129-130), ა. თიმაევი (თიმაევი 1971, 169) კითხვით კილოდ მიიჩნევენ, თუმცა ა. თიმაევი უფრო ადრინდელ ნაშრომში იყენებს ტერმინს კითხვითი ფორმები (თიმაევი 1976, 26-27). მისაღებია ლ. სანიკიძის მოსაზრება, რომ **-ჲ** ნაწილაკიანი ფორმები არ შეიძლება ჩაითვალოს კითხვით კილოდ (სანიკიძე 1984, 98).

უარყოფითი ფორმები

ჩეჩნური ზმნის უარყოფითი ფორმები აღწერითად იწარმოება. უარყოფას გამოხატავენ **მა** და **ცა** „არ“ ნაწილაკები, რომლებიც მარტივ უპრევერბო ზმნას წინ უძღვიან. **ცა** გამოიყენება თხრობითი კილოს ფორმათაგან უარყოფითი ფორმების წარმოებისას, **მა** კი წარმოდგენილია ბრძანებითი კილოს (მოდიფიკაციებით) უარყოფით ფორმებში. „**ცა** უბრალოდ უარყოფას გამოხატავს, **მა** კი აკრძალვით შინაარს შეიცავსო“, — წერს პ. უსლარი (უსლარი 1888, 76).

შდრ.: ცა ვ̄ჲდუ „არ მიდის“, ცა დუო „არ აკეთებს“, ცა ლოუზუ „არ თამაშობს“...

მა ლუო! „არ წახვიდე!“, მა ალა! „არ თქვა!“, მა ვუ̄ლა! „არ მოხვიდე!“, მა დიგა! „არ წაიყვანო!“...

მაშასადამე, ერთი შეხედვით უარყოფითი ფორმების წარმოება ჩეჩნურში სიძნელეს არ წარმოადგენს: თხრობითი კილოს ფორმებს წინ დაერთვის **ცა**, ბრძანებითის ფორმებს კი — **მა** ნაწილაკი.

ნათქვამი, როგორც ზემოთ ითქვა, ეხება უპრეველრბო ერთფუძიან ზმნებს.

სანამ პრეველრბიან და რთულ ზმნათაგან თხრობითი კილოს უარყოფითი ფორმების წარმოებას შევეხებოდეთ, განვიხილოთ დუ „არის“ ზმნის უარყოფითი ფორმა.

დუ „არის“ ზმნა ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში, როგორც შედარება გვიჩვენებს, მეორეულია. ამოსავალი ფორმა **და** დასტურდება ჩეჩნური ენის დიალექტებში, მაგალითად: ახიურში, მითხოურში (არსახანოვი 1969), მაისთურში. **და** ამავე სახით წარმოდგენილია აგრეთვე ინგუშურსა და წოვათუშურში.

დუ-სგან უარყოფითი ფორმის წარმოებისას **ც**(<ცა) ნაწილაკი დაერთვის ამოსავალ ფორმას ბოლოში, სუფიქსის სახით. შდრ.: და-ც (<და-ცა), მოსალოდნელი იყო ცა დუ. დაც უგამონაკლისოდ დასტურდება ჩეჩნური ენის ყველა დიალექტში. მაშასადამე, აღნიშნული ზმნისაგან უარყოფითი ფორმა იწარმოება სინთეზურად, უარყოფითობის ნაწილაკს კი სუფიქსის ფუნქცია აქვს.

როგორც ცნობილია, **დუ** ზმნა დეფექტურია — დროთა მხოლოდ ორი ფორმა აქვს — აწმყო და ნამყო უწყვეტელი. ორივე ამ ფორმისაგან უარყოფითიც იწარმოება, შდრ.: აწმყო: დუ „არის“ — დაც „არ არის“, ნამყო უწყვეტელი: დარა „იყო“ — დაცარა „არ იყო“ (**ცა** ნაწილაკის ხმოვნითი ნაწილაკი აღდგენილია არაბოლოკიდურ პოზიციაში).

ასევე ცნობილია, თხრობითი კილოს მყოფადი ფაქტობრივი აღწერითია: ვრლურ ვუ „მოვა“, დრშურ დუ „ისწავლის“ (იხ. მყოფადის წარმოება)... ამ ფორმათაგან უარყოფითი ფორმების წარმოებისას ვ-უ (დ-უ...) იცვლება ვ-ა-ც (დ-ა-ც...) ფორმებით: ვრლურ ვაც „არ მოვა“, დრშურ დაც „არ ისწავლის“...

აღწერითი ფორმების პარალელურად ჩეჩნურში გაჩნდა სინთეზური ფორმებიც, სადაც **ც** (< **ცა**) ნაწილაკი დაც „არ არის“ ფორმის ანალოგიით (ჩვენი ვარაუდით) სუფიქსად არის წარმო-

დგენილი. შდრ.:

წყა ა დიცლაც სუნა... „არასოდეს მავიწყდება მე...“ (6)

'ედალურ მაგრთაც ცარნა „კანონი უკრძალავს მათ“ (11)

ღარბალ ღუ, ხარბალ ღუ ხა'აც სუნა „ღარბალია თუ ხარბალი, არ ვიცი მე“ (34) (აიდამიროვი 1975).

საინტერესოა, რომ ანალოგიური ფორმები ანდაზებშიც არის წარმოდგენილი. შდრ.:

'ემინარგ დითალაც „შეჩვეულს ვერ შეეშვებიო“

მჟეთთან' ჩოუ ჟერზა თიგალაც „ენით მიყენებული ჭრილობა არ ხორცდებაო“

ირხჟე ირცუშ უოჰანჟე ხილაც „უაღმართოდ დაღმართი არ არისო“... (ჩეჩნური ფოლკლორი 1964).

მიუხედავად ამისა, საანალიზო ფორმები ახალი ჩანს (ახალია, ალბათ, ანდაზებშიც) თუმცა ისინი ფართოდ იკიდებენ ფეხს სალიტერატურო ენაშიც.

დაც ფორმის მსგავსი უარყოფითი ფორმები ჩვეულებრივია ინგუშურ ენაში, სადაც აღწერითი უარყოფა უკვე აღარ შეინიშნება. დ. მალსაგოვი წერს: „ჩეჩნურისაგან განსხვავებით სინტაქსურ განსხვავებას უნდა განეკუთვნოს ინგუშურ დიალექტში უარყოფის **ც**-ს დართვა ზმნის ბოლოში: დიეშაც „არ ვკითხულობ“, ვუოდაც „არ მივდივარ“ (მალსაგოვი დ. 1998, 188).

როგორც ამ დებულებიდან ჩანს, მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, როცა დ. მალსაგოვის ნაშრომი პირველად დაიბეჭდა (1941 წ.), ჩეჩნურში უარყოფის სინთეზური ფორმები არ შეინიშნებოდა (თუმცა დაც „არ არის“ პ. უსლართან დამოწმებულია).

სინთეზური ფორმები უცხო ჩანს წოვა-თუშურისთვისაც (სანიკიძე 1984, 96; ქადაგიძე 1984).

მოვიყვანოთ ანალიზური წარმოების ნიმუშები ჩეჩნური სალიტერატურო ენიდან:

რეშიდ ცა ვე'ანა „რეშიდი არ მოსულა“ (6)

ბამბა მიჩაჰა ბუ, ცა ხა'ა ჰუნა? — ცა ხა'ა „ბამბა სად არის, არ იცი შენ? — არ ვიცი“ (120) (გაისულთანოვი 1972).

განსხვავებულად იწარმოება უარყოფითი ფორმები პრევერბიანი

და რთული ზმნებისაგან. უარყოფითი ფორმები ჩვენ განხილული გვაქვს კითხვით და ბრძანებით ფორმებში. აქ ვიტყვით, რომ ჩეჩნურში პრევერბიან და რთულ ზმნებში უარყოფა გამოხატულია ტმესისებურად. უარყოფის გამოხატვის ანალოგიური წესი იბერიულ-კავკასიურ ენებში შესწავლილი აქვს თ. გვანცელაძეს (გვანცელაძე 1983, 165).

თ. გვანცელაძე ჩეჩნურ მასალასაც ეხება და აღნიშნავს, რომ **ცა** და **მა** ნაწილაკები აღნიშნულ ენაში ცალკეც იხმარება, მაგრამ ისინი შეიძლება ფუძეშიც იყოს ჩართული: ჰაალა**ც**აღათთარ „აუდგომლობა", დ'а**ц**авахьа „არ წავიდა", დ'а**მ**аღьо! „არ წახვიდე!" (გვანცელაძე 1983, 212-123).

ცხადია, აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა ფუძეზე, არამედ პრევერბიან ზმნაზე — უარყოფის ნაწილაკი ხლეჩს პრევერბს ფუძისაგან და მათ შორის იჩენს თავს. ასეთივე მდგომარეობაა რთულ ზმნებშიც, როცა **ცა** ნაწილაკით არის გახლეჩილი რთული ზმნის ფუძეები. შდრ.: სათ̌ურხა' „მოთმინება" (სა „სული" + თ̌ურხа' „დარტყმა") და უარყოფითი ფორმა: სა მა თ̌ურხა „ნუ მოითმენ!". სხვა საკითხია, როგორ დავწერთ ამ ფორმას — ერთად თუ დაშლით (რაც, აგრეთვე, შესწავლის საგნად რჩება).

ხ. ოშაევმა შენიშნა, რომ **ცა** ნაწილაკის ფუნქცია არ იცვლება მისი პოზიციით, შდრ.: დაე̆ყა ца лъо ‖ დაე̆ყალაц „არ იყოფა" (ოშაევი 1959, 214). ამ ფორმებს დაემატებოდა ქისტური ца დაე̆ყალъо-ц. როგორც ჩანს, ნ. იაკოვლევის მასალას (იაკოვლევი 1940, 29-30) ეყრდნობა კ. დონდუა, როცა წერს, რომ ჩეჩნურში **მა** და **ცა** ნაწილაკების კილოების მიხედვით დიფერენცირების საფუძველი უნდა გაირკვესო (დონდუა 1975, 156-157).

იბერიულ-კავკასიურ ენათა უარყოფის მაწარმოებელ ნაწილაკთა მდიდარი მასალა შედარებით ასპექტში განხილული აქვს თ. გვანცელაძეს ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში (უარყოფითი ფორმების წარმოების ანალიზთან ერთად). დასკვნები სარწმუნოა და მისაღები, ამიტომ მათზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

მოვიყვანთ უკუთქმითი ბრძანებითის ფორმების შემცველ ანდაზებს ფოლკლორული მასალიდან (ჩეჩნური ფოლკლორი 1964).

ხი ტა̆ე ჯэჩალა̆ე мэჩაშ д'а ма ӑэхьа „მდინარეზე მისვლამდე

ფეხსაცმელს ნუ გაიხდიო“;

წარცა ბაეგაშ მა ბაე, ხიხა ა მა თაეშა „ცეცხლს ნუ ეხუმრები, წყალს ნუ ენდობიო“;

ჰერანა ნექა მა ჰაეხა „თევზს ცურვას ნუ ასწავლიო“;

წაენა ჶრცჩუ ჰუონსან დეყაე სუო მა ლაეცა „ნაქურდალის წილში მე ნუ მთვლიო“...

ბაერზან კაეზა ‘ურგარა ა მა ჶრლრლა, ელან კანთ აგანარა ა მა ღოთთრლა „მგლის ლეკვი ბუნაგიდანაც ნუ გამოსულა, ბატონის ვაჟი აკვნიდანაც ნუ ამდგარაო“...

თავისებური ზმნები

1. ორ და სამფუძიანი უღლების ზმნები

წესიერ ზმნათა უღლებისას საუღლებელი ფუძე არ იცვლება. ფუძის ცვლაში არ იგულისხმება დროთა მაწარმოებელი სუფიქსების დართვით გამოწვეული ფუძისეულ ხმოვანთა ცვლილებები (ლაბიალიზაცია, პალატალიზაცია, პალატალიზაცია — დავიწროებით). ჩეჩნური ენის ჭებერლოურ დიალექტში, მაგალითად, აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენებს უღლების სისტემაში, როგორც წესი, ადგილი არცა აქვს. მაშასადამე, უღლების თვალსაზრისით, წესიერი უღლების ზმნები ერთფუძიანი ზმნებია.

ერთფუძიან ზმნათა გვერდით ჩეჩნურში გამოიყოფა ორფუძიანებიც. ორფუძიანი უღლების პრინციპით ცვალებადი ზმნები ჩეჩნურში მცირერიცხოვანია. განირჩევა რამდენიმე სახეობა, კერძოდ:

1. დ-ალ-ა^{5} „მოკვდომა, მიცვალება“
   დ-ალ-ა^{5} „მიცემა“
   დ-აჰ-ა^{5} „წაღება“

სამივე ეს ზმნა ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნის მქონეა და ერთნაირი მოდელით აწარმოებს I და II სერიის დროთა ფორმებს. ამ ზმნებს სერიების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუძეები აქვთ. შდრ.:

	I სერია		
აწმყო:	1. ლ-ა	2. ლ-უო	3. ჰა-უო
მყოფადი:	ლ-დერ‖ლ-ირ დუ	ლ-ურ‖ლ-ურ	დუჰა-უორ‖ჰა-ურ დუ
ნ. უწყ.	ლ-ა-რა	ლ-უო-რა	ჰა-უო-რა
	II სერია		
ნ. უახლ.:	დ-დელ-ი^{ნ}	დ-დელ-ი^{ნ}	დ-დეჰა-ი^{ნ}
ნ. განსაზღ.:	დ-დელ-ი-რა	დ-დელ-ი-რა	დ-ჰა-ი-რა

მაშასადამე, პირველი ორი ზმნის დროთა საწარმოებელი ფუძეებია I სერიაში **ლ-**, II სერიაში დ-დელ-, მესამე ზმნისა კი შესაბამისად — **ჰა** და **დ-დეჰა**. ნათელია, ორივე ფუძე ერთი და იგივე ძირისაგან არის ნაწარმოები.

I და II სერიების ფუძეთა შედარება გვიჩვენებს, რომ ამოსავალი ვითარება II სერიის დროებშია დაცული: II სერიაში წარმოდგენილია ფუძეები, რომლებიც საკვლევ-ზმნათა ინფინიტივებში დასტურდება (შდრ.: ჩოქაევი 1968, 172-173).

II სერიის ფუძეთაგან განსხვავებით I სერიის ფუძეებში დაკარგულია წინა ნაწილი (ე.ი. გრამატიკული კლასის ნიშანი მომდევნო ხმოვნითურთ). მაშასადამე, I სერიაში აღნიშნული ფუძეები ცალთანხმოვნიანი ძირების სახით არის წარმოდგენილი. ომონიმური ფუძეებისაგან ნაწარმოები II სერიის დროთა ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, მათ შორის სხვაობა I სერიაში იჩენს თავს. II სერიაში აღნიშნულ ფორმათა დამთხვევა მოჩვენებითია, რადგან ცვალებადი გრამატიკული ნიშანი ერთ შემთხვევაში (დ-ალ-ა^{ნ} „მოკვდომა“ გარდაუვალი ზმნაა) სუბიექტს გამოხატავს, მეორე შემთხვევაში იგივე გრამატიკული კლასის ნიშანი ობიექტის გამომხატველია (დ-ალ-ა^{ნ} „მიცემა“ გარდამავალი ზმნაა).

როგორც ჩანს, ფუძეთა სერიებში შენაცვლება (როცა I სერიაში უსრული ფუძე, ხოლო II სერიაში სრული ფუძეა წარმოდგენილი) ჰქონდა მხედველობაში დ. იმნაიშვილს, როცა წერდა, რომ აღნიშნულ ზმნებში II სერიაში I ფუძეა წარმოდგენილი, I სერიაში კი — პირიქით, II ფუძეო (იმნაიშვილი 1976, 165).

წარმოების თვალსაზრისით ფუძეთა კვალიფიკაცია I და II ფუძედ, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი

(ფუძეები ერთმანეთთან კავშირს ავლენენ). ქვემოთ დავინახავთ, რომ ზმნათა გარკვეულ ჯგუფს სერიების (ან: ერთი სერიის შიგნითაც) მიხედვით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფუძეები აქვთ.

გ-ა^{ნ} „დანახვა“ ზმნაში ორივე სერიაში ფუძედ **გ-** გამოიყოფა. შდრ.:

I სერია	II სერია
აწმყო: გ-უო	ნ. უახლესი: გ-ი^{ნ}
ნ. უწყვ. გ-უო-რა...	ნ. განსაზღვ.: გ-ი-რა...

სავარაუდოა, რომ **გ-** ფუძე (იგივე ძირი) მეორეულია. შდრ., წოვათუშურში დ-აგ-ა^{ნ} „დანახვა“ (სრ. ასპ.) და გუა^{ნ} „ყურება, ხედვა“ (უსრ. ასპ.). დაგა^{ნ} წოვათუშურში ნამყო უახლესს (შდრ.: კოტინ დახკრ ბაგი^{ნ} „კატამ თაგვი დაინახა“, ბადრეენ ნან ქაგი^{ნ} „ბავშვმა დედა დაინახა“), ხოლო გუა^{ნ} — აწმყოს აწარმოებს (შდრ.: ლამზურ ბუბუკ გუ სო^{ნ} „ლამაზ ყვავილს ვხედავ“...). მაშასადამე, ჩეჩნურში გ-ა^{ნ} ზმნა მიღებულია დ-ა^{ნ} (< დაგ-ა^{ნ}) ზმნის II საუღლებელი ფუძისაგან. რამდენადაც II საუღლებელმა ფუძემ ახალი ზმნა წარმოშვა, დ$\bar{\text{ა}}^{ნ}$ „დანახვა“ ფორმას I სერიის დროთა ნაკვთები, ბუნებრივია, არ ექნება. თავის მხრივ, გა^{ნ} ზმნას არ უნდა ჰქონოდა II სერიის ნაკვთები, მაგრამ ენამ ეს ნაკვთები მისგანაც აწარმოა. ამის შედეგად ერთი და იგივე ზმნის ორი საუღლებელი ფუძე, დროთა წარმოების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ზმნების სახით ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა (დ$\bar{\text{ა}}^{ნ}$ ზმნის ნაკლული დროების მიუხედავად).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნური ენის დიალექტებისათვის არ არის უცხო ნამყო დროებში სრული ფუძე დაჲნა (< დაგ-ი-ნა). უფრო მეტიც, დაჲნა, მოსალოდნელი გ-ინა-ს ნაცვლად, სალიტერატურო ენაშიც ჩანს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ **გ-** ფუძის განზოგადებას ჩეჩნურში დიდი ხნის ისტორია არა აქვს.

2. სერიების მიხედვით განსხვავებული ფუძეები აქვთ ზმნებს დ$\bar{\text{ა}}^{ნ}$ „მოსვლა“ და დ$\bar{\text{ა}}^{ნ}$ „მოტანა“. ეს ზმნები განხილულია ხმოვანფუძიან ზმნებში (იხილე), სადაც გარკვეულია მათი მეორეულობა სხვადასხვა წარმოშობასთან ერთად. შდრ., აწმყო: დ-$\bar{\text{ო}}$ღ-უ „მოდის“ (საწარმოებელი ფუძეა დ-$\bar{\text{ო}}$ღ- < დ-$\bar{\text{ა}}$ღ-) და დ-აჰ-ა „მოაქვს“ (საწარმოებელი ფუძეა დ-აჰ-). II სერიის ნაკვთები ამ ზმნებს ერთნაირი, იღენ-

ტური აქვთ, შდრ., ნ. უახლესი: დ-ჲე'-ა^{ნ}, ნ. განსაზღვრული: დ-ჲე'-არა და ა.შ., სადაც საწარმოებელი ფუძეა დ-ჲე'.

რაიმე სახის კავშირი დ-რღ- და დ-ჲე'-, ან დ-აჰ- და დ-ჲე'-ფუძეებს შორის არ ჩანს, ე.ი. I სერიის ორივე საწარმოებელ ფუძეს II სერიაში სხვა ფუძე ენაცვლება. არ არის გამორიცხული, რომ დჲე'-ფუძეც მეორეული იყოს, რომ მასაც სხვა სტრუქტურა ჰქონდეს.

გარეგნული მსგავსების მიუხედავად დ-ჲე'- ფუძე (ორი სხვადასხვა ზმნისა) განარჩევს „მოსვლა" მნიშვნელობას „მოტანა" მნიშვნელობისაგან: პირველ შემთხვევაში ზმნა გარდაუვალია და გრამატიკული კლასის ნიშნით სუბიექტის კლასია გამოხატული, მეორე შემთხვევაში კი ზმნა გარდამავალია და გრამატიკული კლასის ნიშანი ობიექტის კლასს გამოხატავს.

და^{ნ} „მოსვლა" რიცხვში მონაცვლეცაა, იგი სუბიექტის მხ. რიცხვს გამოხატავს. სუბიექტის მრ. რიცხვის გამომხატველია დ-ახჭ-ა^{ნ} (ფუძეა დ-ახჭ-). ამ ფუძისაგან დროები იწარმოება შემდეგნაირად (პიროვნების კლასში):

აწმყო:	დ-რღ-უ (I, II პპ.), ბ-რღ-უ (III პ.)
მყოფადი:	დ-რღ-უ-რ ‖ დ-რღ-უ-რ დ-უ (I, II პპ.)
	ბ-რღ-უ-რ ‖ ბ-რღ-უ-რ ბ-უ (III პ.)
ნ. უწყვეტელი:	დ-რღ-უ-რა (I, II პპ.) ‖ ბ-რღ-უ-რა (III პ.)

ნათელია, რომ დ-ახჭ-ა^{ნ} I სერიის ნაკვთებს იმ ზმნისას იმეორებს, რომელიც სუბიექტს მხოლობით რიცხვში გამოხატავს. სუბიექტის მრ. რიცხვის გამოხატვა ამ შემთხვევაში (პიროვნების კლასში) გრამატიკული ნიშნების ცვლით არის მიღწეული: მხოლობით რიცხვში სხვა ნიშნებია წარმოდგენილი.

სამაგიეროდ აღნიშნულ ზმნას II სერიის ნაკვთები საკუთარი აქვს, შდრ.:

ნ. უახლესი:	დ-ჳხჭ-ი^{ნ} (I, II პპ.), ბ-ჳხჭ-ი^{ნ} (III პ.)
ნ. განსაზღვ.:	დ-ჳხჭ-ი-რა, ბ-ჳხჭ-ი-რა
ნ. განუსაზღვ.:	დ-ჳხჭ-ი-ნა, ბ-ჳხჭ-ი-ნა
ნ. წინარეწარს.:	დ-ჳხჭ-ი-ნ-Ძერა, ბ-ჳხჭ-ი-ნ-Ძერა.

3. ჩვენი აზრით, ცალკე დგას გარდაუვალი ზმნა დ-ახ-ა^{ნ} „წა-

სვლა“. დ-ახ ფუძეს, რომელიც II სერიაშია წარმოდგენილი (შდრ., ნ. უახლესი: დ-ახ-ა^{ნ}, ნ. განსაზღვრული: დ-ახ-ა-რა, ნ. განუსაზღვრელი: დ-ახ-ა-ნა...), I სერიაში დ-ჴდ- ფუძე ენაცვლება (შდრ., აწმყო: დ-ჴდ-უ, ნ. უწყვეტელი: დ-ჴდ-უ-რა) ორ დროში (აწმყოსა და ნ. უწყვეტელში), მყოფადი კი იწარმოება ღუორ||ღურ დუ- ფორმების სახით.

როგორც ჩანს, მყოფადში სხვა ფუძეა წარმოდგენილი, კერძოდ, **ღ-** ფუძე-ძირი, რადგან ახიურში ღ-უო ფორმა (= „მივდივარ“) აწმყოშივე დასტურდება (არსახანოვი 1959, 53), რომლისგანაც უნდა იყოს ნაწარმოები მყოფადის ფორმები ღუორ||ღურ დ-უ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აწმყოში დ-ჴდ-უ და მისგან ნაწარმოები ნამყო უწყვეტელი დ-ჴდ-უ-რა მეორეული უნდა იყოს, **ღ-** კი — აწმყოს ძველი ფუძე (თუმცა ნ. უწყვეტლის **ღ-** ფუძისაგან ნაწარმოები ფორმა დიალექტებში ჯერჯერობით არ იძებნება). **-ხ-** (დ-ახ- ფუძეში) და **ღ-** ერთმანეთს დაუკავშირა დ. იმნაიშვილმა და დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაშიც სერიების მიხედვით ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორიც დალა^{ნ} ზმნის დ-ალ და ლ- ფუძეებში გვქონდა (იმნაიშვილი 1976, 184-185).

ღ- ფუძე ჩანს აგრეთვე სხვა კილოთა ფორმებში, მაგ., ბრ. კილო: ღ-უო! „წადი!“, თხოვნით-ბრძანებითი: ღ-უო-ჰა! „წადი, რა!“ ნატვრითი: ღ-უო-ჰა-რა! „ნეტა წახვიდე!“ და სხვ.

მაშასადამე, დ-ახ-ა^{ნ} „წასვლა“ ზმნა სამფუძიანი უღლების მიხედვით აწარმოებს დროებს. I სერიაში ორი საწარმოებელი ფუძეა, ესენია დ-ჴდ- და ღ-, II სერიაში კი საწარმოებელი ფუძე არის დ-ახ.

და, ბოლოს: დ-ჴდ- ფუძე (და მისგან ნაწარმოები ნ. უწყვეტელის ფორმა) სუბიექტის მხ. რიცხვს გამოხატავს, მრ. რიცხვში მას დ-ჶლხ- ენაცვლება (შდრ., აწმყო: თხუო დ-ჶლხ-უ, ნ. უწყვეტელი: თხუო დ-ოლხ-უ-რა). ეს მეოთხე ფუძეა, რომელიც უღლებაში დ-ახ-ა^{ნ} „წასვლა“ ზმნა გვიჩვენებს (კლასის ნიშნის საშუალებით სუბიექტის რიცხვისა და პირის გამოხატვის შესახებ იხ.: რიცხვის კატეგორია).

შევადაროთ ზმნური ფორმები:

ა̄ლ-ა^{ნ} „თქმა“ — ლაე̄^{ნ} „ლაპარაკი, ვ-ად-ა^{ნ} „გაქცევა“ — იდ-ა^{ნ} „სირბილი“, ვ-ახ-ა^{ნ} „წასვლა“ — იხ-ა^{ნ} „სიარული“, დატა^{ნ} „გასკდომა“ (ერთგზ.) — ე̄ტა^{ნ} (მრავალგზ.). ჩვენი ვარაუდით, ჩამოთვლილ ზმნურ

ფუძეთა დაკავშირება არც სტრუქტურული და არც ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით არ უნდა იყოს საეჭვო. ვვარაუდობთ, რომ ჩამოთვლილ ზმნებშიც სწორედ ორფუძიანობა გახდა მათი განსხვავებულ ლექსემებად ჩამოყალიბების საფუძველი — ერთმანეთისაგან განსხვავებულ ლექსემებად ჩამოყალიბებამ კი აღნიშნული ფუძეები ცალკე გამოყო ორფუძიანი უღლების ზმნებისაგან. ორფუძიანებში ფუძეები მკვეთრად დიფერენცირებულია სერიების მიხედვით, ამ ზმნებში, მიუხედავად მათი მჭიდრო კავშირისა, სერიების მიხედვით დაპირისპირება არა გვაქვს, აღნიშნული ფუძეები ასპექტურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს (იხ. ასპექტის კატეგორია).

II. დეფექტური ზმნები

პ. უსლარმა ჩეჩნურში ცალკე ჯგუფად გამოყო ე.წ. უწესო ზმნები. უწესო ზმნათა უღლება ზოგად წესს არ ექვემდებარება, ე.ი. უწესოა ზმნა, რომელიც უღლების არც ერთ ტიპს არ განეკუთვნება. ასეთი ზმნები ჩეჩნურში ცოტაა, წერს პ. უსლარი და ჩამოთვლის ზმნებს უღლების პარადიგმებითურთ (უსლარი 1888, 101-103).

უნდა ითქვას, რომ პ. უსლარის მიერ შედგენილ უწესო ზმნათა სია დღემდე თითქმის არ შეცვლილა: რამდენიმე გამოაკლდა, მაგრამ რამდენიმე დაემატა. მომდევნო ხანის მკვლევრებმა კი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აღნიშნულ ზმნათა სტრუქტურისა და ისტორიის დადგენაში.

უწესო, ანუ დეფექტური, ზმნები ინგუშურში განხილული აქვს ზ. მალსაგოვს. მის ნაშრომში გამოყოფილია „ყველაზე უფრო ხშირად ხმარებული უწესო ზმნები უმთავრესი გადახრების მითითებით წესიერი უღლების ზმნებისაგან“ (მალსაგოვი ზ. 1998, 130-133). ასეთი სულ ოცი ზმნაა — პ. უსლარისეულ ცამეტს მიმატებულია კიდევ შვიდი.

დეფექტურ ზმნებს ჩეჩნურში საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა დ. იმნაიშვილმა (იმნაიშვილი 1973). ამ ნაშრომში განხილულია დეფექტურ ზმნათა უღლების საკითხები ჩეჩნური ენის დიალექტებში, ინგუშურსა და წოვა-თუშურ ენებში.

ჩვენ განვიხილავთ დეფექტურ ზმნათა თავისებურებებს სალი-

ტერატურო ჩეჩნურში. დეფექტური ზმნები ჩეჩნურში შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ, კერძოდ:

1. ზმნები, რომელთაც საწარმოებელი ფუძე არა აქვთ. ასეთია, მაგალითად, ზმნა დ-უ „არის“, რომელსაც კონტექსტის მიხედვით მეშველი ზმნის ფუნქციაც აქვს. ეს ზმნა „ფრიად ღარიბია ფორმებითო“, — შენიშნავდა პ. უსლარი (უსლარი 1888, 65). დ-უ ზმნაში **დ-** ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანია, **-უ** კი აწმყოს მაწარმოებელი ფორმანტია, ფუძე არა აქვს. გარდა ამისა, დ-უ ზმნას არა აქვს ინფინიტივისა და მასდარის ფორმები, აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის (შდრ.: დ-ა-რა) გარდა, სხვა დროთა ფორმებიც. ნამყო უწყვეტელში, როგორც ჩანს, აღდგენილია აწმყოს ძველი მაწარმოებელი **-ა** (შდრ.: დ-ა), ძველი ფორმა აწმყოსი კი წარმოდგენილია ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში (მაისტურში, ახიურში), ინგუშურში, წოვა-თუშურში.

დ-უ ზმნა ნაკლულ დროთა ფორმების შესავსებად იყენებს ხილ-ა[5] „ყოფნა“ ზმნის ფორმებს, თუმცა ამ ზმნას საკუთარი ფორმები აწმყოსა და ნამყო უწყვეტელშიც ეწარმოება. შდრ., აწმყო: ხუ̆ლ-უ „არის, არის ხოლმე“, ნ. უწყვეტელი: ხუ̆ლ-უ-რა „იყო ხოლმე“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ დ-უ ზმნას სხვა კილოებში ენაცვლება დ-ალ- ფუძიანი ფორმები, შდრ., პირობითი კილო: დ-ალ-ა-ჰ, პირობითნატვრითი: დ-ალ-ა-ჰ-ა-რა, ნატვრითი: დ-ალ-ა-რა... ასეთი შენაცვლება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამოსავალში დ-უ ზმნას დ-ალ- (< დ-ალ-ა[5]) საწარმოებელი ფუძე უნდა ჰქონოდა, როგორც ამას ვარაუდობს დ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი 1976, 172).

ჟ. დიუმეზილს შენიშნული აქვს, რომ დ-უ ზმნას საკუთარი არც აბსოლუტივის ფორმა აქვს: არ არის მოსალოდნელი დ-უ-შ (ვ-უ-შ...), სიცარიელეს ავსებს დ-ოლ-უ-შ (დიუმეზილი 1933, 277-278). ამავე ფუძისაგან არის ნაწარმოები აწმყოს მიმღეობაც: დ-ოლ-უ-[6] (დამოკიდებული მიმღეობა).

ამგვარად, დ-უ ზმნას ისტორიულად თავისი საწარმოებელი ფუძე უნდა ჰქონოდა, როგორც ზემოთ ითქვა, დ-ალ- ფორმის სახით, რომელიც აწმყოს აბსოლუტივისა და აწმყოს მიმღეობის ფორმებშია შემორჩენილი.

ტიპოლოგიურად ჩეჩნურში ისეთივე ვითარებაა, როგორიც ქართულში. მაგალითად, ქართულში ვარ ზმნას არა აქვს უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის ფორმები, მყოფადში ენაცვლება ვიქნები, წყვეტილში — ვიყავ და ა.შ., ე.ი. საქმე გვაქვს მწკრივებში შენაცვლებასთან (შანიძე 1973, 505). სათანადო პარალელის გავლება რუსულ ენასთანაც შეიძლებოდა.

საუღლებელი ფუძის უქონლობა, სხვა თავისებურებებთან ერთად, დ-ა^{ნ} „ქმნა, კეთება“ ზმნის თავისებურებაა (იხ.: ხმოვანფუძიანი მარტივი ზმნური ფუძეების ფონემ. სტრუქტურა). ამ ზმნაში გამოიყოფა ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანი **დ-** და სუფიქსი -ა^{ნ} (< ა+ ^{ნ}).

დ-ა^{ნ} ზმნა დროთა მიხედვით შემდეგნაირად იცვლება:

I სერია		პ. უსლარის მიხედვით:
აწმყო:	დ-უო	დ-უო
მყოფადი:	დ-დერ‖დ-ირ დუ	დ-დერ‖დირიგ დუ
ნამყო უწყ.:	დ-უო-რა	

II სერია

ნამყო უახლესი:	დ-ი^{ნ}	დ-ი^{ნ}
ნამყო განსაზღ.:	დ-ი-რა	დ-ი-რ
ნამყო განუსაზღ.:	დ-ი-ნა	დ-ი-ნა
ნამყო წინარეწარ.:	დ-ი-ნ-დერა	დ-ი-ნ-დერა

დ-ა^{ნ} ზმნის საწარმოებელი (ამოსავალი) ფუძის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება (არ არის გამორიცხული, რომ **-ა-** ხმოვანი ფუძისეულიც იყოს).

2. ხმოვანფუძიან ზმნათა ფონემატური სტრუქტურის განხილვისას ითქვა, რომ ისტორიულად ჩეჩნური ენისათვის ხმოვანფუძიანი ზმნები დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო. ყველა ასეთი ზმნა მეორეულია — ფუძის ცვეთის (ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვის) შედეგად არის მიღებული.

ხმოვანფუძიან ზმნათა თავისებურებებზე დროთა სისტემის შესახებ მსჯელობისას ითქვა: ისეთი ზმნები, როგორიცაა თა^{ნ} „შერიგება“, ლა^{ნ} „ნდომა, სურვილი“, დ-ა^{ნ} „დაკარგვა“, ლდე^{ნ} „ლაპარაკი“, დ-

ᲔᲜ „მოკვლა, დაკვლა“, დ-ᲔᲜ „თესვა“ ხმოვანფუძიანებია და უღლების (დროთა) სისტემაში ზოგი თავისებურება ახასიათებთ. თუ როგორ აწარმოებენ ჩამოთვლილი ზმნები დროთა ფორმებს, დროთა სისტემის დახასიათებისას არის მოცემული და აქ აღარ გავიმეორებთ, სანიმუშოდ მოგვყავს ზოგი მათგანის უღლების პარადიგმები:

I სერია

ინფ.	თᲐნ „შერიგება“	დ-Ვ̃ნ „დაკარგვა“	დ-ᲔᲜ „დაკვლა“	ლᲔᲜ „ლაპარაკი“
აწმყო:	თოუ̃ (<თა-უ)	დ-ოუ̃	დ-რ̃	ლრ̃
მყოფ:	თოუ̃რ‖ თოუ̃რ დ-უ	დ-ოუ̃რ (დუ)	დ-რ̃რ (დუ)	ლრ̃რ (დუ)
უწყ.:	თოუ̃რა	დ-ოუ̃რა	დ-რ̃რა	ლრ̃რა

II სერია

ნ. უახლესი	თაᲔᲜ	დ-აᲔᲜ	დ-ი̃ნ	ლი̃ნ
ნ. განსაზღვ.	თაᲔრა	დ-აᲔრა	დ-ი̃რა	ლი̃რა
ნ. განუსაზღვ.	თაᲔნა	დ-აᲔნა	დ-ი̃ნა	ლი̃ნა
ნ. წინარეწარ.	თაᲔნᲔ̃რა	დ-აᲔნᲔ̃რა	დ-ი̃ნᲔ̃რა	ლი̃ნᲔ̃რა

3. ცალკეა გამოსაყოფი ისეთი ზმნური ფუძეები, რომლებიც მყოფადის ფორმათა წარმოებისას განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ. ერთი ასეთი ზმნა პ. უსლარსაც აქვს შენიშნული. ეს არის ხილᲐნ „ყოფნა“. შდრ.: ხირ (მყოფადი შესაძლებელი) და ხირიგ დუ (მყოფადი ფაქტობრივი) მოსალოდნელი ხილურ და ხილურიგ დუ ფორმათა ნაცვლად.

პ. უსლარის აზრით, ფორმათა შემოკლება ზოგადად დამახასიათებელია ჩეჩნური ენისათვის და მყოფადშიც შემოკლებულ ფორმებთან გვაქვს საქმე (უსლარი 1888, 82).

თავისებურება, რომელიც **ლ** თანხმოვანზე დაბოლოებული ზოგი ფუძე გვიჩვენებს მყოფადში, განხილულია დროთა სისტემაში (იხ.: მყოფადი, მე-3 პუნქტი).

თავი მესამე

ზმნური კატეგორიები

ჩეჩნურში ნ. იაკოვლევი გამოყოფს შემდეგ ზმნურ კატეგორიებს: დრო, კილო, გვარი, გრამატიკული კლასი. იმავე მკვლევარის აზრით, ჩეჩნური ზმნის იშვიათი კატეგორიებია ასპექტი, რიცხვი. გარდა ამისა, ჩეჩნურ ზმნას აქვს, მასდარი, მიმღეობა, აბსოლუტივი, ინფინიტივი და ე.წ. საგარემოებო ფორმები (**придаточные формы**). საგარემოებო ფორმები ყოველი ზმნური ფუძისაგან იწარმოება და შემასმენლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის წინადადებაში (იაკოვლევი 1960, 153-154). ნ. იაკოვლევი შენიშნავს, რომ ჩეჩნური ზმნა თითქმის არ იცვლება პირის მიხედვით. მას მხედველობაში აქვს ბრძანებითი კილოს ფორმები, რომლებიც II პირს განარჩევენ მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვების მიხედვით. აქვე შევნიშნავთ, რომ გვარის შესახებ ვრცელი მსჯელობის მიუხედავად ნ. იაკოვლევს დასაბუთებული არა აქვს გვარის არსებობა ჩეჩნურში: გვარში იგი განიხილავს ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის, გარდაუვალისაგან გარდამავალი ზმნის წარმოების საკითხებს, კაუზატივის წარმოების საშუალებებს.

რ. დოლაქოვას მიხედვით, ნახური ენების ზმნისათვის დამახასიათებელია შემდეგი კატეგორიები: ასპექტი, დრო, კილო, გრამატიკული კლასები (შდრ., ჩამონათვალში გვარი არ ფიგურირებს). გარდა ამისა, ნახურ ენათა ზმნას ახასიათებს შინაგანი ფექსია, რომელიც მეორეულია და აღნიშნულ ენათა განვითარების გარკვეულ ეტაპზეა განვითარებული. იგივე მკვლევარი წერს, გარდამავლობა-გარდაუვალობა სემანტიკურად არის წარმოდგენილი ზმნური ფუძეებით (დოლაქოვა 1961, 26,44). მისივე აზრით, ინგუშურ ენაში უნდა გამოიყოს იგივე ზმნური კატეგორიები, რაც ჩეჩნურში.

ი. დეშერიევს მიაჩნია, რომ ჩეჩნური ენის ზმნური კატეგორიები მომდინარეობენ ნახური ფუძე-ენიდან, ასეთია, მაგალითად: გრ. კლასები, დროები, კილოები, ასპექტი, სუბიექტისა და ობიექტის რიცხვი. ამასთან, პირის კატეგორია ნახური ფუძე-ენის დაშლის შემდეგ გაჩნდა წოვა-თუშურში, ხოლო ინგუშურში ნამყო უახლესის ფორმა

დაიკარგა, მოიშალა (დეშერიევი 1963, 465; 1965, 238; 1967, 200).

უნდა ითქვას, რომ პირის კატეგორია გაჩნდა აგრეთვე ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტშიც, პირის კატეგორია ქისტურსა და წოვა-თუშურში, წარმოებისა დ გენეტური თვალსაზრისით, თითქმის იდენტურია და ამ კატეგორიის გაჩენის მიზეზი, ჩანს, ქართული ენაა: ქისტურიც და წოვა-თუშურიც ქართული ენის გარემოცვაშია.

კლასის, დროის, კილოსა და ასპექტის კატეგორიებს და, აგრეთვე, რიცხვისა და გარდამავლობის კატეგორიებს, რომლებიც წინამორბედმა მკვლევარებმა გამოყვეს, ი. არსახანოვმა დაუმატა კაუზატივისა და პოტენციალისის კატეგორიები (არსახანოვი 1969, 78).

ა. თიმაევს კორექტივი შეაქვს ჩეჩნური ზმნის კატეგორიების ჩამონათვალში. ასე, მაგალითად, ა. თიმაევის მიხედვით, ჩეჩნურში ყველა ზმნა რიცხვის მიხედვით არ იცვლება, გრამატიკული კლასის კატეგორია, ასევე, ყველა ზმნისათვის არ არის დამახასიათებელი (თიმაევი 1971, 157-158). ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ არც ასპექტის მიხედვით არის ყველა ზმნა დაპირისპირებული, დროთა სისტემა მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებშია სრულად წარმოდგენილი, პირის კატეგორია კი ჩანასახურ მდგომარეობაშია.

გრამატიკული კლასის კატეგორია

როგორც ბევრ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, ისე ჩეჩნურში ზმნათა ერთი ნაწილი იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით.

გრამატიკული კლასების მიხედვით ზმნის ცვლა, მაგალითად, ქართული ენისათვის ამჟამად დამახასიათებელი არ არის, მაგრამ გარკვეულია, რომ ისტორიულად გრამატიკული კლასის ნიშანი ქართული ენის ზმნისთვისაც ნიშანდობლივი ყოფილა. ასე, მაგალითად: დგას, თქუა ზმნებში **დ-**, როგორც ფუძეს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშანი პრეფიქსის სახით, გამოყო ვ. თოფურიამ (თოფურია ვ. 2002, 429-433). თანამედროვე ქართულში კი ზმნა, პირველ რიგში, პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება.

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, ქართველურის გარდა, გრამატიკული კლასის კატეგორია არა აქვთ ადიღურ და ლეზგიურ ენებსაც.

დადგენილია, რომ გრამატიკული კლას-კატეგორია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამ ენებისათვისაც.

გრამატიკული კლასის კატეგორია ჩეჩნურ ზმნაში გამოხატულია პრეფიქსების სახით. კლასის კატეგორია სპეციალური კლასის ნიშნების (იგივე: ექსპონენტების, მარკერების) საშუალებით გამოხატავს იმ სახელის კლასს, რომელიც წინადადებაში აღნიშნულ ზმნასთან არის დაკავშირებული და სახ. ბრუნვაში დგას. ასეთი სახელი, რომელიც სინტაქსურ კავშირშია ზმნასთან, წარმოადგენს რეალურ (პირდაპირ) ობიექტს-ერგატიული, დატიური ან ლოკატიური კონსტრუქციის ზმნებთან, ე.ი. ყველა იმ ზმნასთან, რომელიც არ არის ნომინატიური კონსტრუქციისა.

ზმნა, რომელიც არ იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით, უკლასნიშნო ზმნაა. უკლასნიშნო ზმნები გრამატიკული კლასისადმი ნეიტრალურნი არიან. სახელთა გრამატიკული კლასის გარკვევა ამ კატეგორიის ზმნათა საშუალებით შეუძლებელია.

გრამატიკული კლასის ნიშანი, როგორც ითქვა, პრეფიქსია, „პრეფიქსაცია კი ბევრად უფრო ძველია სუფიქსაციაზე სახელშიც და ზმნაშიც“ (ჩიქობავა 1979, 87). აქედან გამომდინარე, გრამატიკული კლასი ჩეჩნური ენის მორფოლოგიის ერთ-ერთ უძველეს კატეგორიას წარმოადგენს. იგი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა ჩეჩნური ენისა, რადგან გრამატიკული კლასი დამახასიათებელია არსებითი სახელებისათვის (რუდიმენტის სახით), ვითარებითი ზედსართავი სახელების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, „ოთხისა“ და მისგან ნაწარმოები რიცხვითი სახელებისათვის, ზოგი ნაცვალსახელისათვის, ზმნისა და ზმნისართისათვის (ნაწილობრივ), აგრეთვე ზოგი დამხმარე სიტყვისათვისაც კი.

აფხაზური ენის მასალაზე დაყრდნობით თ. გვანცელაძე წერს: „გრამატიკული კლასის კატეგორია აფხაზური ენის უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიურ-სემასიოლოგიური კატეგორიაა. აისახება არსებით სახელებში, რიცხვით სახელებში, ნაცვალსახელსა და ზმნაში აბსოლუტივისა და მიმღეობის ჩათვლით“ (გვანცელაძე, I, 2003, 36).

ჩეჩნურის შედარება აფხაზურთან გვიჩვენებს, რომ გრამატიკული კლასის კატეგორია ჩეჩნურში უფრო ფართოდ არის წარმოდგე-

ნილი — ჩეჩნურში იგი თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს მოიცავს.

სახელთა დაყოფა შეიძლება სემანტიკური ჯგუფების მიხედვითაც. როგორც ქართულში, ისე ჩეჩნურში სახელები სემანტიკურად ორ ჯგუფად იყოფიან:

1. „ვინ“ ჯგუფის სახელები;
2. „რა“ ჯგუფის სახელები.

„ვინ“ ჯგუფისაა ადამიანის, პიროვნების აღმნიშვნელი სახელები, ხოლო „რა“ ჯგუფი აერთიანებს ყველა დანარჩენს (ჩეჩნური მილა „ვინ?“, ჰუ^{6} „რა?“). ამ მხრივ ჩეჩნურსა და ქართულში განსხვავება არ არის. რუსულში, მაგალითად, „ვინ“ ჯგუფის სახელებში შედის ყველა სულიერი არსებითი სახელი (და არა მხოლოდ გონიერთა კლასისა, როგორც ეს არის ქართულში ან ჩეჩნურში).

სახელთა სემანტიკურ კლასებად დაყოფის საფუძველი ნათელია: ჩეჩნურში, როგორც ქართულში, „ვინ“ ჯგუფში ერთიანდება გონიერთა კლასის სახელები, „რა“ ჯგუფში კი — ყველა დანარჩენი (ე.ი. არაგონიერთა კლასის სახელები).

მაშასადამე, პირველ რიგში მთავარია იმის გარკვევა, „ვინ“ და „რა“ კითხვათაგან რომელი დაესმის სახელს, რომელს უპასუხებს იგი, რაც სახელთა სემანტიკური დაყოფის საფუძველს წარმოადგენს. მაშასადამე, ქართულსა (ქართველურსა) და ჩეჩნურ (ნახურ) ენებში კითხვითი ნაცვალსახელები განარჩევენ ადამიანსა და ნივთს.

სახელთა გრამატიკული კლასების მიხედვით დაყოფის (დაჯგუფების) პრინციპის დადგენა შეუდარებლად უფრო რთულია "რა" ჯგუფის სახელებში, ე.ი. ჭირს იმის გარკვევა, თუ რატომ, რის საფუძველზე განეკუთვნებიან სახელები (არაგონიერთა კლასისა) ამა თუ იმ კლასს. ოთხი ცვალებადი გრამატიკული კლასის არსებობის პირობებში (ანუ ისეთ ენებში, როგორიც ჩეჩნური და სხვა ნახური ენებია) სახელთა კლასებად დაყოფის (დაჯგუფების) პრინციპის დადგენა დღემდე პრობლემად რჩება.

სახელთა კლასებად დაყოფის საფუძველი „ვინ“ ჯგუფის სახელებში ნათელია: მხ. რიცხვში მამაკაცის აღმნიშვნელი სახელები **в-** კლასში ერთიანდებიან, ქალთა სახელები კი — **д-** კლასში (შდრ.:

კანთ ვ-უ „ვაჟი (ბიჭი) არის“, დო' დ-უ „ქალიშვილი არის“...).

მაშასადამე, გრამატიკული კლასის პრობლემა ეხება ცოცხალ არაგონიერ არსებათა სახელებისა და არაცოცხალ საგანთა სახელების კლასებად დაყოფის პრინციპს.

კ. ჭრელაშვილი წერს: „როგორც ცნობილია, გრამატიკული კლასის კატეგორია გულისხმობს სინამდვილის მოვლენათა დაჯგუფებას გარკვეული ენობრივი ნიშნების მიხედვით. მაგრამ დღემდე არ არის დადგენილი ის საკლასიფიკაციო პრინციპი, რომელიც ამ მოვლენას უდევს საფუძვლად“ (ჭრელაშვილი 2002, 203-204). კ. ჭრელაშვილის შენიშვნა წოვა-თუშურს ეხება, თუმცა იგი ყველა ნახურ ენაზე ვრცელდება.

ჩეჩნური ენის კლასების შესახებ, მაგალითად, პ. უსლარი წერდა: „ყოველგვარი ცდის მიუხედავად მე ვერ შევძელი იმ კანონების გარკვევა, რომლებიც სახელებს აჯგუფებენ სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით“ (უსლარი 1888, 11). კატეგორიებში პ. უსლარი გრამატიკულ კლასებს გულისხმობს.

გრამატიკულ კლასებს ა. დირიც შეეხო. იგი წერს: „ა. შიფნერის, პ. უსლარისა და ჩემმა ცდამ, რომელიც მიზნად ისახავდა ერთგვარი სიცხადე შეეტანა და გაეშუქებინა უსულო საგანთა კლასიფიკაციის პრინციპი, უნაყოფოდ ჩაიარა: ეს ცდები არ გასცილებია იმ ფაქტის უბრალო კონსტატაციის ფარგლებს, რომ მოცემული საგანი განეკუთვნება ამა თუ იმ კლასს. მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ არსებობს სრულიად დადებითი მონაცემები, მუდმივი, მაგრამ შეუცნობელი წესები“ (დირი 1907, 97). ეს წესები ვერც ი. დეშერიევმა ახსნა წოვა-თუშურში, კერძოდ, და ნახურ ენებში, ზოგადად (დეშერიევი 1952, 205-217; 1953; 1963), ვერც რომელიმე სხვა მკვლევარმა (იხ. ქვემოთ).

გრამატიკული კლასის ნიშანი კლას-ნიშნიან სიტყვას (ზმნას, ზედსართავ სახელს...) თავში დაერთვის. ამდენად, როგორც უკვე ითქვა, იგი პრეფიქსია. სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა, რომ გრამატიკული კლასის ნიშანი პრეფიქსისაგან განასხვავონ. ფ. ოზდოევას აზრით, კლასის ნიშანი პრეფიქსისაგან შემდეგი ნიშნების მიხედვით განსხვავდება:

1. კლასის ნიშნებს თავისთავადი მნიშვნელობა არა აქვთ;

2. კლასის ნიშანი სიტყვასთან ორგანულად არის შერწყმული და არ გამოეყოფა ძირს;

3. კლასის ნიშანსა და ძირს შორის შეუძლებელია მორფემის ჩართვა;

4. კლასნიშნიანი წყობა ფლექტიურია.

პრეფიქსი კი, იმავე მკვლევრის აზრით, არის, „სიტყვის ნაწილი, რომელიც ძირის წინ დგას და მის მნიშვნელობაში გარკვეული ცვლილებები შეაქვს“ (ოზდოევა 1961, 73).

გრამატიკული კლასის ნიშანი მაინც პრეფიქსია თავისი პოზიციის მიხედვით. იგი სიტყვის მნიშვნელობასაც ამ მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ცვლის. კლასის ნიშანმა ზოგ შემთხვევაში შეიძლება გამოხატოს რიცხვი (იხ. გრამატ. რიცხვის კატეგორია), სქესი (მაგ., გონიერთა კლასში განირჩევა მამაკაცთა კლასი ქალთა კლასისაგან). ამდენად მოიხსნება პირველი ნიშანი, რომლის მიხედვითაც გრამატიკული კლასი თითქოს განსხვავდება პრეფიქსისაგან.

გრამატიკული კლასის ნიშანი იცვლება და, ამდენად, ის ორგანულად არ არის შერწყმული ძირს. ენის განვითარების კვალობაზე გრამატიკული კლასის ნიშანი შეიძლება დაიკარგოს (შდრ., წოვა-თუშური დ-უღა^{ნ} „ყვირილი, კივილი“ და ჩეჩნური უღა^{ნ} „ღმუილი“...), გაქვავდეს (შდრ., ვ-აშა „ძმა“, დ-იშა „და“...), შეიცვალოს სხვა ბგერით (შდრ., ინგუშურში: სალა‘ა და ჩეჩნურში: სა-დ-ა‘ა^{ნ} „დასვენება“, სადაც კლასის ნიშანი **-დ-** ინგუშურში შეცვლილია **-ლ-**თი...) და ა.შ. აქედან გამომდინარე, გრამატიკული კლასის ნიშანი ძირთან ორგანულად არ არის შერწყმული. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებით სახელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ გრამატიკული კლასის ნიშნები დაკარგა და გადმონაშთის სახით რამდენიმე სახელშიღა არის შემონახული.

მოიხსნება, აგრეთვე, მესამე და მეოთხე ნიშნებიც: ა) კლასნიშანსა და ძირს შორის მორფემის, მაგალითად, მრავლობითი რიცხვის ნიშნის ჩართვა შეიძლება (შდრ., მაგალითად: დ-ად-ა^{ნ} „გაქცევა“, სუბ. მხ.-ში და დ-ო-უ-დ-ა^{ნ}<დ-ა-უ-დ-ა^{ნ} „გაქცევა“; სუბ. მრავლობითში...); ბ) ფლექტიურობის ნიშნით კლასნიშნიანი ზმნები უკლასნიშნოებისაგან

არ განირჩევიან (იხ. ასპექტის გრამატ. კატეგორია).

მაშასადამე, გრამატ. კლასის ნიშანი თავსართს, პრეფიქს წარმოადგენს, რომელსაც თავისი ნიშნები და ფუნქციები აქვს.

როცა ენაში სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება, თანაც ძირითადი, ფუძეთა შეერთებაა, კლასის ნიშანი შეიძლება აღმოჩნდეს სიტყვის შუაშიც, ხოლო დიალექტებში — ბოლოშიც. ბოლოში მაშინ, როცა მეშველი ზმნა მოკვეცილია, ხოლო კლასის ნიშანი (მეშველი ზმნისა) შერწყმულია წინამავალ სიტყვასთან.

კლასის ნიშანი ინფიქსად და სუფიქსად შედგენილ (რთულ) ზმნებში, რა თქმა უნდა, მეორეულია. მისი მეორეულობა, ე.ი. პოზიციურად განპირობებულობა, ცხადია, ეჭვს არ იწვევს. რამდენადაც სახელის გრამატიკული კლასი მასთან შეწყობილი კლასნიშნიანი სიტყვის (ზმნის, ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის...) მიხედვით ირკვევა, სახელს უნდა შევუწყოთ სწორედ ასეთი სიტყვა, თუ სახელთან შეწყობილი სიტყვა უკლასნიშნოა, ასეთი სიტყვები კი კლასნიშნიანებთან შედარებით გაცილებით მეტია, სახელის კლასის ნიშანი აღუნიშვნელი რჩება.

როგორც ითქვა, ჩეჩნურ ენაში გრამატიკული კლასის ნიშნები ძირითადად წარმოდგენილია ზმნათა და ზედსართავ სახელთა ნაწილში. კლასის ნიშნები აქა-იქ მეტყველების სხვა ნაწილებშიც გამოიყოფა.

თვით არსებით სახელში არ ჩანს, თუ რომელ კლასს განეკუთვნება იგი, ე.ი. გრამატიკული კლასის ნიშანი არსებით სახელში წარმოდგენილი არ არის. შდრ., მაგალითად:

ნ̄ანა „დედა“	წა „ოთახი“
დ̄ა „მამა“	ლათთა „მიწა“
სთაგ „კაცი, ადამიანი“	სთიგალ „ცა“
კანთ „ჭაბუკი, ბიჭი“	გოვრ „ცხენი“
ლამ „მთა“	ხი „წყალი“
მარხა „ღრუბელი“	ტულგ „ქვა“...

მაგრამ ზოგ არსებით სახელში გადმონაშთის სახით შემორჩენილია გაქვავებული გრამატიკული კლასის ნიშნები. ამ ფაქტს ნახურ ენათა მაგალითზე პირველად ყურადღება მიაქცია ა. შიფნერმა, რო-

მელმაც წოვა-თუშურის ვოჰ» „ვაჟიშვილი“, დოჰ» „ქალიშვილი“ და რამდენიმე სხვა სახელში გამოყო ფუძეს შეხორცებული კლასის ექსპონენტები (შიფნერი 1856, 31-34).

ჩეჩნურშიც ვუო' „ძე, ვაჟიშვილი“, დუო' „ასული, ქალიშვილი“, ვაშა „ძმა“, დიშა (<დაშა) „და“ ერთმანეთისაგან კლასის ნიშნებით განსხვავდებიან. რა თქმა უნდა, ამ რიგის სახელები ჩეჩნურში მცირერიცხოვანია და მათი გამოვლენა სპეციალური კვლევის შედეგადღა თუ ხერხდება.

როგორც ირკვევა, ნახურ ენათაგან ამ მხრივ მეტი არქაულობით წოვა-თუშური ენა გამოირჩევა. წოვა-თუშურმა უფრო მეტად შემოინახა ფუძეს შეხორცებული გრამატიკული კლასის ნიშნები. ა. მაგომედოვს (მაგომედოვი 1975, 12), მაგალითად, ასეთ სახელებად მიაჩნია:

წოვა-თუშური	ჩეჩნური
ფსიკ (ბ, დ) „რწყილი“ (შდრ. ქართ. “ბზიკი“)	საგ-ალ (ბ, დ)
ფშა (ბ, დ) „ყინული“	შა (ბ, ბ)
ფსთუ (ბ, დ) „ხარი“	სთუ (ბ, დ)
ფსთუ (დ, დ) „ცოლი“	სთდე̄ (დ, ბ)
ფსარლო (დ, დ) „საღამო“	სჳრდე̄ (დ, დ)
ფშელ(ო) (დ, დ) „სიცივე“	შდელუო (დ, დ)

შდრ., აგრეთვე: ფშელ-დ-ა^{ნ} „გაცივება“ — შდელ-და-ა^{ნ}, ფშელორე^{ნ} „ცივი, გრილი“ — შე̄ლა.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან წოვა-თუშურში ფსთუ „ცოლი“, ფსარლო „საღამო“, ფშელ(ო) „სიცივე“ სახელებში თავკიდური **ფ**(<**ბ**)-ს გრამატიკული კლასის მორფემად კვალიფიცირება საეჭვო ჩანს. ეს სახელები **ბ**- კლასს არ განეკუთვნება არც ერთ ნახურ ენასა და დიალექტში. გარდა ამისა, სემანტიკურადაც ძნელი სათქმელია, „ვინ“ ჯგუფის (ქალთა კლასის) სახელი ფსთუ „ცოლი“ რატომ აღმოჩნდა **ბ**- კლასში. ანალოგიური ფაქტები ნახური ენების სინამდვილიდან უცნობია.

ფ-(< **ბ**-) კლასის ნიშანი წოვა-თუშურში, როგორც მაგალითებიდან ჩანს, სისინ-შიშინა სპირანტების წინ არის შემორჩენილი. ჩეჩნურში იგი დაკარგულია. ჩამოთვლილ მაგალითებში კლასის ნიშანი

არ შემონახულა არც ჩეჩნური ენის რომელიმე დიალექტში, არც ინგუშურ ენაში.

როგორც ზემოთ ითქვა, **სთ** კომპლექსი ჩეჩნური ენის ზოგ დიალექტში (და ინგუშურ ენაში) გამარტივებულია. ასეა ეს ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებშიც. ჩეჩნური ენის ბარის კილოში მან მოგვცა **თ**, ხოლო მთის დიალექტებში და ინგუშურ ენაში — **-ხ**. შდრ., თუ (ბარის კილო) და სუ (ითუმყ. დიალექტი) „ხარი“, რაც შეეხება სთᲔ ფორმას, არ იძებნება თᲔ ვარიანტი. **სთ** კომპლექსი დაცულია ჭებერლოურ დიალექტში (და სალიტერატურო ენაში).

ინგუშურ ენაში, ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში „ხარის“ აღმნიშვნელი სთუ უსთ (ინგ. ენა) და უსთუ (ქისტ. დიალექტი) სახით არის წარმოდგენილი. უსთუ (> უსთ) ლექსემაში ანლაუტის **უ-** სხვა არაფერია, თუ არა კლასის ნიშანი **ბ-** თანხმოვნების წინ (პოზიციური ვარიანტი). იგივე **ბ**-ს წოვა-თუშურში **ფ-** მოუცია (შდრ., ფსთუ „ხარი“) — ასიმილაციით.

ამ სახელს ქისტურში კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: **უ-** ფორმანტი მრ. რიცხვში იკარგება, ხოლო **სთ** კომპლექსი მარტივდება არა მხოლოდ მრავლობითში (შდრ., მრ. რ. სერჩᲘ „ხარები“), არამედ მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვებშიც (შდრ., ნათ. სერ-ი^{ნ}>სერ, მიც. სარ-ა-ნა, ერგ. სორ-უ...). უსთუ ფორმაში **სთ** კომპლექსი ინტერვოკალურ პოზიციაშია, როგორც ჩანს, შენარჩუნებული. ინგუშურში მრ. რიცხვში გვაქვს შერჩ (< სერჩᲘ), მხოლ. რიცხვის, მაგ., ერგატივში — ისთარუᲠ. საფიქრებელია, რომ ერგატივში ანლაუტის **ი-** კლასის ნიშნის ფორმანტის **უ**-(<**ბ**)-ს ჩავარდნის შემდეგ არის განვითარებული თანხმოვანთა კომპლექსის წინ, წინააღმდეგ შემთხვევაში **სთ** კომპლექსის გამარტივება იყო მოსალოდნელი, როგორც ეს ქისტურში მოხდა. თანხმოვანთა კომპლექსის წინ ხმოვანთა განვითარების შემთხვევა კი ჩეჩნურ-ინგუშური ენებისათვის ფაქტს წარმოადგენს (შდრ., ნასესხებ სიტყვებში: ი-შქაფ „კარადა“. ი-შქუᲠლ „სკოლა“...).

უ- ფორმანტი ჩანს ქისტურში ’უისერᲘ „მამაკაცები“ ფორმაშიც. ეს სიტყვა ხანდაზმულთა მეტყველებაშიღა დასტურდება, იგი არქაიზმად შეიძლება ჩაითვალოს და, რამდენადაც ვიცით, განხილვის საგნად პირველად იქცა. იგი უნდა მომდინარეობდეს ვასერᲘ ფორმი-

საგან, შდრ., წოვა-თუშური ვასერ იმავე მნიშვნელობით.

ჰისერი-ვასერ ფორმებს რომ მხ. რიცხვში ჰქონდეთ ამავე ფუძის შესაბამისი ფორმა, იგი იქნებოდა **ვ-** ფორმანტიანი ერთადერთი შემორჩენილი სიტყვა მრ. რიცხვში, ე.ი. იმ ეპოქის გადმონაშთი, როცა გრამატიკული კლასი რიცხვების მიხედვით უცვლელი იყო. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა: **ვ-||ბ-** ფორმანტთა მონაცვლეობა გვიანდელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ზოგ არსებით სახელში გაქვავებული კლასის ნიშნის გამოყოფის საშუალებას იძლევა მათი შედარება სხვა ენათა სათანადო მასალასთან. ცნობილი მაგალითია „გულის“ აღმნიშვნელი ლექსემა დ-უო-გ (შდრ., ქართული გ-ულ-ი, ხუნძური რ-ა-კ და ა.შ., სადაც **დ-** ოდინდელი გრამატიკული კლასის ნიშანია არსებით სახელში. გამოვლენილია ამ რიგის სხვა მაგალითებიც (ჩიქობავა 1979, 115-116).

როგორც ვარაუდობენ, კლასის ნიშნები არსებით სახელში სისტემის სახით იყო წარმოდგენილი: „ძველად გრამატიკული კლასის ფორმანტი სუბსტანტივებსაც უნდა ჰქონოდა. ძველი ვითარების გადმონაშთები აქა-იქ შემორჩენია ენებს... კლას-ნიშნიანი სუბსტანტივი განსაზღვრავდა, რა კლას-ნიშნებიც უნდა ჰქონოდა მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებს (ზედსართავს, ზმნას, მიმღეობას, ზმნისართს)“ (ჩიქობავა 1979, 114).

მაშასადამე, სუბსტანტივთან კლასში შეთანხმებული სიტყვები სუბსტანტივის კლას-ნიშნებს იმეორებდნენ.

სახელებში კლასის ნიშნების დაკარგვის შემდეგ სახელთა კლასი, როგორც უკვე ითქვა, მასთან კლასში შეთანხმებული სიტყვების მიხედვით ირკვევა. „რა გრამატიკულ კლასს განეკუთვნება ესა თუ ის სახელი, ამას ახლა სინტაქსური საშუალებით არკვევენ: სახელთან შეთანხმებული სიტყვა (ზმნა, ზედსართავი...) რა კლასის ნიშანსაც ხმარობს, იმ კლასისა იქნება სახელი“ (ჩიქობავა 1979, 90). ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ყველა ზმნა, ზედსართავი და ა.შ. როდია კლასის ნიშნის მქონე. რიცხვითი სახელებიდან ჩეჩნურში, მაგალითად, მხოლოდ „ოთხის“ აღმნიშვნელ რიცხვს აქვს ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნები. შდრ.: ვ-ი', დ-ი', ბ-ი', დ-ი'. კლასის ნიშნე-

ბის მქონეა, რა თქმა უნდა, ოთხი-საგან ნაწარმოები რთული რიცხვითი სახელები, როგორიცაა: დ-ეეთთა „თოთხმეტი, ტყეე̄-დ-ი' „ოცდაოთხი", დ-ეეზტყა „ოთხმოცი" და ა.შ. არქაული კლასის ნიშნები ზოგ რიცხვით სახელ'ში გამოყოფილი აქვს ივ. ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი 1992, 298-303). იგი ასკვნის: „ღილღური ენების რიცხვითი სახელების გულდასმითმა შესწავლამ ცხად-ჰყო, რომ, ერთ გამონაკლისს გარდა, მათ... სქეს-კატეგორიები აღარ გააჩნიათ, თუმცა მათი წინანდელი არსებობის წარუხოცელი კვალი საკმაოდ მკაფიოდ აჩნევიათ. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ რიცხვით სახელებში სქეს-კატეგორიების პრინციპია და საჭიროების შეგნებაც შერყეული და გამქრალი ჰქონიათ ისეთ ენებსაც-კი, რომელთაც მეტყეველების სხვა ნაწილებში სქეს-კატეგორიების განრჩევა მტკიცედ აქვთ დაცული".

ვ. დუთაევის მიხედვით, ჩეჩნურში გამოიყოფა ოცდაშვიდი ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშნის მქონე ზედსართავი სახელი (დუთაევი 1975, 103. ასეთია, მაგ.: დ-აჲ „მსუბუქი", დ-ეზა „მძიმე", დ-ეეყა „ხმელი", დ-ეე̄ბა „გრძელი", დ-ოჭხა „თბილი, ცხელი" და ა.შ. კლასნიშნიან ზედსართავ სახელთა შეზღუდული რაოდენობის შესახებ ნახურ ენებში ბევრი მკვლევარი მიუთითებს (მალსაგოვა 1972, 8...).

რაც შეეხება კლასნიშნიან ზმნებს, ე.ი. ისეთ ზმნებს, რომელთაც ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანი მოეპოვებათ, ჩეჩნურში ამჟამად ერთ ასეულს არ აღემატება.

არსებით სახელთა (სუბსტანტივთა) კლასების მიხედვით დაჯგუფებას რაღაც საფუძველი, მოტივაცია უნდა ჰქონოდა. სახელთა კლასებად დაყოფა-დაჯგუფების მოტივაცია ამჟამად არ ჩანს,. რადგან „დროთა ვითარებაში ეს მოტივაცია დაიჩრდილა" (ჩიქობავა 1979, 106). სახელთა **ჲ-** კლასში გაერთიანებას საფუძველი ჰქონდა (გონიერთა კლასის სახელები ქალთა კლასის — **დ-** კლასის — სახელთა გამოყოფამდე), **დ, ბ, დ** კლასებში სახელთა განაწილებას ახლა მხოლოდ ტრადიცია უდევს საფუძვლად, „მოტივაცია როცა ქრება, ცვლის პროცესებს გზა ეხსნება" (ჩიქობავა 1979, 106). გრამატიკული კლასის კატეგორიის მრავალფეროვნება ნახურ ენებსა და დია-

ლექტებში კლასებად დაყოფის მოტივაციის გაჭრობით უნდა აიხსნას.

მაშასადამე, სინქრონიაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომ ჩეჩნურში **ვ-** ფორმანტი აღნიშნავს მხოლოდ მამაკაცთა კლასს. ამავე ფორმანტით აღინიშნება დ-ჷელა „ღმერთი“ და წუ „ღვთაება, ქურუმი“. **ჲ-** ფორმანტით აღინიშნება ქალთა კლასი, მაგრამ **ჲ-** კლასიფიკატორი ნივთთა და არაგონიერთა სახელების ნაწილსაც გამოხატავს. იგი საზიარო ფორმანტია „ვინ“ (ქალთა კლასის) ჯგუფისა და „რა“ ჯგუფის სახელებისა. მაშასადამე, „რა“ ჯგუფის სახელთა განაწილება კლასების მიხედვით აუხსნელი რჩება.

ზემოთ არაერთხელ ითქვა, რომ კლასის ნიშანს ვარკვევთ მასთან კლასში შეთანხმებული სიტყვის საშუალებით: სახელთან შეთანხმებული სიტყვა რა კლასის ნიშანსაც ხმარობს, იმ კლასისა იქნება სახელი.

სახელის კლასის ნიშნის განსაზღვრისათვის, ჩვეულებრივ, მიმართავენ მეშველ ზმნას დ-უ „არის. ასე, მაგალითად:

I. კანთ ვ-უ „ბიჭი არის, ბიჭია“...

II. ნანა ჲ-უ „დედა არის, დედაა“...

III. ტულგ ბ-უ „ქვა არის, ქვაა“...

IV. დითთ დ-უ „ხე არის, ხეა“...

შენიშვნა: II კლასში (ჲ- კლასში), ქალთა აღმნიშვნელი სახელების გარდა, როგორც ითქვა, შედის „რა“ ჯგუფის სახელთა ნაწილიც. მაგალითად: გოვრ ჲ-უ „ცხენი არის“, ჩა ჲ-უ „დათვი არის“, ქჳრთამ ჲ-უ „ქათამი არის“, ნ'ჳნაჩბურღალ ჲ-უ „მამალი არის“ და ა.შ.

ნახურ ენებში, მაშასადამე, მხ. რიცხვში ოთხი გრამატიკული კლასის ნიშანი გამოიყოფა, ე.ი. ოთხკლასოვანი სისტემა გვაქვს. როგორც ვარაუდობენ, ნახურ ფუძე-ენაში **ვ-** ფორმანტი მრ. რიცხვშიც უნდა ყოფილიყო (დეშერიევი 1963, 385). ამის შესახებ ზემოთაც ითქვა უისერი, ვასერ ფორმებთან დაკავშირებით. **ვ-** გამოხატავდა, ზოგადად, ადამიანის, პიროვნების კლასს („ვინ“ ჯგუფის სახელებში). „ვინ“ ჯგუფის სახელთა დიფერენციაცია ორ ჯგუფად — მამაკაცთა და ქალთა კლასებად — „ბიოლოგიური ნიშნით იწყება, მაგრამ ბიოლოგიურ დაჯგუფებად არ მიიჩნევა. „უფრო ფასეულსა“ („ღირებულს“) და „ნაკლებ ფასეულს“ („ღირებულს“) უდრის თავისი არსით.

ასეა ამ ენაზე მოლაპარაკეთა თვალსაზრისით“ (ჩიქობავა 1979, 89), — ასკვნის არნ. ჩიქობავა.

„ვინ“ ჯგუფის სახელთა ამგვარი გადაფასებით ქალთა კლასი **დ-** კლასს განეკუთვნება, ე.ი. იმ კლასს, რომელიც მოიცავდა „რა“ ჯგუფის სახელთა ნაწილს.

პიროვნების კლასის სახელებთან მრ. რიცხვში **ვ-** ფორმანტი ამჟამად არ ფიგურირებს, მას ცვლის **ბ-**. მრ. რიცხვში არც ქალთა სახელებთან ჩანს **დ-**, მასაც **ბ-** ფორმანტი ენაცვლება. ასე რომ გონიერთა კლასის სახელებთან **ვ-** და **დ-** ფორმანტებს მრ. რიცხვში **ბ-** შეესატყვისება. შდრ., მაგ.:

მხ.რ.	მრ.რ.
კანთ ვ-უ „ბიჭი არის“,	კენთი ბუ „ბიჭები არიან“,
ნანა დ-უ „დედა არის“,	ნანუოდ ბ-უ„დედები არიან“...

ამ რიგის სახელებს ჩეჩნურში განეკუთვნება:

I კლასი: მხ. რიცხვში **ვ-**, მრ. რიცხვში **ბ-**:

და „მამა“, ვაშა „ძმა“, ვუო‘ „ძე, ვაჟიშვილი“, კანთ „ბიჭი, ჭაბუკი“, ბაჟა „ქვისლი“, მაჲრა „ქმარი“, ნუც „სიძე“, მარდა „მამამთილი“, სთუნდა „სიმამრი“...

II კლასი, მხ. რიცხვში **დ-**, მრ. რიცხვში **ბ-**:

დეცა „მამიდა“, ნეცა „დეიდა“, ზუდა „ქალი, ცოლი“, ჟდერუო „განათხოვარი“, დიშა „და“, დუო‘ „ასული, ქალიშვილი“, ჯინ „მაზლის ცოლი“, ნანა „დედა“, ნუს „რძალი“, მარნანა „დედამთილი“, სთუნნანა „სიდედრი“...

ჩამოთვლილ სახელთა გვერდით მხოლოობითში **დ-** კლასს განეკუთვნება, მაგალითად, შემდეგი სახელები:

გაზა „თხა“, ვორდა „ურემი“, ქჲერთ „ღობე“, ჲარზუ „არწივი“, ბ‘არზა „ჯორი“, თოუხა „ბუხარი“, შჲედაგ „სალამური“ და სხვ. ეს სახელები მრ. რიცხვში იგუებენ არა **ბ-** ფორმანტს, როგორც ეს ქალთა კლასის სახელებშია, არამედ **დ-**ს. მაშასადამე, მრ. რიცხვში გვექნება:

გჲეზარი || გაზანაშ დ-უ „თხები არიან“ და ა.შ.

ყველა დანარჩენი სახელი ნაწილდება მხ. რიცხვის III და IV კლასებში.

მრავლობით რიცხვში ორ ჯგუფად იყოფა **ბ-** კლასის სახელები. სახელთა ერთი ნაწილი მრ. რიცხვში აღნიშნულ ფორმანტს არ იცვლის, მეორე ნაწილი კი მრავლობითს **დ-** ფორმანტის საშუალებით აწარმოებს.


მაშასადამე, მრ. რიცხვში კლასის ნიშანთა სისტემის გართულებასთან გვაქვს საქმე. გრამატიკულ კლასთა რაოდენობა კი შეიძლება განისაზღვროს მხ. რიცხვის მონაცემთა გათვალისწინებითაც. ამოსავალი ვითარებისათვის კი, როგორც ვარაუდობენ, მხოლოობითისა და მრავლობითის მონაცემები განურჩეველი იყო. ნ. ანდღულაძე წერს, რომ „ნახურ ენათა სისტემისათვის ამოსავალია უშუალოდ ოთხკლასიანი სისტემა მრავლობითის წარმოების განუსხვავებელი ტიპით:

	მხ.რ.	მრ.რ.
I.	ვ	ვ
II.	ჲ	ჲ
III.	ბ	ბ
IV.	დ	დ

მრავლობითის განუსხვავებელი ტიპი შემდეგში დიფერენცირებული ტიპით შეიცვალა“ (ანდღულაძე 1968, 80). მართალია, კლასების რიცხვი ნახურში არ შეიცვალა, მაგრამ ცვლილება მრ. რიცხვში მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ ზოგი მკვლევარი ჩეჩნურში მხ. რიცხვში ოთხზე მეტ კლასს ვარაუდობს. ხ. ოშაევის მოსაზრებით, ისტორიულად კლასის ნიშნის ფუნქციები უნდა ჰქონოდათ შემდეგ ბგერებსაც: როგორიცაა: ლ, ჰ₁, ჰ, ხ, მ, თ, ჴ, ყ, ʿ. ხ. ოშაევს მოაქვს სათანადო მასალაც. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ერთი მაგალითი: ჲ-ადარ „სირბილი“, შდრ., ჰ₁-ადარ „გაქცევა“, ლ-ადარ „ნაჟონი (რამ)“ (არს. სახ.). ამ ფორმათა შედარებით იგი მიდის დასკვნამდე, რომ ჰ₁-ადარ, ლ-ადარ „ფორმებში **ჰ₁-, ლ-** სხვა არაფერია, თუ არა ოდინდელი კლასის ნიშნის ფორმანტები (ოშაევი 1959, 182-206).

გრამატიკულ კლასთა სისტემა მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვებში ჩეჩნურში შემდეგ სახეს მიიღებს:



დაშლის შედეგად კი გვექნება:

	I	II	III	IV	V	VI
მხ. რ.	ვ	ჲ	ჲ	ბ	ბ	დ
მრ. რ.	ბ	ბ	ჲ	ბ	დ	დ

ნათელია, რომ ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში გრამატიკულ კლასთა სისტემა ექვსი კომბინაციით არის წარმოდგენილი. მაგრამ ვითარების ართულებს შემდეგი გარემოება: „ვინ“ ჯგუფის (ე.ი. გონიერთა კლასის) სახელები მრ. რიცხვში პირებსაც განარჩევენ. კერძოდ, ვ-||დ-, ჲ-||დ- ფორმანტები გამოყენებულია I და II პირისათვის (მხ. და მრ. რიცხვების მიხედვით), ხოლო III პირში გვაქვს ვ-||ბ- და ჲ-||ბ-. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს პ. უსლარს (უსლარი 1888, 9), პ. უსლარის მასალების მიხედვით კი ი. ჯავახიშვილსაც (ჯავახიშვილი 1992, 592). ამ მოვლენის გათვალისწინებით ზემოთ მოტანილ სქემას შემდეგი სახე ექნება:

	I	II	III	IV	V	VI
მხ.რ.	ვ	ჲ	ჲ	ბ	ბ	დ
მრ.რ. I, II	დ	დ	ჲ	ბ	დ	დ
მრ.რ. III	ბ	ბ				

აღსანიშავია, რომ კლასთა რიცხვის განსაზღვრისას გონიერთა კლასის I და II პირის ჩვენება მრ. რიცხვში მხედველობაში არ მიიღება. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში კლასი განისაზღვრება მხოლოდ III პირის ჩვენების მიხედვით. ზუსტად იგივე და იმდენივე კლასია ინგუშურშიც.

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ I და II პირთა ჩვენება მრავლობით რიცხვში ახალია, მეორეულია მესამე პირის ჩვენებასთან შედარებით. ნახურ-დაღესტნურ ენათა მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ნ. ანდღულაძე ასკვნის: „მესამე პირი პირის კატეგორიამდელ ვითარებას წარმოგვიდგენს. ამიტომ მესამე პირის ჩვენებათა მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ ენის ისტორიის გარკვეული საფეხური“ (ანდღულაძე 1968, 175). III პირის

ფორმანტის სიძველეს ადასტურებს წოვა-თუშური ენისა და ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტის მონაცემებიც, სადაც ზემოთ ნაჩვენებ პირთა მიხედვით დაპირისპირება მრ. რიცხვში (I და II კლასში) დიფერენცირებული არ არის — სამივე პირში **ბ-** ფორმანტი დასტურდება.

ამრიგად, რიცხვთა მიხედვით კლასის ნიშანთა კომბინაცია ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში ექვს არ აღემატება. ეს მაშინ, როცა ჩეჩნური ენის ბარის კილოში გამოყოფენ შვიდ, ითუმყალურში — რვა, შაროულში, ჭებერლოურში, შატოურში — ცხრა-ცხრა, ხოლო ახიურში — ათ გრამატიკულ კლასსაც (თიმაევი 1983, 73-74). ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში ი. ალიროევმა გამოყო ექვსი გრამატიკული კლასი (ალიროვი 1962, 25), ს. გუმაშვილის დაკვირვებით ქისტურში უნდა გამოიყოს არა ექვსი, არამედ ცხრა კლასი (გუმაშვილი 1983, 19).

მართალია, ა. თიმაევი ახიურში ათ გრამატიკულ კლასს გამოყოფს, მაგრამ მის მიერ შედგენილ სქემაში მეორდება II და IX კლასები (**დ — ბ**). შდრ.:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მხ.რ.	ვ	**დ**	**დ**	დ	ბ	ბ	დ	ბ	**დ**	**დ**
მრ.რ.	ბ	**ბ**	**დ**	დ	ბ	დ	ბ	**დ**	**ბ**	დ

საფიქრებელია, რომ მოცემულ სქემაში საქმე გვაქვს კორექტურულ შეცდომასთან. თუ ახიურში, მართლაც, ათი კლასი გამოიყოფა, მათი შემდეგი სახით დალაგება უფრო გამართლებურად გვეჩვენება:



ე. ი. **დ-ბ** კლასის ნაცვლად სქემაში ჩვენ ჩავსვით შესაძლებელი, ჰიპოტეტური **დ-დ** კლასი. სხვანაირად ვერც ახიურში, ვერც რომელიმე სხვა დიალექტში ათ კლასს ვერ მივიღებთ. მაშასადამე, გრამატიკულ კლასთა სისტემა ერთი ენის ფარგლებშიც კი განუწყვეტლივ იცვლება. ამიტომ პ. უსლარის შენიშვნა, რომ „ყოველ ჩეჩენს უცდომლად შეუძლია გამოიცნოს სად იხმაროს **დუ**, სად **დუ**, სად **ბუ**“ (უსლარი 1888, 6), ყოველთვის გამართლებული არ არის. გა-

მართლებული არ იქნებოდა არც იმ დროს, როცა იგი ჩეჩნური ენის გრამატიკას ქმნიდა — პ. უსლარს ჩეჩნური ენის დიალექტები, ან სხვა ნახური ენები, არ შეუსწავლია...

მრ. რიცხვის ჩვენებათა გათვალისწინება კლასის ნიშნების შესწავლის თვალსაზრისით ახალს თითქმის არაფერს იძლევა: მრავლობით რიცხვში იგივე ნიშნები გვაქვს, რაც მხოლოობითში. შდრ.:

მხოლოდ მხ-ში	მხოლოდ მრ-ში
საზზ (ჲ) „ქვიშა, ლამი“	ʻოვრაშ (ჲ) „ნიაღვარი“
ყუორა (ჲ) „სეტყვა“	ბუორდეშ (დ) „ʻშავი საღებავი“
კაც (ჲ) „ჭირხლი“	წელჰანაშ (ჲ) „ჭილი“
ჰავაʼ (გ) „ატმოსფერო“	ჩაჲფაშ (ბ) „ფშუკურა“
ღელი (დ) „კალა“	ჩურაშ (ჲ) „გვიმრა“
დაშ (დ) „ტყვია“	ჯჲეზარშ (ჲ) „მოცხარი“
სირ (დ) „ემალი, ჭიქური“	ხასსთრშაშ (დ) „ბოსტნეული“
სილამ (დ) „ასფალტი“	ჲარაშ (ჲ) „კაჭაჭი, სარეველა“
ჩუ̄ნა (დ) „თუჯი“	ქჲეგაშ (ჲ) „ჩელხი“.
ე̄ჩიგ (დ) „რკინა “	

კლასის ნიშანთა რაოდენობის შესახებ ნახურში სამართლიანად მიუთითებდა ივ. ჯავახიშვილი. იგი წერს: „სქეს-კატეგორიების სიმრავლე თანამედროვე ჩეჩნურ-ქისტურ-წოვურში შეუძლებელია თავდაპირველი მოვლენა იყოს და საქმის ნამდვილი ვითარების ანარეკლს წარმოადგენდეს..., სქეს-კატეგორიათათვის მხოლოდ ოთხი ნიშნის არსებობა ცხად-ჰყოფს, რომ თავდაპირველად ამ ენებსაც ოთხზე მეტი სქეს-კატეგორია არ ჰქონია“ (ჯავახიშვილი 1992, 253).

ამრიგად, გრამატიკულ კლასთა რაოდენობის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მხ. რიცხვის ჩვენებას უნდა მიენიჭოს. მხოლოობით რიცხვში კი ოთხი გრამატიკული კლასის ნიშანი გვაქვს. ოთხივე ცვალებადი და ცოცხალია სამივე ნახურ ენასა და ჩეჩნური ენის ყველა დიალექტში.

მრ. რიცხვის მონაცემთა გათვალისწინებას ზოგჯერ ფორმანტთა ფუნქციების, ასე ვთქვათ, აღრევამდეც მივყავართ. ამ ფაქტს უურადღება მიაქცია კ. ჭრელაშვილმა, იგი წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, გრამატიკული კლასის კატეგორიაზე მსჯელობისას... ამოსავალი უნდა

იყოს მხოლოობითის ჩვენება, რადგანაც სწორედ ამ ასპექტშია ჩადებული მთელი საიდუმლოება ამ კატეგორიის სპეფციფიკისა. მრავლობითში სათანადო აფიქსების რეინტერპერტაცია ხდება. აქ ისინი თავისი გრამატიკული მნიშვნელობით არ ფარავენ შესაბამის აფიქსებს მხოლოობითში. მაგალითად:

1. მხ.რ. ბადერ დ-აღრ „ბავშვი მოდის“

2. მრ.რ. დუჲ დ-აღრ „ცხენები მოდიან“.

პირველ სინტაგმაში პრეფიქსი (დ-) ოდენ კლასის ნიშანია, მეორე სინტაგმის იგივე წევრი... სხვა კონტექსტში ზის და სწორედ ეს განსაზღვრავს მისი მნიშვნელობის ღირებულების ხარისხს; კერძოდ, აქ ზმნას მრავლობითის შინაარსი აქვს. ამ შინაარს ის სინტაგმის პირველ წევრთა (დუჲ) მიმართებაში გამოხატავს იმავე მორფემის (დ) საშუალებით, როგორც კი მას მხ.-ში გადავიყვანთ, სინტაგმის მეორე წევრის მორფოლოგიური შინაარსიც იცვლება, მაგალითად, დო ბ-აღრ „ცხენი მოდის“... სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ზმნის მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმები და გრამატიკული კლასების რაოდენობის დასადგენად ამოვიდეთ მხოლობითის ჩვენებიდან“ (ჭრელაშვილი 2002, 207-208).

კლასთა რაოდენობის დასადგენად მხ. რიცხვის მონაცემებს იყენებს ნ. ანდღულაძეც. კლასთა რაოდენობის მხოლოობით-მრავლობითის წყვილების მიხედვით ანგარიშისას „სიმძიმის ცენტრი გადადის გრამატიკული კლასის კატეგორიიდან რიცხვის კატეგორიაზე“ (ანდღულაძე 1968, 23-24).

ამრიგად, გრამატიკული კლასის რიცხვი ნახურ ენებში უნდა განისაზღვროს კლასის ნიშანთა რაოდენობით მხ. რიცხვში და არა მათი ერთობლიობით მხოლოობითსა და მრავლობითში.

არსებით სახელთა კლასებად დაყოფის საფუძველი მხ. და მრ. რიცხვებში ერთნაირი არ არის და, ბუნებრივია, რიცხვის მიხედვით დაჯგუფების პრინციპები ენის განვითარებასთან ერთად გარკვეულწილად იცვლებოდა.

შენიშნულია, რომ რიცხვის მიხედვით კლასებად დაყოფის წესს არ ექვემდებარებიან რიცხვნაკლი სახელები. ასეთია, მაგალითად: მალხ „მზე“, ბუთთ „მთვარე“, ᾱნა „ჰორიზონტი“, ʿალამ „ბუნება“,

რომელთაც მრ. რიცხვის ფორმები არ მოეპოვებათ. პირიქით, მხ. რიცხვის ფრმები არა აქვთ სახელებს, როგორიცაა: ჩურაშ „გვიმრა“, ჯეზარშ „მოცხარი“, დარაშ „კაჭაჭი, სარეველა ბალახი“, წდელჰანაშ „ჭილი“ და ა.შ. ამ სახელებში ბოლოკიდური -შ ბგერა მრ. რიცხვის ფორმანტია, თუმცა უფუნქციო.

გარკვეულწილად სირთულეს წარმოადგენს ენის ლექსიკური ფონდის ისეთი სიტყვების გრამატიკული კლასის დადგენა, როგორიცაა, ე.წ. მიკროლექსიკა (ჩიქობავა 1975, 35), არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები. ლექსიკონის ეს ნაწილი ენის მატარებელთა უმრავლესობისათვის უცნობია და თითოეული ლექსემის კლასის დადგენა ანალოგიით, ინტუიციით ან, სულაც, ქვეცნობიერად ხდება. ასეთ პირობებში კი გრამატიკულ კლასებში რყევები არათუ მოსალოდნელი, გარდუვალიც კი არის.

ნახურ ენებში მხ. და მრ. რიცხვებში თეორიულად დასაშვებია თექვსმეტი გრამატიკული კლასის ნიშანი. ესენია:

მხ.რ.	მრ.რ.	მხ.რ.	მრ.რ.
1) I.	ვ — ვ	3) IX.	ბ — ვ
II.	ვ — დ	X.	ბ — დ
III.	ვ — ბ	XI.	ბ — ბ
IV.	ვ — დ	XII	ბ — დ
2) V.	დ — ვ	4) XIII.	დ — ვ
VI.	დ — დ	XIV.	დ — დ
VII.	დ — ბ	XV.	დ — ბ
VIII.	დ — დ	XVI.	დ — დ

I გრამატ. კლასის ნიშანი ვ- გამორიცხულია მრ. რიცხვში. მაშასადამე, თექვსმეტი კლასიდან მოიხსნება ოთხი (I, V, IX, XIII). მოიხსნება, აგრეთვე, II კლასიც, რამდენადაც პიროვნების კატეგორიის სახელებთან მრავლობითში დასტურდება დ (I და II პირში) ან ბ- (III პირში), დიალექტებში კი სამივე პირში ბ- ფორმანტია წარმოდგენილი. „ვ- ყველაზე ნაკლებ ეწყობა რეინტერპრეტაციას“ (ანდღულაძე 1968, 49), ამიტომაა, რომ იგი მრ. რიცხვში არ ჩანს.

დანარჩენი თერთმეტი კლასიდან ათი, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ახიურში რეალიზებულია (რა თქმა უნდა, თუ ა.

თიმაევის დაკვირვებას სარწმუნოდ მივიჩნევთ, მის სქემაში დ-ბ (II და IX) კლასი მეორდება. იგივე სქემა უცვლელად სხვა გვერდებზეც არის მოცემული (თიმაევი 1983, 47, 74).

ამრიგად, ჩეჩნურში მხ. რიცხვში გამოიყოფა ოთხი გრამატ. კლასი, მრავლობითში — სამი. ორივე რიცხვში ამ ნიშანთა კომბინაციებიდან მოსალოდნელია თერთმეტი კლასი (თექვსმეტიდან გამოირიცხა ხუთი). თერთმეტიდან ერთი (ვ-დ) რეალიზებულია მხოლოდ მრ. რიცხვის I-სა და II პირში გონიერთა კლასის სახელებთან.

საფიქრებელია, რომ ჩეჩნურში გრამატიკულ კლასთა რაოდენობა მომავალში არ მოიმატებს. ცვლილებები, ალბათ, მოსალოდნელია ზემოთ ნახსენები თერთმეტი შესაძლო კლასის ფარგლებში. კლას-ნიშნიან სიტყვათა კლებას უკლასნიშნო სიტყვათა სიმრავლე შეუწყობს ხელს. უნიფიკაციის პროცესს გარკვეულწილად ხელს შეუშლის სალიტ. ენის ნორმები. უმწერლობო ენებში და დიალექტებში უნიფიკაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორები არ მოქმედებენ. ასეთია წოვა-თუშური ენა.

კლსნიშნიან ზმნებში გამოიყოფა ისეთი ფორმები, რომელთაც კლასის ნიშნები ნაკლული აქვთ. კლასნაკლ ზმნებში წარმოდგენილი არ არის ოთხივე კლასის ნიშანი — მარკერი. ასეთ ფორმებში უპირატესად დაკარგულია პირველი კლასის ნიშანი **ვ-. ვ-** ნიშნის დაკარგვის ძირითადი მიზეზი, როგორც ჩანს, ზმნის სემანტიკაშია საძიებელი. მაგალითად:

გარდაუვალი ზმნები:

დ-ითთა^{5},	ჲ-ითთა^{5},	ბ-ითთა^{5} „(გა)რეცხვა“,
დ-ჲეთთა^{5},	ჲ-ჲეთთა^{5},	ბ-ჲეთთა^{5} „(მო)წველა“,
დ-ᲬᲪა^{5},	ჲ-ᲬᲪა^{5},	ბ-ᲬᲪა^{5} „(და)თესვა“,
დ-Არა^{5},	ჲ-Არა^{5},	ბ-Არა^{5} „(გა)თლა“...

გარდაუვალი ზმნები:

დ-ახჭა^{5}, ჲ-ახჭა^{5}, ბ-ახჭა^{5} „მოგება (ხბოსი და მისთ.)“

დ-ათა^{5}, ჲ-ათა^{5}, ბ-ათა^{5} „შედედება, შედგომა“...

ბაბა^{5} „ლაპარაკი“ ზმნა ამჟამად უკლასნიშნოა. მაგრამ ჩეჩნური ენის ზოგ კილოკავში (მაგ., ქისტური დიალექტის ჯოყოლოურ თქმა-

ში) და ინგუშურ ენაში დასტურდება **д-эхьа**. მაშასადამე, ეს ზმნაც კლასის ნიშნების მიხედვით ცვალებადი ყოფილა. კლასის ნიშანთა სამი ექსპონენტის (ოთხიდან) დაკარგვის შედეგად იგი უკლასნიშნო გახდა.

კლასის ნიშანთა შესაძლო თერთმეტი ვარიანტიდან რომელიმე ენაში ან დიალექტში **დ-ბ** კლასის არსებობას ა. მაგომედოვი ეჭვის ქვეშ აყენებს, იგი წერს: „ერთადერთი დაურეგისტრირებელი შეხამებაა **დ-ბ,** რომლის გამოვლენის შესაძლებლობა საეჭვოა“ (მაგომედოვი 1985, 260). **დ-ბ** კომბინაცია აღნიშნული აქვს ჩეჩნური ენის ბარის კილოსა და ჭებერლოურში ი. ალიროევს. შდრ.: არც „მთის ჩრდილიანი მხარე“, კაგ „ორმო“, ბუოზ „ბიაზი“, გურა „მახე“, ჯაჟ „მათრახის ტარი“ (ალიროევი 1975, 20, 23, 198, 252). ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ ნაშრომში კორექტურული ხასიათის შეცდომებთან გვაქვს საქმე. ა. მაციევის, ზ. ჯამალხანოვისა და ი. ალიროევის ლექსიკონებში აღნიშნული ლექსემები **ბ-დ** კლასის ნიშნებითაა მოცემული (მაციევი 1961; ჯამალხანოვი, ალიროევი 1992).

საგანგებოდ შერჩეული 1506 სიტყვიდან **დ-დ**-ს განეკუთვნება 40,7% (613 სიტყვა), **დ-დ**-ს — 30,5% (504 სიტყვა), **ბ-ბ**-ს 6,0% (90 სიტყვა) და **ბ-დ**-ს — 13,3% (200 სიტყვა) (მაგომედოვი 1975, 20).

ამრიგად, თუ რატომ განეკუთვნება არაგონიერთა კლასის სახელები (იგივე „რა“ ჯგუფის სახელები) ამა თუ იმ კლასს, გაურკვეველი რჩება. სახელთა კლასებად დაყოფის კრიტერიუმების დადგენის მრავალი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. საქმის არსში გარკვევას ვერ შველის სახელთა დალაგება კლასების, სემანტიკური ჯგუფების, ან კიდევ სტრუქტურის, მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. პრობლემის გადასაჭრელად სხვა მიდგომა გამოძებნილი არ არის. რაღაც კანონზომიერება სახელთა კლასებად დაყოფისა, ალბათ, უნდა ყოფილიყო. აღნიშნული კანონზომიერების დადგენა შემდგომი ძიების საგნად რჩება.

არსებით სახელთა განაწილება გრამატიკული კლასების მიხედვით

I. ადამიანის (პიროვნების) კატეგორია

არსებით სახელებში, ზმნაში წარმოდგენილი კლასის ნიშნების შესაბამისად, „ვინ“ ჯგუფის სახელები უპირისპირდება „რა“ ჯგუფის სახელებს. „ვინ“ კატეგორიის სახელთა ჯგუფში შედის გონიერთა კლასის სახელები, რომლებიც უპასუხებენ „ვინ?“ კითხვაზე. „რა“ კატეგორია აერთიანებს ყველა დანარჩენ არსებით სახელს, სულიერსა და უსულოს, მათ შორის აბსტრაქტულ სახელებსაც, რომელთაც შეესაბამება კითხვა „რა?“ სახელთა ეს ჯგუფი არაგონიერთა კლასს განეკუთვნება, ისინი ნივთის კლასის სახელებია.

როგორც ცნობილია, ჩეჩნური ენისათვის დამახასიათებელია გრამატიკულ კლასთა ოთხკლასიანი სისტემა მხ. რიცხვში (ვ-, დ-, ბ-, დ-). „ვინ“ კატეგორიის (ე.ი. გონიერთა კლასის) სახელები გრამატიკულ კლასთა სისტემის პირველ ორ კლასშია განაწილებული.

მხ. რიცხვში I გრამატ. კლასის ნიშანი არის **გ-**. I კლასი მამაკაცთა კლასია. II გრამატ. კლასის ნიშანი **დ-** აერთიანებს ქალთა კლასს. უნდა აღინიშნოს, რომ **დ-** კლასში გაერთიანებულია აგრეთვე ნივთის კატეგორიის (არაგონიერთა კლასის) სახელთა ნაწილიც.

თავდაპირველად ადამიანის კატეგორიის სახელთა ასეთი დაყოფა „ბიოლოგიურ ნიშანს — სქესის გარჩევას — არ გულისხმობდა“ (ჩიქობავა 1979, 89). ამ კატეგორიის სახელთა დაშლა-დაყოფა ორ ჯგუფად (კლასად) მეორეული მოვლენაა. საგულისხმოა, რომ II გრამატიკული კლასის ნიშნად გამოყენებულია ნივთის კლასის ერთერთი ნიშანი, წერს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1942, 376).

ადამიანის აღმნიშვნელ ორივე კლასს მრ. რიცხვის I-სა და II პირში ნიშნად **დ-** ფორმანტი მოუდის, ხოლო III პირში მას **ბ-** ფორმანტი ენაცვლება (უსლარი 1888, 9).

მაშასადამე, „ვინ“ კატეგორიის სახელთა გრამატიკული კლასნიშნები ჩეჩნურში სქემატურად შემდეგ სახეს მიიღებენ:

კლასები	მხ.რ.	მრ.რ.
I.	ვ	დ- (I და II პ.)
II.	ჲ	ბ- (III პ.)

სპეციალურ ლიტერატურაში მხ. რიცხვის I და II პირთა ნიშანი **დ-** მხედველობაში მიღებული არ არის (დეშერიევი 1963; თიმაევი 1983; მაგომედოვი 1985...). მრ. რიცხვში კლასის ნიშნად მიჩნეულია მხოლოდ **ბ-** ფორმანტი. მაშასადამე, გონიერთა კლასის სახელებში სულ სამი კლას-ნიშანი გვაქვს: **ვ-, დ-** (მხ. რიცხვში) და **ბ-** (მრ. რიცხვში).

დღემდე მსჯელობის საგანი არ ყოფილა მრავლობით რიცხვში კლასის ნიშანთა პირების მიხედვით დაყოფის მიზეზი. ჩვენი ვარაუდით, ასეთი დაპირისპირების საფუძველი I და II პირის განსაზღვრულობაში და III პირის განუსაზღვრელობაში უნდა იყოს საძიებელი.

პირთა მიხედვით ასეთი დაპირისპირება უცნობია ჩეჩნური ენის მთის დიალექტებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, შატოური, ითუმყალური, ქისტური. ამ დიალექტებში მრ. რიცხვის სამივე პირში კლასის ნიშნად **ბ-** ფორმანტი გვაქვს (თუმცა, ამ მხრივ, ზოგი თავისებურება ამ დიალექტებშიც გვაქვს. ასე, მაგალითად: ქისტურში მისალმებისას მიმართავენ: მარჩ დ-ოლოლ-დ-აშ „მშვიდობით მოსულხარ || მოხვედით“ მოსალოდნელი მარჩ ბ-ოლოლ-ბ-აშ ფორმის ნაცვლად).

ზემოთ ითქვა, რომ „ვინ“ კატეგორიის სახელები ჩეჩნურში ორ გრამატიკულ კლასში ერთიანდებიან (ამ დებულებას გამონაკლისი აქვს, იხ. ქვემოთ — დეპერსონალიზებული სახელები).

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1. გრამატ. კლასთა სისტემის I კლასში თავს იყრის „მამაკაცის“, მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ადამიანის კატეგორიის სახელები. ასეთ სახელებს კლას-ნიშნიან სიტყვებში, მაგ., ზმნაში, პრეფიქსად **ვ-** ფორმანტი მოუდით.

სახელთა ამ ჯგუფში შედის:

დაᲘ „მამა“, კანთ „ბიჭი, ყრმა, ჭაბუკი“, მაᲔრა (მაᲘრ) „ქმარი“, ვაშა „ძმა“, ბაᲘჟა „ქვისლი“, სთუნდაᲘ „სიმამრი“, ნუც „სიძე“, ვუშ‘ „ძე, ვაჟი“, მაᲘრვაშა „მაზლი“, სთუნვაშა „ცოლისძმა“, მაᲘრდაᲘ „მამამთილი“, უურნახ „კაცი, ვაჟკაცი, მამაცი“...

სახელთა ამ ჯგუფში ზოგი ნასესხებია (ბაჟა, ყურნახ), რამდენადაც ეს სახელები „მამაკაცს“ აღნიშნავენ, გრამატიკული კლასის ნიშნად **ვ-** ფორმანტი მოუდით: ბაჟა ვუ „ქვისლი არის, ქვისლია“ და ა.შ.

სთუნდა „სიმამრი“, სთუნვაშა „ცოლისძმა“ კომპოზიტებს წარმოადგენენ, სადაც და „მამას,“ ვაშა „ძმას“ ნიშნავს. სთუნ- სეგმენტი ჩეჩნურ ენასა და დიალექტებში ამჟამად მხოლოდ აღნიშნულ კომპოზიტებში დასტურდება (ამ სახით). იგი უნდა მომდინარეობდეს ბსთუ ფორმისაგან, რომელსაც „ქალის, ცოლის“ მნიშვნელობა აქვს წოვა-თუშურში. შდრ., წოვა-თუშური: ფსტუ (< ბსტუ) „ცოლი“. ფსტუ-ში **ფ** ოდინდელი გრამატ. კლასის ნიშანია, იგი მომდინარეობს **ბ**-საგან, რომელიც ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში დაყრუვდა (რეგრესული კონტაქტური ნაწილობრივი ასიმილაცია). ჩეჩნურში იგი დაკარგულია. სთუნ- ელემენტს შეიცავს აგრეთვე სთუნცხუ̄ (მხ.რ.), სთუნცხუოჲ (მრ.რ.), რაც „ცოლის ნათესავს, ცოლეურს“ ნიშნავს. სთუნ- ფორმაში **-ნ** ფუძისეული არ უნდა იყოს, სავარაუდოა, რომ იგი ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ელემენტს წარმოადგენდეს (**-ნ** < **-ონ**). ასახსნელია, თუ რატომ არის ფსტუ (< ბსტუ) "ცოლი" სიტყვაში კლასის ნიშანი ბ- (მოსალოდნელი ჲ-ს ნაცვლად).

ოდინდელი გრამატიკული ნიშანი გამოიყოფა სახელებში, როგორიცაა: ვ-აშა „ძმა“, ვ-უო̆ „ძე, ვაჟიშვილი“, (შდრ., ჲ-იშა „და“, ჲ-უო̆ „ასული, ქალიშვილი“).

დის, ძმის, ვაჟიშვილისა და ქალიშვილის აღმნიშვნელ სახელებში გაქვავებული გრამატ. კლასის ნიშნები უცხო არ არის სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვისაც (შდრ., მაგ., ხუნძური ვ-აც „ძმა“, ჲ-აც „და“, ვ-ას „ძე, ვაჟიშვილი“, ჲ-ას „ასული, ქალიშვილი“ და სხვ.).

I გრამატიკულ კლასთა სახელებში ერთიანდება ისეთი სახელებიც, როგორიცაა: დჲელა „ღმერთი“, წუ̄ (წ ი უ̄ დიალ. ვარიანტი) „ღვთაება, ქურუმი“ სახელები. როგორც ჩანს, „ღმერთისა“ და „ღვთაების“ აღმნიშვნელი სახელები გათანაბრებულია მამაკაცის კლასთან, „ღმერთი“ და „ღვთაება“ წარმოდგენილია მამრობითი სქესის პიროვნებებად.

ვ- კლასის ნიშნით გამოხატული სახელები (ე.ი. მამაკაცთა აღმ-

ნიშვნელი სახელები) ჩეჩნურ ენაში მცირერიცხოვანია, მათ შორის ნასესხები სახელებიცაა.

2. ასევე მცირერიცხოვანია **დ-** კლასის ნიშნით (ანუ II კლასის ნიშნით) აღნიშნული ქალთა კლასის სახელებიც. **დ-** პრეფიქსს წარმოადგენს კლას-ნიშნიან სიტყვებში.

კლასთა სისტემის II კლასს (**დ**-ს) განეკუთვნებიან შემდეგი არსებითი სახელები:

ნ̄ანა „დედა“, დიშა „და“, დუშ̄ „ასული, ქალიშვილი“, დე̄ცა „მამიდა“, ნე̄ცა „დეიდა“, ზუდა „ქალი, ცოლი“, ჟდე̄რუშ̄ „განათხოვარი“, ჯინ „ძმათა ცოლები ერთმანეთისათვის“, ღარბაშ „მონა ქალი“, ნუს „რძალი“, ენგარ (ემგარ, ენგირ დიალ. ვარ.) „მოცილე, პოლიგამიისას ცოლები ერთმანეთისათვის“, მა̄რნ̄ანა „დედამთილი“, მა̄რდიშა „მული“, სთუნნ̄ანა „სიდედრი“, სთუნდიშა „ცოლისდა“...

დ- კლასის ზოგ სახელში, როგორიცაა: დ-იშა, დ-უშ̄ თავსართი **დ-** გაქვავებულ გრამატიკულ კლასის ნიშანს წარმოადგენს, ხოლო შედგენილ სახელებში სთუნ- სეგმენტი იგივეა, რაც სთუნდა, სთუნვაშა სიტყვებში იყო (იხ. ზემოთ).

ნუს „რძალი“ საერთოა ყველა ნახური ენისა და დიალექტისათვის. იგივე სახელი იძებნება ბევრ იბერიულ-კავკასიურ ენაში. ა. გენკომ ნუს ლექსემას პარალელები მოუძებნა: ხუნძურში — ნუს, არჩიბულში — ნუსტურ, ჩერქეზულში — ნგსგ, მეგრულში — ნოსა, ნისა, ჭანურში — ნუსა, ნისა, ქართულში — ნუსადია „ბიძის ცოლი“. იმავე მკვლევრის აზრით, იგივე ფუძე, ოღონდ **ნ-** შეცვლილი **ს-**თი, ჩანს: უბიხურში — სგს, თაბასარანულში — სუს „ახალდაქონწინებული“, აღულურში — სუს, წახურში — სოს, ლეზგიურში — სრს (გენკო 1996, 486-487). შესადარებელი მასალა ა. გენკოს, უპირატესად, ა. დირის ნაშრომიდან აქვს აღებული. **ნუსა** ნასესხებად მიაჩნიათ (არაბულიდან)...

3. ადამიანის კატეგორიის სახელებში მრავალრიცხოვანია ეროვნების, წარმომავლობის, სადაურობის, ნათესაობის, ხელობის, საქმიანობის, ზოგადად, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები.

მაშასადამე, სახელები, რომლებიც ერთდროულად განეკუთვნებიან **გ-** ან **დ-** კლასს, წინა პუნქტებში განხილულ სახელებთან შედა-

რებით, გაცილებით მეტია.

პროფესიის აღმნიშვნელი სახელები განეკუთვნებიან I ან II კლასს (გ-ს ან დ-ს). ასეთ სიტყვებთან გრამატიკული კლასის ნიშნების დადგენა კონტექსტის მიხედვით ხერხდება. თუ სახელი მამაკაცს მიემართება, იგი I კლასის კუთვნილება იქნება, ხოლო თუ იგივე სიტყვა ქალის პიროვნებას აღნიშნავს, იგი II კლასში აღმოჩნდება.

წარმომავლობის, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები უმეტესად შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

ა) ეთნონიმები და სადაურობის სახელები:

ნოხჩი „ჩეჩენი“, გურჯი „ქართველი“, ღალღა „ინგუში“, სული „ლეკი“, ღაზკი „რუსი“ ჰირი „ოსი“, ღებართურ „ყაბარდოელი“, ღაჟარუო „ირანელი“, ღუმქი „ყუმუხი“, ჟერმლუო „სომეხი“, ჟუგთი „ებრაელი“...

ჭებარლურ „ჭებერლოელი“, ჳჭკი „ახიელი“, მელხი „მითხოელი“, ლამარურ „მთიელი“, შარურ „შაროელი“, ურთახურ „სოფლელი“, ღალახურ „ქალაქელი“, შეოთურ „შატოელი“...

ბ) თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები:

ფაჩჩაჰა „მეფე“, თურჯ „მაცნე“, ჰაქამ „უფროსი, მმართველი“, სარდალ „სარდალი“...

აქვე შედის რუსული ენიდან ახალი ნასესხები სახელები: ნაჩალნიქ „გამგე“, სექრეთარ „მდივანი“, ფრედსედათელ „თამჯდომარე“, (დი)რექთორ „(დი)რექტორი“ და ა.შ.

სახელები, როგორიცაა ნაიბ „ნაიბი“, ფურსთუოფ „პრისტავი“, ფაშა „ფაშა“, ელა „თავადი“, ფაქხამარ „მოციქული“, სოვდაგარ „სოვდაგარი, ვაჭარი“, ხონქარ „ხონთქარი“, შაჰა „შაჰი“, ნუჰარ „ნუქერი“, ობურგ „აბრაგი, ყაჩაღი“, თუთმაჯ „პატიმარი“... უპირატესად გ- კლას-ნიშნისაა, თუმცა გამორიცხული არ არის ამ სახელთა დ-კლასში ხმარებაც.

სთუ ჩეჩნურში ნიშნავს როგორც ცოლს, ასევე „ქალბატონს“ (თავადის, ბატონის ცოლს). ამ მნიშვნელობით იგი არქაიზმს წარმოადგენს და თითქმის არ იხმარება. ამიტომაა, რომ ელა „ბატონი“ (შდრ., წოვა-თუშური ალე „ბატონი“) სიტყვამ „ქალბატონის“ მნიშვნელობაც შეიძინა. შდრ.: ელა დ-უ „ქალბატონი არის, ქალბატონია“

და ელა ვ-უ „ბატონი არის, ბატონია“. ელა ქისტურში „მეფესაც“ კი ნიშნავს.

გ) ჩეჩნურში გამოიყოფა ნათესაობის აღმნიშვნელი მარტივფუძიანი ორიოდე სახელი. ასეთია, მაგალითად:

შიჩა „ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი“, მაჴჩა „მესამე თაობის ნათესავი“.

ამ რიგის სახელები უპირატესად აღწერითი ხასიათისაა: ნენან ნანა „ბებია“ (ზედმიწევნით: დედის დედა), დენ ნანა „ბებია“ (ზედმიწევნით მამის დედა), ნენან დიშა „დეიდა“, დენ დიშა „მამიდა“...

დ) მრავალრიცხოვანია ამ ჯგუფში შემავალი საქმიანობის, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები:

ბელხლუო „მუშა“, ადჟ „ენის მიმტანი“, იჩჩარხურ „მონადირე“, ჰდელახურ „სახალხო მოსამართლე“, ყუ „ქურდი“, ლაჲ „მონა“, ლუორ „ექიმი“, ფჰარ „მჭედელი“, თალლარხუო „მკვლევარი“, თალმაჟ „თარჯიმანი“, ხენხუო „ყარაული“, ჰარხუო „მეწისქვილე“, ფელჰუო „ჯამბაზი“, დოშლუო || გჲელანჩა „მხედარი“, გოუზანჩა „ოსტატი“, ხაზანჩა „ხაზინადარი“, ღრნჩა „დამხმარე“, ვოთანჩა „მედოლე“, ზურმანჩა „მეზურნე“, ფონდარჩა „მეგარმონე“ და სხვ.

4. სთაგ „კაცი, ადამიანი“ სიტყვაც ორივე კლასს განეკუთვნება: სთაგ ვ-უ „მამაკაცი არის“ და სთაგ დ-უ „ქალი არის“. სთაგ სახელისაგან ნაწარმოებია: ვ-ოჭჭა სთაგ „ხანდაზმული (მოხუცი) მამაკაცი“, დ-დოჭჭა სთაგ „მოხუცი ქალი“, ჟიმა სთაგ (ვ-უ) „ყმაწვილი კაცი“, ჟიმა სთაგ (დ-უ) „ყმაწვილი ქალი“, ბუორშა სთაგ „მამაკაცი“ (ზედმიწევნით: მამრობითი სქესის ადამიანი) და მისი ანტონიმი ინგუშურში: სდესაგ (< სთდენ სთაგ) „დედაკაცი“ (ზედმიწევნით: მდედრობითი სქესის ადამიანი).

5. არის შემთხვევები, როცა კლასის ნიშნები ერთმანეთს ენაცვლებიან. ასეთ შემთხვევაში კნინობითობის პრეცედენტთან გვაქვს საქმე. შდრ., კანთ ვ-უ „ბიჭი არის“, მაგრამ: კანთ დ-უ (კნინობითობის, დაცინვის ფუნქციით). ანალოგიურ შემთხვევაში **დ-** ნიშანი, ჩვეულებრივ, **ბ-** ნიშნით იცვლება.

6. ცალკეა გამოსაყოფი ისეთი სახელები, რომლებიც გონიერთა კატეგორიას განეკუთვნებიან, მაგრამ არც მხოლობითში მოუდით **ვ-**

და **ბ-** ნიშნები და არც მრავლობითში უჩანთ კლასის ნიშანი **ბ-**.

როგორც ცნობილია, გრამატიკულ კლასთა ოთხკლასიანი სისტემის IV კლასის ნიშანი **დ-** ნივთის კატეგორიის სახელთა ერთ ნაწილს გამოხატავს.

ადამიანის კატეგორიის ზოგი სახელიც სწორედ **დ-** კლას-ნიშნიანია.

საფიქრებელია, რომ სახელთა ეს ჯგუფი, მართალია, ადამიანის აღმნიშვნელი სახელებია, მაგრამ ნივთის კატეგორიის სახელებთან არის გათანაბრებული, სხვა შემთხვევაში ისინი ნივთის კატეგორიისათვის განკუთვნილ კლასში არ მოექცეოდნენ. ამ პროცესის შედეგად **დ-** ექსპონენტმა შეითავსა **ვ-** და **ბ-** ნიშანთა ფუნქცია. მაშასადამე, ამ შემთხვევაში გრამატიკულ კლას-ნიშანთა ფუნქციონალურ შენაცვლებასთან გვაქვს საქმე.

პიროვნების კატეგორიის სახელთა ნივთის კატეგორიის სახელებთან გათანაბრება მათი დეპერსონალიზაციით უნდა ხდებოდეს. დეპერსონალიზებული სახელები, რომლებიც გრამატიკულ ექსპონენტ **დ**-ს მოითხოვენ, ჩეჩნურ ენაში შემდეგია:

ბჟერ „ბავშვი“, ნუსქალ „პატარძალი“, ბუშ „ობოლი“, ჯაჰოფა „კახპა“, ყუტაᴴბᶤიჟ „უკანონო შვილი“.

ამ სახელთაგან ზოგი ნასესხებია, მაგრამ კლასის ნიშანთა გარკვევისათვის სესხების პროცესსა და სესხების წყაროს მნიშვნელობა არა აქვს.

არნ. ჩიქობავა წერს: „ადამიანთა წრეში „ბავშვი“ არ შედის... „ბავშვი“ ნივთთა სამყაროს განეკუთვნება, საფიქრებელია, რომ ეს იმიტომ ხდება, რომ „ბავშვი“ ასაკსრულ პიროვნებად არ მიიჩნევა“ (ჩიქობავა 1979, 89). იქვე მითითებულია, რომ „ბავშვი“ სხვა ენებშიც საშუალო სქესს განეკუთვნება, მაგ., რუსულში, გერმანულში.

როგორც ჩანს, ანალოგიური ვითარება ყოფილა ქართულშიც. ასე, მაგალითად, იმავე „ბავშვი“ სიტყვაში გრამატიკული კლასის ნიშნად **ბა-** პრეფიქსი გამოყო ი. ჯავახიშვილმა (ჯავახიშვილი 1992, 214). ცნობილია, რომ ამავე სახელში **შვ** ძირი მომდინარეობს **შევ** ფორმისაგან. როგორც მ. სუხიშვილმა შენიშნა, ამ ზმნასთან (და კიდევ: დაბადება, შეძენა, ყოლა ზმნებთან) დაისმის „რა?“ კითხვა, რო-

მელიც ნივთის კლასის სახელებთან იხმარება ქართულში (სუხიშვილი, 1986, 44-49).

თუ „ბავშვი“ ასაკის გამო არის მოქცეული ნივთის კატეგორიის სახელებში, იმავეს ვერ ვიტყვით ამ ჯგუფში შემავალ დანარჩენ სახელებზე — ასაკს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

ნივთის კატეგორიის სახელებთან, განზოგადების შედეგად, **დ-** კლასში მოხვედრილი ჩანს: ადამ „ადამიანი“, ხალუ „ხალხი“. ორივე სიტყვა ჩეჩნურში ნასესხებია. ამავე რიგშია, აგრეთვე, უამ „ერი“, რომელიც საკუთრივ ჩეჩნური ჩანს, თუჯამ „ტომი, გვარი“ (შდრ., ქართული თოხუმი — სპარსულიდან) „შთამომავლობა, ჯიში, ჯილაგი“.

ჩეჩნური სალიტერატურო ენა **ვ-** და **დ-** კლასების მიხედვით განარჩევენ სახელებს ცგგან (**ვ-**) და ცგგანჭა (**დ-**) „ბოშა“ (ეროვნების აღმნიშვნელი). ორივე ეს სახელი სქესის მიხედვით გარჩეულია მსესხებელ ენაში — რუსულში, საიდანაც ჩეჩნურმა, ფორმისა და მნიშვნელობის შეუცვლელად, შეითვისა ისინი.

ჩეჩნური ენის ჭისტურმა დიალექტმა აღნიშნული სახელები, ჩანს, ქართულიდან ისესხა. ქართულ ენაში სახელთა გრამატიკული სქესი გარჩეული არ არის. ჭისტურმა კი ამ სახელს (იგულისხმება ციგან „ციგანი“) კლასის ნიშანი **დ-** მიუსადაგა, ე.ი. მისი დეპერსონალიზაცია მოახდინა. ამავე პროცესთან გვაქვს საქმე ქართულიდან ჭისტურში ნასესხები ჯიბგირ „ჯიბგირი“ სახელთანაც, ჭისტურში ისიც **დ-** კლასს განეკუთვნება. ნასესხებია ჭისტურში ფალჰა (მრავლობითში: ფალჰანაშ) „ჯამბაზი, ფალავანი“ ლექსემაც, რომელიც **დ-** კლასშია. შდრ., ჩეჩნური სალიტერატურო ენის ფჟელჰაურ (ვ, ჲ; ბ).

ჩეჩნურში ამავე კლასშია ფოლკლორისა თუ მითოსის ზოგი წარმომადგენელიც. მაგალითად, შჟელ'ა „დემონი, სატანა“, შაჲტა „ეშმაკი, შაიტანი“, ლილბაზჷილბაზ „ეშმაკი“, ღამ „ჯადოქარი“, ჟინ „ავი სული“, მალიქა „ანგელოზი“, ჲეშაფ „გრძნეული, კუდიანი დედაბერი“ (შდრ., ქართული ვეშაპი).

ამ რიგის სახელები ზოგს მამრობითი ან მდედრობითი, ზოგს კი უსქესო არსებებად წარმოუდგენია. ასეა თუ ისე, ყველა შემთხვევაში, ისინი ჩეჩნურში IV კლასში — ნივთის კლასში — ერთიანდებიან.

ადამიანის კატეგორიის სახელებს, როგორც ზემოთ ითქვა, გრამატიკული კლასის ნიშნად მრავლობითში **ბ-** ფორმანტი მოუდით.

საანალიზო სახელთაგან არც ერთს მრავლობით რიცხვში **ბ-** ნიშანი არა აქვს: ისინი მრავლობითში **დ-** ნიშანს მოითხოვენ, ისევე, როგორც ნივთის კატეგორიის **დ-დ** (ორივე რიცხვის მიხედვით) კლასის სახელები.

წოვა-თუშურისთვისაც არ არის უცხო დ- კლასში გაერთიანებული გონიერთა კლასის სახელები. ასეთია, მაგალითად: ბადერ „ბავშვი", ჰაშა „სტუმარი", მასთხოვ „მტერი", ნაყბისტ „ამხანაგი", მუშა'ო „მუშა", ლაწმარ „ავადმყოფი" (დეშერიევი 1952, 207).

II. ნივთის კატეგორია

როგორც უკვე აღინიშნა, ნივთის კატეგორიას განეკუთვნება გრამატიკულ კლასთა სისტემის **დ-დ** (III კლ.), **ბ-ბ** (IV კლ.), **ბ-დ** (V კლ.) და **დ-დ-** (VI კლ.) ჯგუფები. ნივთის კატეგორიის სახელთა კლასებად განაწილების საფუძველი დღემდე აუხსნელი რჩება.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1. **დ-დ** (III კლ.). მხოლობით რიცხვში **დ-** კლასში (ქალთა კლასის სახელთა გამოკლებით, რომლებიც **დ-ბ** გრამატიკულ კლასს, ე.ი. II კლასს განეკუთვნებიან) ნივთის კატეგორიის სახელთა თითქმის ნახევარი შედის (მაგომედოვი 1985, 264).

გარდა ამისა, **დ-** კლასში თავს იყრიან ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები (სახელები).

მაშასადამე, **დ-** კლასი ფართოვდება ახალი წარმონაქმნებისა და ნასესხები სახელების ხარჯზე. ნასესხები სახელები კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს ჩეჩნური, როგორც ახალდამწერლობიანი, ენისა. ამ ფაქტის გათვალისწინებით **დ-** კლასში გაერთიანებულ სახელთა ხვედრითი წონა საგრძნობლად მატულობს ნივთის კატეგორიის სხვა კლასებთან შედარებით.

ა. მაგომედოვს დაბოლოებათა მიხედვით განხილული აქვს **დ-** კლასში შემავალი არსებითი სახელები, მის ნაშრომში რუსულიდან ნასესხები სახელები კვლევის მიღმა რჩება.

მაშასადამე, მრავლობით რიცხვში **ჲ-** კლასისაა ყველა ის სახელი, რომელთაც მხოლობით რიცხვში კლასის ნიშნად **ჲ-** აქვთ და ადამიანის (პიროვნების) კატეგორიას არ განეკუთვნება.

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ **ჲ** კლასს ჩეჩნურში განეკუთვნება წარმოქმნილ სახელთა შემდეგი ჯგუფები:

ა) **-ლლა** (**-ალლა** თანხმოვანფუძიანებთან) სუფიქსით ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები:

ხაზა „ლამაზი“ — ხაზა-ლლა „სილამაზე“

ყეჳ „ღარიბი“ — ყჳ-ლლა „სიღარიბე“

ლოხა „დაბალი“ — ლოხა-ლლა „სიდაბლე“

ლჳსთა „ხშირი“ — ლჳსთა-ლლა „სიხშირე“

გოთთა „ვიწრო“ — გოთთა-ლლა „სივიწროვე“

დიქა „კეთილი, კარგი“ — დიქა-ლლა „სიკეთე“

ვუშ „ცუდი“ — ვუო-ლლა „სიცუდე“...

იგივე სუფიქსი ზოგი არსებით სახელისაგანაც აწარმოებს განყენებულ სახელებს, რომლებიც აგრეთვე **ჲ-ჲ** კლასში ერთიანდებიან. ასეთია, მაგალითად:

ვაშა „ძმა“ — ვაშა-ლლა „ძმობა“

ბერ „ბავშვი“ — ბერ-ალლა „ყრმობა, ბავშვობა“

მოსთაღ „მტერი“ — მოსთაღ-ალლა „მტრობა“

გოჳზა „ხელოვანი, ოსტატი“ — გოჳზა-ლლა „ოსტატობა“...

ბ) **-ჲე** სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

ირხჲე „აღმართი“ (შდრ.: ირაჰა „ფეხზე“, „დაყუდებულად“, ირა — ჰჳოთთა „აღგომა, აყენება, ფეხზე დაყენება“...)

ʻჳრჲე „დილა“ (შდრ.: ʻჳრ-ანნა „დილას, დილით, დილაადრიან“), ʻჳყჲე „ალიონი“

ბთაღჲე „ველი, დაბლობი“ (შდრ.: ბთაღა, ბთაღი დიალ. ვარ.)

ბასჲე „ფერდობი“ (შდრ.: ქისტური ბოსა „ფერდობზე“)

ბხქჲე „ზაფხული“

ღაჲრჲე „კუნძული“

თჳოღჲე „ხეობა, ველი“

ხჳოთჲე „ველობი“...

ჩამოთვლილ სახელთაგან ზოგი ნასესხები უნდა იყოს თურქულ

ენათა სამყაროდან (ყუმიყურიდან). ასეთად მიგვაჩნია, მაგალითად: ბთაღეე (‖ბთაღა), თურღეე.., სადაც **-ეე** სუფიქსია ჩეჩნური (**-ეე** ზოგ შემთხვევაში გამარტივებული ჩანს: **-ეე** > **ე**).

გ) **-ურ, -ლურ** სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

ბაყურ „უფლება“

ყაჰურ „მწარე გემო, სიმწარე“

მარზურ „სიტკბო“

წანურ „სისუფთავე“

მეცქარლურ „ცბიერება, ვერაგობა“

ამ რიგის სახელებში გამონაკლისიც გვაქვს, შდრ., მაგალითად: გეერგარლურ „ნათესაობა“ **დ-დ** კლასისაა.

დ) **-ღა** სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

ფჰალღა „საჭმელი“

მაზლაღა „სკა“

ლაფფაღა „ქოხი“

ჰაშლაღა „სანაძლეო“

-ეე, ურ‖ლუ, -ღა სუფიქსთა ფუნქციები ცალკეა შესასწავლი. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამ სუფიქსებს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვთ (ჩოქაევი 1968; თიმაევი 1971).

წარმოქმნილი სახელების გარდა **ე-ე** კლასს განეკუთვნება შემდეგი არსებითი სახელები (მაგალითები დამოწმებულია ი. ალიროევის ლექსიკონიდან (ალიროევი 1975).

ა) რელიეფის, ბუნებრივი მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა:

ქოლდ „ჭაობიანი ადგილი“, კინჟ „ორმო“, მეეთთიგ „ადგილი“, რაღ „ქედი“ (დაბალი), თარხ „კლდე“, ჰაეხ „გამოქვაბული“, ჭაქ „ხეობა“, იშალ „ჭაობი“, ეის „თრთვილი“, სთიგალ „ცა“, მარხ „ღრუბელი“...

ბ) ბალახეულ მცენარეთა სახელები; მცენარეთა ნაწილების სახელები:

ბ'ასთა „დიყი“, ვირნეხჩა „ფშუკურა“ (ერთგვარი ბალახის სოკო), გოვრბუც (ერთგვარი ბალახი), გოვრმაერზ „შვიტა“, ღუნდალღი „ანწლი“, დინბერგ „მრავალძარღვა“, ქურორსამ „ხავსი“, ჯოტა „სამყურა“, კაადარგ „თეთრი გვირილა“, ყანზიგ „წიწმატურა“...

ბალლ „ალუბალი“, ღაგსი „ჭერამი“, ღამმაღა „ატამი“, შაფთალ „გარგარი“, ქიემს „ვაზი, ყურძენი“...

ხეთა სახელები, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, საკუთრივ ჩეჩნურია, როგორიცაა, მაგალითად: ბაგა „ფიჭვი“, ბაზა „ურთხელი“, დოგა „შვინდი“, დაჭ „არყი“, ბ‘არა „კაკალი“, აჭთარგ „ხვალო“, ზდეზ „ლარიქსი“... **დ-დ** გრამატიკულ კლასს განეკუთვნებიან. თუმცა ამ რიგის სახელებში გამონაკლისიც არის, მაგალითად: ჯუორ „მსხალი, პანტა“, ‘აჟ „ვაშლი, მაჟალო“, ჰაჩ „ქლიავი, ტყემალი“, ფუოფ „წიფელი“... **ბ-დ** კლასს განეკუთვნება.

დ-დ კლასისაა აგრეთვე: ჰოუნ „ტყე“, ბჷშ „ბაღი“, ბრლაქ „კოროში“ და სხვ.

გ) ბოსტნეულის სახელები: ბურჩ „წიწაკა“, ქუოფასთა „კომბოსტო“, ჯრ „ლობიო“, ნარს „კიტრი“, ხუორბაზ „საზამთრო“...

დ) მარცვლეულ კულტურათა სახელებიდან: ჰაბ‘აშ „სიმინდი“

ე) მცენარეთა ნაწილების სახელები: ქოვსთ „ქერქი“, ლჷდიგ „სიმინდის ტაროს ჩალა“, თჰოუმ „ნაჭუჩი“, ჩდემხალდიგ „ბალახი ღერო“, ტუმ „გული“ (ნაყოფისა) და სხვ.

ვ) ცხოველთა სახელები: ავსთ „ჩებიჩი“, ბეყა „კვიცი“, ბუოჟ „ვაცი“, სთარღა || ბუორშ „მოზვერი“, ბუღა „ბუღა“ (ხარი), ბუჰიგ „თიკანი“, ბ‘არზა „ჯორი“, ვირ „ვირი“, გაზა „თხა“, გოურ „ცხენი“, გრმაშ „ქამეჩი“, ჭელლ „ფაშატი“, „ჯრდალი“, ხდერსი || ხურსიგ „გოჭი“, ემქალ „აქლემი“...

არდანგ „ხროვა“, რდემა „რემა“...

ბულა „დომბა“, დინგად „თრითინა“, დ‘ამა „მაჩვი“, რ̃ფა „ზაზუნა“, ბუორზ „მგელი“, ფილ „სპილო“, თარსალ || ცასთარგ „ციყვი“, ჩა „დათვი“, ლერგდახარ || ჯჰაგალ „კურდღელი“, ჩადთა‘ || თუოთალ „ბელი“, ჩაღალჭ „ტურა“, ზუ „ზღარბი“, შრ̃ქქარდე „შველი“...

ზ) ფრინველთა სახელები:

ქურთამ „ქათამი“, ბად „იხვი“, ღაზ „ბატი“, ბუორღალ „მამალი“, მოსქალ „ინდაური“, ალჯანჩ „შოშია“, ათდოჭ „გუგული“, ბრზუ „არწივი“, ბუჰა „ბუ“, ღარღული „წერო“, ღურღაზ „გედი“, ყიგ „ყვავი“, მაჭჯალ „ძერა“, ნ‘ავლა „ტოროლა“, ჰაარღა „სვავი“, ჰუთთუთ

„ოფოფი“...

თ) მწერების, ქვეწარმავლების სახელები:

Ანგალხა „მახრა, ბოსტანა“, ბუმბარი „ბაზი, ონავარი“, ბ‘Ეჟუ „ერთგვარი ობობა“, ზ‘Შგა „კრაზანა“, ჩᲣრქ „კოღო“, ჯᲠბა „ტრიხინა“, ჩჰაᲐვრიგ „ტარაკანი“, ვეჩჩალგ „ტკიპა“, ისქᲨოგბერგ „ცხრაფეხა“, ვᲨრთანგარ „ანკარა“, ფჰიდ „ბაყაყი“, ყᲔზᲨორგ „ბაღლინჯო“, ცᲐფცალგ „კუტკალია“...

ი) სხეულის ნაწილთა სახელები (ანატომიური ტერმინები):

ბაგა „პირი“, ბათ „პირისახე, დინგი“, ვᲨორთა „კისერი“, ფჰარცერგ „ღოჯი“, ცᲔრგ „კბილი“, ზ‘Შოქ „ნისკარტი“, ბᲔელშ „მხარი“, დᲐ‘Ეხქ „ძვალი“, დუყ „წელი“, თᲨთა „ქალა“, ჩინთ „მეჭეჭი“, მა‘ა „რქა“, ბᲔესნა „ლოყა“, ყამყარგ „ყელი“, ტუმ „ძვლის ტვინი“, ჭᲔენიგ „ნიკაპი“, მაყ „წვერი“, ვარᲔე „თეძო“, მ‘Არა „ფრჩხილი“, მᲨყᲔ „ორგანო, ასო“, ხალყ „ღაბაბი“, დუჰა „სახე“, ბარგ „ფლოქვი“, მას „თმა“...

კ) ავადმყოფობათა (სნეულებათა) სახელები:

ჰართ „წითელა“, ნᲨოტყა „ჩირქი“, ხᲨორᲨა „ციება“, ჰᲔეთ „კანის დაავადება“, ჰაუ „ანთება“ (ჭრილობისა), ცამგარ „ავადმყოფობა, სენი“, ჩიჩ „ქერტლი“...

ლ) სამშენებლო ლექსიკა:

ბ‘Შოვ „კოშკი“, ღᲐლა „ქალაქი, ციხე-სიმაგრე“, ღᲨ „ჭა“, ქᲔერთ „ღობე, ზღუდე, გალავანი“, ჭილს „ეკლესია“, ლარდ „საძირკველი“, მომსარ „მინარეთი“, ნᲔე‘ „კარი“, სᲔნᲔე „კორიდორი, ტალანი“, თᲨოვხა „ბუხარი“, ჰაᲔრ „წისქვილი“, ჰᲨსამ „ოჯახი, საცხოვრებელი სახლი, სამყოფელი“...

აგრეთვე: ფაჩჰაᲔე „სახელმწიფო“, დურთ || ფჰაა „სოფელი“, ბᲐზარ „ბაზარი“...

მ) საოჯახო ნივთებისა და კულინარულ ნაწარმთა სახელები:

ბ‘ᲔᲔღაგ „ქეჩა“, ვალთი „ბავშვის ლეიბი“, გრ „ლეიბი“, ფადნარ „ტახტი“, ჩამდა „ჩემოდანი“, შარშᲨ „ზეწარი“, Ეეხქ „სავარცხელი“, ბᲨოთთ „კოლოფი, ქარქაში“, გიბა „თიხის დოქი“, ზაᲔლა „ტაფა“, ქᲩრა || ყულგ „ჩხუტი“, ჯიმარ „ხვიმირა“, კუდალ „თუნგი“, ჯᲐბა „დოქი“, ფჰაᲔღა „ჭურჭელი“, სამარ „სამოვარი“, ჩᲐრა „ტაშტი“,

სირნიქ „ასანთი“...

გალა „პატარა გუნდებად მოხარშული მჭადის ცომი, გალანა“, გარზა „ატრია, მაკარონი“, დალლა „ერთგვარი ქადა“, დოლმა „ტოლმა“, ქორჟამ „პურის ნატეხი, ყუა“, ჯუნჯ „მოხარშული სიმინდის მარცვალი ლობიოთი“, კალდ „ხაჭო“, ნდეხჩ „ყველი“, სამგ „ერთგვარი ძეხვი“, სისქალ „მჭადი“, ჰოლტამ „ბრტყელი გალანები“, ჩუორფა „სუპი, ბულიონი“, ჩუფფალგ „ბატიბუტი“, შურა „რძე“...

ნ) შრომისა და სამხედრო დანიშნულების იარაღთა სახელები:

ალხა „სალესი ქვა“, ასთა „სატეხი“, ბდელ „ბარი“, ვაბა „კეტი, აზარმაცი“, ვარზაპ „ურო“, გუოთა „გუთანი“, ჟ'ოუ „ჩაქუჩი“, დანდარგ „ტყვია“, თაფჩა „პისტოლეტი“, თუოფ „თოფი“, შალთა „ხანჯალი“...

ვუორდა „ურემი“, ღუდალჯ „საზიდი, ფურგონი“, ფადთუო „ფაეტონი“, სალაზ „ციგა, მარხილი“, ქუოჟ „კოჭი“, ნუჩრ „უნაგირი“, ჭყურგ „ბორბალი“...

ო) სხვადასხვა დარგის არსებითი სახელები:

ალუ „ალი“, წდე „ცეცხლი“, კეგა „ნაკვერჩხალი“, დუყ „ნაცარი“...

ზურმა „ზურნა“, ვუოთა „დოლი“, ჯირღა „დაირა, დაფი“, შდედაგ „სალამური“...

ბურქა „ბურთი“, ქოსქაზ „ოჩოფეხი“, თადნიგ „თოჯინა“...

ბაჭჭალ „ბაკალეა“...

გდე „ციდა“, შა „მტკაველი“, გდერქა „გირვანქა“, მისყალ „მისხალი“, ნახართ „ხურდა“, ფუნთ „ფუთი“, სა „სარფა“, ხარჟ „ხარჯი“...

2. **ბ-ბ** (IV) კლასს განეკუთვნება ყველა ის ნაზმნარი სახელი, რომელიც **-მ** სუფიქსით არის ნაწარმოები. ეს წესი უგამონაკლისია. მაგალითად:

თდეშამ „ნდობა“, ბდეზამ „სიყვარული“, ჰადეხამ „რჩევა, დარიგება“, ხათთამ „აღსარება“, ბახამ „მეურნეობა, ქონება“, ბურხამ „უბედურება“, საცამ „დადგენილება“, თიდამ „დაკვირვება“, ბდეჭამ „სამაგიეროს გადახდა, ანგარიშის გასწორება“, სინთდეშ „სიწყნარე, დამშვიდება“ (სიტყვასიტყვით: სულის სიმშვიდე)...

ამავე კლასში შედის აგრეთვე შემდეგი სახელები:

ბაჲ „მდელო“, ფუოფფარ „თიხა“, ჩიმ „ფიფქი“, კურჟამ „აბედი“, ნითთ „ჭინჭარი“, ჰჲონქა „ღანძილი“, ჭიმ „ჭყიმი“, შიშ „ლელი“, ბამბა „ბამბა“, კუომალ „კანაფი“, უოჩჩამ „კამა“, კორა „გუდაფშუტა“, შუო „შუნი“ (დედალი ჯიხვი), ბღურ „გვერდი“, ბ'არგ „თვალი“, ქირა „მუცელი“, მირ „წიხლი“, სთიმ „ნაღველი“.., ჩამი „საწვნე“, ჭაეგა „საკეტი, კლიტე“...

როგორც მაგალითებიდან ჩანს IV კლასში (**ბ–ბ** კლასი) შემავალ სახელთა რაოდენობა ჩეჩნურში მცირერიცხოვანია.

3. **ბ–დ** (V კლასი) კლასში შემავალ სახელთა აღნიშნულ კლასში გაერთიანების საფუძველი, როგორც ითქვა, არ ჩანს. ჩვენ დავკმაყოფილდებით ამ კლასში შემავალ სახელთა ჩამოთვლით დარგების მიხედვით (დარგებს, რა თქმა უნდა, პირობითად ვიყენებთ).

ა) უსულო ბუნების, ლანდშაფტის ამსახველი სახელები:

ბარზ „ბორცვი“, ბაერდ „ფლატე, უფსკრული“, ბრრა „ხევი“, გუ „გორა, ყორღანი“, ლამ „მთა“, მუოხქ „ქვეყანა, მხარე“, ნაეყ „გზა“, ხათთ „ტალახი, ლაფი“, შუ „ფლატე“, საედა „ვარსკვლავი“, მუოხ „ქარი“, ტადამ „წვეთი“, ჰუორდ „ზღვა“, ცინც „შხეფი“, 'ამ „ტბა, ტბორი“...

ბ) მცენარეული საფარის სახელები:

ბა' „ბირკა, ბირკავა“, ჰჲოჯამ „ბალბა“, წაზამ „მარწყვი“, ეერზ „ლერწამი“, 'აეხა „ხვართქლა“, ჯუორ „პანტა, მსხალი“, ფუოფ „წიფელი“, ჰჲამც „ზღმარტლი“, ჰჲაჩ „ტყემალი, ქლიავი“, 'აყ „ვაშლი“, ბრ „მთის ნიორი“, ხუოხ „ხახვი“, ქან „თავთავი“, წუოვ „კონა“, რრამ „ფესვი“, სარა „წნელი“, ხაენ „მორი, ხე“...

გ) ცხოველთა, ქვეწარმავალთა სახელები:

აადარ „ულაყი“, ჟი „დედა ცხვარი“, დინ „ბედაური“, ჲეთთ „ძროხა“, ქა „ვერძი“, სთუ „ხარი“, თუო „ყოჩი“, უსთაღ „ცხვარი“, ჩუხ „ბატკანი“, 'ახარ „თოხლი“, ღალა „ფურირემი“, დახქა „თაგვი“, საჲ „ირემი“...

ჭარა „თევზი“, ლაჰჰა „გველი“, მრლყა „ხვლიკი“...

დ) ფრინველთა სახელები:

ჯუოჯა „მტერდი“

ე) მწერების სახელები:

მოზა „ბუზი“, ნეცა „ჩრჩილი“, ნ'ანა „ჭია“, ფოლლა „პეპელა“, საგალ „რწყილი“, სესა „თავკომბალა“...

ვ) სხეულის ნაწილთა სახელები:

ბართ „პირი, ბაგე“, ბუჲ „მუშტი“, ბუყ „ზურგი“, გურლა „იდაყვი“, ჟიმ „თირკმელი“, ზუორხ „კუჭი“, ქუოგ „ფეხი“, კაჟა „ქუსლი“, მარა „ცხვირი“, მუოთთ „ენა“, ნაჭა „მკერდი“, ფახ „ფილტვი“, ფჰაარს „მკლავი“, პჲელგ || ტჲელგ „თითი“, ჰაჲე „ტვინი“, გაჲ „გავა“, დუმა „დუმა“, ჭაჭა „ცხვრის ტყავი“, ტამ „ფრთა“, შიმ „ცური“, მჲერზ „ძუა“, ჩუო „თმის ღერი“...

ზ) საოჯახო ნივთებისა და კულინარულ ნაწარმთა სახელები:

ღაჲბა „ბალიში“, ქუზ „ხალიჩა“, მა'არ „ჩანგალი“, მაანგა „საწოლი“, მუოთთთ „ლოგინი“, ნუჲ „ცოცხი“, ტამ „სახელურიი“, ტურმიგ „ჩანთა“, ცაცა „საცერი“, ჲაჲ „ქვაბი“, 'აჲგ „კოვზი“.

ბა'არ „შინაური ძეხვი“, ბუოდ „ცომი“, უარუ „ღერღილი“, ჭაჩა „საშმელი“, ნალხა „კარაქი“, ტურ „ნაღები“...

თ) შრომის იარაღების სახელები:

გამ „ხვეწი“; ერთგვარი პატარა თოხი“, ღორდაზ „ჭოპოსანი“, ქოუ „ქლიბი“, ხჲერხ „ხერხი“, ჭუ „მაქო, ჩხირი“, მჲეჭა „ფარცხი“...

ი) სხვადასხვა სახელი:

ბ'ურლამ „ბოძი“, ბუხ „ძირი, ფსკერი“, დუო „სასიმინდე“, ლამი „კიბე“, ფჲენ „კედელი“, თხოუ „ჭერი, სახურავი“, ტულგ „ქვა“, ურამ „ქუჩა“, ქაჩ „საყელო“, ქუჲ „ქუდი“, მახა „ნემსი“, მაშა „შალი“, ტარა „სათითე“, ურიგ „გორგალი“, ბუნჟუოლაგ || ბურანჩიგ „საქანელა“, მუოჰჲ „ტვირთი“, სარდამ „წყევლა“, ბუოლხ „სამუშაო“...

4. **დ-დ** (VI) კლასში შედის:

ა) -ილა-ზე დაბოლოებული ყველა სახელი, როგორიცაა: დეჟილა (< დეჟი-ილა) „საძოვარი“

ბ) ყველა მასდარი, ე. ი. ის ნაზმნარი სახელი, რომელიც **-რ** სუფიქსით არის ნაწარმოები:

და'არ „საჭმელი“, ჰჲეთარ „მოფენა, ამოსვლა“ (მაგ., მზისა), ჰჲერარ „შიში“, „დჲენარ „ვალი“;

გ) რელიეფის, ბუნებრივი მოვლენების აღმნიშვნელი სახელები:

დუყ „ქედი“, დუნჲე „ქვეყანა, დუნია“, ჯა „ნაკვეთი“, ლათთა „მიწა“, რრ „ორმო“, თაჩა „ბილიკი“, ჩხო „კალაპოტი“, ‘ი‘ „ხევი“, დარც „ქარიშხალი“, სთჲელ‘ად „ცისარტყელა“, დარზ „ჟუჟუნა წვიმა“, დოღა „წვიმა“, ლურ „თოვლი“, ნურ „სხივი, ნათება“, სთჲელხაშთიგ „მეხი“, თათურლგ „ნაკადული“, თხი „ნამი“, ხი „წყალი“, ჰაუოსთ „წყარო“, ჰუო „ჰაერი“, შოვდა „წყარო“...

გ) დროის აღმნიშვნელი სახელები:

დჲე „დღე“, შუო „წელიწადი“, ‘ა „ზამთარი“, უორშუოთ „ორშაბათი“, პჲერასქა „პარასკევი“, საჰთ „საათი“, შუოთთ „შაბათი“...

დ) მეტალთა, ქიმიურ ნივთიერებათა და საღებავთა სახელები (ზოგი მეტალის სახელს, რომელიც დ- კლასს განეკუთვნება, მრ. რიცხვი არ ეწარმოება). მაგალითად:

ანგალი „შუშა, ფაიფური, ემალი“, ბურლათ „ფოლადი“, ვარყ „ვარაყი“, გინსუ „ვერცხლისწყალი“, დეთი „ვერცხლი“, დეში „ოქრო“, დეზ „თითბერი“, ლილა „ლილა“, წასთა „სპილენძი“, სანგალ „გოგირდი“ ჩუნა „თუჯი“, დაშ „ტყვია“, სირ „ემალი“, ეჩიგ „რკინა“...

ე) მცენარეთა სახელები:

ზდეზაგ „ყვავილი“, ფეტამათ „ყაყაჩო“, თურბალჯ „ია“...

ახთარგ „ხვალო“, ბაგა „ფიჭვი“, ბაზა „ურთხელი“, ბ‘არა „კაკალი“, დაღ „თელა“, დაქ „მდგნალი“, დაჯ „არყი“, მა‘ „მურყანი“, მუშ „თელა“, ნაჟ „მუხა“, ფხა „რცხილა“...

ვ) ცხოველთა სახელები:

ჟ‘ალა „ძაღლი“, კეზა „ლეკვი“, ფჰუ „ძუკნა“ (ძაღლი), ციციგ „კატა“, ესა „ხბო“, ლუომ „ლომი“, ლუ „შველი“, მაჲმალ „მაიმუნი“, მასარ „არჩვი“, ჰაადბა „ცხოველი, პირუტყვი“...

ზინგათ „ჭიანჭველა“, წუბდარ „წურბელა“...

ზ) ფრინველთა სახელები:

ჰარზა „ჩიტი, ფრინველი“, ღირღა „ძერა“, ქურრა „ქორი“, ლდეყ „მწყერი“, ლეჩა „შევარდენი“, მრშა „კაკაბი“, მდერცხალდიგ „ნამგალა, მეკირია“, ჰდეღარდიგ „მერცხალი“...

თ) სხეულის ნაწილთა სახელები:

ახქარგ „ბებერა, ბუშტი“, ბალდა „ტუჩი“, გად „მუცელი“, ღუოღ „ბარკალი, ბარძაყი“, დდეღ „ტანი“, დუო‘ახ „ღვიძლი“, დუოგ

„გული“, ⴆრჰ „ნაწლავი“, ქუგ „ხელი“, ლᲫერგ „ყური“, ლუოფფაგ „ბუშტი“, მუოჩხალ „ყბა“, ფხანარ „ბეჭი“, პიენდა „ნეკნი“, ჰააე „შებლი“, წი „სისხლი“, წონგა „ჭიპი“, ჭყუორ „კანი“, ‘ონჟარ „ტყირპი“, ნე‘ „ტყავი“, ტა „ცხოველის წინა ფეხი“, ტუოდ „თათი“, წუოგა „კუდი“, წურქა „ტყავი“, წუომ „ხორთუმი“, მᲫეკ „ულვაში“, წუოწყამ „წარბი“...

ი) სამშენებლო ლექსიკა:

ბოჟალ „საჯინიბო“, ჟაღ „ქვიშა“, ზ‘არა „ლაასტი“, ქოვ ჭიშკარი“, ქჭორ „ფანჯარა“, მაჟდიგ „მეჩეთი“, უოჩაკ „კერა“, სიწყარ „ფიქალი“, ტაᲫ „ხიდი“, ’უ „ფიცარი“, უოთი „ოთახი“, ჰჯუოკა „მარგილი“, წა „სახლი“...

ბაჰჰა „ნიჩაბი“, დიგ „ცული“, დ‘ამა „სატეხი“, მარს „ნამგალი“, ჭუოდა „დუქარდი“, შადა „ფიწალი“, ჟომმაღა „ნაჯახი“, ურს „დანა“...

კ) საოჯახო ნივთების სახელები, კულინარია:

ბგა „აკვანი“, ბურგა „ღრმა თეფში“, ბუოშხაფ „თეფში“, ვᲫეღარ „ვედრო“, გუᲫ „ვარცლი“, ღანთ „სკამი“, ღუთაკ „უუთი“, ქით „ტიკი, რუმბი“, ქუზგა „სარკე, შუშა“, კაᲫ „სახელური“ (ქვაბისა, ვედროსი), ნᲫეღარ „სარქველი“, სურთ „სურათი“, თაზ „ტაშტი“, ტაკა „კასრი“, ხᲫედარ „ლანგარი“, ჩᲫერმა „კასრი“, ჩრლფა „ქაფქირი“, შელიგ „დიდი კასრი“, შიშა „ბოთლი“, შუ‘ „ტაბლა“, Ძალღუ „ტაფა“, სოვღათ „საჩუქარი“...

აჰაარ „ფქვილი“, ბᲫეფიგ „პური“, მუოზ „თაფლი“, ფჰჯუორ „ვახშამი“, ჩაღარ „ღვინო“, ბურა „კვერცხის გული“, ჟიჟიგ „ხორცი“, ყარყა „არაყი“, მუთთა „წვენი“, ჭᲫეფალგ „მჭადი“, დამა „ფქვილი“, შᲫექარ „შაქარი“, დათთა „ერბო“, ჯალლარ „პური“, მაშა „რძის პროდუქტები“, ნიხ „ბურახი“, ჰო‘ა „კვერცხი“...

ლ) სხვადასხვა სახელები:

ილლი „სიმღერა“, ხᲫელხარ „ცეკვა“, ვესᲫეთ „ანდერძი“, ქაშ „საფლავი“, მარჩუო „სუდარა“, ჩურთ „საფლავის ქვა“...

ახჩა „ფული“, ზᲫე‘ „ზარალი“, თუშმა „თუმანი“, ეფფაზ „აბაზი“, ალაფა „ხელფასი“, ღუო „დახმარება“, ღუდა „ჯარიმა“, ღულლაკ „საქმე“...

VI კლასში შემავალ სახელთაგან ჩვენ ნაწილი მოვიყვანეთ. იგი მრავალფეროვანია და რომელიმე დარგის მიხედვით შეზღუდული არ ჩანს.

ამ შემთხვევაშიც ძალაში რჩება დებულება, აღნიშნულ კლასში სახელთა დაჯგუფების საფუძველი არ ჩანს.

ის სახელები, რომლებიც პიროვნებას აღნიშნავენ, მაგრამ **დ-დ** (VI) კლასს განეკუთვნებიან, განხილული გვაქვს ადამიანის (პიროვნების) კატეგორიის სახელებში.

დასკვნა

1. ჩეჩნურში სახელები იყოფიან ადამიანისა და ნივთის კატეგორიის სახელებად. როგორც ქართულში, ხსე ჩეჩნურში ადამიანის კატეგორიის სახელები ვინ-ჯგუფს განეკუთვნებიან, ნივთის კატეგორიის სახელები კი — რა-ჯგუფს.

2. ადამიანის კატეგორიის სახელებში გამოიყოფა ორი კლასი: **ჲ-** ფორმანტით გამოხატულია მამაკაცთა კლასის, **ჲ-** ნიშნით კი — ქალთა კლასის სახელები.

3. ადამიანთა კლასის აღმნიშვნელი ზოგი სახელი, გამონაკლისის სახით, **დ-** კლასსაც განეკუთვნება, რაც სახელთა ამ ჯგუფის დეპერსონალიზაციით უნდა აიხსნას.

4. ნივთის კატეგორიის ზოგი სახელის კუთვნილება ამა თუ იმ კლასისადმი სახელის მაწარმოებელი სუფიქსის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს. მაშასადამე, სტრუქტურა განსაზღვრავს კლასის ნიშანს, ასეთი სუფიქსები ცოტაა და არც წარმოქმნის პროცესია პროდუქტიული.

5. ნასესხები სახელის ამა თუ იმ გრამატიკული კლასისათვის მიკუთვნება ზოგჯერ ანალოგიის მიხედვითაც ხდება (იგივე შეიძლება ითქვას ახალი წარმონაქმნების — ნეოლოგიზმების შესახებაც): ახალი ან ნასესხები სახელი უკავშირდება ენაში არსებულ სემანტიკით მსგავს სახელს და ეხამება მის კლასს (შდრ.: ხი დ-უ „წყალი არის“ და ჩაჲ დ-უ „ჩაი არის“...). რა თქმა უნდა, პროცესი ერთფეროვანი არ არის, განმსაზღვრელი ჩანს ის, თუ რასთან ასოცირდება ახალი საგანი თუ მოვლენა მოუბრის შემეცნებაში.

ასპექტის კატეგორია

ჩეჩნურ ზმნას მოეპოვება ისეთი წყვილი ფორმები, რომელთაგან პირველი ზმნით გამოხატული მოქმედების ერთხელ, მეორე კი იმავე მოქმედების მრავალჯერ შესრულებას აღნიშნავს. შდრ.:

ლახ-ა^{5} „ძებნა“ (ვეძებ) — ლაჲხ-ა^{5} „ძებნა“ (ვეძებ ხოლმე)

საც-ა^{5} „გაჩერება“ (ვჩერდები) — საჲც-ა^{5} „გაჩერება“ (ვჩერდები ხოლმე)

ლარ-ა^{5} „თვლა“ (ვთვლი) — ლაჲრ-ა^{5} „თვლა“ (ვთვლი ხოლმე)

ხათთ-ა^{5} „(შე)კითხვა“ (ვეკითხები) — ხაჲთთ-ა^{5} „(შე)კითხვა“) (ვეკითხები ხოლმე)

ჰარჩ-ა^{5} „(მო)ხვევა“ (ვეხვევი) — ჰაჲერჩ-ა^{5} „(მო)ხვევა“ (ვეხვევი ხოლმე)...

ნათელია, რომ პირველი რიგის მაგალითები გამოხატავენ მოქმედების ერთგზისობას, მეორე რიგისა კი — მრავალგზისობას: სემანტიკური განსხვავება ფუძეებს შორის ფუძისეული ხმოვნების ცვლით არის განპირობებული (ასეთი დაპირისპირება, რა თქმა უნდა, ბოლომდე გატარებული არ არის).

ცნობილია, რომ ფუძისეული ხმოვნების ცვლას, რომელიც ფონეტიკურად არ არის შეპირობებული, აბლაუტი ჰქვია (ლინგ. ენც. ლექს. 1990). აბლაუტს სხვადასხვა ენაში ფორმათა ან სიტყვათა წარმოების ფუნქცია აქვს. ჩეჩნურში აბლაუტურად დაპირისპირებული ფუძეები დროთა სისტემას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქმნიან, მათი სემანტიკაც განსხვავებულია და, ამდენად, მიგვაჩნია, რომ აბლაუტს ჩეჩნურში სიტყვაწარმოების ფუნქცია აქვს.

აბლაუტის მსგავს მოვლენას ჩეჩნურში ადგილი აქვს დროთა სისტემის წარმოებაშიც (იხ.: დროთა სისტემა), მაგრამ დროთა სისტემაში ფუძისეულ ხმოვანთა ცვლა ფონეტიკური ცვლილებების შედეგია. დროთა მაწარმოებელი სუფიქსები მოქმედებენ ფუძისეულ ხმოვნებზე და იმსგავსებენ მათ. მაგალითად:

ინფ.: ლაც-ა^{5} „დაჭერა“ თურხ-ა^{5} „დარტყმა“ დაჲშ-ა^{5} „სწავლა“

საწ. ფუძე: ლაც- თურხ- დეშ-

აწმყო: ლრც-უ (< ლაც-უ) თუხ-უ (< თურხ-უ) დრშ-უ (<დეშ-უ)

ნ. უახლესი ლეც-ი^{ნ} (< ლაც-ი^{ნ}) თუხ-ი^{ნ} (< თურხ-ი^{ნ}) დიშ-ი^{ნ} (< დეშ-ი^{ნ})

ხმოვანთა ასეთი ცვლა პოზიციურად არის განპირობებული და ძირეულად განსხვავდება გზისობის (ასპექტის) გამომხატველ ხმოვანთმონაცვლეობისაგან.

მაშასადამე, თუ ხმოვანთა ცვლა დროთა წარმოებაში ფონეტიკური პროცესების შედეგია, იგივე მოვლენას, რომელიც ასპექტს გამოხატავს, ფონეტიკურ პროცესებთან საერთო არაფერი აქვს. შესაძლებელია, რომ იგი სპონტანური მოვლენა იყოს, წერს რ. დოლაქოვა (დოლაქოვა 1961, 12), სპონტანურობის კვალიფიკაცია ფაქტის ახსნას არ ნიშნავს.

ზმნური აბლაუტი სიტყვაწარმოების საშუალებაა და, ამდენად, ასპექტი წარმოქმნის კატეგორიას განეკუთვნება. მაშასადამე, ჩეჩნურში ზმნის ფუძისეული ხმოვნების ცვლით იწარმოება ორი ფორმა, რომელთაგან ერთი ერთგზის (ან: მომენტობრივ), მეორე კი მრავალგზის (ან: დიურატიულ) ასპექტს აწარმოებენ. შდრ., ქართულში ასპექტის მაწარმოებელი ზმნისწინია. „თუ ზმნა ასპექტიანია, უზმნისწინოდ ის უსრული ასპექტისაა, ხოლო თუ ზმნისწინი დაერთო — სრული სახისა იქნება“ (შანიძე 1973, 262). ჩეჩნურში კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასპექტს ფუძედრეკადი ზმნები გამოხატავენ.

არნ. ჩიქობავას აზრით, „ზმნის უღვლილებაში ძველად გაირჩეოდა ორი ასპექტი: განგრძობითი (დიურატიული) და ერთბაში, წერტილებრივი (მომენტობრივი), ორ ასპექტს შეესაბამებოდა ორი ნაკვთი: ხოლმეობითი და ნამყო ძირითადი. ხოლმეობითი ფუნქციით აწმყოს ეთვისებოდა და განგრძობითი ასპექტისა და ზოგადი აწმყოს გამიჯვნა ფუნქციათა მიხედვით შეუძლებელია“... (ჩიქობავა 1948, 104).

ნახურ ენათა მკვლევარი დ. იმნაიშვილი არნ. ჩიქობავას ამ მოსაზრების გათვალისწინებით აღნიშნავს, რომ „ასპექტი ნახური ჯგუფის ენათა ზმნაში ... უძველესი კატეგორიაა, იგი ისტორიულად წინ

უსწრებს დროის კატეგორიას“ (იმნაიშვილი 1974, 100).

„დიურატიული ასპექტისა შეიძლება იყოს სტატიკური ზმნაცა და დინამიკურიც (გარდაუვალიცა და გარდამავალიც). მომენტობრივი ასპექტისა ვერ იქნება სტატიკური ზმნა!“ (ჩიქობავა 1948, 107). არნ. ჩიქობავას ამ დებულებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, „როცა სათანადო საკითხებს განვიხილავთ ნახური ჯგუფის ენებში“ (იმნაიშვილი 1974, 100).

პ. უსლარს ცალკე გამოყოფილი არა აქვს ასპექტის კატეგორია, ასპექტიანი ფორმები მისთვის არის ცალკეული და განმეორებადი მოქმედებები და მოყავს ხმოვანთა ცვლით ასპექტურად დაპირისპირებული 11 წყვილი ფორმა. იგი წერს: „ხმოვნების ცვლით ზმნები გვიჩვენებენ ერთჯერადობასა და განმეორებადობას“ (უსლარი 1888, 99). პ. უსლარი მიიჩნევს, რომ ასპექტიანი ზმნები მისი კლასიფიკაციით განეკუთვნებიან უღლების I ტიპს, მომენტობრივისა კი — II ტიპს.

ასპექტის შესწავლის მოკლე ისტორია მოცემული აქვს დ. იმნაიშვილს სტატიაში „ასპექტისა და დროთა წარმოების ისტორიული ურთიერთობისათვის ნახური ჯგუფის ენებში“ (იმნაიშვილი 1974), სადაც განხილული და შეფასებულია პ. უსლარის, ზ. მალსაგოვის, ჟ. დიუმეზილის, ა. შიფნერის, ი. დეშერიევის, ნ. იაკოვლევის, თ. გონიაშვილის, რ. გაგუას, კ. ჭრელაშვილის ნაშრომები აღნიშნულ საკითხზე. ამავე ნაშრომში გათვალისწინებულია, აგრეთვე, დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონის“ მასალა, რომელიც მაშინ ხელნაწერის სახით არსებობდა (დაიბეჭდა 1984 წელს).

ს. მოვთაევის ნაშრომში „ზმნური ასპექტის კატეგორიის თავისებურებანი ნახურ ენებში“ (მოვთაევი 1974) გათვალისწინებულია, აგრეთვე, წინამორბედ მკვლევართა ნაშრომები.

დ. იმნაიშილის ნაშრომი უპირადღებას იქცევს ფაქტობრივი მასალის სიუხვითა (კვლევის არეალში მოქცეულია ჩეჩნური ენის დიალექტები, კილოკავები, ინგუშური და წოვა-თუშური ენების მონაცემები) და მეცნიერული ანალიზის სიღრმით. საყურადღებო დაკვირვებები მოცემულია ს. მოვთაევის ნაშრომშიც.

ზემოთ ითქვა, რომ ზმნური აბლაუტი ფონეტიკურად არ არის

განპირობებული, იგი ასპექტის მაწარმოებელი მორფოლოგიური კატეგორიაა. ასპექტის კატეგორია ყველა ზმნას არ მოეპოვება (დეშერიევი 1959, 10; 1967, 202-203). ყველა ზმნა ასპექტიანი არ არის ინგუშურშიც (დოლაქოვა 1967, 221) და წოვა-თუშურშიც (დეშერიევი 1967, 240). ასპექტურობის გამოსავლენად ზმნათა დაჯგუფება მათი სტრუქტურის მიხედვით ვერ ხერხდება ისევე, როგორც, მაგალითად, ვერ ხერხდება ზმნათა დაჯგუფება გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით მორფოლოგიური ნიშნის უქონლობის გამო (არსახანოვი 1965, 110).

მაშასადამე, ერთი და იგივე მოდელის ზმნათა ერთი ჯგუფი ფუძისეულ ხმოვანს იცვლის და ასპექტის მიხედვით საოპოზიციო ფორმებს ქმნის, მეორე ჯგუფის ზმნები იმავე მოდელისა ხმოვანუცვლელია და, შესაბამისად, საოპოზიციო ფორმებსაც ვერ აწარმოებენ. ასეთ ზმნებს ასპექტის გაგება არა აქვთ, ასპექტისადმი ნეიტრალურნი არიან. დასკვნა: ჩეჩნურში გვაქვს ერთასპექტიანი (ან: უასპექტო) და ორასპექტიანი (ან, მარტივად: ასპექტიანი) ზმნები.

უ ა ს პ ე ქ ტ ო ზ მ ნ ე ბ ი. ასპექტის კატეგორიის დახასიათებისათვის ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი ზმნები, რომელთაც ასპექტი არ ეწარმოებათ, არა აქვთ.

საფიქრებელია, რომ უასპექტო ზმნებსაც ძველად საოპოზიციო ფორმები ჰქონდათ. ამ ვარაუდს განაპირობებს მათი სტრუქტურული მსგავსება მომენტობრივი ან დიურატიული ასპექტის მქონე ზმნებთან. ასპექტის წარმოების გამარტივებაზე ის მცირერიცხოვანი ზმნებიც მიუთითებენ, რომელთაც საპირისპირო წყვილები სხვადასხვა დიალექტებში (ან ენებშიც კი) ეძებნებათ (ფარეულიძე 2000, 243-244). მაშასადამე, უასპექტო ზმნებს ან მომენტობრივი, ან დიურატიული ასპექტის მქონე ზმნათა სტრუქტურა აქვთ: ფორმები არქაულია, შინაარსი — ახალი, რაც ასპექტის კატეგორიის რღვევით, საოპოზიციო წყვილების დაკარგვით უნდა იყოს გამოწვეული.

უნდა ვიფიქროთ, რომ პირიქითაც განვითარებულა პროცესი, როცა ზოგ შემთხვევაში უასპექტო ზმნამ საოპოზიციო წყვილი შეიძინა სხვა, ფუძით მისგან განსხვავებული, ზმნის სახით. შდრ.: ƅლ-ა[ნ] „თქმა“ (ერთგზისი, მომენტობრივი ასპექტის ფორმა) და ბაƅ-ა[ნ]

„მბობა“ (მრავალგზისი, დიურატიული ასპექტის ფორმა). ასპექტურ წყვილ ფორმათა კლასიფიკაციისათვის, მიგვაჩნია, ყველაზე ეფექტური მეთოდია მათი დაჯგუფება ფუძისეული ხმოვნების მონაცვლეობის პრინციპის მიხედვით.

ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილი ხმოვნების (ან: დიფთონგების) მიხედვით უასპექტო ზმნებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები (ზმნები მოცემულია ინფინიტივის ფორმით).

1. **ა, ə̄** ხმოვანფუძიანი ზმნები:

გარდამავალი: ə̄ხ-ა^{ნ} „ხვნა“, ə̄თ-ა^{ნ} „ნაყვა“, ə̄რ-ა^{ნ} „ლეწვა“, დ-ə̄რ-ა^{ნ} „გათლა“, ჯə̄ბ-ა^{ნ} „შენახვა“, დ-ასთ-ა^{ნ} „გახსნა“, დ-ათთ-ა^{ნ} „შეწვა“, დ-აჯჯ-ა^{ნ} „წართმევა“, ə̄გ-ა^{ნ} „მოკოდვა“, აჰჲ-ა^{ნ} „დაფქვა“...

გარდაუვალი: ლə̄ლ-ა^{ნ} „დნობა, ლღობა“, დ-ə̄გ-ა^{ნ} „წვა“, დ-არსთ-ა^{ნ} „გასუქება“, დ-ათ-ა^{ნ} „შედედება, შედგომა“, თალხ-ა^{ნ} „გაფუჭება“, ლათთ-ა^{ნ} „ღგომა“...

ს. მოვთაევის აზრით, **ə̄** ხმოვანფუძიანები დიურატიული ასპექტისაა (მოვთაევი 1974, 27), რაც სინამდვილეს არ შეეფერება. **ə** ხმოვანფუძიანი ზმნები მრავლადაა უასპექტოებშიც.

2. **ი, ō** ხმოვანფუძიანი ზმნები:

გარდამავალი: დ-ით-ა^{ნ} „დატოვება“, დ-ითთ-ა^{ნ} „რეცხვა“, დ-ილ-ა^{ნ} „დაბანა“, „რეცხვა“, ლითთ-ა^{ნ} „გაწურვა“, ლō̄ს-ა^{ნ} „დღვება“, დ-ō̄ც-ა^{ნ} „თხრობა“, დ-იგ-ა^{ნ} „წაყვანა“, დ-ილლ-ა^{ნ} „დადება“...

გარდაუვალი: დ-იჟ-ა^{ნ} „დაწოლა“, ლō̄ჩ-ა^{ნ} „ბანაობა“, ხილ-ა^{ნ} „ყოფნა“, დ-ის-ა^{ნ} „დარჩენა“, თილ-ა^{ნ} „დაბნევა“...

ი, ō ხმოვნიანი ფუძეებისაგან დიურატიული ასპექტის ფორმები არ იწარმოება (გამონაკლისი, როგორც ჩანს, არის თილლა^{ნ} „დახურვა“ — თჟეხჭა^{ნ} და დილლა^{ნ} „დადება“ — დჟეხჭა^{ნ}, მაგრამ ასეთი წყვილები სუპლეტური ფორმები ჩანს).

ჩამოთვლილ მაგალითებში **-ō-** ხმოვნის ნაცვლად ინგუშურში დასტურდება **-უგ-** კომპლექსი (დოლაქოვა 1961, 17). მაგალითად, ინგუშურში არის დუვც-ა (შდრ., ჩეჩნური დō̄ც-ა^{ნ}), ლუვჩ-ა (შდრ., ჩეჩნური лō̄ჩ-ა^{ნ}), ლუვს-ა (შდრ., ჩეჩნური лō̄ს-ა^{ნ})... მაშასადამე, **-ō-** (გრძელი **ი**) ჩეჩნურში დიფთონგური წარმოშობისაა.

აღსანიშნავია, რომ წყვილ ასპექტურ ფორმებში **-ი-** (**-ō-**) ხმოვ-

ნები დიურატიული ასპექტის გამოხატვის ფუნქციით ენაცვლება მომენტობრივი ასპექტის -ჲ- (-ǯ-) (შდრ., ღათთ-ან „ადგომა“, მომენტ. ასპ. და ღითთ-ან, დიურ. ასპ.), -ჳ- (-ǯ-) (შდრ.: დჳრლ-ან „დარგვა“, მომენტ. ასპ. და დჱლ-ან, დიურ. ასპ., ჯჳოლლ-ან „დახურვა“, მომენტ. ასპ. და ჯილლ-ან, დიურ. ასპ.), -ოჳ- (შდრ., ღოჳთთ-ან „ადგომა“ სუბ. მრ-ში, მომენტ. ასპ. და ღითთ-ან, დიურ. ასპ.) ხმოვნებს (თუ დიფთონგებს). როგორც ჩანს, -ჲ- (-ǯ-) ხმოვანს ზმნურ ფუძეებში დიურატულობის გამოხატვის ფუნქცია ჰქონდა, ზმნათა ერთმა ჯგუფმა საპირისპირო წყვილის დაკარგვის გამო დიურატიული ასპექტის შინაარსი დაკარგა, უასპექტო გახდა. ამით, ალბათ, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ -ჲ- (-ǯ-) ხმოვანფუძიანი ზმნებისაგან დიურატიული ასპექტი არ იწარმოება: -ჲ- (-ǯ-) ხმოვნიანი ფუძეები ისტორიულად დიურატიულობას გამოხატავდნენ. ეს ფუნქცია ზმნათა ერთ ნაწილს ამჟამად დაკარგული აქვს. ისინი ასპექტისადმი ინდიფერენტულნი, ნეიტრალურნი არიან. მარტივ ჲ ხმოვანს ჩეჩნურსა და ინგუშურში შეესატყვისება ჷ (დოლაქოვა 1961, 17). ასე რომ ინგუშურში გვაქვს: დჷუ-ა „დაწოლა“, დჷლ-ა „დაბანა, გარეცხვა“, დჷთთ-ან „გარეცხვა“ და ა. შ. ჷ ხმოვანი ინგუშური ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით ჲ გრაფემით არის გადმოცემული.

3. **უ, ჳ** ხმოვანფუძიანი ზმნები:

გარდამავალი: დ-ჳს-ან „გაბერვა“, დ-უსთ-ან „გაზომვა“, დ-ჳხ-ან „ჩაცმა“, დ-უყ-ან „დაკეტვა“, დ-უზ-ან „ავსება“, დ-ჳც-ან „დაწვნა“...

უ (ჳ) ხმოვანი, როგორც ჩანს, მხოლოდ მომენტობრივი ასპექტის ფორმებშია წარმოდგენილი, დიურატიულებში ის არ ჩანს.

გარდაუვალი: უღ-ან „ღმუილი, ყმუილი, ბაბანი“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, უასპექტო ზმნურ ფუძეებში წარმოდგენილია მარტივ ან გრძელი ა ჲ უ ხმოვნები. ამ ხმოვანთა გრძელი სახეობები მეორეულია — ფუძე-ენაში გრძელი ხმოვნები არ უნდა ყოფილიყო. დ. იმნაიშვილს გრძელი ა (ā) ხმოვანი დასაშვებად მიაჩნია ნახურ ენათა ამოსავალი ვითარებისათვის (იმნაიშვილი 1977, 170): არის მაგალითები (სახელებშიცა და ზმნებშიც), სადაც ა ხმოვნის სიგრძეს ახსნა არ ეძებნება. მიუხედავად ამისა, ჩვენი ვარაუდით, სარწმუნო არ უნდა იყოს ნახურ ხმოვანთა სისტემაში ა-ს, როგორც

ერთადერთი გრძელი ხმოვნის, დაშვება. შედარებისათვის: **ი, უ** ხმოვანთა სიგრძე ჩეჩნურში აშკარად მეორეულია, პოზიციურად ან ფონეტიკურად განპირობებული: არ არის შემთხვევა, რომ **უ** (**ӯ**) ხმოვანფუძიანი ზმნებისაგან დიურატიული ასპექტის ფორმები იყოს ნაწარმოები.

4. უასპექტოა აგრეთვე გრძნობა-აღქმის ზმნები, ე. ი. ისეთი ზმნები, რომლებთანაც ჩეჩნურში რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას. მაგალითად: მაგ-ა^{ნ} „შეძლება“, მუოთთ-ა^{ნ} „გონება“ (ჰგონია), ხაზ-ა^{ნ} „სმენა“ (ესმის), გ-ა^{ნ} „ხედვა“ (ხედავს), ლა^{ნ} „ნდომა“, ხა^{ნ} „ცოდნა“...

5. უასპექტო ზმნათა ფუძეებში დასტურდება შემდეგი დიფთონგები:

1) **-ӕе-**, **-ӕӣ-**

2) **-ӯо-**, **-ӯѡ-**

-ӕе- (**-ӕӣ-**) და **-ӯо-** (**-ӯѡ-**) დიფთონგებისათვის ამოსავალია შესაბამისად **-ӕа-** (**-ӕӑ-**), **-ӯа-** (**-ӯӑ**) ვარიანტები, რომლებიც დასტურდება, მაგალითად, ქისტური დიალექტის ხილდიხაროულ კილოკავში, ისიც მხოლოდ დახურულ მარცვალში (მარცვალი დახურულია, თუ იგი ორ ან მეტ თანხმოვანზე ბოლოვდება). სავარაუდოა, რომ **ӕе** დიფთონგები იმ დროის გადმონაშთია, როცა ასეთი ფუძეები დიურატიულ ასპექტს გამოხატავდნენ და საპირისპირო ფორმებიც ჰქონდათ მომენტობრივი ასპექტის სახით. თუ ეს ვარაუდი სარწმუნოა, მაშინ ӕе დიფთონგის შესატყვის მომენტში ასპექტის ზმნური ფორმები **ӑ** (**ӑ**) არის სავარაუდო. მაგალითად სალიტერატურო ჩეჩნურიდან:

1. **-ӕе-** (**-ӕӣ-**) ფუძედიფთონგიანი ზმნები:

გარდამავალი: დ-ӕелл-а^{ნ} „გაღება“, დ-ӕѣкӀ-а^{ნ} „შეკვრა“, დ-ӕӣл-а^{ნ} „გაცინება“, დ-ӕӣх-а^{ნ} „თხოვნა“, დ-ӕӣш-а^{ნ} „სწავლა, კითხვა“, დ-ӕӣу-а^{ნ} „გაყოფა“, თӕӣг-а^{ნ} „(შე)კერვა“...

გარდაუვალი: დ-ӕѣст-а^{ნ} „გასიება“, Ӏӕӣт-а^{ნ} „მიხვედრა, შეხვედრა“, Ӏӕӣр-а^{ნ} „შიში“ (ეშინია), დ-ӕӣб-а^{ნ} „გამრავლება“, лӕӣл-а^{ნ} „სიარული“ (დადის), в-ӕелл-а^{ნ} „გაცინება“ (მამაკ.), тӕӣш-а^{ნ} „ნდობა“...

გრძნობა-აღქმის ზმნებში: д-ӕӣз-а^{ნ} „სიყვარული“ (უყვარს)...

-ӕӣ- დიფთონგს გვიჩვენებს რამდენიმე ერთმარცვლიანი ზმნაც,

როგორიცაა:

გარდამავალი: ზ̣ე̄ˀ „ძიება, დაკვირვება“, დ-ე̣ˀ „მოკვლა, დაკვლა, თესვა“, ჰ₁ე̣ˀ „ზელა, თელვა“...

გარდაუვალი: თ̣ე̄ˀ „დაწყნარება“, ლ̣ე̄ˀ „ლაპარაკი“ (ლაპარაკობს)...

ერთმარცვლიანი ზმნები მიღებულია ორმარცვლიანებისგან (იხ. მარტივი ხმოვანფუძიანი ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურა). ერთმარცვლიანებში -**ე̣ე̄**- მიღებულია შემდეგნაირად: ფუძისეული -**ი**- ხმოვნის მომდევნო -**ჳ**- თანხმოვანი ჩავარდა (შდრ., წოვა-თუშურში -**ჳ**- თანხმოვანი შენარჩუნებულია), ხოლო ფუძისეული -**ი**- + -**ა**- (თემატური, იგივე მაერთებელი ხმოვანი) კომპლექსმა -**ე̣ე̄**- დიფთონგი მოგვცა, -ჳ-ს ჩავარდნით ფუძე გაიხსნა, რასაც დიფთონგის დაგრძელება მოჰყვა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ **ე̣ე** (**ე̣ე̄**) დიფთონგის შეემცველი ფუძეებისაგან საერთოდ არ იწარმოება დიურატიული ფორმები.

2. -**ჳო**- (-**ჳო̄**-) ფუძედიფთონგიანი ზმნები:

გარდამავალი: დ-ჳოხ̣-ა̣ˀ „გაყიდვა“, ჳოხ̣-ა̣ˀ „დაკიდება“ (ობ. მრავ-ში)...

გარდაუვალი: დ-ჳო̄ხ̣-ა̣ˀ „დაშლა, დანერგვა“, დ-ჳო̄რლ-ა̣ˀ „შედგომა“ (შეუდგა)...

ს. მოვთაევის მიხედვით, -**ჳო**- (-**ჳო̄**) დიფთონგიანი ფუძეები მხოლოდ ერთგზისობას გამოხატავენ (მოვთაევი 1974, 34-35). მაგრამ გვაქვს მრავალგზისის გამომხატველი ფორმებიც, შდრ.: დჳო̄რლ-ა̣ˀ „ჩასობა, დარგვა“ (მომენტ.) და დი̄ღა̣ˀ (მრავალგზ.) და სხვ.

უასპექტო ზმნურ ფუძეებში იშვიათად, მაგრამ მაინც, დასტურდება, აგრეთვე, სხვა სახის დიფთონგებიც, ასეთია, მაგალითად:

-**ოჳ**-: სოჳს-ა̣ˀ „აფუება“ (გარდაუვალი), დ-ოჳზ-ა̣ˀ „(გა)ცნობა“ (გრძნობა-აღქმისა)...

-**აჲ**-: ჴაჲჯ-ა̣ˀ „ძახილი“ (იძახის) (გარდაუვალი), აჲ'-ა̣ˀ „აწევა“, გაჲთ-ა̣ˀ „ჩვენება“ (გარდამავალი). ს. მოვთაევის აზრით, ფუძეში -**აჲ**- დიფთონგიანები მცირერიცხოვანია, მაგრამ საინტერესოა, ასეთ ფუძეებში ერთგზისობა ნათლად არის გამოხატული (მოვთაევი 1974, 25). ს. მოვთაევის ჩამონათვალ ზმნებში ერთადერთი ჴაჲჯა̣ˀ შეიძლება ჩა-

ითვალოს მარტივ ფუძიანად, რადგან აჷ'ა^{ნ} წარმოშობით ორფუძიანია (შდრ.: აჷ-დ-ა^{ნ} ცვალებადი კლასის ნიშნით), დანარჩენები კი კაუზატიური ფორმებია.

-ოჳ- მიღებულია **-აჳ**-საგან რეგრესული უშუალო ნაწილობრივი ასიმილაციით. საუს-ა^{ნ}, დ-აუზ-ა^{ნ} ფორმები ჩვეულებრივია ჩეჩნური ენის ზოგ კილოკავში, მაგალითად, მაისტურში.

ერთი ჯგუფის ზმნები, რომლებიც ნ. იაკოვლევთან დასტურდება **ოჷ-** ხმოვანთა კომპლექსით თავკიდურად, ჩეჩნურში ამჟამად თავკიდური **o** ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი. შდრ.: გარდამავალი: იეც-ა^{ნ} „აღება, აყვანა, ყიდვა"; გარდაუვალი: იეშ-ა^{ნ} „დამარცხება" (მარცხდება), იეღ-ა^{ნ} „წაჩხუბება, წაკიდება", იეჴჭ-ა^{ნ} „გასკდომა", იე^{ნ} „შერევა, ჩარევა" (იაკოვლევი 1940, 60-61) და: ēც-ა^{ნ}, ēშ-ა^{ნ}, ēღ-ა^{ნ}, ეჴჭ-ა^{ნ}, ē^{ნ}. თავკიდურად **i** ხმოვანი არ ჩანს ინგუშურშიცა (იჩრლ 1962, ოზდოევი 1980) და წოვა-თუშურშიც (ქადაგიძე 1984). ი. ალიროევის ლექსიკონში „ყიდვა" ზმნა წარმოდგენილია იēცა-ს სახით (სალიტ. ჩეჩნურსა და ქისტურ დიალექტში. ამავე ნაშრომში ქისტურში გვაქვს იეღა ფორმა, მოსალოდნელი იეშა-ს ნაცვლად კი -ეშა იმავე ქისტურში) (ალიროევი 1975, 328, 335).

ყველა ჩამოთვლილი ზმნა ქისტურში ზუსტად ისევეა, როგორც ნ. იაკოვლევის ნაშრომში: **იე** ხმოვანთკომპლექსი ქისტურში უცვლელია. ისმის კითხვა: თავკიდურ პოზიციაში **o** ხმოვანი იყო და დაიკარგა, თუ იგი მეორეულია, გაჩენილი? სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ზმნებში თავკიდური კლასის ნიშანი (ან რომელიმე სხვა თანხმოვანი) იყო დაკარგული (შდრ., ქისტური იეგ-ა^{ნ} „კანკალი" და დ-ēგ-ა^{ნ} „(და)რხევა"), ხოლო **იე** (> **ēე**) ფუძიანი ზმნები — წარმოშობით დიურატიული ასპექტისა (შდრ. დატა^{ნ} „გასკდომა" — იეტა^{ნ} „სკდომა"). შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. მარტივი უასპექტო ზმნები შეიძლება იყოს ერთ- ან ორმარცვლიანი. ერთმარცვლიანი ზმნები ჩეჩნურში მცირერიცხოვანია;

2. უასპექტო ზმნურ ფუძეებში დასტურდება როგორც მარტივი, ისე გრძელი **ა, o, უ** ხმოვნები. მხოლოდ **ა, o, უ** ხმოვნები ივარაუდება ნახურ ფუძე-ენაშიც.

3. უასპექტო ზმნურ ფუძეებში დასტურდება, აგრეთვე, **-ēე-**

(-ⴓ̄-), -ⴗⴰ- (-ⴗ̄ⴰ̄), -ⴰⴗ (< -ⴰⴗ-), -ⴰⴓ- დიფთონგები.

4. -ⴰ- (-ⴰ̄-), -ⴗ- (-ⴗ̄-), -ⴓ- (-ⴓ̄-) ხმოვნების შემცველ ზმნურ ფუძეებს, რომლებიც პირობითად მომენტობრივი ასპექტის ფორმებს განეკუთვნება (ანუ უასპექტოები), საერთოდ არ ეწარმოებათ დიურატიული ასპექტის ფორმები. როგორც ითქვა, ასეთი ზმნები წარმოშობით დიურატიული ასპექტისაა.

ასპექტიანი ზმნები. როგორც ზემოთ ითქვა, ასპექტის კატეგორია ზმნით აღნიშნული მოქმედების ფაზებიან უწყვეტლობას, განგრძობითობას, დაუსრულებლობას, დიურატიულობას ან დასრულებულობას, მომენტობრიობას გამოხატავს.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინები: ერთბაშიი, წერტილებრივი, წერტილობრივი, ხაზოვანი, სრული, ერთგზითი, ერთგზისი... მომენტობრივი, ხოლო განგრძობითი, უსრული, მრავალგზისი, მრავალგზითი დიურატიული ასპექტის აღსანიშნავად იხმარება.

ყველა ეს ტერმინი მეტ-ნაკლებად ინფორმატიულია და ნახურ ენათა ზმნის აბლაუტური ბუნების, მისი არსის ყოველმხრივ შესწავლამდე, პირობითია, სამუშაო ტერმინებია. ზოგი მკვლევარი ჩეჩნურში საერთოდაც უარყოფს გზისობას და მიაჩნია, რომ ზმნის სისტემაში წარმოდგენილია სრულ და უსრულ ასპექტურ ფორმათა დაპირისპირება, როგორც ეს წოვა-თუშურშია (ხალიდოვი 1987, 182).

აბლაუტური მოვლენა ზმნურ ფუძეებში ქართულშიც არის გამოყოფილი, ხმოვნებით განსხვავებული ფორმების შესახებ ა. შანიძე წერს, რომ ასპექტის გამოხატვის ძველი სისტემის „მთავარი ნაშთი მაინც ხმოვნის მონაცვლეობაა, გარკვეულ ზმნებში ო ახასიათებდა სრულ ასპექტს (შეკრიბა), ე კი — უსრულს (შეკრებდა). მონაცვლეობა დარჩა, მაგრამ მას ნახევრად ძალა წაერთვა, რადგან სრული ასპექტი ამჟამად ე-ნიანი ფორმითაც გადმოიცემა: შეკრებს“ (შანიძე 1980, 273).

მომენტობრივი და დიურატიული ასპექტის ფორმები შეიძლება ჰქონდეს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს, დინამიკურებს, გრძნობა-აღქმის ზმნებსაც, მაგრამ, როგორც ა. ჩიქობავა შენიშნავდა, მომენტობრივი ასპექტისა ვერ იქნება სტატიკური ზმნა.

ჩეჩნურში ასპექტის გამოხატვის რამდენიმე საშუალება არსე-

ბობს: ასეთია, მაგალითად, ფუძისეული ხმოვანთმონაცვლეობა (შინაგანი ფლექსია, როგორც მას სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ), კლასნიშნიან და უკლასნიშნო ფუძეთა დაპირისპირება, განსხვავებული ფუძეების, ე. წ. სუპლეტური ფუძეების, გამოყენება.

ასპექტურად დაპირისპირებული წყვილების წარმოების ყველა აღნიშნული საშუალება დამოწმებულია წოვა-თუშურშიც, სადაც, გარდა ამისა, ქართულიდან ნასესხები პრევერბიანი და უპრევერბო ზმნებიც ქმნიან ასპექტურად დაპირისპირებულ წყვილებს, თუმცა წოვა-თუშურში სხვა ვითარებაა, გამოიყოფა სრული და უსრული ასპექტის ფორმები, და არა გზისობა, როგორც ჩეჩნურში (გაგუა 1962, 261).

ხმოვანმონაცვლეობა. ასპექტის წარმოების აბლაუტური საშუალებებიდან ჩეჩნურში ყველაზე უფრო პროდუქტიულია **-ა-** (**-ā-**) ხმოვნების მონაცვლეობა **-ᲓᲔ-** (**-ᲓᲔ̄-**) დიფთონგებთან. **-ა-** (**-ā-**) ხმოვნიანი ფუძეები მომენტობრივ ასპექტს გამოხატავენ, **-ᲓᲔ-** (**-ᲓᲔ̄-**) დიფთონგიანები — დიურატიულს.

აღსანიშნავია, რომ ორივე აღნიშნულ ფორმას — მომენტობრივსაც და დიურატიულსაც — დრო-კილოთა საკუთარი სისტემა აქვს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ასპექტის კატეგორია წარმოქმნის კატეგორიათა ჯგუფს განეკუთვნება. შდრ., მაგალითად:

მომენტობრივი ასპექტი	დიურატიული ასპექტი
ინფ.: ლახ-ა^{ნ} „ძებნა	ლᲓᲔ̄ხ-ა^{ნ}
საწ. ფუძე: ლახ-	ლᲓᲔხ-
აწმყო: ლოხ-უ	ლᲓ̄ხ-უ
ნ. უწყვ.: ლოხ-უ-რა	ლᲓ̄ხ-უ-რა
აბსოლუტივი: ლოხ-უ-შ	ლᲓ̄ხ-უ-შ
აწმყოს მიმღ. ლოხ-უ^{ნ} (დამოკ.)	ლᲓ̄ხ-უ-^{ნ}
ნამყო უახლ.: ლეხ-ი^{ნ}	ლᲓ̄ხ-ი^{ნ}
ნამყო განუს.: ლეხ-ი-რა	ლᲓ̄ხ-ი-რა...

რომელია ამ ფორმებს შორის პირველადი?

წოვა-თუშური ენის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე რ. გაგუა ასკვნის, რომ წოვურში სრული და უსრული ასპექტის ფორმებისათვის (რომელთაც ჩეჩნურში მომენტობრივი და დიურატიული (ერ-

თგზისი და მრავალგზისი) ფორმები შეესაბამება, ამოსავალია სრული ასპექტის ფორმა (გაგუა 1962). ს. მოვთაევისათვის ასპექტურ ფორმათა ქრონოლოგიის საკითხი, მართალია, დგას, მაგრამ იგი არ ცდილობს საკითხის გადაჭრას: ანალიზის სიმარტივისათვის პირობითად ვამბობთ, რომ დიურატიული ფორმა ნაწარმოებია მომენტობრივისაგან, -წერს იგი (მოვთაევი 1974, 12).

-ა- (**-ā-**) : **-ჲე-** (**-ჲē-**) ხმოვანმონაცვლეობიდან რამდენიმე სახეობა გაირჩევა, კერძოდ:

ა) **-ა- : -ჲე-:**

ჯარსთ-ა^{ნ} „ხეტიალი“ — ჯჲერსთ-ა^{ნ}
ქარჩ-ა^{ნ} „დაგორება“ — ქჲერჩ-ა^{ნ}
ლახქ-ა^{ნ} „გარეკვა“ (ობ. მრ-ში) — ლჲეხქ-ა^{ნ}
ლაჭყ-ა^{ნ} „დამალვა“ — ლჲეჭყ-ა^{ნ}
ლალლ-ა^{ნ} „გაგდება“ (ობ. მხ-ში) — ლჲელლ-ა^{ნ}
ხათთ-ა^{ნ} „კითხვა“ — ხჲეთთ-ა^{ნ}
ლასთ-ა^{ნ} „შერხევა“ — ლიესთ-ა^{ნ}

ბ) **-ა- : -ჲē-:**

თაჯ-ა^{ნ} „ხოხვა, ფორთხვა“	თჲēჯ-ა^{ნ}
ჯაჰა-ა^{ნ} „ტარება“	ჯჲēჰა-ა^{ნ}
‘ā ხ-ა^{ნ} „დაბღავლება“	‘ჲēხ-ა^{ნ}
ლაჯ-ა^{ნ} „დაკვრა“	ლჲēჯ-ა^{ნ}
ლათ-ა^{ნ} „დაშიდება“	ლჲēთ-ა^{ნ}
ხათ-ა^{ნ} „გონება“ (ჰგონია)	ხჲēთ-ა^{ნ}
საც-ა^{ნ} „გაჩერება“	სიēც-ა^{ნ}
ყაყ-ა^{ნ} „ჩაღიმება, ჩაცინება“	ყჲēყ-ა^{ნ}...

გ) **-ა- : -o-:**

თათთ-ა^{ნ} „გაწევა“	თითთ-ა^{ნ}
ღათთ-ა^{ნ} „ადგომა“	ღითთ-ა^{ნ}...

დ) **-ა- : -ō-:**

მალ-ა^{ნ} „დალევა“	მōლ-ა^{ნ}
თას-ა^{ნ} „დათესვა, მოყრა“	თōს-ა^{ნ}

ე) **-ā- : -ō-:**

დāლ-ა^{ნ} „ამოსვლა, აღმოცენება“ დōლ-ა^{ნ}

ვ) **-ა̄- : -ᲔᲘ̄-:**

ლა̄რ-ა^{ნ} „თვლა“	ლᲔᲘრ-ა^{ნ}
ლა̄ც-ა^{ნ} „დაჭერა“	ლᲔᲘც-ა^{ნ}
ყა̄გ-ა^{ნ} „გაბრწყინება“	ყᲔᲘგ-ა^{ნ}
შდრ., აგრეთვე: ა̄ლ-ა^{ნ} „თქმა“	ლ-Ეი̄-^{ნ} „ლაპარაკი“

კითხვა ისმის: რატომ არის მარტივი **-ა-** ხმოვნის შესატყვისი ერთ შემთხვევაში გრძელი **-Ეი-** (**-Ეი̄**) დიფთონგი, მეორე შემთხვევაში კი ამავე დიფთონგის მარტივი ვარიანტი? ეს მოვლენა, ალბათ, მარცვლის სტრუქტურით უნდა აიხსნას: ღია მარცვალში დიფთონგი გრძელია, დახურულში — მარტივი.

ასევე ახსნას მოითხოვს **ა : ო̄** მონაცვლეობაც. ა. თიმაევის აზრით, ფუძეში დასუსტებულია ბაგისმიერი **-ბ-**. შდრ.: მო̄ლ-ა^{ნ} < *მაᲔლ-ა^{ნ} < *მაბლ-ა^{ნ} (თიმაევი 1988, 88; 1991, 72). საინტერესო ახსნაა, თუმცა მას დაბრკოლება ახლავს: გასარკვევია, საიდან გაჩნდა აღნიშნულ ფუძეში ბაგისმიერი **-ბ-** და რა ფუნქცია ჰქონდა მას.

2. დიურატიული ასპექტის ფორმებში რამდენიმე შესატყვისი აქვს **-ᲣᲝ** დიფთონგსაც, ესენია:

ა) **-ᲣᲝ- : -ო-:**

ღᲣოთთ-ა^{ნ} „დასხმა“	დითთ-ა^{ნ}
ჴᲣოსს-ა^{ნ} „სროლა“	ჴისს-ა^{ნ}
ჴᲣოლლ-ა^{ნ} „დახურვა“	ჴილლ-ა^{ნ}
ჰᲣოთთ-ა^{ნ} „გაჩერება“	ჰითთ-ა^{ნ}
‘Უოთთ-ა^{ნ} „ჩხვლეტა“	‘ითთ-ა^{ნ}...

ბ) **-ᲣᲜ̄- : -ო̄-:**

ღᲣᲜ̄ღ-ა^{ნ} „დარგვა“	დო̄ღ-ა^{ნ}
ღᲣᲜ̄ზ-ა^{ნ} „გაბმა“	დ-ო̄ზ-ა^{ნ}
ᲣᲜ̄ზ-ა^{ნ} „აწონა“	ო̄ზ-ა^{ნ}

-ᲣᲝ- : -ო- (**-ᲣᲜ̄- : -ო̄-**) მონაცვლეობა ადასტურებს, რომ ამოსავალში მომენტობრივი ასპექტისათვის სავარაუდოა **-ა-** (**-ა̄-**) ხმოვნები **-ᲣᲝ-** (**-ᲣᲜ̄-**) დიფთონგთა ნაცვლად. შდრ., მომენტობრივი ასპექტის **ა** (**ა̄**) — დიურატიული ასპექტის **ო** (**ო̄**) (თიმაევი 1988, 88-89).

გ) **-ᲣᲝ- : -ᲔᲘ-:**

ღᲣორთ-ა^{ნ} „მცდელობა“	ღᲔᲘრთ-ა^{ნ}

დუოხქ-ა^{ნ} „ჩაყრა“	დეეხქ-ა^{ნ}
ჴუოხქ-ა^{ნ} „დაყრა, დახურვა“	ჴეეხქ-ა^{ნ}...

ვ) **-ოუ- (< -აუ-) : -ი-:**

ღოუთთ-ა^{ნ} „ადგომა“ (სუბ. მრ.)	ღითთ-ა^{ნ}

-ოუ- (< -აუ-) : -ē-:

ლოუს-ა^{ნ} „დღვება, გაცრა“	ლēს-ა^{ნ}
‘ოუდ-ა^{ნ} „გაწურვა“	‘ēდ-ა^{ნ}
ჰოუს-ა^{ნ} „შეხედვა“ (სუბ. მრ.)	ჰēს-ა^{ნ}
ლოუზ-ა^{ნ} „დაბიჯება“	ლēზ-ა^{ნ}
ჰოუზ-ა^{ნ} „გრეხა, დატრიალება“	ჰēზ-ა^{ნ}
ხოუც-ა^{ნ} „გაცვლა“	ხēც-ა^{ნ}
ყოულ-ა^{ნ} „დაკეტვა“	ყēლ-ა^{ნ}
‘ოუშ-ა^{ნ} „დაღეჭვა“	‘ēშ-ა^{ნ}
ყოუს-ა^{ნ} „შეკამათება“	ყēს-ა^{ნ}
წოუზ-ა^{ნ} „წივილი, წკმუტუნი“	წēზ-ა^{ნ}
ხოუშ-ა^{ნ} „დასხდომა“ (სუბ. მრ.)	ხēშ-ა^{ნ}
ჰოუს-ა^{ნ} "ყურება" (სუბ. მრ.)	ჰēს-ა^{ნ}

სუბიექტის მრავლობითობის ნიშანი, რომელიც მომენტობრივი ასპექტის ფორმაში **-ჳ-** ინფიქსით არის გამოხატული, დიურატიულ ასპექტში არ ჩანს, იკარგება.

მაშასადამე, ჩეჩნურ ენაში აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობის შემდეგი სახეობები გამოიყოფა:

1. ა : ედე; ა : ედე; ა : и; ა : ē; ā : ē; ā : ედē;
2. უო : и; უō : ē; უო : ედე.
3. ოუ : и; ოუ : ē.

ჩეჩნურში აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობის შვიდ სახეობას ვარაუდობს თ. დეშერიევა. ნაშრომი თეზისებს წარმოადგენს და საილუსტრაციო მაგალითები არ ერთვის (დეშერიევა 1986, 68).

ასპექტის წარმოება კლასნიშნიან და უკლასნიშნო ფუძეთა დაპირისპირებით. ასპექტის წარმოების ეს სახეობაც პრინციპში იგივე ხმოვანთმონაცვლეობაა, ოღონდ ამ შემთხვევაში მომენტობრივი ასპექტის ფორმას გრამატიკული კლასის ნიშანი აქვს, დიურატიულისას — არა. ასეთი ზმნები ერთეულებია და დიურატიულ ასპექტში **ē** ხმოვნის გამოვლენითაც იჩენენ თავისებურებას (მოსალოდნელი იყო

ი). შდრ.:

მომენტობრივი ასპექტი	დიურატიული ასპექტი
1) დ-ად-ა^{ნ} „გაქცევა“	იდ-ა^{ნ} „რბენა“
2) დ-ახ-ა^{ნ} „წასვლა“	იხ-ა^{ნ} ‖ ეხ-ა^{ნ} „სიარული“
3) დ-ატ-ა^{ნ} „გასკდომა“	ეტ-ა^{ნ} „სკდომა“

შდრ., წოვა-თუშური: 1) დატა^{ნ} — იტა^{ნ}; 2) დახა^{ნ} — იხა^{ნ}; 3) დატა^{ნ} — ეტა^{ნ}.

ეხა^{ნ} ‖ იხა^{ნ} ზმნა დ-ა^{ნ} „მოსვლა“, დ-ახ-ა^{ნ} "წასვლა" ზმნების საოპოზიციო ფორმასაც წარმოადგენს დიურატიულ ასპექტში. საინტერესოა, რომ ინგუშურში დასტურდება ახ-ა^{ნ} „სიარული“, ად-ა^{ნ} „სირბილი, რბენა“ (მაგრამ არ არის ატ-ა^{ნ} „სკდომა“). მაშასადამე, ინგუშურში მოცემულ ზმნებთან ასპექტური ფორმები მხოლოდ კლასის ნიშნის მქონებლობა-უქონლობით განირჩევიან, ხმოვანთმონაცვლეობას კი ადგილი არა აქვს. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ ინგუშურში აღნიშნული ფორმები ახალია, რადგან ასპექტურ ფორმათა ძირითადი მახასიათებელი ხმოვანთმონაცვლეობაა. ხმოვანთმონაცვლეობა **ა** : **ე** ჩეჩნურში მხოლოდ ამ ორ (შდრ.: დ-ახ- : ეხ-, დ-ატ- : ეტ-) ფუძეშია, ამასთან **ეხ-** ფუძეს დიალექტებში **ოხ-** ენაცვლება (თუმცა **ოტ-** არ იძებნება). **ეხ-**, **ეტ-** ფუძეებში ამოსავალი **ო** უნდა ყოფილიყო (დიურატიული ასპექტის ფორმებში), შეფარდება **ა** : **ო** ჩვეულებრივია ასპექტის წარმოებისას.

ასპექტურად დაპირისპირებული კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ფუძეები უფრო მეტი ჩანს წოვა-თუშურში (გაგუა 1962, 262-263).

ისმის კითხვა: წყვილ ფორმათაგან უკლასნიშნო დიურატიულ ფორმებში კლასის ნიშანია დაკარგული? ამ საკითხის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი — მხოლოდ ფაქტია კონსტანტირებული. დიურატიულ ფორმათა მეორეულობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საკვლევ ზმნებში კლასის ნიშანი დაკარგულია.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, აღნიშნულ ზმნებში დიურატიული ასპექტი ორი საშუალებით არის ნაწარმოები — ფუძისეული ხმოვნის შეცვლითა და გრამატიკული ნიშნის უქონლობით. გრამატი-

კული ნიშნის უქონლობა კი მისი ჩამოცილებით, დაკარგვით არის გამოწვეული და არა ასპექტის წარმოების საჭიროებით.

მაშასადამე, ასპექტის წარმოება კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ფუძეების მიხედვით ჩეჩნურში (და ნახურ ენებში საერთოდ) მეორეული მოვლენაა.

ასპექტურად მონაცვლე კლასნიშნიან ზმნურ ფუძეთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითოეული წყვილი ფუძე შედგება შემდეგი მორფემებისაგან:

1. გრამატ. კლასის ნიშანი;
2. ასპექტის მაწარმოებელი ხმოვნები (თუ დიფთონგები);
3. ძირი.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კლასნიშნიანი ზმნის ფუძე დაშლადია, ფუძეში ძირის გამოყოფა ადვილად ხერხდება. ძირის გამოყოფა დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როცა კლასნიშნიანი ფუძე უასპექტოა.

ზმნის ძირის გამოყოფა უკლასნიშნო ზმნებში პრობლემატურია, თუმცა დასაშვები, რადგან ფუძის თავკიდური ზოგი თანხმოვანი წარმოშობით ამა თუ იმ გრამატიკული კლასის ნიშნის ტრანსფორმაციას წაარმოადგენს, ზოგი კი, ჩანს, საგარემოებო ელემენტის ფუნქციის მატარებელი იყო (იხ. ზმნურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურა).

ასპექტის სუპლეტური ფორმებით გადმოცემა. ასპექტის გამოხატვის თავისებური სახეა სუპლეტური ფორმები. სუპლეტურია ისეთი ფორმები, როცა ასპექტის მიხედვით დაწყვილებულია სხვადასხვა წარმოშობის ფუძეები. ყველა ასეთი ზმნა გარდამავალია. შდრ.:

მომენტობრივი ასპექტი	დიურატიული ასპექტი
ᾱლ-ა^{ნ} „თქმა“	ბᾱხ-ა^{ნ} ‖ დი̄ც-ა^{ნ}
თუ̄რხ-ა^{ნ} „დარტყმა“	დ-ᲓᲔთთ-ა^{ნ} ‖ ᲓᲔთთ-ა^{ნ}
დ-ალ-ა^{ნ} „მიცემა“	თᲓᲔლ-ა^{ნ}
დ-აჴჴა^{ნ} „წართმევა“	დ-ᾱხ-ა^{ნ}
დ-ᾱ^{ნ} „მოტანა“	ჴაჰ-ა^{ნ}
დ-იგ-ა^{ნ} „წაყვანა“	ჴი̄ლ-ა^{ნ}
დ-უ̄რჟ-ა^{ნ} „წაქცევა“	ლᲓᲔგ-ა^{ნ}

თილლ-ან^{5} „დახურვა“	თქეხქ-ან^{5}
დ-ილლ-ან^{5} „დადება, დაგება“	დქეხქ-ან^{5}
ხად-უო^{5} „გაწყვეტა“	თქედ-ან^{5}...
ჰად-ან^{5} „გაქცევა“	ჰქელხ-ან^{5}

ჩამოთვლილ წყვილ ფორმებში ასპექტურად დაპირისპირებულია ისეთი ფუძეები, რომელთაც თითქმის ერთი და იგივე შინაარსი აქვთ. არ არის გამორიცხული, რომ ზოგი წყვილი ფუძე ისტორიულად ერთი და იგივე იყოს, ოღონდ ასპექტურად დაპირისპირებული (შდრ.: დ-ალ-ან^{5} და თქელ-ან^{5} < *დქელან^{5}, დ-აჰ-ან^{5} „წაღება“ და ჴქეჰ-ან^{5} < *დ-ქეჰ-ან^{5}).

სუპლეტურ ფორმებში ზოგ მკვლევარს დატა^{5} — ეტა^{5}, დადა^{5} — იდა^{5} წყვილი ზმნებიცა აქვს განხილული (თიმაევი 1971, 166), ეს ზმნები განვიხილეთ კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ფუძეების მიხედვით ასპექტის წარმოებაში.

დასკვნები:

1) ჩეჩნურში ასპექტი ყველა ზმნას არ ეწარმოება, მაშასადამე, გამოიყოფა უასპექტო და ასპექტიანი ზმნები.

2) ასპექტიანი ფორმები ძირითადად ნაწარმოებია: ა) ფუძისეული ხმოვანთმონაცვლეობით; ბ) კლასნიშნიანი და უკლასნიშნო ფუძეთა მიხედვით და გ) სუპლეტური ლექსიკური ფორმებით.

3) სუბიექტის მრავლობითობის ნიშანი ინფიქსი -უ-, რომელიც მომენტობრივ ასპექტში დასტურდება, დიურატიულში იკარგება.

გრამატიკული რიცხვის კატეგორია

გრამატიკული რიცხვის კატეგორია ჩეჩნურში შენიშნული აქვს პ. უსლარს. მან გამოყო გრამატ. კლასების საშუალებით რიცხვში მონაცვლე ზმნები (ვალარ — მხ.რ., ბალარ — მრ. რ. „დამთავრება“). გარდა ამისა, ზოგ ზმნას, როგორიცაა საუცარ „გაჩერება“ (ბევრისა), ლაუჭყარ „დამალვა“ (ბევრისა)... ქვემდებარე მრავლობითში შეეწყობა, საცარ „გაჩერება“ (ერთისა), ლაჭყარ „დამალვა“ (ერთისა) ქვემდებარეს მხოლობით რიცხვში ითავსებსო (უსლარი 1888, 100-101).

ხქ კომპლექსით სუბიექტის (უნდა იყოს- — ობიექტის) რი-

ცხვი გამოიხატება, — აღნიშნავს ზ. მალსაგოვი და მოჰყავს სათანადო მაგალითები: ლალლა^{5} „გაგდება“, ლახქა^{5} „გაყრა“ (მალსაგოვი ზ. 1998, 51).

რიცხვის მიხედვით ცვალებადი ზმნები ჩეჩნურში ძალიან ცოტაა, — შენიშნავს ი. დეშერიევი და მოჰყავს მაგალითები: ვეე'ა „მოვიდა“ და ბაბქი „მოვიდნენ“. ზმნა გარდაუვალია და სუბიექტის რიცხვში ცვლას გამოხატავს. ზოგი ზმნა ობიექტის რიცხვის ცვლის მიხედვითაც იცვლება: ლაწლირა „გააგდო“, ლაბქირა „გაყარა“ (დეშერიევი 1959, 10). ი. დეშერიევი რიცხვის წარმოების ერთ-ერთ საშუალებად შინაგან ფლექსიასაც გამოყოფს ამავე ნაშრომში, მაგრამ საილუსტრაციო მაგალითები არ მოჰყავს. ამასთან ჩეჩნური ენა რიცხვს გამოხატავს, აგრეთვე, თხოვნითი კილოს აფიქსების საშუალებითაც. შდრ.: ალაჰ! „თქვი, რა!“ და ალიშა „თქვით, რა!“

რიცხვის კატეგორიას წოვა-თუშურში სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კ. ჭრელაშვილმა (ჭრელაშვილი 1960). ნაშრომში გამოწვლილვით არის შესწავლილი ყველა ის საშუალება, რითაც ზმნაში სუბიექტის ან ობიექტის რიცხვი არის გამოხატული. ნაშრომი შეიცავს აგრეთვე ბევრ საყურადღებო მოსაზრებას წოვა-თუშურში რიცხვის კატეგორიის ჩასახვის მიზეზებისა და განვითარების შესახებ. სხვა ნაშრომში იგივე ავტორი შენიშნავს, რომ „ამჟამად მიმდინარეობს ამ კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიზნით ენა იყენებს პირის ნაცვალსახელებს (პოსტპოზიციაში) და გრამატიკულ კლასის ნიშნებს (პრეპოზიციაში). როგორ განვითარდება ზმნის გრამატიკული სტრუქტურა ამ მიმართულებით, მომავლის საკითხია“, — შენიშნავს იგი (ჭრელაშვილი 1967, 335; 1979, 16).

რიცხვის კატეგორიის ჩამოყალიბების შესახებ ბაცბურში (წოვა-თუშურში) საინტერესო დაკვირვებები აქვს რ. გაგუას. მისი აზრით, უსრული ასპექტის ფუძე მოქმედების უსრულობას გამოხატავს, განგრძობითობას გადმოსცემს, ასევე გადმოსცემს მოქმედების მრავალგზისობასაც. აქედან კი ვითარდება უსრული ასპექტის ახალი მნიშვნელობა — მრ. რიცხვის აღნიშვნაო, — წერს იგი (გაგუა 1962, 264).

რიცხვის საკითხს ჩეჩნურში ვრცლად ეხება ნ. იაკოვლევი, იგი

რიცხვის წარმოების ოთხ ტიპს გამოყოფს: ა) **ვ** ინფიქსის საშუალებით; ბ) ფუძეში **ლლ : ხქ** თანხმოვანთა შენაცვლებით; გ) ფუძეში **დ : ლხ** თანხმოვანთა შენაცვლებით (ერთადერთ ზმნაში: ჰაადა „გაქცევა“ — ჰაიელხა: შდრ., ინფ. ვახან „წასვლა“, აწ. ვიწდუ „მიდის“ და დრწლხუ „მიდიან“); დ) დაე[ნ] „დაკვლა“ — დაჲა[ნ] „დახოცვა“, დაჴა[ნ] „წართმევა“ — დახა[ნ] ფუძეები განცალკევებით დგამო (იაკოვლევი 1960, 202-205).

რიცხვის საკითხზე ზოგი დაკვირვება აქვთ: რ. დოლაქოვას (დოლაქოვა 1961, 7, 20, 21, 25; 1967, 219) ინგუშური ენის მასალაზე, თ. გონიაშვილს (გონიაშვილი 1961, 15-16; 1974, 23; 1986, 65-66), ი. არსახანოვს (არსახანოვი 1959, 87; 1965, 134-135). ა. მაციევს (მაციევი 1966, 70), ა. თიმაევს (თიმაევი 1971, 164-165), დ. იმნაიშვილს (იმნაიშვილი 1974, 103, 116).

განვიხილოთ რიცხვის კატეგორიის გამოხატვის საშუალებანი ჩეჩნურში ცალ-ცალკე.

ზმნა ჩეჩნურ ენაში იცვლება რიცხვის მიხედვით, მაგრამ ყველა ზმნას რიცხვის კატეგორია არა აქვს. რიცხვის კატეგორიის მქონე ზმნები ჩეჩნურში, როგორც ითქვა, მცირერიცხვოვანია, მაგრამ მრავალფეროვანია რიცხვის გამოხატვის მხრივ, დანარჩენი ზმნები რიცხვის კატეგორიისადმი ნეიტრალურნი არიან.

როგორც ცნობილია, ზმნები ჩეჩნურში, როგორც ბევრ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში, ორ დიდ ჯგუფად იყოფა — კლასნიშნიანებად და უკლასნიშნოებად, გარდაუვალ ზმნაში გრამატიკული კლასის მარკერით აღნიშნულია სუბიექტის კლასის ნიშანი, ხოლო გარდმავალში იმავე მარკერით — ობიექტის კლასის ნიშანი. მარტივ კლასნიშნიან ზმნათა რაოდენობა ჩეჩნურში ერთ ასეულს არ აღემატება (იხ. „კლასნიშნიანი მარტივი ზმნური ფუძეები“). რა თქმა უნდა, ზმნური სიტყვაწარმოებისას კლასნიშნიან ფორმათა რაოდენობა იზრდება.

როგორც კლასნიშნიან, ისე უკლასნიშნო ზმნათა დიდი ნაწილი მათთან დაკავშირებული სუბიექტის ან ობიექტის რიცხვის მიხედვით შეიძლება ნეიტრალური იყოს, მაშასადამე, სუბიექტის ან ობიექტის რიცხვში ცვლა ზმნაში ასახვას ვერ პოვებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

სახელი ვერ მართავს ზმნას რიცხვში, მაგალითად:

1. უკლასნიშნო გარდაუვალი ზმნები (სუბიექტი სახ. ბრუნვაშია):

ინფ. იდა^{ნ} „სირბილი“, საცა^{ნ} „გაჩერება“

აწმყო: (სუო „მე“, ჰ̄უო „შენ“..., თხუო „ჩვენ“ (ექსკ.), შუ „თქვენ“.., გოვრ „ცხენი“, გოვრაშ „ცხენები“...) უდუ, სუოცუ

ნამყო განსაზღვრული: (სუო, ჰ̄უო.., თხუო, შუ.., გოვრ, გოვრაშ...). იდირა, სდეცირა.

2. უკლასნიშნო გარდამავალი ზმნები (სუბიექტი ერგატივშია): ინფ.: ბ̄ლა^{ნ} „თქმა“, ბ̄ხა^{ნ} „ხვნა“...

აწმყო: (ასა „მე“ (ერგ.), აჰ̄ა „შენ“ (ერგ.).., რ̄ხა „ჩვენ“ (ექსკლ., ერგ.), აშა „თქვენ“ (ერგ.)... გოვრუო „ცხენმა“, გოვრაშა „ცხენებმა“...) რ̄ლუ, რ̄ხუ...

ნამყო განსაზღვრული: (ასა, აჰ̄ა.., რ̄ხა || ვაჲ, აშა.., გოვრუო, გოვრაშა...) ე̄ლირა, ე̄ხირა...

3. კლასნიშნიან გარდაუვალ ზმნათა ნაწილი აგრეთვე ნეიტრალურია გრამატიკული რიცხვისადმი, ე. ი. კლასის მარკერი (ნიშანი) არ იცვლება სუბიექტის რიცხვის ცვლის კვალობაზე.

როგორც ცნობილია, სახელი მართავს ზმნას კლასის ნიშნის მიხედვით. თუ სახელი რიცხვის მიხედვით კლასის ნიშანს არ იცვლის, რა თქმა უნდა, კლასის ნიშანი არ შეეცვლება ზმნასაც (კლასის ნიშანი ზმნაშია ასახული).

ამ მხრივ გამონაკლისია I გრამატიკული კლასის ნიშანი ვ (უ), რომელიც მრავლობით რიცხვში საერთოდ არ ფიგურირებს (იხ. ქვემოთ). შდრ., მაგალითად:

მხ. რ.		მრ. რ.	
ქუოთამ „ქათამი“	დ-უ „არის“	ქუოთამაშ „ქათმები“	დ-უ
ბუჰა „ბუ“	დ-უ „არის“	ბუჰანაშ „ბუები“	დ-უ
შა „ყინული	ბ-უ „არის“	შაშ „ყინულები“	ბ-უ
ხუოხ „ხახვი“	ბ-უ „არის“	ხუოხაშ „ხახვები“	ბ-უ
დიგ „ცული“	დ-უ „არის“	დაგარშ „ცულები“	დ-უ
ნაჟ „მუხა“	დ-უ „არის“	ნეჟნაშ „მუხები“	დ-უ
სინთარ „ნერგი“	დ-უ „არის“	სინთარშ „ნერგები“	დ-უ

4. გარდაუვალი ზმნები შეიძლება კლასნიშნიანიც იყოს. კლასნიშნიან ზმნებთან (გარდამავლებთან) სუბიექტი ერგატივში დგას. თუ გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი სახელი რიცხვის მიხედვით კლასის ნიშანს არ იცვლის, რა თქმა უნდა, კლასის ნიშნის მიხედვით უცვლელია ზმნაც. შდრ., მაგ.:

გოვრ (გოვრაშ)	ⴔ-ⵔღუ
„ცხენი (ცხენები)	მოდის (მოდიან)“
ჟ'ალა (ჟ'ალდეშ)	დ-ⵔღუ
„ძაღლი (ძაღლები)	მოდის (მოდიან)“
მანგალ (მანგალშ)	ბ-უ
„ცელი (ცელები)	არის“
ციციგ (ციციგაშ)	დ-უ
„კატა (კატები)	არის (არიან)“...

საერთოდ, კლასების მიხედვით სახელები ჩეჩნურში არათანაბრად არის დაყოფილი. ა. მაგომედოვის გამოკვლევის (მაგომედოვი 1975, 20) თანახმად, ჩეჩნური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის 1506 სიტყვიდან **ⴔ - ⴔ** კლასს განეკუთვნება 613 ლექსემა (40,7%), **დ - დ** კლასს — 504 (30,5%), **ბ - ბ** კლასს კი — 90 (6,0%). დანარჩენი ლექსემები (200 ლექსემა, 13,3%) გრამატიკული კლასების მიხედვით ცვალებადია, ე. ი. ასეთი სახელები ზმნას რიცხვის მიხედვით მართავენ, შდრ., მაგალითად: ქურორთა ბ-უ „თავი არის“, მაგრამ მრავლობითში: ქურორთურ დ-უ; ქურგ ბ-უ „ფეხი არის“, მაგრამ მრ-ში: ქურგაშ დ-უ და ა. შ. ეს მონაცემები, რა თქმა უნდა, არ ვრცელდება ჩეჩნური ენის დიალექტებზე, სადაც სურათი მეტ-ნაკლებად განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ერფეროვნება ამ მხრივ არც სალიტ. ენაში გვაქვს, შდრ., მაგალითად: მანგალშ დ-უ და მანგალშ ბ-უ (მხ. რიცხვში: მანგალ ბ-უ „ცელი არის“).

5. განვიხილოთ რიცხვის მიხედვით ცვალებადი ზმნები. ზემოთ ითქვა, რომ პ. უსლარმა გამოყო ისეთი ზმნური ფორმები, სადაც ერთი კლასის ნიშნის მეორით შეცვლა იწვევს სუბიექტის რიცხვის ცვლას: ვ-იელხარ „ტირილი“ (მხ.რ.), ბ-იელხარ „ტირილი“ (მრ.რ.) (უსლარი 1888, 106). აღნიშნულ წყვილ ფორმაში **ვ** ფორმანტი

(გრამატიკული კლასის მარკერი) გვიჩვენებს, რომ სუბიექტი დგას მხოლოობით რიცხვში და განეკუთვნება I გრამატიკულ კლასს — მამაკაცთა კლასს, ხოლო ბ ფორმანტი იმავე სუბიექტის მრავლობითობას გამოხატავს, **ვ** ფორმანტი მრავლობითში არ ფიგურირებს.

გარდა ამისა, პ. უსლარმა გამოყო ისეთი ზმნური ფორმები, რომლებთანაც, მისი შეფასებით, სუბიექტი მხოლოდ მრავლობით რიცხვში დგას. ასე, მაგალითად: ჰაუსარ „შეხედვა", ჰაელხარ „გაქცევა", ლაუჭყარ „დამალვა", ბოუდარ „გაქცევა", ხაუშარ „დასხდომა", საუცარ „გაჩერება", დაჲარ „დახოცვა", 'ახქარ „წოლა". ამათგან ზოგს სუბიექტი მხ. რიცხვშიც შეეწყობა, როგორიცაა: ლაჭყარ, დადარ, საცარ, დიერ. დანარჩენებს ასეთი შესატყვისები არა აქვთო, — ასკვნის იგი (უსლარი 1888, 100-101).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, პ. უსლარს ზმნის საწყის ფორმად აღებული აქვს მასდარი (-რ- ფორმანტით) და არა — ინფინიტივი, მხედველობიდან არის გამორჩენილი ასეთი შემთხვევები, როცა ესა თუ ის სახელი რიცხვის მიხედვით კლასის ნიშანს არ იცვლის, შესაბამისად, ზმნაში რიცხვიც აღუნიშვნელი რჩება, შდრ., მაგალითად: ბერა[ნ] დ-ელხარ „ბავშვის ტირილი" და ბერრ[ნ] დ-ელხარ „ბავშვების ტირილი" და ა. შ.

ა. შანიძის მიხედვით, რიცხვის კატეგორია დაკავშირებულია როგორც სახელთან, ისე ზმნასთან. იგი „გვაძლევს იმის გაგებას: ერთია საგანი, თუ ერთზე მეტი (ან: მოქმედებს ერთი, თუ ერთზე მეტი). ის ფორმა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, რომ საგანი ერთია (ან: მოქმედებს ერთი), მხოლობითია... ის ფორმა კი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, რომ საგანი ერთზე მეტია (ან: მოქმედებს ერთზე მეტი), მრავლობითია" (შანიძე 1973, 46).

ამ დებულებიდან გამომდინარე, ჩეჩნურშიც ზმნური რიცხვი დაკავშირებულია მასთან შეწყობილ სუბიექტთან ან ობიექტთან. თავის მხრივ, ზმნები იყოფა კლასნიშნიანებად და უკლასნიშნოებად. კლასნიშნიანებში მხ. რიცხვში გამოიყოფა ოთხი ცვალებადი გრამატიკული კლასის ნიშანი (ვ-, დ-, ბ-, დ-), რომელთაგან, როგორც უკვე ითქვა, ვ- ფორმანტი მრავლობითში არ ჩანს. მაშასადამე, კლასის ნიშნების რაოდენობა მხოლობითსა და მრავლობითში თანაბარი არ

არის, განსხვავებულია.

ი. დეშერიევის აზრით, ნახურ ენებში მრავლობითშიც იგივე ნიშნები უნდა ყოფილიყო, რაც მხ. რიცხვში, ე. ი. კლასის ნიშნები რიცხვის მიხედვით დიფერენცირებული არ უნდა ყოფილიყო (დეშერიევი 1963, 385). მაშასადამე, ზმნა ნახურ ენებში რიცხვის კატეგორიისადმი ნეიტრალური უნდა ყოფილიყო. როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. დასკვნა: რიცხვის კატეგორია ზმნაში შედარებით გვიანდელი მოვლენაა.

გრამატიკული კლასები და მათთან დაკავშირებული საკითხები ნახურ ენებში დაწვრილებით არის შესწავლილი. მიუხედავად ამისა, სახელთა კლასებად დაყოფის მექანიზმი ჯერ კიდევ ამოცნობილი არ არის. კლასის ნიშნების საშუალებით რიცხვის გამოხატვაც უშუალოდ კლასის კატეგორიას უკავშირდება და იქ განიხილება. აქ კი შევნიშნავთ, რომ ჩეჩნურში კლასის ნიშნების შენაცვლება რიცხვის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა, შდრ., მაგალითად: მხ. რიცხვი:

კანთ ვ-ახა, ვ-ურლუ „ბიჭი წავიდა, იცინის"...

დუო დ-ახა, დ-ურლუ „გოგო წავიდა, იცინის"...

იგივე ფორმები მრ. რიცხვში შემდეგნაირად გვექნება:

კენთი ბ-ახა, ბ-ურლუ... „ბიჭები წავიდნენ, იცინიან"...

მეხქარი ბ-ახა, ბ-ურლუ... „გოგოები წავიდნენ, იცინიან"...

ბ- ფორმანტი (გრ. კლასის მარკერი) მხ. რიცხვშიც, რა თქმა უნდა, დასტურდება. ეს მაშინ ხდება, თუ სახელი მხ. რიცხვში **ბ-** ნიშანს განეკუთვნება, შდრ., მაგ.:

სთუ ბ-ახა „ხარი წავიდა"...

სთუ ლექსემა მრავლობითში **დ** ნიშანს მოითხოვს. შესაბამისად, მრავლობითში გვექნება: სთეერჩი დ-ახა „ხარები წავიდნენ"...

6. მარტივი ზმნური ფუძეები ჩეჩნურში თანხმოვანზე ბოლოვდება. გამონაკლისს დეფექტური ზმნები შეადგენენ. როგორც გაირკვა, დეფექტურ ზმნურ ფუძეებშიც ბოლოკიდური თანხმოვნებია დაკარგული. ასეთი ფუძეების რეკონსტრუქცია, მონათესავე ენების შესაბამისი მასალის გათვალისწინებით, ადვილად ხერხდება.

რიცხვის მიხედვით დაპირისპირებულ წყვილ ზმნურ ფუძეებში გამოიყოფა ისეთი გარდაუვალი ზმნები, რომელთაც მრავლობითში ინფიქსად -ჳ- (-უ-) ფორმანტი უჩნდებათ. ამ ჯგუფში კლასნიშნიანი ზმნებიცაა, ესენია:

მხ. რ.	მრ. რ.
დ-ად-ა^{ნ} „გაქცევა“	დ-ოუდ-ა^{ნ}
დ-ალ-ა^{ნ} „დამთავრება“	დ-ოულ-ა^{ნ}
ჰ₀ად-ა^{ნ} „გაქცევა“	ჰ₀-ოუდ-ა^{ნ}
ლაჭყ-ა^{ნ} „დამალვა“	ლოუჭყ-ა^{ნ}
ღათთ-ა^{ნ} „ადგომა“	ღოუთთ-ა^{ნ}
საც-ა^{ნ} „გაჩერება“	სოუც-ა^{ნ}

აშკარაა, რომ მრ. რიცხვში ფუძისეული ო < ა-საგან (ნაწილობრივი ასიმილაცია), ე. ი. დოუდა^{ნ} < დაუდა^{ნ} (იხ. ქვემოთ).

ჩამოთვლილი ფუძეები ერთმანეთისაგან უ ინფიქსით განსხვავდებიან. მისი ჩართვა ფუძეში იწვევს რიცხვის ფორმის შეცვლას: მხოლოობითი რიცხვი იცვლება მრავლობითი რიცხვით. დასკვნა: სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ჩამოთვლილ ფუძეებში არის ინფიქსი -უ-.

საანალიზო ზმნებში პირველი ორი ცვალებადი გრამატიკული კლასის მქონეა. ცნობილია, რომ კლასის ნიშანი ჳ- მხოლოდ მხოლოობითში იხმარება. მრ. რიცხვში მას ბ- ფორმანტი ენაცვლება. შდრ.: მხ. რ. ვ-ად-ა^{ნ} „გაქცევა“, მრ. რ. ბ-ოუდ-ა^{ნ}. თუ დ- კლასის ნიშანი ქალთა კლასს (II გრ. კლასი) აღნიშნავს, იმასაც მრავლობითში ბ- შეენაცვლება: დ-ად-ა^{ნ} — ბ-ოუდ-ა^{ნ}, ეს არის წესი.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მრ. რიცხვს -უ- ფორმანტთან (ინფიქსისეული -უ-) ერთად კლასის ნიშანიც აწარმოებს. მაგრამ თუ დ- ნივთის კლასის აღმნიშვნელია, იგი მრავლობითში არ შეიცვლება: დ-ად-ა^{ნ} — დ-ოუდ-ა^{ნ} „გაქცევა“ (მაგ., თხისა, ცხენისა...).

ზმნათა ამ ჯგუფს უნდა დაემატოს რამდენიმე სხვაც. რომლებიც, მართალია, სუბიექტის მრავლობითს -უ- ინფიქსით აწარმოებენ, მაგრამ ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნები მხოლოობითსა და მრავლობითში განსხვავებული აქვთ. ასეთია, მაგალითად:

მხ. რ.	მრ. რ.
ხა'-ა^{ნ} „დაჯდომა“	ხოუშ-ა^{ნ}
ჰაჟ-ა^{ნ} „შეხედვა“	ჰაოუს-ა^{ნ}
დიჟ-ა^{ნ} „დაწოლა“	დიუშ-ა^{ნ} (> დიშა^{ნ})

ამ ზმნურ ფუძეებს შესატყვისები ეძებნებათ წოვა-თუშურ ენაში. შდრ., წოვა-თუშური: ხა'-ა^{ნ} — ხაბჟ-ა^{ნ}, ჰაჭ-ა^{ნ} — ჰაფს-ა^{ნ}, დიჟ-ა^{ნ} — დიფშ-ა^{ნ} (ჭრელაშვილი 1988, 327).

მოცემულ ფორმათაგან ჰაფსან და დიფშა^{ნ} დ. და ნ. ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (ქადაგიძე 1984) შეტანილი არ არის. სამაგიეროდ, ლექსიკონში დასტურდება ჰაფს-დ-ა^{ნ} „გაგზავნა“ (გაგზავნის) და ჰეფს-დ-ა^{ნ} „გაგზავნა“ (გზავნის) ფორმები. ეს ზმნა გარდამავალია და წოვა-თუშურში ასპექტურად დაპირისპირებულ წყვილ ფორმებს ქმნის. მისი შესატყვისი ჩეჩნურში არის ჰაოუს-უ̄რ^{ნ} (< ჰაოუს-ა-დ-ა^{ნ}, შდრ., აწმყოში ჰაოუს-ა-დ-ო). ჰაოუს-უ̄რ მრ. რიცხვის ფორმაა ჩეჩნურში, მხოლოობითში მისი კორელატი არის ჰაჟ-უ̄რ.

ჰაფს-დ-ა^{ნ} და ჰეფს-დ-ა^{ნ} წოვა-თუშურში რთული შედგენილობისაა. აქ გამოიყოფა, ჯერ ერთი, მეშველი ზმნა დ-ა^{ნ} „ქმნა, კეთება“ (დ- კლასის ნიშანია), ხოლო ჰაფს სხვა არაფერია, თუ არა ჰაფს-ა^{ნ} ზმნაში შემავალი ჰაფს „შეხედვა“ (მრ. რ.) ფუძე. ჰაფსა^{ნ} გარდაუვალია, და^{ნ} მეშველი ზმნის დართვით კი მიღებულია გარდამავალი შინაარსის მქონე ზმნა, რომელსაც, ალბათ, თვით წოვა-თუშურშივე უნდა ჰქონდეს „შეხედვინება“ ზმნის შინაარსიც. მაშასადამე, იგი სემანტიკურადაც დაუკავშირდება ჰაფს ფორმას.

აქ მთავარი სხვა რამეა, კერძოდ, წოვა-თუშურშიც, ჩეჩნურის მსგავსად, მრავლობით რიცხვს სპეციალური ფორმანტი აწარმოებს. ეს არის -ბ-, რომელსაც ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში ფონეტიკური ვარიანტებიც აქვს ფ-სა და პ-ს სახით. იგი კანონზომიერად შეესატყვისება ჩეჩნურ **-ჟ-** (**-გ-**)-ს. მაშასადამე, საკვლევ ორივე ფორმანტს ერთი და იგივე ფუნქცია აქვს, ფუძეში მათი პოზიციაც არ განსხვავდება — ორივე ინფიქსად წარმოგვიდგება.

ზმნათა ამ ჯგუფისათვის მრავლობითში, **-ჟ-** ფორმანტის გაჩენის

გარდა, ჩეჩნურში ნიშანდობლივია ფუძისეული ხოვნის ცვლაც: ა > ო. ამ მოვლენას ფონეტიკური ახსნა აქვს: ა ხმოვანს მომდევნო უ (ვ) იმსგავსებს (ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პ. უსლარის მონაცემები, სადაც ამოსავალი ფორმები დასტურდება. შდრ., ზემოთ ნახსენები ხაუშარ და სხვ., სადაც ფუძისეული ა ხმოვანი მრავლობითში უცვლელად არის წარმოდგენილი, ხოლო ვ (უ) ფონემა უ-თია გადმოცემული. ა > ო პროცესი, როგორც იმავე მკვლევრის მაგალითებიდან ჩანს, უცხო არც მაშინ ყოფილა. შდრ., ბოუდარ (< ბაუდარ). ამოსავალი ფორმები დაცულია ჩეჩნური ენის ზოგ კილოკავში, მაგალითად, მაისთურში, სადაც ასიმილაციის ეს სახეობა არ მოქმედებს.

-უ- ფორმანტიანი მრავლობითის ფორმები ისტორიულად, ალბათ, შედარებით მეტი უნდა ყოფილიყო. ხილდიხაროულში ჩვეულებრივია, მაგალითად: სოუთთა^{5} „გაღუნვა“ (იღუნება), შდრ., მხ. რ. სათთა^{5}, ჰოურჩა^{5} „გახვევა“ (ეხვევა), შდრ., მხ. რ. ჰაარჩა^{5}...

ნ. იაკოვლევის ვარაუდით, ზმნები, როგორიცაა: ‘ოვშა^{5} „ღეჭვა“, ჰოვზა^{5} „გრეხა“, ყოვყა^{5} „დაქუხება“, ‘ოვდა^{5} „გაწურვა“ წარმოშობით მრავლობითი რიცხვის ფორმებია, თუმცა მათი „მხოლობითის ფორმები თანამედროვე ჩეჩნურში წარმოდგენილი არ არის (იაკოვლევი 1960, 202). ამ რიგის მაგალითების გაზრდა კიდევ შეიძლება. ასეთია, მაგალითად: თოუჟა^{5} „მიყრდნობა“, წოუზა^{5} „წკმუტუნი, ზუზუნი“, ‘ოუჟა^{5} „წვა (ჭრილობისა)“, სოუსა^{5} „აფუება“ და სხვ. ზმნურ ფუძეთა შედარებითმა შესწავლამ ამ კუთხით შეიძლება ბევრ საკითხს ნათელი მოჰფინოს.

-ვ- (-უ-) || -ბ- ინფიქსთა შესწავლის მოკლე ისტორია მოცემული გვაქვს სტატიაში „ასპექტის საკითხისათვის ჩეჩნური ენის ქისტურ მეტყველებაში“. გამოვთქვით ვარაუდი, რომ ინფიქსი, მორფემის ფუნქციით, დამახასიათებელი არ უნდა ყოფილიყო ნახური ენებისათვის.

ზმნურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის შესწავლამ გვაფიქრებინა, რომ ე. წ. „მარტივი“ ფუძე ჩეჩნურში არ უნდა იყოს მარტივი. ეს ვარაუდი, ფუძეთა ერთი ჯგუფის ანალიზის საფუძველზე, ვფიქრობთ, უდავო უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს კლასნიშნი-

ანი ზმნები, სადაც **ჳ** || **ბ** ფორმანტები თავს იჩენს ცვალებადი კლასის ნიშნისა და მისი თანმხლები ხმოვნის შემდეგ. შესაბამისად, **ვ** || **ბ** ფორმანტების კვალიფიკაცია შეიძლება სხვაგვარად წარმოჩნდეს, ე. ი. არის შესაძლებლობა, რომ ისინი არა ინფიქსებად, არამედ პრეფიქსებად მივიჩნიოთ. ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის ჩვენება, რომ **ჳ** || **ბ** ფორმანტები სხვა არაფერია, თუ არა მრ. რიცხვის მაწარმოებლი აფიქსები ზმნაში: იგი სუბიექტის რიცხვს გამომხატველია ზმნაში (შდრ.: ჩუხუა 1990, 141-142).

7. ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა ზმნური ფუძის ბოლოკიდური **ლლ** ორმაგი (ინტენსიური) თანხმოვნის **ხჭ** თანხმოვანთკომპლექსით შეცვლა. ასეთი ფუძეებია, მაგალითად:

მრ. რ.	მრ. რ.
ლალლა^{ნ} „გაგდება“	ლახჭა^{ნ}
თალლა^{ნ} „კვლევა, ძიება“	თახჭა^{ნ}
თილლა^{ნ} „დარქმევა, დაფარება“	თახჭა^{ნ}
ჯუოლლა^{ნ} „დახურვა, დაფარება“	ჯუოხჭა^{ნ}
დუოლლა^{ნ} „გაყრა“ (მაგ. ძაფისა)	დუოხჭა^{ნ}
უოლლა^{ნ} „დაკიდება“	უოხჭა^{ნ}
დილლა^{ნ} „დადება“	დახჭა^{ნ}
‘ილლა^{ნ} „წოლა“	‘ახჭა^{ნ}
დალლა^{ნ} „ყოფნა (რაიმეში)“	დახჭა^{ნ}

მოცემულ ზმნებში მხ. რიცხვის ფორმებში წარმოდგენილი ხმოვნები მრ. რიცხვში

ა) არ იცვლება:

დალლა^{ნ} — დახჭა^{ნ} დუოლლა^{ნ} — დუოხჭა^{ნ}
ლალლა^{ნ} — ლახჭა^{ნ} ჯუოლლა^{ნ} — ჯუოხჭა^{ნ}
თალლა^{ნ} — თახჭა^{ნ} უოლლა^{ნ} — უოხჭა^{ნ}
და^{ნ} (< დაღა^{ნ}) დახჭა^{ნ}

ბ) ი > ა:

დილლა^{ნ} — დახჭა^{ნ} თილლ-ა^{ნ} — თახჭ-ა^{ნ}
‘ილლა^{ნ} — ‘ახჭა^{ნ}

ხჭ კომპლექსი ფუძის ბოლოკიდურ პოზიციაში სხვა ზმნებშიც

დასტურდება: ხახჭა^{5} „გაჭენება“, დეეხჭა^{5} „შემორტყმა“ (მაგ., სარტყლისა). ესენიც მხ. რიცხვის ფორმებად მიაჩნია ნ. იაკოვლევს: ამ ზმნათა მხ. რიცხვის ფორმები არ შემონახულაო (იაკოვლევი ნ. 1960, 203).

რამდენადაც **ხჭ** კომპლექსი ითუმყალურში იძლევა **რჭ**-ს, ნ. იაკოვლევის აზრით, **ხ** და **რ** მრავლობითის მაწარმოებელი აფიქსები უნდა იყოს, ხოლო **ლლ** განსხვავებული ბგერებისაგან უნდა მომდინარეობდესო.

ეჭვს გარეშეა, რომ ორივე ეს კომპლექსი მეორეულია. მათი წარმოშობა დამატებით კვლევას მოითხოვს.

8. რიცხვის გამოხატვის მხრივ ცალკე დგანან შემდეგი ზმნები:

მხ. რ.	მრ. რ.
დეე^{5} „მოკვლა, დაკვლა“	დაჲა^{5} „დახოცვა“
დაჴჳა^{5} „წართმევა“	დახა^{5}

ორივე შემთხვევაში მრ. რიცხვით გამოხატულია ობიექტის სიმრავლე, კლასის ნიშნებიც პირდაპირი ობიექტის კლასზე მიუთითებენ.

წოვა-თუშურის დ'ევა^{5} „მოკვლა, დაკვლა“ ფორმა ჩეჩნურის დეე^{5} ფორმის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა: *დევა^{5} (< *დავა^{5}). მიუხედავად ამისა, დავ და დაჲ' (**დ**- გრამატიკული კლასის ნიშანია) ფუძეთა ერთმანეთზე დაყვანისაგან, მათი იდენტურობის დაშვებისაგან ჩვენ თავს ვიკავებთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეს შესაძლებლობა გამორიცხული არ უნდა იყოს.

მეორეული ჩანს ინტენსიური თანხმოვანი ჴჴ დაჴჳა^{5} ზმნაშიც. საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე ჩამოთვლილი ფუძეები სუპლეტურ ფუძეებად შეიძლება ჩაითვალოს. ამავე ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს ჩეჩნურში ვ-ახ-ა^{5} „წასვლა“ ზმნისაგან ნაწარმოები აწმყოს ფორმებიც. შდრ.: ვ̄Ჽდუ „მიდის“, დ̄Ჽლხუ „მიდიან“. ცალკე დგას დ-უ̄რჯა^{5} „ვარდნა“ და ლ̣ეგა^{5} || იეგა^{5} || ეგა^{5} „ცვენა“ ზმნები, სადაც სუბიექტის კლასის ნიშანი მხ. რიცხვის ფორმაში გამოხატულია, ხოლო მრავლობითში — არა. ზმნა გარდაუვალია.

მაშასადამე, რიცხვის კატეგორიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი ჩეჩნურში გრამატიკული კლასების რაოდენობის შემცირება

უნდა ყოფილიყო მრ. რიცხვში. ამ პროცესს უნდა გამოეწვია გონიერთა კლასის **ꙫ** ნიშნის **ბ-** ფორმანტით შეცვლაც მრ. რიცხვში.

გარდა ამისა, ჩეჩნურში, სინქრონიულ ასპექტში, სუბიექტის მრ. რიცხვი იწარმოება **-ჭ-** ინფიქსის საშუალებით, ხოლო ობიექტისა — **ლლ : ხქ** კომპლექსთა მონაცვლეობით. შეინიშნება ორი-სამი კერძო შემთხვევა, რომელთა ახსნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

9. **გრამატ. რიცხვის გამოხატვის თავისებურებანი ქისტურ დიალექტში.** ქისტურ დიალექტში წარმოდგენილია ყველა ის მორფოლოგიური საშუალება, რომელიც რიცხვის აღსანიშნავად არის გამოყენებული ჩეჩნურ სალიტერატურო ენაში. გარდა ამისა, ქისტურში შეინიშნება რიცხვის გამოხატვის ისეთი საშუალებებიც, რომლებიც უცხოა სალიტერატურო ენისათვის, თუმცა ჩანასახის სახით იქაც დასტურდება (შდრ., თხოვნით-ბრძანებითი კილოს ფორმები Ალა[ნ] „თქმა“ ზმნისა: Ალაჰა (II პ., მხ. რ.), ᲐლᲘშა (II პ., მრ. რ.). რიცხვის გამოხატვის ასეთ საშუალებებს ქისტურში განეკუთვნება პირის ნაცვალსახელები, რომლებიც ზმნურ ფუძეს პოსტპოზიციაში ერთვიან. შდრ.:

იდუ-ს (<იდუ სო) „დავრბივარ“ იდუ-თხ (< იდუ თხო) „დავრბივართ“

იდუ-ჰა (<იდუ ჰაო) „დარბიხარ“ იდუ-შ (< იდუ შუ) „დარბიხართ“

იდუ- „დარბის“ იდუ- „დარბიან“

როგორც მაგალითები გვიჩვენებენ, ქისტური დიალექტი პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების ისეთსავე ნიმუშს იძლევა, რასაც წოვა-თუშური ენა (უფრო დაწვრილებით — ქვემოთ). მაშასადამე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქისტურსა და წოვა-თუშურში უღვლილების თითქმის იდენტური სისტემა ჩამოყალიბდა. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქისტური მეტყველების შემდგომი განვითარების გზების განსაზღვრისათვის.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქისტურშიც და წოვა-თუშურშიც ქართულიდან ნასესხებია **-თ** ფორმანტი ბრ. კილოს II პირის აღსანიშნავად მრავლობითში. შდრ.: ღუო „წადი!“ — ღუო-თ „წადით!“, Ალ(ა) „თქვი!“, Ალა-თ „თქვით!“, მალ(ა) „დალიე!“ — მალა-თ! „დალიეთ!“...

კაუზატივის კატეგორია

როგორც ცნობილია, კაუზატივი ეწოდება ზმნის ისეთ ფორმას, რომელიც „სუბიექტის მოქმედებას გაშუამავლებულად წარმოგვიდგენს: პეტრე სახლს აშენებს — პეტრე ოსტატს სახლს აშენებინებს. პირველ შემთხვევაში პეტრე თვითონ აშენებს სახლს, ეს არის მოქმედების უშუალო გზა. მეორე შემთხვევაში რეალურად მოქმედია ოსტატი. ოსტატი აშენებს სახლს პეტრეს ინიციატივით, მისი დავალებით, თხოვნით (თუ ბრძანებით), იძულებით, ან დახმარებით. ვერბალური სუბიექტი მოქმედებს ობიექტზე მეორე ობიექტის მეშვეობით. ეს არის მოქმედების შუალობითი გზა, ანუ კაუზატივი“ (მაჭავარიანი 1988, 62). გ. მაჭავარიანის ეს დებულება ემყარება არნ. ჩიქობავას პოსტულატებს კაუზატივის წარმოების შესახებ ქართულში (არნ. ჩიქობავა 1998, 60).

კაუზატიური ფორმები ნახურ ენთა სინამდვილეში პირველად ა. შიფნერმა გამოყო წოვა-თუშურში. ა. შიფნერს მცდარად აქვს ახსნილი კაუზატივის ფორმანტის — **-ითარ**-ის — წარმომავლობა, რაზეც სამართლიანად მიუთითებს რ. გაგუა (გაგუა 1987, 198).

ჩეჩნურში კაუზატივის **-ადთარ** ფორმანტი გამოყო პ. უსლარმა, მაგრამ იგი პ. უსლარისათვის ფორმანტი კი არ არის, არამედ შეთანხმებადი ზმნაა (**сочетающийся глагол**) ორიოდე სხვა ზმნასთან ერთად, რომლებიც ერწყმიან წინამავალ ზმნას და კომპოზიტებს ქმნიან. ჩეჩნურ კაუზატიურ ფორმათა შინაარსს პ. უსლარი რუსულად შემდეგნაირად თარგმნის: აიძულებს (იტრიალოს, დაიწვას...) (უსლარი 1888, 94-97).

ჩეჩნურში კაუზატივს **-ით** ფორმანტი აწარმოებს. შდრ.: დ-ასთ-ა^{ნ} „გახსნა“ (გარდამ.) და დ-ასთ-ი̄თ-ა^{ნ} „გახსნევინება“ (< დ-ასთ-ა-ით-ა^{ნ}).

კაუზატივის **-ითა** ფორმანტი ინგუშურში გამოყო ზ. მალსაგოვმა (მალსაგოვი ზ. 1998). მისი აზრით, ასეთი ფორმები ინგუშურში ზმნის იძულებითი ფორმებია.

ნ. იაკოვლევის მიხედვით, კაუზატიური ფორმები ჩეჩნურში იძულებითი გვარის ფორმებია. ამ დებულების მიხედვით კაუზატივია-

ნი ზმნები გვარის კატეგორიის სახეობაა და არა ზმნის ერთ-ერთი კატეგორია. როგორც ჩანს, ტერმინი ნ. იაკოვლევს ნასესხები აქვს ზ. მალსაგოვისაგან.

რამდენადაც ვიცით, კაუზატივის **-ით** ფორმანტის ეტიმოლოგია ეკუთვნის ნ. იაკოვლევს: **-ით** დ-ით-ა^{5} „დატოვება“ ზმნის ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს (იაკოვლევი 1960, 187).

მაშასადამე, რომელიმე ახ-ა^{5} „ხვნა“ ფორმისაგან ნაწარმოები ახ-ით-ა^{5} მიღებულია შემდეგნაირად: ახ-ა-დ-ით-ა^{5} > ახ-ა-ით-ა^{5} > ახ-ე-ით-ა^{5} > ახ-ი-ით-ა > ახ-ით-ა^{5} (**ē** მიღებულია **ა+ი**-ს შერწყმის შედეგად). ახაᲓთა^{5} (< ახაითა^{5}) დასტურდება პ. უსლარის ნაშრომში (უსლარი 1888, 71), ამ სახით იგი ხილდიხაროულში, ჭებერლოურში, შაროულსა და ითუმყალურშია წარმოდგენილი (არსახანოვი 1969, 55-56, 78), მაისთურში კი — ახეᲓთა^{5} || ახითა^{5} სახით.

-ით ფორმანტის მეშვეობით ჩეჩნურში ნებისმიერი ზმნისაგან იწარმოება კაუზატიური ფორმები, ე. ი. ჩეჩნურში გვაქვს როგორც პირველადი, ისე წარმოქმნილი (მეორეული, კაუზატიური) ინფინიტური ფორმები. გამონაკლისია **დუ** „არის“ ზმნა, რომელსაც ინფინიტივი არა აქვს.

ერთმანეთისაგან განსხვავებულ ამ ფორმებს (ცალკე ინფინიტივს, ცალკე კაუზატიურ ინფინიტივს) ცალ-ცალკე ეწარმოებათ დრო-კილოთა ნაკვთები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კაუზატივი წარმოქმნის კატეგორიებს განეკუთვნება (კაუზატიური ფორმა არა აქვს დუ „არის“ ზმნას. თანამედროვე ჩეჩნურში ამ ზმნას ინფინიტივიც არა აქვს).

კაუზატივის კატეგორიის „ერთი ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ იგი დრო-კილოთა მთელ სისტემას გასდევს“ (ჭრელაშვილი 2002, 211), აქვს საკუთარი ბრძანებითის ფორმებიც. შდრ.:

პირველადი ინფინიტივები	კაუზატიური ინფინიტივი
საც-ა^{5} „გაჩერება“	საც-ით-ა^{5}
დ-აგ-ა^{5} „წვა“	დ-აგ-ით-ა^{5}
ვ-ახ-ა^{5} „წასვლა“	ვ-ახ-ით-ა^{5}
დ-იჟ-ა^{5} „დაწოლა“	დ-იჟ-ით-ა^{5}
იდ-ა^{5} „სირბილი“	იდ-ით-ა^{5}

ᲐᲚ-ა^{ნ} „თქმა“	ᲐᲚ-ით-ა^{ნ}
ქარჩ-ა^{ნ} „გაგორება“	ქარჩ-ით-ა^{ნ}
ხარც-ა^{ნ} „შეცვლა“	ხარც-ით-ა^{ნ}...

მაშასადამე, ინფინიტივებისაგან კაუზატიური ფორმების წარმოებისას ვიღებთ ახალი ტიპის ინფინიტივებს, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ კაუზატიური ინფინიტივი.

კაუზატიურ ფორმებში ორი სუბიექტია: 1. ორგანიზატორი, ინიციატორი; 2. შემსრულებელი. როგორც ცნობილია, კაუზატიური ფორმები გარდამავალი ზმნებია, გარდამავალ ზმნასთან კი სუბიექტი ერგატივში დგას. კითხვა ისმის: რომელი სუბიექტის აღმნიშვნელი სახელი დგას ერგატივში — ინიციატორისა თუ შემსრულებლის? ჩეჩნურში ერგატივში დგას ის სახელი, რომელიც ინიციატორს გამოხატავს, ხოლო შემსრულებლის აღმნიშვნელი სახელი ლოკატიურ ბრუნვაში დგას. შდრ.: ვახა-ს (რეალ. სუბ., დგას ერგ-ში) კანთ-ᲔᲒ (შემას., დგას ლოკატივში) ქნიგა ᲓᲘᲨᲗᲣ „ვახა ვაჟს წიგნს აკითხვინებს“.

პირველადი ინფინიტივებისაგან კაუზატივის წარმოებისას რამდენიმე მომენტი განირჩევა, კერძოდ:

1. გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატიური ფორმები გარდამავალია (უნარჩუნდებათ კაუზატიური მნიშვნელობა), შდრ.:

გარდაუვალი	გარდამავალი
დ-ად-ა^{ნ} „გაქცევა“	დ-ად-ით-ა^{ნ}
ლᲘჩ-ა^{ნ} „ბანაობა“	ლᲘჩ-ით-ა^{ნ}
ლაჭყ-ა^{ნ} „დამალვა“	ლაჭყ-ით-ა^{ნ}
დ-Ეელხ-ა^{ნ} „ტირილი“	დ-Ეელხ-ით-ა^{ნ}...

2. როგორც უკვე ითქვა, -ᲣᲠ^{ნ} დაბოლოებიანი ზმნები გარდამავალია. თვით ეს სუფიქსი დ-ა^{ნ} „ქმნა, კეთება“ ზმნისაგან მომდინარეობს (იხ.: აწმყოს წარმოება). -ᲣᲠ^{ნ} სუფიქსიანი ზმნებისაგან კაუზატივების წარმოების შემთხვევაშიც აღდგება მეშველი ზმნა დ-ა^{ნ} (შდრ., აწმყოს ნაკვთის წარმოების შემთხვევაშიც თავს იჩენს იგივე მეშველი ზმნა), რომლისგანაც, თავის მხრივ, იწარმოება კაუზატიური ზმნები. -ᲣᲠ^{ნ} დაბოლოების წარმომავლობის დ-ა^{ნ} მეშველი ზმნისაგან ეს ფაქტიც ადასტურებს. შდრ.:

საც-უო^{ნ} „გაჩერება“	საც-ა-დ-ა-Დთ-ა^{ნ}
ჰᲓერ-ურ^{ნ} „შეშინება“	ჰᲓერ-ა-დ-ა-Დთ-ა^{ნ}
ჰᲓეხქ-ურ^{ნ} „მოხარშვა“	ჰᲓეხქ-ა-დ-ა-Დთ-ა^{ნ}
ლᲓეჰა-ურ^{ნ} „კრეფა“	ლᲓეჰა-ა-დ-ა-Დთ-ა^{ნ}
მალ-ურ^{ნ} „დალევინება“	მალ-ა-დ-ა-Დთ-ა^{ნ}
ქᲓეგ-ურ^{ნ} „არევა, მორევა“	ქᲓეგ-ა-დ-ა-Დთ-ა^{ნ}...

როგორც მაგალითებიდან ჩანს, დ-ა^{ნ} „ქმნა, კეთება“ ზმნისაგან კაუზატიური ფორმა არაორდინალურად, თავისებურად იწარმოება, კერძოდ, **-Დთ-** ფორმანტის ხმოვანი ვერ იმსგავსებს წინამავალ ხმოვანს, პირიქით, თვითონ იცვლება, ვიწროვდება და წინა ხმოვანთან დიფთონგს ქმნის. დ-ა^{ნ} ზმნა თავისებურია იმ გაგებით, რომ მას ფუძე არა აქვს. თავისებური ზმნები ზოგ თავისებურებას ავლენენ კაუზატივის წარმოების დროსაც.

3. თავისებური (ე. წ. უწესო) ზმნები, როგორიცაა Დვ^{ნ} „მოსვლა“, Დვ^{ნ} „მოტანა“, Დვ^{ნ} „დაკარგვა“ , Დვ^{ნ} „ჩაქრობა“, Დვ^{ნ} „დანახვა“ სხვადასხვა წარმოშობისაა და აწმყოს ნაკვთებს განსხვავებულად აწარმოებენ — აწმყოში იმ ფუძეს იყენებენ, რომელიც ისტორიულად ჰქონდათ (გარდა Დვ^{ნ} „დანახვა“ ზმნისა, რომელიც აწმყოში II საუღლებელ ფუძეს იყენებს: გუო).

მაშასადამე, ჩეჩნურში გ-ა^{ნ} ზმნა მიღებულია Დვ^{ნ} (< დაგ-ა^{ნ}) ზმნის II საუღლებელი ფუძისაგან. რამდენადაც II საუღლებელმა ფუძემ ახალი ზმნა წარმოშვა, Დვ^{ნ} „დანახვა“ ფორმას I სერიის დროთა ნაკვთები, ბუნებრივია, არ ექნება და არცა აქვს (დიალექტებშიც კი). თავის მხრივ, გა^{ნ} ზმნას არ უნდა ჰქონოდა II სერიის დროთა ნაკვთები, მაგრამ ენამ ისინი აწარმოა. ამის შედეგად ერთი და იგივე ზმნის ორი საუღლებელი ფუძე, დროთა წარმოების თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ზმნების სახით ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა.

ნ. იაკოვლევი კაუზატივის წარმოებასთან დაკავშირებით ჩეჩნურში ერთ გარემოებასაც აქცევს ყურადღებას, კერძოდ, **-Დთ-** ფორმანტის წინა მარცვალში ა (ან: ა) ხმოვანი ლაბიალდებაო. ამის საილუსტრაციო მაგალითებიც არის მოხმობილი, როგორიცაა: Ახა^{ნ} „ხვნა“ — Რხ-Ით-ა^{ნ}, Არ-ა^{ნ} „ლეწვა“ — Რრ-Ით-ა^{ნ}, ლახ-ა^{ნ} „ძებნა“ — ლოხ-Ით-ა^{ნ}... (იაკოვლევი 1960, 187). ასეთ ფორმებს სალიტერატუ-

რო ჩეჩნური არ იცნობს, არ ჩანს ისინი იმ კილოკავებშიც, რომლებიც განხილული აქვს ი. არსახანოვს თავის ნაშრომში „ჩეჩნური დიალექტოლოგია“ (არსახანოვი 1969). რა თქმა, მათი არსებობა ჩეჩნურში გამორიცხული არ არის.

საილუსტრაციო მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან:

სრგა ა ჯაჲინჲერა რაჲონჲე, საჲნ გინარგ, ხჲეზნარგ დ'ალიცითა „მეც გამომიძახეს რაიონში, დანახულის, მოსმენილის საამბობლად“ (ოშაევი 1972, 6);

დუჯა ხან ჲრცუშ ვაითინა აგრონომ „დიდი ხანი არ არის, რაც აგრონომი გამოგზავნეს“ (იქვე, გვ. 6);

საცითა! „გაჩუმდი!“ (იქვე, გვ. 7);

ჯუნნა მუოხ ჲჲეუთითა! „ეს გაანიავე“ (სიტყვა-სიტყვით: ამას ქარი მოახვედრე) (ბადუევი 1976, 265);

ქებირათ ჲოლჩუ ჯი ნახ დჲეხარჲე ბახითა რეზა ვაც-ჯ სუო „ქებირათთან კიდევ ერთხელ სათხოვნელად ხალხის გაგზავნაზე თანახმა არა ვარ“ (იქვე, გვ. 209);

აჰა ჰუნდა ჲიჯითირა ი ბრაჰა? „შენ რატომ დააწვინე ის გარეთ?“ (მამაქაევი 1968, 162);

ჰოჯუ სუოჰათა ქჲერთ წანდაჲთა ცუ ჟ'ალჲეშქა „ახლავე ეზო დააგვევინე იმ ძაღლებს“ (იქვე, გვ. 189)...

ამგვარად, ჩეჩნურში კაუზატივს აწარმოებს **-ѳѳ-** სუფიქსი, რომელიც წარმოშობით შეიძლება უკავშირდებოდეს დ-ით-ა[ნ] „დატოვება“ ზმნის ფუძეს (უკლასნიშნოდ). **-ѳѳ-** სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი ფუძის მომდევნო ხმოვანთან დიფთონგს ქმნის ან მასთან შერწყმით გრძელდება. კაუზატიური ფორმები წარმოშობით თხზული ზმნებია.

კილოს კატეგორია

ჩეჩნურში განირჩევა შედმეგი კილოები: თხრობითი, ბრძანებითი, პირობითი, ნატვრითი. ზოგი მათგანი განარჩევს ორ ან ორზე მეტ სახეობას. ზოგი კი, მაგალითად, პირობითი (პირობით-შედეგობითი), რთული წინადადების შედგენის საშუალებას წარმოადგენს, ე.ი. პირობითი კილოს ფორმებს მაკავშირებელი სიტყვების ფუნქცია აქვთ.

პ. უსლარმა ჩეჩნურში ხილა[ნ] „ყოფნა“ ზმნის კილოთა მიხედ-

ვით განსხვავებული ექვსი ფორმა გამოყო. ესენია: 1. თხრობითი — ხილუ; 2. ბრძანებითი — ხილა! 3. პირობითი — ხილაჰა; 4. პირობით-ნატვრითი — ხილაჰარა; 5. ნატვრითი — ხილუშ ვალარა; 6. კავშირებითი — ხილ̄ილა (უსლარი 1888, 80-91). გარდა ამისა, პ. უსლარის აზრით, მასდარის ფორმები უსრული კილოს ფორმებია (უსლარი 1888, 93).

სპეციალურ ლიტერატურაში არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი კილოთა რაოდენობისა და წარმოების საშუალებების შესახებ. განსაკუთრებული სიჭრელე შეინიშნება ტერმინოლოგიაში: ესა თუ ის ფორმა სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა სახელით არის წარმოდგენილი. აღწერითი ფორმები ნაშრომთა უმეტესობაში განხილული არ ჩანს და სხვა (დეშერიევი 1959, 10; 1963, 465-466; 1967, 220-221; იაკოვლევი 1960, 174-178; დოლაქოვა 1961, 8; თიმაევი 1971, 168-170...).

კილოთა კლასიფიკაციისას ჩვენ გავითვალისწინეთ მათი ფუნქციები, წარმოების პრინციპები. წარმოების პრინციპისა და ფუნქციათა გათვალისწინებამ კილოთა რაოდენობის (რომელიც სპეც. ლიტერატურაში იყო გამოყოფილი) შემცირება გამოიწვია. მაგალითად, თხოვნითი კილოს ფორმა, ჩვენი აზრით, ბრძანებითი კილოს ერთ-ერთი სახეობაა და ა.შ. ამასთან ნათელი გახდა, რომ პირობითის ფორმას კილოს ფუნქცია არა აქვს, კილოებში მისი განხილვა ტრადიციით არის გამართლებული, მისი ადგილი სხვაგან არის საძიებელი.

თხრობითი კილოს ფორმები დროთა სისტემაშია განხილული. დროისა და კილოს ფორმები ზმნის საუღლებელი ერთეულებია, „რომელთა შიგნით ზმნა იცვლება (იუღვლის) გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით“ (ცერცვაძე 1965, 228). ასეთ ერთეულებს განეკუთვნება მიმღეობა და აბსოლუტივიც.

მხოლოდ თხრობით კილოშია წარმოდგენილი დროთა ყველა ფორმა, რომელიც ზემოთ არის განხილული. განვიხილოთ დანარჩენი კილოები.

ბრძანებითი კილო

როგორც სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, „ბრძანებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შესას-

რულებლად წარმოგვიდგენს; ის გვიჩვენებს, რომ მოუბრის სურვილი უნდა იქნეს შესრულებული... ეს სურვილი შეიძლება გამოხატულ იქნეს არა მარტო ბრძანების სახით, არამედ თხოვნის, ხვეწნა-მუდარისა და წაქეზების სახითაც“ (შანიძე 1973, 205).

მაშასადამე, ბრძანების ფორმებში განსხვავებულია ბრძანების ხარისხი, იგი მერყეობს მრისხანე ბრძანებიდან მოკრძალებულ თხოვნამდე, ხვეწნა-მუდარამდე.

ბრძანებათა მოდიფიკაციები მორფოლოგიაში სპეციალური ფორმანტებით არის გამოხატული. გარდა ამისა, ბრძანებითის ფორმათა ნაირსახეობის გადმოსაცემად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტონაციაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებითის ფორმას ნამყო დრო არა აქვს, ბრძანება შეიძლება შესრულდეს აწმყოსა და მყოფადში.

ბრძანებითი კილოს ფორმათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი ნახურ ენებში ეკუთვნის ლ. სანიკიძეს (სანიკიძე 1986, 145-160). ამ ნაშრომში პირველად დაწვრილებით არის შესწავლილი და გაანალიზებული ბრძანებითი კილოს სახეები, მოცემულია მათი სტრუქტურა და წარმოება. გარდა ამისა, ნაშრომში საინტერესოა ბრძანებითის ზოგი ფორმის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორია, გათვალისწინებულია ყველა ის ნაშრომი, რომელიც მანამდე არის დაბეჭდილ-გამოქვეყნებული.

ამავე საკითხზე ზოგი საყურადღებო დაკვირვება აქვს ჩეჩნურში ბ. არსემიკოვას (არსემიკოვა 1986, 31) და წოვა-თუშურში — მ. მიქელაძეს (მიქელაძე 1988, 18).

ბრძანების ელფერის შესაბამისად ჩეჩნურში ბრძანებითი კილოს რამდენიმე სახეობა განირჩევა, ესენია:

1. **ბრძანებითის ძირითადი ფორმა**, რომელიც იწარმოება წესიერი უღლების ზმნებისაგან ფუძეზე **-ა** ფორმანტის დართვით. ბრძანების ამ ფორმისათვის დამახასიათებელია აწეული ტონი. მაგ.:

ინფ.: ახქ-ა^{ნ} „დაბარვა“	ბრძანებითი: ახქ-ა! „დაბარე!“
მალ-ა^{ნ} „დალევა“	მალ-ა! „დალიე!“
ლოჭზ-ა^{ნ} „თამაში“	ლოჭზ-ა! „ითამაშე!“
საც-ა^{ნ} „გაჩერება“	საც-ა! „გაჩერდი!“...

ბრძანებითის ამ ფორმას წარმოების სიმარტივის გამო მარტივ ბრძანებითს უწოდებენ (ნ. იაკოვლევი). ჩვენ ამ ფორმას ბრძანებით I-ს ვუწოდებთ.

ბრძანებითი I-ის მაწარმოებელი **-ა** ფორმანტი სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია სხვადასხვანიარად. ჩვენთვის მისაღებია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც **-ა** მიჩნეულია ბრძანებითის ძირითადი (ბრძანებითი I) ფორმის მაწარმოებლად (სანიკიძე 1986, 146-147).

2. **-ლ ფორმანტით ნაწარმოებ ბრძანებით ფორმაში** ბრძანებითის ტონი ერთგვარად შერბილებულია, თუმცა ამ ფორმით გამოხატული მოქმედება უმალ, დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს მოუბრის (ბრძანების ავტორის) თანდასწრებით, იწარმოება იგი ბრძანებითი I-საგან. მაგალითად:

ახქ-ა! „დაბარე!“ (I ბრძ.)	ახქ-ა-ლ „დაბარე (ახლავე)!“ (II ბრძ.)
ლოუზ-ა! „ითამაშე!“	ლოუზ-ა-ლ „ითამაშე (ახლავე)!“
ალ-ა! „თქვი!“	ალ-ა-ლ! „თქვი (ახლავე)!“...

-ლ ფორმანტიან ბრძანებითს (და მისგან ნაწარმოებ ბრძანებით III-ს) მყოფადის გაგებაც აქვთ.

ბრძანებითის ამ ფორმას შეიძლება ბრძანებითი II ეწოდოს.

3. **ბრძანებითი III.** ბრძანებით II-ზე **-ჰი** (მხ.რ.) და **-შ** (მრ.რ.) ფორმანტების დართვით იწარმოება ისეთი ფორმა, რომელიც შეიძლება შესრულდეს მომავალში მოუბრის (ბრძანების ავტორის) დაუსწრებლად, მის გარეშე. ასეთ ფორმებს ა. ხალიდოვი თხოვნით-ბრძანებითს უწოდებს (ხალიდოვი 1987, 186). მაგ.:

მხ.რ. ახქ-ა-ლ-ა-ჰი! „დაბარე!“
ლოუზ-ა-ლ-ა-ჰი! „ითამაშე!“
მრ.რ. ახქ-ა-ლ-ა-შ! „დაბარეთ!“
ლოუზ-ა-ლ-ა-შ! „ითამაშეთ!“...

-ჰი, -შ ფორმანტების წარმომავლობა II პირის ნაცვალსახელებისაგან (ჰუ, შუ) ეჭვს არ იწვევს (იაკოვლევი1960, 160; არსახანოვი 1965, 129). მოცემულ შემთხვევაში გასარკვევია, რას წარმადგენს **-ა-** ხმოვანი, რომელიც ამ ფორმანტების წინ დგას. როგორც ცნობილია, გარდამავალ ზმნასთან სუბიექტი ერგატივში დგას. II პირის ნა-

ცვალსახელთა ერგატივის ფორმებია აჰა(ა) — მხ.-ში და აშ(ა) — მრ.-ში. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აღნიშნული ფორმები პირდაპირ დაერთო **-ლ** ფორმანტიან არსებითს, შდრ.: ახქ-ა-ლ-აჰა(ა)...

ასევე ცნობილია, რომ გარდაუვალ ზმნასთან იგივე ნაცვალსახელები სახელობითშია შეწყობილი, მაგრამ **-ა-** ხმოვანი იმავე პოზიციაში აქაც გვხვდება. შდრ.: საც-ა-ლ-ა-ჰა (< საცალ-ა-ჰუო), სოუცალ-ა-შ (< სოუცალ-ა-შუ). ამ შემთხვევაში **-ა-** ხმოვანი პირის ნაცვალსახელის კუთვნილება აშკარად არ არის. სხვაგვარად დადგება საკითხი, თუ დავუშვებთ ბრძანებითი II-ის მაწარმოებლად არა **-ლ**-ს, არამედ **-ლა**-ს, მაშინ ხმოვანი აღსადგენი იქნება უკვე გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები ფორმისათვის: ახქ-ა-ლა-(ა)ჰა... მაშასადამე, ორივე ამ მოსაზრებას თავისი ნაკლი აქვს, გამორიცხული არც ერთია და არც მეორე. შესაძლებელია, აღნიშნული ხმოვანი საერცობი იყოს, მორფემათა გამყარი.

ბრძანებითის ამ ფორმას შეიძლება ეწოდოს ბრძანებითი III.

4. **ბრძანებითი IV** (ან: თხოვნითი — დეშერიევი 1963, 478; ხალიდოვი 1987, 186; არსახანოვი 1981, 146...), თხოვნით-ბრძანებითი (არსახანოვი 1969, 81...)) არის ფორმა, რომელიც იწარმოება I (მარტივი) ბრძანებითის ფორმაზე **-ჰაა** (მხ.რ.), **-შა** (მრ.რ.) ფორმანტების დართვით. ეს ფორმანტებიც ნაცვალსახელური წამროშობისაა, მაგალითად:

მხ.რ.: ხათთ-ა-ჰაა“ „ჰკითხე-რა!“
ახქ-ა-ჰაა! „დაბარე-რა!“
საც-ა-ჰაა! „გაჩერდი-რა!“
ლადურღ-ა-ჰაა! „მოუსმინე-რა!“...
მრ.რ.: ხათთ-ი-შა! „ჰკითხეთ-რა!“
ახქ-ი-შა! „დაბარეთ-რა!“
სოუც-ი-შა! „გაჩერდით-რა!“
ლადურღ-ი-შა! „მოუსმინეთ-რა!“...

მრ. რიცხვის **-ი-** ხმოვანი მიღებულია **-ა-+-ი**-საგან: აი > ეი > იი > ი (*ახქ-ა-ი-შა > *ახქ-ე-ი-შა...). აღდგენილ ფორმებში გასარკვევია **-ი**-ს საკითხი. ა. მაგომედოვს ანალოგიურ ფორმათა **-ა-ი-შა** დაბოლოება II პირის შუ „თქვენ“ ნაცვალსახელის ერგატივის აღდგენილ

ფორმად მიაჩნია, რომლისგანაც შემდეგ მივიღეთ -ᾱშა (მაგომედოვი 1975, 145).

შუ „თქვენ“ ნაცვალსახელის ერგატივის ასეთი ფორმის არსებობა ჩეჩნური ენის ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება და მისი აღდგენა -აიშა-ს სახით, საეჭვოა, თუმცა გამორიცხული არ არის.

IV ბრძანებითის მაწარმოებელ ფორმანტთა პირისნაცვალსახელებთან დაკავშირება ეკუთვნის ნ. იაკოვლევს (იაკოვლევი 1960, 170-182). ნ. იაკოვლევის აზრით, ბრძანებითი IV-ის (ჩვენი ტერმინით) ფორმა იწარმოება ინფინიტივისაგან, ე.ი. უნდა იყოს: ხათთა^{ნ}ლაჰ, -ა- ხმოვნის ნაზალობა (ხათთა^{ნ}) ბრძანებითშიც შენარჩუნებულიაო (იაკოვლევი 1960, 175-176). ამავე აზრს იზიარებს: ი. არსახანოვიც (არსახანოვი 1965, 129). ვვარაუდობთ, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლოა: ინფინიტივისაგან ინფინიტივის ფორმანტის მოკვეცის გარეშე ჩეჩნურში არაფერი იწარმოება. ბრძანებითის ეს ფორმაც გამონაკლისი არ არის: ფუძის მომდევნო ხმოვანი სხვა არაფერია, თუ არა ბრძანებითი I-ის მაწარმოებელი.

5. **ბრძანებითი V-ის** ფორმით გამოხატული მოქმედება თავისი არსით სავალდებულოა თითოეული ადამიანისათვის, იგი საყოველთაოა. კილოს ამ ფორმისათვის დამახასიათებელია კატეგორიულობა, ბრძანებაში დაეჭვება ან თავის შეკავება გამორიცხულია. ასეთი ფორმები ხშირია ფოლკლორულ მასალაში (დალოცვებსა და წყევლებში), ლოზუნგებსა და მოწოდებებში. მაგალითად: ვეხᾱლა „დაე, გეცოცხლოს, დაე, იცოცხლოს“, ᾱლᾱლა „დაე, თქვა, დაე, თქვას“... (იაკოვლევი 1960, 177).

როგორც ირკვევა -ᾱლა ფორმანტი მიღებულია -ლ-ჲ-ა-საგან, სადაც -ჲ- გრამატ. კლასის ნიშანს წარმოადგენს. შდრ., პ. უსლარის მასალები: ᾱხალ-ვ-ა, ᾱხალ-ბ-ა, ᾱხალ-დ-ა, ᾱხალ-ჲ-ა. როგორც ჩანს, გრამატ. კლასის ნიშანი -ჲ- გადავიდა -ლ-ს წინ (ᾱხა-ჲ-ლ-ა) და ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად მივიღეთ -ᾱ- (გრძელი -ა-): ა + ჲ + ი + ჲ > ᾱ (ასიმილაციით). ამ პროცესის შედეგმა, ჩანს, გამოიწვია ანლაუტის ა- ხმოვნის გალაბიალებაც: ᾱხᾱლა... მაშასადამე, ჩეჩნურში განზოგადებულია სწორედ ის აფიქსი, რომლის შედგენაში, ამ სახით ჩამოყალიბებაში -ჲ-ს როლი აშკარაა.

ჩეჩნური ენის ხილდიხაროულ კილოკავში ჩვეულებრივია ისეთი ფორმები, როგორიცაა ⵔხოლ-და, ⵔხოლ-ბა, მაგრამ: ⵔხო-დ-ლა (კლასის ნიშნის წინ გადმოსმით), რომლისგანაც მაისთურში მიღებული ჩანს ⵔხედლა || ⵔხილლა || ⵔხილ(ა).

მაშასადამე, ბრძანების ხარისხის შესაბამისად ჩეჩნურში გამოიყოფა ბრძანებითი კილოს ხუთი ფორმა. ბრძანებითი I-საგან იწარმოება ბრძანებითი II და IV, ბრძანებითი II, თავის მხრივ, გამოყენებულია ბრძანებითი III-ის საწარმოებლად. ბრძანებითი V წარმოშობით აღწერითი ფორმაა.

6. გარდა ამისა, ორფუძიანი უღლების ზმნათა ბრძანებითის ფორმები II ფუძეს, ე.ი. აწმყოს ფორმას ემთხვევა. შდრ., დაჰა^{ъ} „წაღება“ — ჰაᵒ! „წაიღე!“, დალა^{ъ} „მიცემა“ — ლუ! „მიეცი!“...

თავისებურია ვახა^{ъ} „წასვლა“ და ვა^{ъ} „მოსვლა“ ზმნათა (შდრ.: ღუ! „წადი“, ვურლა! „მოდი“) და ერთმარცვლიანთა ბრძანებითის ფორმებიც: და^{ъ} „კეთება“ — დეე! „გააკეთე“, ‘а^{ъ} „(მშვიდად) ყოფნა“ — ‘ეე! „იყავ“, გა^{ъ} „დანახვა“ — გუ! „(დაი)ნახე“...

ბრძანებითის ფორმა ორი სახისაა: წართქმითი და უკუთქმითი. წართქმითია ბრძანებითი, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედების შესრულებას მოითხოვს, უკუთქმითი ბრძანებითი იმავე მოქმედების აკრძალვას წარმოადგენს. უკუთქმითი ბრძანებითს ჩეჩნურში მა „არ, ნუ“ ნაწილაკი აწარმოებს, რომელიც უსწრებს ზმნას. შდრ., მალ-ა^{ъ} „დალევა“ ზმნისაგან ნაწარმოები ფორმები:

	წართქმითი	უკუთქმითი
ბრძ. I.	მალ-ა	მა მალ-ა!
ბრძ. II.	მალ-ა-ლ	მა მალ-ა-ლ!
ბრძ. III.	მალ-ა-ლ-ა-ჰა (მხ.რ.)	მა მალ-ა-ლ-ა-ჰა (მხ.რ.)
	მალ-ა-ლ-ა-შა (მრ.რ.)	მა მალ-ა-შ (მრ.რ.)
ბრძ. IV.	მალ-ა-ჰაა (მხ.რ.)	მა მალ-ა-ჰაა (მხ.რ.)
	მალ-ი-შა (მრ.რ.)	მა მალ-ი-შა (მრ.რ.)

შენიშვნა: ბრძანებითის V სახეობად შეიძლება ჩაითვალოს თავისებურ და ერთმარცვლიან ზმნათაგან ნაწარმოები ფორმები.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რთულ წინადადებაში ე.წ. დამოკიდებული წინადადების ბრძანებითის ფორმა

განსხვავდება მთავარ წინადადებაში წარმოდგენილი ბრძანებითის ფორმისაგან. დამოკიდებული წინადადების ზმნის ფორმა დროული გაგებით უსწრებს მთავარი წინადადებისას. შდრ.: ი ჰაად^{5} შედა ა **ბასთი,** ... ახჩა ლუოლ სოგა „ის შენი ბოხჩა გახსენი (და) ფული მომეცი მე“ (არსემიკოვა 1986, 23). სხვა საკითხია, არის თუ არა მოცემული წინადადება ე.წ. ქვეწყობილი (ეგრეთ წოდებული, იმიტომ ვამბობთ, რომ, როგორც ცნობილია, რთული ქვეწყობილი წინადადება იმ გაგებით, როგორიც ქართულშია, ჩეჩნურში არა გვაქვს). ვვარაუდობთ, რომ ბასთი „გახსენი (და)“ მიღებულია ბასთა-ი-საგან, სადაც **-ი** ხმოვანი, როგორც ჩანს, კავშირის ფუნქციას ასრულებს.

პირობითი „კილო“. პირობითი კილოს ფორმა გამოხატავს პირობას, რომლის არსებობის შემთხვევაში მოქმედება შესრულდება. ზმნებით გამოხატული ორივე ეს ფორმა (პირობისა და შედეგისა) ერთ წინადადებაშია წარმოდგენილი, რომელსაც, ტრადიციის მიხედვით, რთულ ქვეწყობილ წინადადებას ეძახიან. პირობითი კილოს ფორმა ე.წ. დამოკიდებულ წინადადებაშია, ხოლო მეორე, რომელსაც შედეგობითი (შდრ., ქართულში პირობითი და შედეგობითი ფორმები) ეწოდოს — მთავარში.

ზმნის პირობითი კილოს ფორმა იწარმოება **-ჰა**-თი. რ. დალაქოვას მიხედვით — -აჰა-ით (დოლაქოვა 1961, 10), ი. ალიროევის მიხედვით კი — -ეჰა-ით (ალიროევი 1962, 49). აქვს სამი დროის ფორმა: აწმყო, ნამყო და მყოფადი, მაგალითად:

აწმყო: ალა^{5} „თქმა“ — ალ-ა-ჰა, ახა^{5} „ხვნა“ — ახ-ა-ჰა, დიცა^{5} „თხრობა“ — დიც-ა-ჰა, დითა^{5} „დატოვება“ — დითაჰა...

მყოფადი: ერ დელაჰა, ოხურ დელაჰა, დუცურ დელაჰა, დუთურ დელაჰა...

ნამყო: ალლეჰა, ახხეჰა, დიცირეჰა, დითხეჰა...

უნდა აღინიშნოს, რომ აწმყოს ფორმებს, როგორიცაა ალაჰა, მყოფადის გაგებაც აქვთ. ამ ფორმათა სემანტიკიდან გამომდინარე ი. არსახანოვი მათ აწმყო-მყოფადსაც უწოდებს (არსახანოვი 1965, 130). **-ჰა** ფორმანტი არ უკავშირდება II პირის ჰაუო „შენ“ ნაცვალსახელს, ან კიდევ ამავე ნაცვალსახელის ერგატივის **-ჰა**-ს.

მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან:

ნახა ლაჰ, დიქა დუ, ца лаҳ а, д'аთოჯურ დუ и ҳაჟკინ გალი „ხალხმა თუ მოგვცა, კარგი, რომც არ მოგვცეს, გადავიხდით იმ ტომარა სიმინდს" (გვ. 102); თურხაჰ, საᵏ დას თუხუ სუნა „თუ მესვრის, მამაჩემი მესვრის" (გვ. 105) (აიდამიროვი 1990).

აწმყოს პირობითი კილო იწარმოება აწმყოს თხრობითი კილოსაგან **-ჰ** სუფიქსის დართვით: ბლაჰ (< бл-у-ҳ), — წერს დ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი 1968, 205). ძნელი ასახსნელია, რამდენად შეეფერება ასეთი მოსაზრება სინამდვილეს. ჯერ ერთი, აწმყოში გვაქვს რლუ (და არა ამოსავალი ფორმა бლუ), მეორეც, უნდა აიხსნას **-უ**-ს (აწმყოს ფორმანტის) **-ა**-ში გადასვლის მიზეზი. ასეთი ფონეტიკური მოვლენები, მაგალითად, იმავე ზმნისაგან აწმყოს აბსოლუტივის წარმოებისას არ ხდება. შდრ., აწმყოს აბსოლუტივი: რლუშ (<бл-у-ш), рхь-у-ш (<бхь-у-ш), соц-у-ш (<цац-у-ш)... თუმცა დიალექტებში (მაგ., შაროულში) **-ჰ** აწმყოს ფორმას ერთვის. იმავე მკვლევრის აზრით, **-ჰ** მომდინარეობს **-ҳე**-საგან. აწმყოს საწარმოებელი ფუძის საკითხი დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

მყოფადის კილო იწარმოება მყოფადი ფაქტობრივისაგან **დ-უ** დამხმარე ზმნის დაელაჰ ფორმის მეშვეობით.

ნამყოს პირობითი კილო იწარმოება ნამყო განუსაზღვრელისაგან. ამ შემთხვევაში განუსაზღვრელის ბოლოკიდურ **-ა** ხმოვანს **-ალე-** დიფთონგი ენაცვლება, რომელსაც, ჩანს, თანხმოვანთგამყარის ფუნქცია აქვს. შდრ.: ბლლალეჰ (<блл-а-ҳ)...

პირობითი კილოს ფორმას შეიძლება ახლდეს **მა** ნაწილაკი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ამ ფორმით გამოხატული მოქმედების დამთავრებისთანავე დაიწყო მეორე მოქმედება (შედეგობითი ფორმა). მაგ.: ღოლა მა ხეზი, ბრაველირა სუო „ხმაურის გაგებისთანავე გარეთ გავედი". ასეთია, აგრეთვე: მა ელლი „თქმისთანავე", მა ვალ'ა „მოსვლისთანავე", მა ვახხა „წასვლისთანავე", მა დიყყი „გაყოფისთანავე" და სხვ. ჩვენი აზრით, ასეთი ფორმები სხვა არაფერია, თუ არა **მა** ნაწილაკდართული ნამყო უახლესი დროის ფორმები.

„დასაშვები" კილო (**допустительное наклонение**), რომელიც ა. ხალიდოვმა გამოყო, იწარმოება კაუზატიური ფორმისაგან **-ჰ** ფორმანტის მეშვეობით. შდრ.: ვადაᵏ „გაქცევა" — კაუზატივი

ვადითა[5] (<ვად-ა-ი-თ-ა[5]) და მისგან ნაწარმოები ვადით-ა-ჰა... (ხალიდოვი 1987, 186).

ჩვენი აზრით, ასეთი კილოს გამოყოფის საფუძველი ჩეჩნურში არ არსებობს, რადგან ვადითაჰა (ე.ი. კაუზატივისაგან -ჰა ფორმანტით ნაწარმოები ფორმა) და მისთანანი სხვა არაფერია, თუ არა იგივე პირობითის ფორმა რთულ წინადადებაში, რომელსაც შედეგობითის ფორმა მოსდევს.

პირობითი ფორმები ე.წ. რთული ქვეწყობილი წინადადების შინააარს გადმოსცემენ, ასეთ ფორმებს მაკავშირებელ სიტყვათა ფუნქციაც აქვთ და დამოკიდებულ წინადადებაშია წარმოდგენილი.

ნატვრითი კილო. ზმნური ფორმა, რომელიც იწარმოება პირობითი კილოსაგან -(ა)რა ფორმანტის დართვით, ნატვრითი კილოს ფორმას წარმოადგენს. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი ფორმები ცნობილია კავშირებითი კილოს სახელითაც (დოლაქოვა 1961, 10; არსახანოვი 1959, 87...). ასეთი ფორმები გამოხატავენ სასურველ მოქმედებას. შდრ.:

ინფინიტივი	პირობითი ფორმა	ნატვრითი კილო
დაჴჴა[5] „წართმევა“	დაჴჴაჰა	დაჴჴაჰა-ა-რა
დᲒᲔხა[5] „თხოვნა“	დᲒᲔხაჰა	დᲒᲔხაჰა-ა-რა
დᲣრლა[5] „დარგვა“	დᲣრლაჰა	დᲣრლაჰა-ა-რა
ჴᲔᲔხქა[5] „ხარშვა“	ჴᲔᲔხქაჰა	ჴᲔᲔხქაჰა-ა-რა...

-(ა)რა ფორმანტში -(ა) თანხმოვანთგამყარი ჩანს.

ჩამოთვლილი ფორმები აწმყო დროისაა. იმავე -(ა)რა ფორმანტით იწარმოება პირობითი კილოსაგან ნატვრითი კილო ნამყოსა და მყოფადში.

როგორც პირობით ფორმას, ისე ნატვრით კილოსთანაც შეიძლება იყოს ყველა პირის ნაცვალსახელი ორივე რიცხვისა (შდრ., ი. არსახანოვის მიხედვით, ნატვრით კილოსთან მხოლოდ ჰაᲣო „შენ“, აჰაა „შენ“ (ერგ.), შუ „თქვენ“, აშა „თქვენ“ (ერგ.) ნაცვალსახელებია შესაძლებელი) (არსახანოვი 1965, 130).

ნატვრითი კილოს სახეობაა დᲔლარა „ნეტავი იყოს“ (დუ „არის“ ზმნის ნატვრითი კილოს ფორმა) დამხმარე ზმნით ნაწარმოები ფორმებიც. შდრ.:

აწმყო: აწმყოს აბსოლუტივი + დ-დელარა: ლათა^{5} „ჭიდაობა, ჩხუბი“ — ლეთაშ დდელარა „ნეტავი ჩხუბობდეს“, დდელლა^{5} „გახსნა, გაღება“ — დრლლუშ დდელარა „ნეტავი იღებოდეს, იხსნებოდეს“...

ნამყო: ნამყოს მიმღეობა + დდელარა: ლდეთთა დდელარა, დილლინა დდელარა...

მყოფადი: მყოფადი შესაძლებელი + დდელარა (ან: მყოფადის ფაქტობრ. ფორმაში დუ იცვლება დდელარა-თი): დრლლურ დდელარა, ლეთარ დდელარა...

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ნატვრითი კილოს სახეობიდან ერთი სინთეზურია, მეორე ანალიზური, აღწერითი. მათ შორის სემანტიკური განსხვავება უმნიშვნელოა, ნიუანსური სხვაობები დასადგენია.

ნატვრითი კილოს ფორმებსაც რთული ქვეწყობილი წინადადების შედგენის ფუნქცია აქვთ, ასეთი ფორმები დამოკიდებულ წინადადებაშია წარმოდგენილი.

პოტენციალისის კატეგორია

პოტენციალისი მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს. პოტენციალისს ქართულშიც გამოყოფენ, სადაც იგი ვნებითის (ი-ნიანი ან -ე-ნიანი) ფორმაა, რომელიც ხშირად მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს: იშმება, ისმება, ითქმის რამე... ეშმება, ესმება, ეთქმის... ვისმე რამე (ჩიქობავა 1998, 62).

ჩეჩნურში პოტენციალისის წარმოების რამდენიმე საშუალება განირჩევა. მაგალითად, მაგა^{5} „შეძლება“ ზმნის საშუალებით ნაწარმოები პოტენციალისი ანალიზური ფორმაა. შდრ.:

დიცა მაგა^{5} „ლაპარაკის შეძლება“: სუნა დიცა მაეგა „მე ლაპარაკი შემიძლია“

მალა მაგა^{5} „დალევის შეძლება“: „ცუნნა მალა მაეგა „მას დალევა შეუძლია“

ლაშუა მაგა^{5} „დამალვის შეძლება“: ჰუნა ლაშუა მაეგა „შენ დამალვა შეგიძლია“...

როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, პოტენციალი-

სის ფორმა ორი ნაწილისაგან შედგება: სათანადო ზმნისა და მაგა^{ნ} „შეძლება“ ზმნის დროის ფორმისაგან. ნათელი არ არის, რას წარმოადგენს დ̃ცა, მალა, ლაჭყა ფორმები. ისინი -ა- ხმოვნით გავრცობილ ფუძეებს ჰგვანან (-ა- ფუძის სავრცობი ჩანს). აღსანიშნავია, რომ პოტენციალისთან სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას და ზმნა გარდაუვალია. მაშასადამე, პოტენციალისი ამ შემთხვევაში გარდამავალ ზმნათაგან აწარმოებს გარდაუვალ ზმნებს.

გარდა ამისა, პოტენციალისი დალა^{ნ} „გახდომა“ მეშველი ზნითაც იწარმოება. ამ ზმნის ფუნქციების დადგენის ცდა ჩეჩნურში ეკუთვნის
პ. უსლარს. შდრ.: ყუო^{ნ}ვალარ „გაახალგაზრდავება“ (მამაკ.) — სუო ყუო^{ნ}ლუო „მე ვაახალგაზრდავდები“ (უსლარი 1888, 96). დალა^{ნ} — ის ძირითადი ფუნქცია პოტენციალისის გამოხატვაა გარდაუვალობის მნიშვნელობით (იმნაიშვილი 1977, 179; 1978, 168).

დალა^{ნ} ზმნის ამოსავალი მნიშვნელობა ამჟამად დაჩრდილულია (შდრ., დ. იმნაიშვილი: დალა^{ნ} „გახდომა“), იგი, შეიძლება ითქვას, სუფიქსოიდია, რომელმაც სიტყვაწარმოების ფუნქცია შეიძინა (და^{ნ} ზმნასთან დაკავშირებით იგივე აზრი აქვს გამოთქმული ე. კუშტოვას (კუშტოვა 1990, 83-84).

ამავე აზრს, მცირეოდენი განსხვავებით, ავითარებს კ. ჩოქაევი, იგი წერს, რომ კომპოზიტებში „დალა^{ნ} კომპონენტი აბსტრაქციის ხარისხით შეიძლება შევადაროთ სუფიქსს. ამასთან ერთად იგი მნიშვნელოვანწილად დესემანტიზებულია და დამოუკიდებული მნიშვნელობით იშვიათად იხმარება. იგი ცალკე იხმარება კითხვაზე პასუხისას, მაგალითად: ბრაჰ̃ ‘არჟაელლი̃? — ჟელლა „გარეთ დაბნელდა? — [კი]“ (ჩოქაევი 1968, 170).

და^{ნ} „კეთება“ ზმნა დამოუკიდებლადაც იხმარება, მაგრამ მეშველი ზმნის (ე. ი. სიტყვაწარმოების) ფუნქციაც აქვს. წოვა-თუშურში, როგორც შენიშნულია, იგი დამოუკიდებლად აღარ იხმარება (დეშერიევი 1953, 83).

უღლების თვალსაზრისით, დალა^{ნ} დამხმარე ზმნა იცვლება ისევე, როგორც დალა^{ნ} „მიცემა“ ზმნა: ახასიათებს ორფუძიანი უღლების პრინციპი

(I სერია, აწმყო ლუო.., II სერია, ნამყო უახლესი დაელ-ი^{5}), იცვლება გრამატიკული კლასების მიხედვით.

დალა^{5} ფორმით თითქმის ყველა ზმნისაგან იწარმოება ახალი ზმნები, რომელთაც პოტენციალისის სემანტიკა აქვთ (მაგრამ, შესაძლებელია, რომ ყველა ეს ფორმა არ იყოს პოტენციალისი). მაგალითები:

ინფინიტივი	პოტენციალისი	აწმყო
და'ა^{5} „ჭამა“	და'ა-დალა^{5}	და'ა-ლუო „იჭმევა“
მალა^{5} „სმა“	მალა-დალა^{5}	მალა-ლუო „ისმევა“
ალა^{5} „თქმა“	ალა-დალა^{5}	ალა-ლუო „ითქმევა“ (რამე)...

შდრ., აგრეთვე, და^{5} „კეთება“ ზმნით ნაწარმოებ გარდამავალ ზმნათაგან (და^{5} გარდამავალი ზმნების მაწარმოებელია) პოტენციალისის წარმოების გზა:

ჩამოთვლილი ზმნები გარდამავალია, მათგან ნაწარმოები პოტენციალისის ფორმები ვნებითი გვარის შინაარსის მქონეა: სუბიექტის ადგილს ობიექტი იკავებს. მაშასადამე, პოტენციალისი გარდამავალი ზმნის შებრუნებული ფორმაა და მას ერთგვარად ვნებითი გვარის შინაარსიც აქვს. პოტენციალისი ვნებითი გვარის ჩასახვის საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ჩეჩნურში.

გარდა ამისა, პოტენციალისის ფორმას შეიძლება ჰქონდეს უნებურობის შინაარსიც. შდრ.: ბ'არგ ბეეთთალუო „თვალი თამაშობს“, დუოგ თუოხალუო „გული ძგერდება“ (თარგმანი მიახლოებითია) და სხვ. ვფიქრობთ, პოტენციალისის ამ შინაარსზე მიუთითებს კ. ჭრელაშვილი წოვა-თუშურში (ჭრელაშვილი 1988, 13).

პოტენციალისი ჩეჩნურში დადალა^{5} მეშველი ზმნითაც არის ნაწარმოები. დადალა^{5}, როგორც ჩანს, თვით წარმოადგენს და^{5} „კეთება“ ზმნის პოტენციალისს. შდრ., მაგალითად:

ინფინიტივი	პოტენციალისი	აწმყო
გეეჩ-და^{5} „პატიება“	გეეჩ-დადალა^{5}	გიეჩ-დალუო
ჰალლაქ-და^{5} „მოსპობა“	ჰალლაქ-დადალა^{5}	ჰალლაქ-დალუო
რეზა-და^{5} „დაკმაყოფილება“	რეზა-დადალა^{5}	რეზა-დალუო
ჯრჩუშ-და^{5} „დასრულება“	ჯრჩუშ-დადალა^{5}	ჯრჩუშ-დალუო...

ამგვარად, ჩეჩნურში პოტენციალისი ზმნურ კატეგორიას წარმოადგენს, მისი მაწარმოებლებია მაგა^{5} „შეძლება“ ზმნა და დალა^{5}, დადალა^{5} მეშველი ზმნები. პოტენციალისს აქვს ვნებითი გვარისა და უნებურობის შინაარსი. პოტენციალისის ჩამოყალიბებით, ჩანს, ჩეჩნურში გვარის კატეგორიის ჩასახვის წინაპირობებია შექმნილი.

1. მარტივი ზმნური ფუძეები ჩეჩნურში შეიძლება იყოს კლასნიშნიანი ან უკლასნიშნო, ხმოვანფუძიანი ან თანხმოვანფუძიანი. კლასნიშნიანი მარტივი ზმნური ფუძეები, უკლასნიშნო მარტივებთან შედარებით, მცირეა — ერთ ასეულს არ აღემატება (ზმნისათვის დამახასიათებელი პოლისემიურობის გამო მარტივ კლასნიშნიან ზმნათა რაოდენობა დაზუსტებული არ არის. ნაშრომში განხილულია 94 ასეთი ფუძე).

2. ჩეჩნურში ასევე მცირერიცხოვანია ხმოვანფუძიანი მარტივი ზმნური ფუძეები (ორ ათეულს არ აღემატება). გამოიყოფა და[5] „კეთება“ ზმნა, რომელსაც ფუძე არა აქვს. ხმოვანფუძიანებიც ორ ჯგუფად იყოფიან გრამ. კლასის ნიშნის მიხედვით (კლასნიშნიანებად და უკლასნიშნოებად).

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ყველა ხმოვანფუძიანი ზმნა წარმოშობით თანხმოვანფუძიანია: ხმოვანფუძიანობა ფუძის ცვეთის, ბოლოკიდური თანხმოვნის დაკარგვის შედეგია.

3. ფონემატური სტრუქტურის მიხედვით ჩეჩნური მარტივი ზმნები შემდეგ მოდელებს ქმნიან:

I. K + V + C

II. 1) V + C

2) C + V + C

III. C + V + C (ერთი ფუძით)

IV. 1. K + V

2. C + V

როგორც მოდელებიდან ჩანს, მარტივი ზმნური ფუძეები ერთი მარცვლისაგან შედგება. ფუძეს მოსდევს ე. წ. თემატური (მაერთებელი) ხმოვანი და ინფინიტივის მაწარმოებელი. გამონაკლისები ახსნას ექვემდებარება და მხედველობაში არ მიიღება. სავარაუდოა, რომ ზმნის ძირი ისტორიულად ცალი თანხმოვნით იყო წარმოდგენილი.

4. ზმნურ ფუძეთა ანლაუტში გამორიცხულია ერთზე მეტი, ხოლო აუსლაუტში — ორზე მეტი თანხმოვანი. რამდენიმე გამონაკლისში „ზედმეტი“ თანხმოვანი განვითარებული, მეორეული ჩანს.

როგორც წესი, თანხოვანი ვითარდება თანხმოვნის შემდეგ ანლაუტში და თანხმოვანთა კომპლექსების წინ-აუსლაუტში.

5. ყრუ მკვეთრი თანხმოვნები ზმნურ ფუძეებში, შეიძლება ითქვას, რომ არ დასტურდება. რამდენიმე ფუძე ანლაუტში წ, ჭ თანხმოვნებით და ერთი ფუძე ტ-თი აუსლაუტში ექსპრესიულობის გამომხატველი ან ხმაბაძვითი წარმოშობისა ჩანს.

6. გრძელი ხმოვნის (ან გრძელი დიფთონგის) შემდეგ გამორიცხულია ერთზე მეტი თანხმოვანი.

7. რთული (შედგენილი) ზმნები შეიძლება იყოს ორ- ან სამფუძიანი. შედგენილ ზმნებში I კომპონენტი სახელები, ზმნა ან ზმნისართია, II (ან III — სამფუძიანებში) კომპონენტს ზმნა წარმოადგენს. რთული ზმნები კომპოზიტებია, თუმცა კომპოზიტის შემადგენელ კომპონენტებს შორის კავშირი მყარი არ არის (ნაწილაკების ჩართვით მათი გახლეჩა ხერხდება).

შედგენილ ზმნებში I კომპონენტად უცნობი წარმოშობის ფუძეები ვლინდება, რომელთა რაოდენობა არც თუ ცოტაა.

8. გამოიყოფა მარტივი და რთული პრევერბები. მარტივები მიმართულებას გამოხატავენ, რთულები — მიმართულებასა და ადგილს. პრევერბთა ნაწილი თანდებულებადაც გამოიყენება, მაშასადამე, პრევერბთა ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებული არ არის.

9. ჩეჩნურში განირჩევა სუბიექტურ-კლასოვანი (გარდაუვალ ზმნებში) და ობიექტურ-კლასოვანი (გარდამავალ ზმნებში) უღლება (ზმნა კლასში უთანხმდება სახელს, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას). უკლასნიშნო ზმნებში გარდაუვალობა-გარდამავლობა სინტაქსურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება. ზმნაში პირი არ განირჩევა, პირთა გარჩევა სათანადო ნაცვალსახელების გამოყენებით ხერხდება.

10. ყველა აბსოლუტური ზმნა გარდაუვალია სუბიექტით სახელობით ბრუნვაში, რელატიურ ზმნათაგან გარდამავალია ის ზმნა, რომელსაც სუბიექტი ერგატივში შეეწყობა, ხოლო ზმნები, რომელთაც სუბიექტი მიცემით (გრძნობა-აღქმის ზმნები) ან ადგილობით ბრუნვებში შეეწყობა — გარდაუვალი. გამოვლენილია შემთხვევა, სადაც ხა'ა" „ცოდნა" ზმნასთან სუბიექტი ერგატივში დგას მოსალოდ-

ნელი მიცემითის ნაცვლად („ჩეჩნური ანბანი“ 1862).

11. უღლების სისტემაში განირჩევა დროთა რვა ფორმა, მოცემულია მათი წარმოების ანალიზი, დასაბუთებულია მათი თანმიმდევრობის საკითხი, ახლებურად გააზრებულია ზოგი ფორმანტის ფუნქცია. წარმოების თვალსაზრისით დროები დაყოფილია ორ სერიად — დაყოფის საფუძველია დროთა მაწარმოებელი ფორმანტების დართვით გამოწვეული ფუძისეულ ხმოვანთა ცვლა (ლაბილიზაცია, პალატალიზაცია).

12. სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ უღლების ტიპთა სხვადასხვა რაოდენობას. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ჩეჩნურში უღლება ერთია, აწმყოს წარმოების მიხედვით შეიძლება უღლების ორი სახეობის გარჩევა (და არა ორი ან, მით უმეტეს, ხუთი და შვიდი ტიპისა).

13. ნაზმნარ სახელებში, მასდარის გარდა, განირჩევა **-ჲ** ფორმანტიანი სახელები და მიმღეობა. მიმღეობა განარჩევს სამ დროს (აწმყოს, ნამყოსა და მყოფადს). სადავოა **-ჲ** ფორმანტის გენეზისის საკითხი (საკუთრივ ნახურია იგი თუ ნასესხები).

14. ცალკე დგას აბსოლუტივის ფორმა, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, აზუსტებს. აბსოლუტივსაც იგივე დროები აქვს, რაც მიმღეობას. გამოთქმულია მოსაზრება **დუ** „არის“ ზმნის აწმყოს მიმღეობისა (დოლუ) და აწმყოს აბსოლუტივის (დოლუშ) ფორმათა ფუძის პირველადობის შესახებ.

15. დამოკიდებულ წინადადებათა შინაარსის გამოხატვის ერთერთი საშუალება საგარემოებო ფორმებია. საგარემოებო ფორმები იწარმოება აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის ფორმათაგან სპეციალური სუფიქსებით. სუფიქსები მარტივია ან რთული. რთული სუფიქსები უფრო აზუსტებენ მოქმედების ადგილმდებარეობასა და მიმართულებას.

